



# ກວດສອບ



«ຂະເຜນໂຄຮ່ານາ»

საქართველოს სსრ მიცნობრებათა აკადემია  
აკად. ს. ჭავაშვილ სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მიერ გამოცემის  
შესაბამისობა

# მასალები იმართვის ეთნოგრაფიული გასრულისათვის



„მიცნობრება“  
თბილისი  
1978

902.7(с 41)

902.7(47.922)

გ 362

კრებული ასახავს საქართველოს ერთი ეთნოკური რეგიონის —  
იმერეთის, ეთნოგრაფიული ყოფისათვის დამახასიათებელ ზოგიერთ  
მხარეს — მემინდერეობას, მესაქონლეობას, შრომის ორგანიზაციის  
ფორმებს, ხის დამუშავების ხალხურ წესებს, ჩატმულობას, მჯელო-  
ბას, კერამიკულ წარმოებას და სხვ.

კრებულში შესული საქითხები დაძუშვილი ეთნოგრაფიული ექს-  
პედიციების შედეგად მოპოვებული მასალების საფუძველზე.

## შ 0 ს ა ვ ა ლ ი

ერთი ათეული წელია მას შემდეგ, რაც საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ეთნოგრაფიის განყოფილება ახორციელებს საქართველოს ცალკეული რაიონებისა და ხეობების კომპლექსურ ეთნოგრაფიულ შესწავლას.

ამგვარი კალეგა-ძიების შედეგები წინა წლებში ოთხ წევნად გამოკვეყნდა. კრებული რაგით მეხუთეა, რომელშიც შევიდა იმერეთის ეთნოგრაფიული შესწავლის შედეგად დამტავებული მასალები და გამოკვლევები.

1. იმერეთის ეთნოგრაფიული შესწავლის მიზნით, საქართველოს სახ. მუზეუმმა 1971—1972—1973 წლებში ხუთი ექსპედიცია განახორციელა. ექსპედიციებში მონაწილეობდნენ უშუალოდ მუზეუმის ეთნოგრაფიის განყოფილების თანამშრომლები: ისტ. მეცნ. დოქტორი ნ. რეხვიაშვილი, ისტ. მეცნ. კანდიდატები: მ. ჩართოლანი, გ. გასიტაშვილი, ლ. მოლოდინი, ც. ბერიარაშვილი, ლ. ბედუინი, ც. კაკაბაძე და ც. ყარაულაშვილი. უმცროსი მეცნიერ მემაჟები: ნ. ლოლობერიძე, მ. მაკალათია. თ. გელაძე, ლ. სოსელია და ლ. გეგია, მხარევარი ო. კონიაშვილი და ამ სტრიქონების ავტორი, რომელთაც მუშაობა მოუხდათ იმერეთის ყველა რაიონში. შეკრებილი იქნა დიდალი ზეპირსიტყვიერი მასალა. მუზეუმი შეიცსო ექსპონატებითა და ფოტომასალით.

იმერეთში ისე, როგორც საქართველოს სხვა რაიონებში, დღიდან დან საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისა დიდი სამეტეო ცელილებები განიცადა.

საუკუნეების მანძილზე ჩამორჩენილი სოფელი ორი ათეული წლის მანძილზე მთლიანად შეიცვალა. წარმოების წესის შეცველას თან მოჰყვა ძირეული გარდაქმნები. სოფლად ახალმა საწარმოო იარაღებმა და საწარმოო ურთიერთობამ სწრაფი ტემპით იწყო ძველი ყოფის ამსახველი გადმონაშების თანდათანობით გაქრობა. სათანაზო ცელილებანი მოხდა საოჯახო და საზოგადოებრივ

ყოფაში. მწარმოებელი კოლმეურნე გლეხის ყოფისა და კრლტერის გარდაქმნა-განვითარება ხორციელდება შესაბამებული მსოფლიო სახელმწიფოებრივი ღონისძიებებისა, რომელსაც ატარებს სახელმწიფო კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით.

იმერეთის სოფლებთან დიდი მნიშვნელობის სამრეწველო ქალაქების სიახლოებმ ქალაქურ ცხოვრებას მჭიდროდ დაუკავშირა სოფლის მოსახლეობა, რომელიც ჯერ კიდევ გასული საუკუნის ბოლოდან ჭიათურის მანგანუმის წარმოებაში ფართოდ ჩაება. გასულ საუკუნეში რუსეთის გუბერნიიებიდან გარე სამუშაოებზე დროებით გასულ გლეხთა შესახებ ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა, რომ საშოვარიდან ისინი სულ სხვა სულისკვეთებით ბრუნდებიან, მათ-ში ღვივდება პროლეტარული შეგნება, ისინი სოფელში ახალი იდეებით აღჭურვილნი მოდიან.<sup>1</sup>

ანალოგიურ მდგომარეობას აღგილი ჰქონდა საქართველო-შიც. იმერეთის სოფლის მოსახლეობა არა მარტო აღგილობრივ სარეწებში, იყო დასაქმებული, ისინი სამუშაოდ მიღიოდნენ ქართლსა და კახეთში, სამეგრელოსა და იფხაზეთში, გადიოდნენ რუსეთის სამრეწველო ქალაქებში.

საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შემდეგ ჭიათურის მანგანუმის მრეწველობაში დასაქმებული იყო სოფლის მოსახლეობის დიდი ნაწილი. ბოლო წლებში სამრეწველო აღგილებთან სოფლების იაფი ტრანსპორტით დაკავშირებამ ხელი შეუწყო აღგილობრივი მოსახლეობის კიდევ უფრო მოზიდვას წარმოებაში სამუშაოდ.

იმერეთში დიდი მნიშვნელობის ღონისძიებას წარმოადგენს საკავშირო მნიშვნელობის სამკურნალო დაწესებულებათა მშენებლობა-განვითარება. წყალტუბოს, საირმის, გორდის, კვერეთისა და სხვა სანატორიუმები ყოველწლიურად 200 ათასამდე კაცს ემსახურება.

სოფლის მოსახლეობის მუშარი სულისკვეთებით ცხოვრებას უდიდესი პროგრესული მნიშვნელობა აქვს. ცხოვრების ამ მხარეს ადამიანის შეგნებაში შეაქვს ახალი, მოწინავე იდეები, ხელს უწყობს მათ დასპეციალებას მრავალი პროფესიით და მოქალაქეობრივი შეგნების ღონის ამაღლებას. ამავე ნიადაგზე ხდება ახალი ადამიანის ფსიქიკის გარდაქმნაც.

თანამედროვე იმერეთის სოფლების უმეტესობა წარმოგვ

<sup>1</sup> ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. 3, გამოც. IV, აბ., 1948, გვ. 180—281.

ვიღება ერთიმეორებზე გადაბმული დასახლებების სახით. ზოგიც ძნელდება ზღვარის მოძებნა ქალაქებსა და მეზობლად განლაგებულ სოფლებს შორის. ისინი ერთმანეთს უკავშირდებიან, კეთილგან მოწყობილი გზებით, სისტემატურად მოძრაობს ავტოტრანსპორტი. სოფელი მარაგდება ყოველდღიური მოხმარების საგნებით, გამომცხვარი პურით, ფეხილით, საწვავი გაზით. იგი ელექტროფიცირებულია, აქვთ მილებით გაყვანილი სასმელი წყალი; სოფლების უმეტესობა უსმენს და უყურებს რადიო თუ ტელეგადაცემებს. ყველა სოფელში არის დაწყებითი ან საშუალო სკოლა, სამჯითხელო დარბაზები, კლუბები, კინოდანადგარები და კულტურის სახლები.

შეიცვალა საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობანი, რომელთა ზოგი ელემენტი საყარმიდამო კომპლექსიდან გაქრა.

აქტიურად მიმდინარეობს მწვანე კარმიდამოს სავენახე და საბოსტნე დანიშნულებით ათვისება. ქვემო იმერეთში მევენახეობასთან ერთად მეჩაიეობამ წამყვანი აღგილი დაიკავა.

მძიმე იყო წარსულში იმერელი გლეხის მდგომარეობა. შინამებისა თუ გარეშე მტრების მოძალების გამო გლეხობა იყრებოდა თავისი მქეიდრი საცხოვრებელებიდან და მეორე სოფელს ან უფრო შორეულ კუთხეს აფარებდა თავს. აღგილი პქონდა მთის სოფლების მოსახლეთა ბარისაკენ ან ქართლისაკენ გადანაცვლებას. მშრომელი მოსახლეობა გაურბოდა მწირ სოფლებს, ბატონიგმობის მძიმე უდელსა და მეზობელთა ძალადობას. XVII ს. ერთი საბუთი, რომელიც ქართლის მეფე გიორგის ქაიხოსრო წერეთლისათვის მიუცია, იუწყება, რომ იმერეთიდან, სახელდობრ, საწერეთლოდან, „რაც თქუენი გლეხი ან ახლა აგყრიდეს და საქართველოს ჩუენს საბატონოში მოსულიყოს, ისიც გიბოძოთ, შემოგარიგოთ და რაც ამას უკან როდესმე აგყაროთ და ქართლს გადმოვიდეს, არც ის დაგეჭიროდეს და გიბოძოთ. და ამ წესით შეირიგებდით, რომ ჩუენს საბატონოდამ მოცემულ თქუენს ყმასა ტაცე არ გაესყიდოდეს“<sup>2</sup>.

ამ საბუთის მიხედვით უნდა კივარაუდოთ, რომ ქართლში გამოქცეული იმერლები ტყვედ გაყიდვას გაურბოდნენ. XVII—XVIII საუკუნეებში ტყვეთა გაყიდვა დასავლეთ საქართველოს მძიმე სუნად აწვა. შეუასაუკუნეებში თუ იმერეთიდან მოსახლეობა ქართ-

<sup>2</sup> შ. ბურჯანაძე, ისტორიული საბუთები იმერეთის სამეფოსა და გურია-დოიშის სამთავროებისა, თბ., 1959, გვ. 42.

ლის მომიჯნავე რაიონებში გადადიოდა, უფრო გვიან მათი გადანაცვლების რადიუსი ფართოვდება და XIX საუკუნეში შვეიცარიულება ჩასახლება კახეთის რაიონებშიც (ახმეტა, საგარევო, ლაგოდეხი). გადასახლება ხდებოდა ან ნაწილობრივ, ცალკეულ რაზე-ბად, ან ზოგჯერ მთელი სოფლის გადასცლით, რაც უფრო რთული კითარებით იყო ხოლმე გამოშვეული და უმეტესად მთის ზოლის სოფლებზე მოდიოდა. ერთი ასეთი მაგალითი ცვირილის ხეობაში მდებარე სოფელ ჭალაბეთს ეხება. აქ სოფელი დასახლებული ყოფილა ჭალაბაძეებით, რომლებიც აყრილან, ჯერ სპეცში, აქედან კი კორბოულში გადასახლებულან და საბოლოოდ იქ დამცუიდრებულან. სპეცში, როგორც ჩანს, მცირე ხნით უცხოვრიათ, რადგან ძირითად სალოცავ ხატად მათთვის მაინც ჭალაბეთის ძლევის წმ. გიორგი დარჩენილა. ისინი იქ დადიოდნენ სალოცავად. კორბოულიდან ჭალაბაძეების ერთი ნაწილი შიდა ქართლის სოფელ ჭორდში (გორის რ-ნი) დასახლებულა სადაც ისინი პირველად XVII საუკუნეში მოიხსენიებიან.

სხვა რაიონებში იმერეთიდან საცხოვრებლად გადასცლა ხორციელდებოდა სახელმწიფო ღონისძიებითაც, მაგ., სამგორის ცელის ათვისებასთან დაკავშირებით მრავალი ოჯახი იქნა გადმოსახლებული. ასევე ჩასახლეს იმერლები მესხეთის სოფლებში (1944 წ.). ასეთი სახელმწიფო ღონისძიებანი ძირითადად მთის მწირნიადაგიან სოფლებს შეეხო (ჩხიროული, ტყემლოანა, შროშადა სხვ.).

იღსანიშნავია, რომ იმერეთის სოფლების სიახლოვეს სამრეწველო და რაიონული ცენტრების აღმოცენება-განვითარებამ მახლობელი სოფლებიდან აყრისა და ჭალაქად გადასახლების ტენდენციას ნაკლებად შეუშუალი ხელი. აღმოსავლეთ საქართველოს ზოგიერთ რაიონში კი ეს ტენდენცია აქტიურ ხასიათს ატარებს, რამაც გამოწვია მთის უამრავი სოფლის გაუკაცირიელება.

ცხოვრების თითქმის ყველა სფეროში მომხდარმა დიდმა ცალკეულებებმა გამოიწვია ეთნოგრაფიული მასალის გაქრობა, ნაწილობრივ კი მისი ტრანსფორმაცია. დღეისათვის ეთნოგრაფიული მასალის მომწოდებელი არიან XX საუკუნეში დაბადებულნი, რომელთაც კარგად იციან მხოლოდ ამ საუკუნის ცხოვრების დეტალები. ეს გარემოება ეთნოგრაფებს ავალებს, რომ უფრო მეტად გაამახვილონ ყურადღება ძველი ყოფის ამსახველი მასალების შეკრებაზე.

## მემინდვრეობა იმპრეოზი

იმერეთი ისტორიულად ჩამოყალიბებული ეთნო-გეოგრაფიული ერთეულია, რომელიც რამდენიმე ხეობისაგან შედგება. ხეობები თავს იყრინა კოლხეთის დაბლობში. იმერეთის დაბლობი ცხენისწყლის აღმოსავლეთით იწყება და ზესტაფონამდე აღწევს, აქედან კი იწყება მთის წინა ზოლი და იმერეთის ზეგანი.

იმერეთის დაბლობი, რომელიც ეწერებისა და ალუვიური წიაღაგური ფენებისაგან შედგება, მეოთხეულში ყოფილა გაჩენილი.<sup>1</sup> ცხენისწყლის აღმოსავლეთით წყალტუბოს რაიონის ნიადაგები წარმოდგენილია წითელმიწებით, აფგილ-ადგილ ნეშომპალა და ტყის ყომრალებით.<sup>2</sup>

აღნიშნული დაბლობის რაიონებში (სამტრედია, ზესტაფონი, ქუთაისი, წულუკიძე) მოდის 1160—1514 მმ ნალექი<sup>3</sup>.

ქვემო იმერეთის რაიონები დღეისათვის სპეციალიზებულია შემდეგი სამეურნეო პროფილით: მეჩაიერბა, მეევნახეობა, მეხილეობა მარცვლეულის მეურნეობის (სიმინდი), სახორცე-სარძეო მესაქონლეობის, მეფრინველეობისა და მეაბრეშუმეობის პარალელურად<sup>4</sup>. ამავე რაიონში აქტიურად ვითარდება სოფლის მეურნეობის პროდუქტების გადამშუავებელი სამრეწველო ცენტრები და მანქანათმშენებლობისა თუ მსუბუქი მრეწველობის დარგები.

ქვემო იმერეთის რამდენიმე რაიონი (მაიაკოვსკის, ვანის, ზესტაფონის) ბორცვიანი და დაბალმთიანია, სიმაღლეთა სხვაობა 100-500 მეტრამდე აღწევს, წლიური ტემპერატურაა 16-20°, ხო-

<sup>1</sup> ლ. მარტა შვილი, საქართველოს ფიზიკური გეოგრაფია, თბ., 1964, გვ. 215.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 236.

<sup>3</sup> მ. საბაშვილი, საქართველოს სსრ ნიადაგები, თბ., 1965, გვ. 53.

<sup>4</sup> ნ. დევიძე, სოფლის მეურნეობის გეოგრაფია, „საქართველოს სსრ, ეკონომიკური გეოგრაფიის ძრითადი საკითხები“, თბ., 1970, გვ. 334.

ლო ატმოციფერული ნალექების რაოდენობა—1200-1600 მმ<sup>5</sup>. ჩანისა და მაიაკედას რაიონებში მეურნეობის ძირითადი ჭრებია მარცვლეულის წარმოება, მეჩაიეობა და მესაქონლეობა.

იმერეთის ზეგანი აერთიანებს ძირულა-ყვირილებს, ურა-თურის, ხარაგაულისა და საჩხერის რაიონებს; ამის ზემოთ იმერეთის პლატოს უწოდებენ. მისი სიმაღლე ზღვის დონიდან 800-900 მეტრია, წლიური საშუალო ტემპერატურა 13-14<sup>0</sup> მეტრულის, ნალექები — 700—1200 მმ<sup>6</sup>.

ზემო იმერეთში მეცენატეობა-მეხილეობა შეთანაწყობილია მარცვლეულის მეურნეობასთან (სიმინდი), სახორცე-სარძეო მესაქონლეობასთან, მეღორეობასთან, მეაბრეშუმეობასთან. ჩინ მხოლოდ ჭიათურის რაიონში მოჰყავთ, ისიც ძალის მცირე რაოდენობით.<sup>7</sup> ოღნიშნულ ტერიტორიულ ერთეულზე დიდი სამრეწველო უბანია ჭიათურა, რომელიც ცნობილია მანგანუმის საბადოებით. ამ სამრეწველო წარმოებაში ჩაბმულია რაიონის როგორც ქალაქის, ისე სოფლის დიდძალი მოსახლეობა.

იმერეთის ტერიტორიაზე დღეისათვის 11 რაიონია განლაგებული, რომლის საერთო ფართობი შეადგენს 6356,3 კვ. კმ<sup>8</sup>. იმერეთში 9 ქალაქია (მათ შორის სამი დიდი, სამრეწველო) და 6 დაბა; 156 სასოფლო საბჭო აერთიანებს 598 სოფელს. 1965 წლის ოღნიშნულით, იმერეთის მოსახლეობა შეადგენდა 711,5 ათას მცხოვრებს. ერთ კვ. კმ მოდის 112 კაცი, დამუშავებული მიწის ერთ კვ. კმ — 305 კაცი<sup>9</sup>. ასე რომ, იმერეთი, შედარებით საქართველოს სევა რაიონებთან, საქმიანდ მცირდო დასახლებით გამოირჩევა. ეს გარემოება იმერეთისათვის მარტო ბოლო საუკუნის შემცირებისათვის არ არის დამახასიათებელი. აქ მცირდო დასახლებას საუკუნეების სილრმეშიც უნდა პქონოდა ადგილი; სოფლის დასახლებებში და მის სიახლოებებს ხშირად უთითებენ სავაჭრო ადგილებსა და ვაჭართა ნამოსახლარებზე. ტოპონიმიკაში არაერთგან შემონახულია სახელები: ნაურიალი, ურიების ლელე, ნადუქნარი, სავაჭრო გზა, ბაზარი, ნაქალაქარი და სხვ. ოღნიშნულ გარემოებაზე

<sup>5</sup> ლ. მარცვაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 247.

<sup>6</sup> ი ქ ვ ი, გვ. 240.

<sup>7</sup> ნ. დ ე ვ ი ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 335.

<sup>8</sup> ვ. ჯ ა თ შ ვ ი ლ ი, საქართველოს მოსახლეობის გეოგრაფია, „საქართველოს სსრ ეკონომიკური გეოგრაფიის ძირითადი საკითხები“, თბ., 1970, გვ. 139.

<sup>9</sup> ვ. ჯ ა თ შ ვ ი ლ ი, იქვე, გვ. 139.

XVIII საუკუნეში გახუშტი ბატონიშვილი მიუთითებდა<sup>10</sup>. შეა-  
საუკუნეებში, როგორც გვიანი დროისათვისაც, მცირდოდ დასახ-  
ლებული ადგილებიდან მოსახლეობის გასვლა-განტვირთუა ჩვეუ-  
ლებრივი მოვლენა იყო. ქართლის მიმდგომი რაიონის სოფლებში  
იმერეთიდან მოსულ გვარებზე დღესაც ბეჭრი მიუთითებს.

მოსახლეობის დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ დღნა გარკ-  
ველ გვალენას ახდენდა სამეურნეო იარაღების მსგავსება-გავრ-  
ცელებაზე. შემთხვევითი არ არის, რომ აღმოსავლეთ საქართვე-  
ლოში საყოველთაოდ გვერცელებულ მხრებდახრილ თოხს იმე-  
რულს უწოდებენ.

როგორც ზემოთ აღინიშნა, იმერეთის ნიადაგები ხეობების  
შესაბამისად და ბარისა თუ ზეგნის მიხედვით მრავალგვარია.

ადგილმდებარეობის რელიფურობისა და ნიადაგების ნაირ-  
გვარობის მიხედვით იმერეთში დამოწმებულია შავი მიწა, წითელი,  
მძიმე, ფეხეკა, მჩატე, თირი, აყალო, თიხა მიწა, ლაგაზი, ქირში,  
სილა მიწა და სხვ.<sup>11</sup>

ექსპოზიციის მიხედვით: მზიგული, ჩუყვერი (ჩრდილიანი),  
მერდიმი (ჩაღრმავებული), გვერდო, ჩინჭყლოფი, ჟარი (დაჭიო-  
ბებული).<sup>12</sup> ჩამოთვლილი ნიადაგები ძირითადად ორი კატეგორი-  
ის ზოგადი სახელის ქვეშ ნაწილდება: მბილარი ან ქვიანი. ქირში,  
სილა მიწა, თირი, აყალო, მჩატე ქვიანი მიწების კატეგორიაშია-  
მოქცეული. სახელი მბილარი ან ქვიანი ხშირად მთელი სოფლის,  
ზოგჯერ მთელი მიქრორაიონის მიწების ხსიათსაც კი გამო-  
ხატავს.

ისე როგორც ქართლში, ურწყავ და სარწყავ სოფლებს შო-  
რის მოსახლეობა დიდ განსხვავებას ხედავდა იმერეთშიც. მბილა-  
რის მცხოვრებნი ქვიანი სოფლების მცხოვრებლებთან გარკვეულ  
დამოკიდებულებას იჩენდნენ, მათთან საქორწინო ურთიერთობა-  
საც კი ერიდებოდნენ.

იმერეთის ზოგიერთ ხეობაში სახნავ-სათესი მიწის მოპოვება-  
ახოს აღების სისტემაზე იყო დამყარებული. მიწის სიმცირე იწ-  
ვევდა მისი მაქსიმალურად გამოყენების აუცილებლობას. მეურ-  
ნე გლეხებს ამ მხრივ ფერდა ადგილების ათვისებისათვის დადი  
შრომა გაუწევიათ. სოფელ ლევდში (წულუკიძის რ-ნი) მთის კალ-

<sup>10</sup> ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თბ., 1940, გვ. 153.

<sup>11</sup> ქ. ძოშენიძე, ზემომერული ლექსიკონი, თბ., 1974, გვ. 609.

<sup>12</sup> იქვ, გვ. 470.

თებზე დღემდეა შემორჩენილი მრავალი ოროკი, რომელმაც აქ ანგარს უწოდებენ. მიწის ნაკეთები ერთომეორისაგან სათანადო ნიშნებით მტკიცედ იყო გამიჯნული. ამ ნიშნებს ჟემოურის უძველესი სამანი ეწოდებოდა,<sup>13</sup> მეორე სახელად სირონიც ტემპატეტრული სარნი, როგორც მიწის ნაკვეთის სამიჯნი ნიშანი, იმერეთის XVIII საუკუნის ისტორიულ საბუთებშიც მოიხსენიება<sup>14</sup>. სახნავ-სათვისი ფართობის გამოსახატვად ხმარობდნენ ქცევასა და დესეტინას. ისტორიულ საბუთებში დღიურიც მოიხსენიება, მაგრამ ეს საბუთები ეხება იმერეთის ტერიტორიაზე მდებარე ქართლელი თავადების საბატონო სოფლებს. მაგ.: 1751 წლის 6 ოქტომბერს ვახუშტი აბაშიძეს უმცროსი შვილისათვის უწყალობებია გოლოთუბანში „მთა და ბარი სამი დღიური“<sup>15</sup>.

დღიურთან დაკავშირებით სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია მოსახრება, თითქოს იგი მხოლოდ იმმოსავლეთ საქართველოსათვის იყო დამახასიათებელი<sup>16</sup>. ჩვენს მიერ ზემოთ მოტანილი საბუთების მიხედვით კი ჩანს, რომ დღიური იმერეთის გარეულ ტერიტორიაზედაც იხმარებოდა როგორც მიწის ფართობის ოღმიშვნელი სახელი.

დღიურის სიდიდე დახლოებით 0,5 ჰას შეაფენდა. ქცევა უღრიდა 900 კვ. მხარს, ანუ 3600 კვ. მეტრს<sup>17</sup>. ჩხარელი მთხრობლის მიხედვით, 1,5 ქცევა 1 ჰექტარს უდრის.

იმერეთში დამოწმდა სატაძრო მიწის ნაკვეთების არსებობაც. მაგ., ჩხარში, მთხრობლის გაღმოცემით, „ოქონის საკვირაო მაცხოვარს ჰქონდა სახნავ-სათვისი ყანები. იმას გლეხები ამუშავებდნენ. 10—15 ქცევა იქნებოდა, ბრევი ადგილია, მაგრამ კარგი მოსავალი იცოდა“ (სიპიტო იაგორის ძე ფანჩულიძე, 90 წლის, 1973 წ., ს. ჩხარი). ანალოგიური ცნობა მოგვაწოდეს სხვა სოფლებში მდებარე ეკლესიების შესახებაც.

მარცვლეული კულტურები და სამუშაო იარაღები. ჯერ კიდევ XVII-XVIII საუკუნეებისათვის ვახუშტი ბატონიშვილი აღნიშნავდა, რომ იმერეთში მარცვლეულის ყველა ჭი-

<sup>13</sup> ქ. ძოწენიძე, ზემომერული კილოვავი, გვ. 471.

<sup>14</sup> შ. ბურგანიძე, ისტორიული დოკუმენტები იმერეთის სამეფოსა და გურია-თლის სამთავროებისა, I, თბ., 1959, გვ. 89.

<sup>15</sup> თ ქვ, გვ. 87.

<sup>16</sup> გ. ჭიფარიძე, ნარკვევი ქართული მეტროლოგის ისტორიიდან, თბ., 1973, გვ. 156.

<sup>17</sup> გ. ჭიფარიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 159.

ში ითესებოდა, მათ შორის ბრინჯიც და ბამბაც<sup>18</sup>. განსაკუთრებით დიდი რაოდენობით მოჰყავდათ ლომეული: „სოფესი ღომისა ფრიად მრავლად და გამოიჩრდებიანც შითოსაში“. ეს ხუმტი სიმინდს არ ასახელებს. იგი ამ დროისათვის თავდათლის ფენადა ფეხს და ლომეულის ნათესი ფართობების შევიწროვების იწყებდა. მანამდე კი დასავლეთ საქართველოს როგორც ბარში, ისე მთაში დიდი რაოდენობით ითესებოდა ფეტვი. ეს კულტურა მინდვრის ღანარჩენ მარცვლეულს მოსაელიანობით ბევრად სჭობნილა. ფეტვის პროდუქტები ძევლად უხვად გამოიყენებოდა. ხალხის რწმენით, ფეტვის მჭადი, რომელსაც ცხიმიან საქმელთან ერთად ჭამდნენ, ადამიანისთვის ძალლონის მომნექტებული ყოფილა. ხალხური თქმულებით, ერთი გლეხი ფეტვის მჭადით იკვებებოდა და თურქმე დევსაც ერეოდა<sup>20</sup>.

ხალხურ ყოფაში შემორჩენილია სხვა მსგავსი მასალაც; მაგ., თურქე სვან ტყის მვრელებს სამუშაოზე საგზლად მხოლოდ ფეტვის ნამცხვარი მიჰქონდათ. ფეტვი იყო შესანიშნავი საფურა-ზე პროდუქტიც.

დასაკუთრეთ საქართველოში ფეტვის რამდენიმე ჯიში იყო გავრცელებული. ყველაზე ძევლი ჯიში ცოცხების სორგო ყოფილა. ამ ჯიშის ფეტვს საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში თესლნენ. ქართლში ამ ჯიშს სიმინდა ცოცხებულნენ, კახეთში რუსულ ცოცხეს, რაჭისა და იმერეთში — ჯიქურას, გურიაში — ხაზარულას, აჭარაში — ურუშას სამეგრელოში — ოქროსალეს, ხოლო სვანეთში იგი ნანგავიარების სახელით იყო ცნობილი<sup>21</sup>. სულხან-საბას ლექსიკონში იგი „ინდოური ფეტვის“ სახელით არს შეტანილი. საქართველოში გავრცელებული ფეტვის ძირითადი ჯიშის სახელწოდებაში ოთხი სხვადასხვა ქვეყნის სახელი იყიდოს: ჯიქეთი, ინდოეთი, ხაზარეთი და რუსეთი. თუ ხორბლეულის რომელიმე სახელწოდებაში მისი წარმომავლობა შეიძლება ვიგულისხმოთ, მაშინ ჯიქურა ფეტვის ჯიში შეიძლება ვივარაუდოთ, რომ სამხრეთ რუსეთიდან ჯიქეთისა და ხაზარეთის გზით შემოვიდა საქართველოში.

<sup>18</sup> ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თბ., 1941, გვ. 145.

<sup>19</sup> იქვე.

<sup>20</sup> თ. სახოკია, ფეტვი და სიმინდი ხალხის თქმულებაში, ურან. „მეურნე“, 1886, № 35.

<sup>21</sup> ა. მაყაშვილი, ბოტანიკური ლექსიკონი, თბ., 1961.

ზემო იმერეთში ორი ჯიშის ფეტვი დაგვისახელეს: კოტლი  
და იმერული, რომელსაც სოფელ კორბოულში ჩვენებურიც  
უწოდეს.

ფეტვი სხვა გადასახად-გამოსალებთან ერთად შოთის ნიკოლები<sup>22</sup> ნიკოლებინდის XI საუკუნის სიგელში<sup>23</sup>.

დავით ნარინის 1246—1250 წლები, რომელიც გელა-  
თის მონასტრისადმია ბოძებული, იუქლთან და ღომთან ერთად  
მოიხსენიება ქვრიმა<sup>24</sup>, როგორც სხვა რიგის მარცვლეული. იმ სი-  
გელის მიხედვით, სოფ. ზარათელი გლეხები ღვინისა და ქვრიმის  
ბეგარას იხდიან, ხოლო ფარსმანაყანელი და მაღლაყელი გლეხები  
იუქლით, ფეტვითა და ღომით არიან დაბეგრილნი. ქვრიმა ფეტვა  
აღმოსავლეთ საქართველოშიც დიდი რაოდენობით თესლენენ და  
მას ძერწა ფეტვთან შედარებით მეტ უპირატესობას აძლევდნენ.  
ანალოგიურ გარემოებას ჰქონია ადგილი რაჭა — ლეჩებუმშიც<sup>25</sup>.  
დავით ნარინის დასახელებული სიგელის მიხედვით, ნაწილი  
სოფლებისა ქვრიმას თესდა, მეორენი — ჩვეულებრივ ფეტვა.

როგორც ზემოთაც აღნიშნეთ, იმერეთში დიდი რაოდენო-  
ბით მაინც ღომი მოყავდათ<sup>26</sup>. ეს კულტურა დასავლეთ საქართვე-  
ლოსათვის ყველაზე უფრო ძველია, იგი ენეოლითის ხანაშიც კი  
არსებოდა, რაზედაც მეტყველებენ არქეოლოგიური ძეგლები და  
დასავლეთ საქართველოში შემორჩენილი გარეული ღომის ფორ-  
მები<sup>27</sup> (მისი 75-ზე გიში<sup>28</sup>).

ღომს თესდნენ აპრილში. ვერტიკალური ზონალობის მიხედ-  
ვით იგი 600—700 მეტრის ზემოთ აღარ ითესებოდა. სახნავი ფე-  
ნა 3—5 სმ უფრო ღრმად არ უნდა დამუშავებულიყო. რაღვან

<sup>22</sup> ი. დოლიძე, ქართული სამართლის ძეგლები, III, თბ., 1970, გვ. 29.

<sup>23</sup> თ. დორდანია, ქრონიკები, II, თბ., გვ. 129.

<sup>24</sup> ს. ბრეგაძე, მთის მიწათმოქმედება დასავლეთ საქართველოში, თბ., 1969, გვ. 76.

<sup>25</sup> ივ. ფივახიშვილი, საქართველოს კონტინენტი ისტორია, I, თბ., გვ. 366.

<sup>26</sup> В. Менабеде, Ботанико-систематические данные о хлебных злаках древней Колхиды, СГФ АН ГССР, I, № 9, Тб., стр. 683—686; Н. Хостария, Диха-Гудзуба, Вестник АН ГССР, т. V, Тб., № 2, 1941, стр. 208—210; Н. Киладзе, Многослойный археологический памятник «Сагварджиле», საქ. სსრ მეცნ. აკად. მომენტ, ტ. XIV, № 9, თბ., 1953.


<sup>27</sup> ქ. რუხაძე, ღომის კულტურა დასავლეთ საქართველოში, მსე, XI, თბ., გვ. 82—83.

ლომის მარცვალი ძალშე წვრილია, თესვის დროს სათესლეს ნახევარშე მეტს მიწას მიურევდნენ და ისე მოაბნევდნენ ხოლმე ერთ ქცევაზე 2—3 კვ ითესებოდა. ლომი ერთ კვირაში აუმჯობენდებულ და. ამოსვლიდან 10—12 დღის შემდეგ პირველი თოხნა ანუ როგორც იმერეთში იტყვიან მარგვლა, ნათესის გახილვა-გამოხშირვა, უნდა ჩაეტარებინათ. ამისათვის მძიმე თოხები არ გამოიყენებოდა, იმერელი კეკ თოხის ტიპი და მისი წინამორბედი მხრებდაქვილი ბრინჯაოს თოხები ლომის კულტივაციისათვის სრულიად საიმედო იარაღს წარმოადგენდა. მეორე თოხნას თავთავში შესვლის პერიოდში ატარებდნენ. ლომის მარცვალმა დაცუენაც იცოდა, ამიტომ მას სრულ დამწიფებამდე ჭრიდნენ და აშრობდნენ. თუ ლომის გასაშრობად ამინდები არ იდგა, ნალიაში ფენდნენ და აშრობდნენ ცეცხლის საშუალებით გამშრალ, გაფიცხებულ თავთავებს ჩამურში ცეხვავდნენ და მარცვალს ჩენჩხოსაგან ათავისუფლებდნენ. საცეხი ჩამური იმერეთში ცეხვდება ხისა და ქვისაგან გამოთლილიც. სცოდნიათ ცეხვა ოოგორც ხელით, ე. ი. კაკუტების ცემით, ისე მოწყობილი პქონიათ ფეხით და წყლის ენერგიით მოქმედი საცეხველიც.


ლომის ცეხვის საქმეში წყლის ენერგიის გამოყენება დასავლეთ საქართველოში საერთოდ გავრცელებული ჩანს; იგი დაკავშირებულია აგრეთვე პურეულის ენდემურ ჯიშებთანაც და ამ თვალსაზრისით ეს ერთგვარი მარტივი მანქანა ხალხური სამეურნეო ტექნიკის განვითარების საკმაოდ მაღალ დონეს გამოხატავს.

როგორც ცნობილია, სიმინდის კულტურა დასავლეთ საქართველოში XVIII საუკუნიდან გამოჩნდა. მან ადგილობრივ სამეურნეო ცხოვრებაში დიდი გარდატეხა გამოიწვია, შეავიწროვა მეტეთის ბარისა და მთის რაიონებში ლომის, ფეტვისა და ხორბლეულის ნათესები. XIX ს. სიმინდი თანდათან დევნის სხვა კულტურებს, ხოლო XX ს. დასაწყისში ერთ-ერთი ძირითადი მარცვლეული ხდება. მას კარგად შეეწყო ლომის მოვლასთან დაკავშირებული ტრადიციული სამეურნეო საქმიანობა (თხლად თესვა, ორგერადი თოხნა, ნალია და სხვა), რამაც მისი მოყვანა მომვებიანი გახდა.

იმერეთის მთის სოფლებში ძირითადად საადრეო სიმინდა: ყვითელ ან თეთრ „შვიდკვირიას“, თესდნენ. უთესიათ აგრეთვე საადრეო წვრილყავალა ძაბა, შავჭიპიანი ძაბა და მრგვალი საად-



სურ. 1. ბრინჯაოს თოხები. სოფ. ჩხარის მხარეთმცოდნეობის  
მუზეუმის კოლექცია.



სურ. 2. ბრინჯაოს თოხები. სოფ. ქორეთის სასკოლო მუზეუმის კოლექცია.

რეო<sup>28</sup>. სიმინდთან ერთად, როგორც წესი, ითესებოდა ლოპონ, რომლის ერთი წილი 5 წილ სიმინდს ერეოდა. საინტერესო ჩანს ლობიოს სახელები: ზულა, ფადელა, ერუნა, ხოჭა; თაქერი მეტყველა დაბალკავიანი ჯიშები ყოფილა და სიმინდში „შეთესვისათვის“ უყენებდნენ. თესდნენ ავრეთვე წითელპირკას, გურულს და ქონა ლობიოს.

სიმინდის აღების ორი წესი იქნა ჩვენს მიერ დამოწმებული ზემო იმერეთში, განსაკუთრებით ქართლის მიმღომ სოფლებში, სიმინდს ძირში ჭრიან, სახლებში მიაქვთ და იქ არჩევენ, იმერეთის დანარჩენ რაიონებში სიმინდს ზედ არჩევენ და შემდგა დეროებს ჭრიან. სიმინდს ტაროს სახით ინახავენ სასიმინდეში, რომელსაც სასიმინდე ხულასაც უწოდებენ და ძარსაც. ხულაში ჩაყრილი ტარო რომ კარგად გამოშრეს, შიგ ათავსებენ მსხვილი მილის ფორმით დაწნულ ხულის სიგრძის ჯინს. ასეთი ჯინი დაახლოებით 30—40 სმ დიამეტრისა მაინც იყო და იერაციის კარგ საშუალებას წარმოადგენდა.

იმერეთში სიმინდის სათოხნი თოხების მრავალსახეობა იყო გამოყენებული, რომელთა შესახებ ქვემოთ გვექნება საუბარი.

იმერეთის ჩრდილო-დასავლეთ რაიონებში გვიანდლამდე შემოინახა ხორბლის ძეველი ჯიშები. წულუკიძის რაიონის მთის სოფლებში დაგვისახელეს მახა, ინქლი, ზანდური და კენტებილა.

მთხოობლის ვალიცოცემით, „ზანდურს თაველი მრტყელი ჰქონდა, მას მეტი მუშაობა უნდოდა. ინქლი სალეში პური იყო. ინქლი ზანდურს ჰვავდა, ნამელით ვერიდიო დაკალოში ილერებოდა, ქერიც კალოში ილერებოდა. კენტებილაც კარგი პური იყო. იგი უნდა მოვვეკრიფა და გაგვეცეხვა, კევრში არ ილერებოდა, ეს სხვა პურს ჯობდა. იყო მახა, მახა და კენტებილა სხვადასხვა ჯიშისაა. მახა უფრო ფართო თავებიანია და კენტებილა სხვანაირია: დიდი აქ არ ითესებოდა, აქ ხულუნგოც ითესებოდა. კაცი შამკვით 9—10 კალათას მოქრეფავდა“ (ჯანელიძე ბიჭიკ კიკოლას ძე, 90 წლისა, კინჩხა, 1972).

სოფ. ძემილეთში გაუმოვეცეს, რომ „კენტებილა პურს ჯოხებით კრეფიდნენ. თითებით რომ გვეკრიფა, თითს ახურებდა. ზანდური და მახაც საკრეფია“ (გორდულაძე ამბროსი ლევანის ძე, 87 წლისა, ძეძილეთი, 1972).

როგორც მოტანილი მასალიდან ჩანს, მთხოობლები შნაკვეთ

<sup>28</sup> ქ. ძო შე ნი ძ ე, ზემოიმერული კოლექცია, გვ. 479.

საკრეფ პურეულებში ასახელებენ მახას, ზანდურსა და კანტენილას. სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნული ხორბლეულის ჯიშების შესახებ საქმაო მასალაა და აქ მის განხილვას აღარ შე- შედგებით. იმერეთში ჩვენი შეკრებილი მასალები მნიშვნელოვანი და ავსებს იმ მონაცემებს, რაც დღემდე ასლისნაირთა ანუ კილა- ან ხორბლეულთა შესახებ ვიცოდით. ჩვენი აღრე გამოთქმული მოსაზრება, რომ მახა საქართველოში ფართოდ ღავრულებული ხორბლეულის სახეობა უნდა ყოფილიყო, ეს იმერეთის მემინდვ- რების შესწავლამაც წარმოაჩინა.

იმერეთის ქართლის მიმდგომ რაიონებში უთესიათ ქვრი, დი- კა, ხულუკ, დოლი. აქვე ითესებოდა ქერის ორი სახეობა: თოხეუთხა, რომელსაც კეშერასაც უწოდებენ, და ორმწერივა ქერი.

იმერეთის ბარის სოფლებში თესდნენ ბამბასაც. მთხოვნელ- თა გადმოცემით, მას თითქმის ყველა ოჯახი თესდა და იყენებდა ტანსაცმლისა და ლოგინისათვეს. ბამბას ასუფთავებდნენ ჩიხრიხ- ზე, რომელიც შედგებოდა საყრდენი ბიჯგებისა და კეკოსგან. კე- კოს დაატრიალებდნენ და გამოიყრებოდა ბამბის თესლი, მას გა- ზაფხულზე მობნევით თესავდნენ ხნელში, შემდეგ დაფარუხავ- დნენ. თესლი ორ კვირაში აღმოცენდებოდა. აქედან ორი კვირის შემდეგ იწყებოდა გათოხნა კეკო თოხის საშუალებით, რომელიც, ჩას, დაკავშირებული იყო ღომის, ფეტვისა და ბამბის კულტუ- რების მოვლა-მოყვანასთან. ამავე კულტურების მეორე თოხნაზე გამოუყენებიათ ლინგა თოხები.

იმერეთის ზეგანის სოფლებში დამოწმდა ქუმელის თესვის ფაქტებიც. ქუმელი, როგორც მთხოვნები აღნიშნავენ, მცირე რაოდენობით ითესებოდა. მის ზეთს იყენებდნენ სამარჩვო საჭ- შელების შესაგემებლად. ქუმელის ღეროებს დაწეწავდნენ და თო- კიბად გრეხდნენ.

თესდნენ აგრეთვე კანაფს, რომელსაც იყენებდნენ ძირითა- და საბოკეო დანიშნულებით. კანაფისა და ქუმელის თაველებს გადმობრუნებულ გოდრებზე ფშვნეტდნენ.

სოფ. კორბოულში, ლავრენტი როსტომის ძე ჯალაბაძის გად- მოცემით, უთესიათ აგრეთვე ძაბა სოია.

ზემოთ ჩამოთვლილი ხორბლეულისა და მარცვლეული კულ- ტურების სიმრავლე მემინდვრეობის ინტენსიურობის მაჩვენებელია. რბილი კლიმატი ხელს უწყობდა, მარცვლეულის მრავალსახეობას- თან ერთად მაღალი მოსავალიც მოეყვანათ. ამ გარემოებას ვახუშტი

ასეთ გარემოში ბრძოლა არსებობისათვის გაითლებული ჩანს. დასავლეთ საქართველოს უხევმა საარსებო საშუალებებმა, ბუნების ნაბოძარმა დოვლათმა და ბარაქამ განსაზღვრა აქ მოსახლეობის აღრიდანეე მჭიდროდ დასახლება. ამ პირობას დასავლეთ საქართველოს როგორც ტაფობი, ისე ხეობები იძლეოდა. თევზი, ნადირი, ტყიური ხილი, რბილი ჰავა აღრეული ხანის ადგამიანის ადგილზე დამაგრების კარგი საშუალება იყო. რიონის, ყვირილის, ცხენისწყლის, ხანისწყლის, ძევრულას ხეობებში სულაც არ არის შემთხვევითი პალეოლითის დროის არქეოლოგიური მასალების სიუხვე.

მეტად მრავალგვარი სამეურნეო იარაღები შეიქმნა ბრინჯაოს ხანაში. მოსახლეობის სამეურნეო დაწინაურება ერთგვარად გამოიხატა როგორც იარაღის ნაირფეროვნებაში, ისე კოლხური ბრინჯაოს იარაღების როგორც ჩრდილოეთის, ისე აღმოსავლეთის ქვეყნებში ფართო გაერცელებაში<sup>31</sup>. კოლხური ბრინჯაოს კულტურა თანდათან იხალ ფაზაში შედის, საომარი იარაღების გვერდით იწყება დიდი რაოდენობის სამიწათმოქმედო იარაღების დამზადება, სამეურნეო საქმიანობაში ჩნდება ბრინჯაოს მრავალნაირი თოხები—პირველი უნივერსალური სამიწათმოქმედო იარაღი, რომლითაც

<sup>29</sup> 3 0 6 ပုံမံရေး၊ အလိုက် စာမျက်နှာ စာ၂၁၁တွင်ပြသော၊ ပု. 145.


<sup>30</sup> ვ. გორგილაძე, მოსახლეობის ფულადი შემოსავალი, სყიდვითი ფონ-და და მათი ტერიტორიალური გადაფილება საქართველოში, თბ., 1969, 22, 77.

<sup>31</sup> საქართველოს არქეოლოგია, თბ., 1959, გვ. 116—117.

## **2. მასალები იმერეთის ეთნოგრაფიული შესწავლისათვის**

შეიძლებოდა მიწის როგორც პირველადი, ისე მეორადი დაშუშავება (სურ. 1).

თოხით წარმოებდა როგორც ახალნატეხი ნეადგეზენებული ნამუშევარი—ნამზილების დახვნა, დაჩერენა. თოხი და თოხით შრომა იყო პირველი პირობა დაფუძნებული მეურნეობისა.




სურ. 3. სპილენძისა და რკინის თოხები (ძე. შ. II და I ათასწლეული). 1. სპილენძის სეგმ. იარაღი. ჩხარის მხარეობოდნ. მუხეუმის კოლექცია № 420. 2. სპილენძის თოხი. ჩხარის მუზ. კოლექცია № 410. 3. სპილენძის თოხი. ჩხარის მუზ. კოლექცია № 411. 4. სპილენძის თოხი. ჩხარის მუზ. კოლექცია № 414. 5. სპილენძის თოხი. ჩხარის მუზ. კოლექცია № 412. 6. სპილენძის თოხი. ჩხარის მუზ. კოლექცია № 426. 7. ბრინჯაოს თოხი. ჩხარის მუზ. კოლექცია № 409. 8—13. თოხები. ქორეთის სისკ. მუზ. კოლექცია.

ხალხები, რომელთაც თოხით დაიწყეს თავისი სამეურნეო საქმიანობა, მიწის აღარ მოსწუვეტიან და ადგილიდან იოლად არ აყრილან<sup>32</sup>.

იმერეთში, როგორც დასავლეთ საქართველოს სხვა კუთხეებ-

<sup>32</sup> ს. მაკალათია, სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, თბ., 1941, გვ. 185.

ში, ეწერი ნადაგის ღასამუშავებლად ხის თოხებიც ყოფილა გამოყენებული. გაღმოცემით, მათ მუხის, ავაკისა და ბზის სისავან აქტოებდნენ. ხის თოხებსა და ბარებს იყენებდნენ დაფალეთ ქართველოს ბევრ რაიონებში: რაჭაში, იმერეთში, ლეჩხუმში, ქვემო სვანეთში, სამეგრელოში<sup>33</sup>, აფხაზეთსა<sup>34</sup> და გურიაში.



გ. 4

სურ. 4. რეინის ბართოხები და სახნისები (ძე. შ. I ითასწლეული). ქუთაისისა და ჭულუეინის მხარეთმოლენეობის მუზეუმების კოლექციებიდან. 1—4. რეინის სახნისები. ქუთაისის მუზ. კოლექცია. 5. რეინის ბართოხი. ქუთ. მუზ. კოლექცია, 6. რეინის სახნისი. ჭულუეინის მუზ. კოლექცია.

ღასაელურ ქართული ბრინჯაოს თოხები აგებულებითა და ზომებით რამდენიმე სახით წარმოგვიდგება, რომელთა შესახებ ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში საყმაოდ ბევრი დაიწერა<sup>35</sup>. თოხები მიწათმოქმედება იმერეთში მრავალდარგოვანი იყო. თოხების სიმრავლეს და ნაირგვარობას იზარეთ მუზეუმში დაცული არქეოლოგიური მასალა მეტყველებს. იმერეთის ტერიტორიიდან წალებული ბრინჯაოს მრავალი თოხია დაცული მოსაოვის სახელმწიფო ისტორიულ მუზეუმში, თბილისში საქართვე-

<sup>33</sup> И. А. Аджиниджали, Из этнографии Абхазии, Сухуми, 1969, стр. 334.

<sup>34</sup> თ. ჭავარიძე, მიწათმოქმედების იარაღები ღასაელურ ქართულ კულტურში, თსუ შრომები, თბ., 49; ნ. რეხვიაშვილი, მცენობა რაჭაში, თბ., 1952; თ. ლამბაშიძე, თხმორის განძი, თბ., 1963.

<sup>35</sup> საქართველოს ისტორიის ნაკვევები, თბ., 1970, გვ. 353.

ლოს სახელმწიფო მუზეუმში, ქუთაისის სახელმწიფო მუზეუმ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში, ჭიათურის, ჩხარის, წულუკიძის მხარეთმცოდნეობის მუზეუმებსა და ქორეთის სასკოლო მუზეუმში (სურ. 2). ბრინჯაოს თოხების ძირითადი ტიპია მნიუქტლაქნილი გორდაპირიანი და ფართო სატარე ხვრელიანი თოხები. ზოგ მათგანს, მაგ., ჩხარის მუზეუმში დაცულ სპილენძის თოხებს, ჩასდევს ნეკნები და სქელი ბეჭები.


ნეკნიანი ბრინჯაოს თოხი, მსგავსი ჩხარის მუზეუმში დაცული ნეკნებიანი თოხისა, დათარილებულია ძვ. წ. II და I ათასწლეულის მიჯნით<sup>35</sup> (სურ. 3). ასე რომ, ჩხარის ექსპონატიც შეიძლება ამავე პერიოდს მიეკუთვნოთ. ამავე პერიოდისაა ქუთაისის მუზეუმში დაცული ფარცხანაყანევის, საქართვისა და სიმონეთის განძასეული ინვენტარი, სადაც გვხვდება ნეკნებიანი თოხის ფრაგმენტები<sup>36</sup> (სურ. 3,1—5).

როგორც ჩანს, იმერეთის მეურნეობაში აღრერკინის ხანისათვის მიწათმოქმედება კიდევ უფრო ახალ, მაღალ, დონეზე აღის. ამ პერიოდის რეინის იარალები, რომელთა ნაწილი ზემოთ ჩამოთვლილ მუზეუმებშია დაცული (სამწუხაოროდ, ბევრი მათგანი უპასპორტო და უნიმირო), ხასიათდებიან ნაირსახეობით. მაგ., ქუთაისის მუზეუმის კოლექციაში დაცულია სახნისი თუ ბართოხის ტიპისიარალები, პირფართო, შუამი შევიწროვებული, სატარეგახნილი. ამ ტიპისიარალი დაცულია აგრეთვე ქორეთის სასკოლო მუზეუმში. შემოსულია იგი სოფ. სარეცის გამოქვაბულიდან. ოქეოლოგებს აღნიშნული კოლექცია ძვ. წ. ა. VIII—VI საუკუნეებით დაუთარილებიათ (სურ. 2—5). ქუთაისის სახელმწიფო ისტ. ეთნოგრაფიულ მუზეუმში დაცული № 2324 რეინის სახნისად გატარებული ბართოხიც ამავე ფორმისაა და ამავე პერიოდით უნდა დაუთარილოთ. ქორეთის ბართოხის სიგრძეა 27 სმ, პირის სიგანე 2 სმ; ქუთაისის მუზეუმში დაცული ბართოხის სიგრძე 32 სმ, პირის სიგანე 6 სმ.

თოხებისა თუ ბართოხების აღნიშნული ტიპი ფართოდ ყოფილი გავრცელებული როგორც იმერეთში, ისე მთელ საქართველოში და მის მეზობელ ქვეყნებში. ჩვენ მხედველობაში გვაქვს ლინგრადის საბჭოთა კავშირის ხალხთა ეთნოგრაფიულ მუზეუმში დაცული თოხი (კოლ. № 996—89), რომელსაც ტარსაგები ისევი


<sup>35</sup> დ. ქორიძე, კოლხური კულტურის ისტორიისათვის, თბ., 1965, გვ. 61, გვ. 27.

აქვს მოწყობილი, როგორც ქუთაისის მუზეუმის „სახნისებს“. ეს  
არის თოხი — სიგრძით 16,5 სმ, ტარსაგები კონუსური ფორმის,  
პირგაშლილი, პირის სიგრძეა 9 სმ, ხოლო სამუშაო პირს სრებრნები  
შესაკვეთითაა.



სურ. 5. იმერეთში გაერცელებული ხელით სამუშაო სამიწათმოქმედო იარაღები ძვ.  
წ. ა. II და I ათასეულში. ა. ბრინჯაოს მინიატურული თოხი მულეტი, საქ. სახ. მუშ.  
კოლ. ბ. ურავევი არქეოლოგიური, ჩხარის მუშ. კოლ. 1. ბრინჯაოს სეგმენტური ია-  
რაღი, ჩხარის მუშ. კოლ. 2. ბრინჯაოს თოხი, ქორეფის მუშ. კოლ. 3. ბრინჯაოს ნე-  
კრებიანი თოხი, ქორეფის მუშ. კოლ. 5. ჩეინის თოხი, ქორეფის მუშ. კოლ. 6. უკრი-  
ანი თოხი რეინისა, ქორეფის მუშ. კოლ. 7, 8, 9, 10. ჩეინის სახნისები, ქუთაისის  
მუშ. კოლ.

6,5 სმ. ეს ნივთი თერგის აუზიდან ყოფილა ჩამოტანილი და მუ-  
ზეუმის დავთარში გატარებულია „კაპეს“ სახელით. დავთარში  
მითითებული არ არის, კონკრეტულად რომელი პუნქტიდან არის  
იგი წამოლებული. ამ სახნის-თოხის ფუნქცია ტყიანი რაიონების



სურ. 6. ხელით სამუშაო სამიწათმოქმედო იარაღები იმპრუტში XIX—XX სს.  
I. კონდა, 2—4. ძებო, 3. წერაქვა, 5. ყურიანი, 6. მთავარი, 7. ქართული  
(სერია), 8. ჭალკატი, 9. თევია, 10. ლინგა, 11. ძელბარი, 12. ბარი, 13. წერაქვა.

საახოო სისტემაზონ უნდა იყოს დაკავშირებული. თონ-სახე-  
ნელს  $90^{\circ}$ -ით მოხრილი ტარი ეგებოდა და ბართოხისებურად  
იკენებდნენ. მსგავსი იარაღები რუსეთის საახოო სისტემაშიც იყო  
გვარცილებული. ქართლში მჟედლები მთიელთათვის აღნიშნულ

საქმიანობაში გამოსაყენებლად საგანგებოდ ამზადებულენ მცველს იარაღებს (სურ. 4, 1—2).

თუ აღნიშნული იარაღები ძვ. წ. VIII საუკუნით თარიღდება, მაშინ უნდა ვივარიუდოთ, რომ ამ პერიოდში ფურთო მასშტაბის საახოო სისტემას უნდა ჰქონდა ადგილი იმერეთის მთისწინვადა ზეგანის რაიონებში.

როგორც ქუთაისში, ისე ქორეთში დაცულია რეინის მხრებ-გაშლილი თოხები (იხ. ქუთაისის მუზეუმის კოლექცია: № 1159<sup>a</sup> და № 1159<sup>b</sup>, ქორეთის სასკოლო მუზეუმში დაცულ ამ ტიპის თოხებს ნომერი არა აქვს). მხრების გაშლა 23—28 სმ აღწევს, სიმაღლე 10—15 სმ, სატარე ნახვრეტი ზურგილი მრგვალი სოლის დარტყმით არის გაეთვალი. სატარეს ზომა 3 სმ-ია. ამ ტიპის თოხები ეთნოგრაფიულ ყოფაში ძირითადად იმერეთის ბარის რაიონებში გვხვდება და მას ზოგან ლინგას უწოდებენ, ზოგან კეკისა და ჩეკის<sup>37</sup>. საყურადღებოა ერთი გარემოება: საჩხერის რაიონში მხრებდაქნილი თოხი ეთნოგრაფიულ ყოფაში ნაკლებად მოწმდება. აქ ძირითადად ოთხეუთხაპირიანი თოხია გაბატონებული. აღვილობრივთა გადმოცემით, მხრებდაქნილი თოხი დამახსიათებელია ქვემო იმერეთისათვის (ზესტაფონი, ქუთაისი, სამტრედია და სხვა).

ქორეთის მუზეუმში დაცული თოხების კოლექციაში შედის მესამე ტიპის რეინის თოხი (არქ. მონაპოვარი), რომელიც ხესიათდება „შვეტი ტანით. მისი სიმაღლე 18,5 სმ-ია, სამუშაო პირის სიგანე 10 სმ, ხოლო საყუე ნახვრეტის სიგანე 2,5 სმ. ეს კოლექციაც ძვ. წ. VIII—VI საუკუნეებით თარიღდება (სურ. 2—5). ჩვენ ხელთ გვაქვს ქორეთის ახლოს მდებარე ს. არგვეთში დამწმებული „შვეტი თოხი“, რომლის ზომებია: სიგრძე 25 სმ, სამუშაო პირის სიგრძე 12 სმ, ხოლო ნახვრეტის დიამეტრი 6 სმ. ეთნოგრაფიული სახელშოდება შვეტი თოხი პირობითად შეიძლება ქორეთის სასკოლო მუზეუმის მესამე ტიპის თოხის სახელადაც გამოვიყენოთ. ამ ტიპის თოხები აღმოსავლეთ საქართველოში ხელებოსმაგვარი იარაღის რიგშია მოქცეული და იგი ძირითადად საახოო სისტემასთან იყო დაკავშირებული. მასვე იყენებდნენ აგრეთვე ნიადაგების პირველადი დამუშავებისათვის.

ძვ. წ. პირველი ათასეულის პირველი ნახვარი საერთოდ

<sup>37</sup> ქ. ძოშენიძე, ზემოიმერული კოლოკავი, თბ., 1973, გვ. 482.


კოლხეთის ისტორიაში დად სამეურნეო აღმავლობასთან არას  
დაკავშირებული. როგორც არგონავტების თქმულებიდან ჩანს, ამ  
პერიოდში კოლხეთში ხარებს ნალებით ჰედავდნენ ფარაონების-  
ნისიან სახვნელს იყენებდნენ<sup>34</sup>. იმერეთის მეტად ტელუფებულება  
რემ სახვნელთან ერთად თხოულობდა ხელით სამუშაო იარაღე-  
ბის გამოყენებასაც, რაც განაპირობებდა I ათასეულში რეინის თო-  
ნების მრავალსახეობას (იხ. სურ. 5), რომელთა შორის ერთი საინ-  
ტერესო ნიმუში დაცულია ქორეთის სასკოლო მუზეუმში. ეს არის  
ეთნოგრაფიულ ყოფაში დამოწმებული „ყურიანი თოხის“ ტიპი,  
რომელიც თავისი პირვანდელი, ე. ი. არქეოლოგიური მონახაზე-  
ბით, შემონახულია აღიღეში, ქ. მაიკოპის სახელმწიფო ისტორი-  
ულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში. ჩვენს მიერ 1957 წელს აზომილი  
იქნა ყურიანი თოხი, შემოსული სოფ. პანახესიდან. მისი ზომაა  
17×25,5 სმ, ქორეთის მუზეუმში დაცული არქეოლოგიური თოხის  
ზომაა 22×26 სმ. თოხის ამ ტიპისათვის დამახასიათებელია დაქნი-  
ლი მხრები და ორიგინალური ყუა, რომელიც ტანიდან მაღალი  
ყელით არის აწეული. მსგავსი თოხი ჩვენს მიერ ჩამოტანილი იქნა  
აღიღედან (იხ. საქ. სახ. მუზეუმში კოლ. №28 — 58/5). აღიღეშიც,  
როგორც ცნობილია, ძელთაგანვე მისდევდნენ ისეთივე კულტუ-  
რების მოყვანას, როგორც კოლხეთში. ადვილი შესაძლებელია,  
რომ მსგავსმა კულტურებმა და მათთან დაკავშირებულმა სამეურ-  
ნეო საქმიანობამ მსგავსი იარაღების წარმოქმნა-განვითარებას  
შეუწყო ხელი. ანალოგიური თოხის ტიპი გავრცელებული ყოფა-  
ლა აგრეთვე აფხაზეთშიც. ზემო იმერეთში გავრცელებული იყო  
და არის ოთხეუთხა თოხის ტიპი, რომელსაც აღიღებული ქარ-  
თულ თოხს უწოდებენ. ქართული იმერეთში ქართლურის გა-  
გებით იხმარება. მართლაც, ამ ტიპის თოხები ძირითადად ქართ-  
ლისათვის არის დამახასიათებელი. ძელად ზემო იმერეთიდან  
ქვემო იმერეთში გასვლით სამუშაოზე სათოხნად მიღიოდნენ  
გლეხები. როგორც მთხრობლები გადმოგვცემენ: „ქვემო იმერეთ-  
ში ჩვენი თოხები უკირდათ“ (სურ. 6, 7).

იმერეთში მებოსტნეობასთან დაკავშირებულია ე. წ. ჩეკია  
თოხი, რომელიც პატარა წერაქვს წააგავს. მისი ზომებია: სიგრძე  
20 სმ, სამუშაო პირის სიგანე 6 სმ, მეორე სამუშაო პირის სიგანე

<sup>34</sup> ე. ერუშაძე, ძელი კოლხეთი არგონავტების თქმულებაში, თბ., 1964,  
გვ. 214.

3 სმ. შუაში სატარე ნაჩერეტი აქვს, მოკლე ტარს უგებენ და ჩა-  
მუხლული მუშაობენ.

ღომისა და ბოსტნეულის მეურნეობაში იყენებდნენ კირატის გა-  
კეკო თოხებს, რომელთაც ეჩილა თოხებსაც უწოდებენ (სტატიკული კე-



სურ. 7. ახოს თოხები.

სახ. მეზ. კოლ. №7—61/2; № 28—49/შ; № 30—40/7). ეჩილა  
თოხის ტოპია დახატული ქრისტეფორე კასტელის სურათზე  
(XVII ს.)<sup>29</sup>, რომელზედაც მოცემულია სოფელ არგვეთში მყოფი  
კათოლიკე მისიონერთა ჯგუფი.

მთის ზოლის სოფლებში ახოს აღებასთან დაკავშირებით იყე-  
ნდნენ წალკატს — წერაქვისებურ იარაღს (სურ. 6 და სურ. 7).  
აღნიშნულ ზოლში ახოს სისტემა ფართოდ იყო ფეხმოყიდვებული.  
მარტო სოფელ პერევის ტოპონიმიკაში ახოს გამომხატველი მრავა-  
ლი სახელი შემოვინახა. მაგ., სანავ—სათესის სახელებში: სხანა-  
რი (მსხალნარი), ბზანალი (ბზანარი), ივანეს ახო, ათანას ახო, მა-  
მუქას ახო, გარსაიას ახო, ჩოჩორაძის ახო, ბეკოშვილის ახო  
და სხვა.

<sup>29</sup> დონ კრისტოფორო დეკასტელი, ცნობები და აღსონი საქართველოს  
შესახებ, ბ. გიორგიძის რეც., თბ., 1977, სურათი 426.

იმერეთში ახოს აღების წესი საერთოდ საქართველოში გაუტკიცელებული წესისაგან არ განირჩევა. იცოდნენ სათანადო აღგიღუდ შერჩეული ხის ძირების შემოთლა, ბარდის ჩაკაფიზ და ცეცხლობრივი მოწევა, ამის შემდეგ მიწის გადახენა, გადაბარვა და დაწყესვა აჭ.




სურ. 8. ხელით სამუშაო სამიწათმოქმედო იარაღები: 1—4. კიკ. ფერცვის და ლომის სამარტელი, 5. ყურიანი თოხი, 6. იმერული თოხი, 7. მეგრული თოხი, 8. მთა-  
ქარი თოხი — კეკ.

საქმიანობაში თოხი იმერეთში უძველესი ხანიდან მოყოლებული XIX საუკუნის ბოლომდე ძირითად სამეურნეო იარაღს წარმოადგენდა. ზედაპირულითში საკავიასა და საგვარჯისე კლდის გამოქვაბულის მცხოვრებნი ცხოველთა ლულოვანი ჭვებისა და რქას თოხებს იყენებდნენ<sup>40</sup>. თოხის გამოყენება ადამიანის აზროვნებაშა

<sup>40</sup> საქართველოს იურიდიკი, 1959, გვ. 45; В. М. Массон, Первобытное земледелие, «Возникн. и развит. земледелия», М., 1967, стр. 24.

გარევეულ წარმოდგენის დაუკავშირდა. თავისი დროისათვეს უნივერსალური იარაღის გამოგონებას სუმერული ლეგენდა უწენებებს ლვთაებას ენლილს მიაწერდა. ლეგენდის მიხედვით, ენლილის მიერთობას ლაშვარდოვანი თოხი ჰქონია<sup>41</sup>. ქართველთა წინაპერების შრინგაოს ხანაში თოხზე გარევეული მაგიური წარმოდგენა უნდა ჰქონიდათ. სხვანაირად ძნელი ასახსნელია საჩხერის რაიონის



სურ. 9. იმერული სახვენელი კავი. გორდი.


სოფ. ქორეთში<sup>42</sup> და ურბნისში ტელეპიას წყაროზე, აღმოჩენილი ბრინჯაოს მიწიატურული თოხები<sup>43</sup>, რომელთა სიმაღლე 1,5—2 სმ-ია, ხოლო პირის სიგანე 1—1,5 სმ. ჩვენს მოსაზრებას მხარს უჭერს ეახუშტის ზემოაღნიშნული დაკვირვება. დასავლეთ საქართველოში გლეხი კაცი ცულითა და თოხით შეიარაღებული იმდენ დოკლათს ქმნის, რომ ოჯახსაც აქმაყოფილებს და საბატონო ხარ-

<sup>41</sup> B. Maccioni, დასახ. ნამრობი, გვ. 24.

<sup>42</sup> ი. ჯიფარ ი. დ. ქართველი ტომების ისტორიისათვის ლითონის წარმოების აღრეულ საფეხურზე, თბ., 1961, გვ. 180.

<sup>43</sup> საქ. სახ. მუზეუმის არქეოლოგიის განყ. ფონდი, კოლ. № 5—55/103.

ჯებსაც ისტუმრებსო. სამეურნეო იარაღის მინიატურული ფორმებით დამზადების მაგალითი მხოლოდ არქეოლოგიური მასალით არ მოიფარგლება. 1971 წელს ზემო იმერეთში საჩხერელში, მჭედელში გრიგოლ აბრამიშვილმა გაღმოგვცა, რომ ძველი შემაცლებელი დიდ ხუთშაბათს უმძრახზე გამოკედავდნენ ხოლმე აკვანზე ჩამოსაქიდებელ კვესს, ნაჯახს, ან წალდს, რომლებიც ბავშვს ავი ძალას მოისახებოდა.



სურ. 10. იმერული სახვნელი კვენის შევაზე

ლისაგან იცავდნენ. მაგალითად, სოფ. დუნთაში (საჩხერის რაიონი) ლ. თოდაძეს აკვანზე მინიატურული ნაჯახი ჰქონია შებმული. მჭედელმა გრ. აბრამიშვილმა (საჩხერე) საქ. სახ. მუზეუმში შემოსწირა საავანე მინიატურული იმერული წალდი და კვესი. წალდი (კოლ. № 20—972/8) სიგრძით 4,5 სმ-ია, ყუასონა სიმაღლე 3,5 სმ. კვესის (კოლ. № 20—972/9) სიგრძე 3,5 სმ, სიგანე 2,5 სმ. ცხადია, ბრინჯაოს მინიატურული თოხები ტვლების წყაროდან და სოფ. ქორეთიდან აკვანზე შესაბმელი დანიშნულებისა არ იყო, მაგრამ მათი სახით შესაძლებელია აღამიანი გაიაზრებდა მიწასთან მუდმივი კავშირის ძალას. როგორც ცნობილია, ძველი აღმოსავლეთის ხალხებში მიწის მოხვნა გვიაზრებოდა, როგორც მიწის განაყოფიერების აქტი, მამაკაცი კი ამ აქტის შემსრულებელს წარმოადგენდა. ვფიქრობთ, რომ სახვნელში ხარის შებმის წესიც ამ კონცეპციას უნდა გამოხატავდეს.

ბრინჯაოს მინიატურული თოხები ავგაროზიად მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლებოდა გამოყენებულიყო, თუ მას მეურნეო-

ბაში წამყვანი სამეურნეო იარაღის მნიშვნელობა ექნებოდა. ბოინ-ჯაოს ხანაში და შემდეგაც, როცა სახვნელი იარაღი ფაჩიტონი მჰქე შტაბით იყო გავრცელებული, იმერელი გლეხისათვის და ფაზნი შტატი ვერსალურ სამიწათმოქმედო იარაღს წარმოადგენდა (სურ. 8, იმერული თოხის ტიპები, საქ. სახ. მუზეუმის კოლექცია).


იმერეთში თოხთან ერთად დიდი გამოყენება ჰქონდა ბარსაც. იგი ძირითადად მეხილეობა-მეცნიერებასთან არის დაკავშირებული. მეცნიერებაში განსაკუთრებით ვაზის გადაწილენის დროს, ფართოდ იყენებდნენ ხის ბარებს. მთხოვნელთა ფადმოცემით, იგი ვენახში სამუშაო იარაღია, ვაზის ფეხს არ უზიანებს, რეინის ბარი კი ფეხს უჭრის და ვაზის არ უხდებათ. ხის ბარით მუშაობისას თან დამქონდათ წყლით საესე ხის ვობი. ბარს წყალში დროდათ-რო ასევე ფლენენ, რომ უფრო გამყოლი ყოფილიყო. ხის ბარს თვითონვე ამზადებდნენ აქაციის, მუხის ან იფნისაგან, რეინის ბარებს კი სოფლის ან ქალაქის მშედლები ჰყედდნენ.

იმერეთში კავის გარდა გამოყენებაში იყო ორხელას ტიპის იარაღი. აქ XVII საუკუნიდან, ჩვენი ვარაუდით, სახვნელის გამწევ ძალად ცხენიც უნდა ყოფილიყო გამოყენებული; ქართლის მიმდგომ რაიონებში და ზემო იმერეთის ზოგიერთ სოფელში დამოწმდა სახვნელში ცალი ხარის შებმის წესიც, ხოლო ზოგიერთ სოფელში მოქმედებაში ყოფილ ქართული დიდი გუთანი. XIX ს. მეორე ნახევარში დასაცლეთ საქართველოს მსხევილ მეურნეობებში დაინერგა ფაბრიკული გუთნები, შემოტანილი ეკროპიდან და რუსეთიდან.

იმერეთში გავრცელებული სახვნელი იარაღი ჩემი ჩვენს მიერ იმერეთში ჩატარებული საველე ეთნოგრაფიული კვლევა-ძების საფუძველზე დადგენილი იქნა, რომ მემინდვრეობაში ძირითადად სახვნელად გამოიყენებოდა იმერული კავი. იგი გურიაში, სამეგრელოში, აჭარასა და აფხაზეთში გავრცელებული სახვნელი კავის სახესხვაობას წარმოადგენს, რომელსაც ჩვენ პირობითად ვუწოდებთ კოლხურს. იმერული კავის გვერდით მოქმედებაში იყო ცხენის სახვნელი და დიდი გუთანი. XIX ს. მეორე ნახევრიდან აქ ფეხს იყიდებს ფაბრიკული გუთნები რეინისა, რომელთა გამოყენება მსხევილ მეურნეობებსა და შეძლებულ გლეხებს დაუწყიათ.

იმერული კავი შედგება მხრის, კბილას, ერქვანისა და სახნისაგან. მხარი, რომელსაც „ხასარაყს“, „შოლტას“ და „გავსაც“ უწოდებენ, 90°-ით მოხრილი ხეა. იგი უმეტესად ბრტყლად არის

ვათლილი და მოკლე თაერთ ქუსლშია ჩასმული. მხარს წევენთხნ  
ორი რიცი აქვს გაყრილი ულლის ასაბმელად; ულლის სიძალდე  
რომ არ დასხლტეს, ქვედა მხრიდან გამოკბილული იყო—  
გორც შეკრებილი მასალებიდან იჩკვევა, მხრის უსაფრთხოები  
მაღად მერყევია, ქუთაისის სახელმწიფო ისტორიულ—ეთნო-  
გრაფიულ მუზეუმში დაცული კავის მხარი, მოხრილობიდან  
ბოლომდე 200 სმ-ია, კიათურის მხარეთმცოდნების მუზეუმში  
დაცული კავის მხარის სიგრძე კი 244 სმ-ია. ამავე კავის მხრის  
სიგრძე მოხრილობის კუთხიდან კბილამდე 22 სმ, სიბრტყე მო-  
ხრილობასთან 8—12 სმ, ფიცრის სისქე 4 სმ.



სტრ. 11. მერეფში გაერცელებული სიჭრელების კარტოგრამა: 1. მერცული კავი,  
2. ბელტის საყარიანი კავი, 3. ორბელა, 4. ცხენის სახენელი, 5. ღილი გუთანი


ზესტაფონის რ—ნის სოფ. ბოსლევში ჩვენ მიერ ფიქსირებუ-  
ლი კავის ანაზომებია: მხრის სიგრძე 240 სმ, მოხრილობიდან კბი-  
ლამდე 30 სმ, კბილასთან ფიცრის სიბრტყე 12 სმ. ქართლის მო-

საზღვრე სოფლებში დამოწმდა მცირე ზომის ხის ან რეზინის ნივ-  
არებისერული კავის მხრები. მისი დანიშნულება, როგორც ადგილ-  
ზე აგვისსნეს, ბელტის უკეთ დაუშვნა ყოფილა. მხარს-წილების ზე  
თელისაგან აშშადებდნენ. იგი ჩამაგრებული იყო ქუსლში და ხის  
ლურსმანი ჰქონდა გაყრილი. ქუსლის ფორმა სოლისებურია და  
სიგრძე 50—65 სმ შორის მერყეობს. ჩევნ მიერ დამოწმებული იქ-  
ნა კავის ქუსლი ოვალური ძირითა და სწორი ზედაპირით და ქუს-  
ლი სწორი ძირითა და შემაღლებული ზურგით. ეს უკანასკნელი  
უფრო ვაკობი ადგილებისთვის არის დამხესიათებელი, მთის  
ზოლში კი პირველი ტიპი დავაფიქსირეთ სოფ. ბოსლეეში: სიგრძე 53 სმ,  
უდიდესი სიგანე 22 სმ, სისქე 15 სმ. მეორე ტიპის ქუსლის სისქე  
15—20 სმ აღწევს და სიგრძეც შედარებით მეტია. საერთოდ ბარის  
რაიონებში გავრცელებული კავი ბევრად ჩამოყეარდება იმერე-  
თის მთის სოფლებში გამოყენებული კავის ზომებს. აღნიშნული  
ვარებოება იმაზე მიუთითებს, რომ იმერეთის მთისა და ზეგანის  
სოფლების სახნავი ველები შედარებით მძიმე დასამუშავებელი  
იყო, ვიღრე ბარის მინვრები. ამდენად იმერეთის მთისა და ზეგა-  
ნის სოფლებში უფრო მძიმე სახვნელებს იყენებდნენ, ვიღრე  
ბარში. შედარებით მშრალ ნიადაგებს ღრმად დახვნა უხდებოდა,  
ხოლო იმერეთის დაბლობი ნესტიანი მიწები მიწის ზედაპირულ  
დამუშავებას მოითხოვდა (სურ. 9). ეს გარემოება მიწის დასამუ-  
შავებელ იარაღებსაც თავისებურ აღნაგობას უკარნახებდა.

იმერეთის აღმოსავლეთ რაიონში დიდი გუთანცც ყოფილა  
ხიარებაში. ეთნოგრაფმა გ. გასიტაშვილმა არგვეთში ორხელა ტი-  
პის სახვნელი დამოწმა. ზემო იმერეთის ზოგიერთ სოფელში მი-  
წის ღრმად მოხვნის მიზნით იკოდნენ ყევარი ხარის შემთა. ყოვე-  
ლივე ეს იმაზე მიუთითებს, რომ იმერეთის ზეგანის რაიონებში  
თითქმის ისეთივე სახვნელი იარაღები ყოფილა ხმარებაში, როვო-  
რიც ქართლის რაიონებში იყო გავრცელებული. ეთნოგრაფიული  
მასალების მიხედვით ჩანს, რომ ზემო იმერეთში საქმიოდ დიდა  
რაოდენობით მოყავდათ ხორბლეული და, მთხრობელთა თქმით,  
ძველად თბილისშიც კი მოჰქონდათ გასაყიდად.

ერქვანი ანუ ვერქვა-ხელა სახელურიანი სწორი ჯოხია, სიგრ-  
ძით 65—75 სმ. ვერქვას საშუალებით ჭარმოებდა ხვნის რეგული-  
რება. კავის ჩაშვება მიწაში — ე. წ. იშვერით, და ზედაპირულ  
ანუ იჩოჩით ხვნა, მიმართულების მიცემა და სხვ.

სახვნელის ულელი მრგვალად იყო გათლილი. მთხოვნელთა  
დაკვირვებით, ასეთი მრგვალი უსაქედურო ულელი ხარს არ  
სტკენდა ქედს და ამდენად მოსახერხებელი იყო. ერთი მარტინი  
შემუშავდა




სურ. 12. სატოლმეტო ულელი.

იმერელ სახვნელ კავში ჩვეულებრივ ორი ხარი იბმოდა და  
ორი ადამიანი სჭირდებოდა: მხენელ-მეხრე და ხარის წინა-  
მძღოლი.

ზემო იმერეთის ზოგიერთ სოფელში ჩვენ მიერ დაფიქსირე-  
ბული იყო მასალა დიდი გუთნის არსებობა-გამოყენების თაობა  
ზე. დიდი გუთნის გავრცელება დასტურდება დღევანდელი იმერე-  
თის იმ სოფლებში, რომლებიც ისტორიულად ქართლში შემოდი-  
ოდნენ<sup>44</sup>.

<sup>44</sup> ვახტაშვილის ცნობით, ქართლი ვერტუვილამდე ვრცელდებოდა (აღწერა სა-  
მეცნია საქართველოსა, 1941, გვ. 81). ქართლის მეფეს ქაიხოსროს 1711 წელს შეა-  
ლობის შიგნი მიუცია ვახტაშვილი აბაშიძისათვის, სადაც მისთვის დაუმტკიცებია ფუ-  
ძემოვარდნილი პაატა აბაშიძის მამულები. საბუთში ჩამოთვლილია სოფლები ქვი-

რაფ. ერისთავის მიხედვით, დიდ გუთანს შორავნის მაზრის  
ზემო სოფლებში ამუშავებდნენ<sup>15</sup>. მის გამოყენებას, როგორც  
ჩანს, ნიადაგებისა და რელიეფის თავისებურებაც ჰპიროვდება —  
აქვე შეინიშნება სოციალური მომენტიც: სახელდობრ — როგორც



სურ. 13. ფორჩხი.

საჩხერეში შეკრებილი მასალიდან ირკვევა, დიდი გუთნით წერეთ-  
ლები საჩხერეში ყვირილას მარცხენა მხარეზე მდებარე ხოდაბუ-  
ნებს ხნავდნენ. აქ დიდი გუთნის გამოყენების შესახებ XIX საუ-  
კუნძულიც აღნიშნავდნენ<sup>16</sup>.

---

შხეთი, ტაშისკარი, ციხისძირი, მონასტერი, ტეზერი, წილა, გუდათუბანი, გოლათ-  
უბანი, ნებოძირი, გდეისი, ზედუბანი, წრდილი, მზარე, ლომლათუბანი, ფიჭვარი,  
ხარაგაული (შ. ბურჯანაძე, ისტორიული საბუთები იმერეთის სამეცნის და  
გურია-ოლიმის სამთავროებისა, 1959, გვ. 47—48).

<sup>15</sup> Р. Эристов, Земледелие в Имерети, Тб., 1876, стр. 22.

<sup>16</sup> Материалы для изучения экон. быта гос. крестьян Закавказского края, т. V, 1887, с. 202.

იმერეთში ტერმინი „გუთნის დედა“ ან „კავის დედო“ არ  
დასტურდება.


კავის გვერდით მოქმედებდა მისი გარდაქმნელი არხეობა,  
„ცალულელა კავი“ და „ცხენის კავი“. პირველ სახველს აგებუ-  
ლებით მოყლე მხარი, მსხვილი ურქვანი და მხარზე გამობმული  
ხელნები გააჩნდა: მასში იმმოდა ერთი ხარი ან ერთი ცხენი.

ცალულელა სახველის ერთი ეგზემპლარი ავზომეთ სოფ.  
შალლაჟში. იგი ეკუთვნოდა სიმონ კონსტანტინეს ძე ლაქერიაქეს.  
ამ სოფულში აღნიშნულ სახველს „აგლობია კავიც“ უწოდეს.  
ცალულელა შედგება მხარის, ურქვანის, ქუსლის, სახნისის, ასკ-  
ავი ჯოხის, თასმებისა და ცალულელისგან. მასში ერთი ხარი იძ-  
მოდა (სურ. 10). მისი მხრის სიგრძეა 110 სმ, ურქვანის სიმაღლე —  
100 სმ, ქუსლის სიგრძე სახნისით — 70 სმ. მხარს რეინის კაპშე  
ყულფით გამობმული აქვს მცირე ულელი. ულლის სიგრძეა 30 სმ,  
რომელსაც მიბმული აქვს 170 სმ სიგრძის თასმები. თასმებზე გა-  
მობმულია ხის ცალულელი. ცალულელი 4 სმ სისქის მორკალული  
ხეა, რომელსაც გამოყეანილი აქვს საქედური, ორი სატაბიკე და  
თასმის გამოსაბმელი ნაჩერეტები.


ცალულელა სახველში თუ ცხენს შეაბამდნენ, მაშინ ცხენის  
უღელს იყენებდნენ, რომელსაც „ხამუტის“ სახელი უწოდეს. მას  
ტყავის საჩიტო პქონდა გამოკერებული. სარჩულს შიგნით თხის  
ბეჭებს ან ქეჩის უდებდნენ, რათა გაწევის დროს ცხენს მოხერხე-  
ბულად ემოძრავა და მხრები არ დაზიანებოდა.

როგორც ჩვეულებრივი კავით, ისე ცალულელა კავით მიწა-  
შედაპირულად მეშვეოდებოდა, ნახნავის სილრმე 10—15 სმ დაბლა  
არ მიღიოდა.

იმერეთში დამოწმდა ნიალაგების ორჯერადი დახვენის წესი.  
სიგრძიები დახვინის შემდეგ სცოდნიათ მიწის გადახვნა გარდი-  
ჯარდო. ცხენის სახველს ხარის სახველი კავის შესაბამისად ამუ-  
შავებდნენ. როდიდან შემოვიდა ჩვენში ცხენით მომუშავე კავი,  
ცნობილი არ არის. მას იყენებდნენ, იმერეთის გარდა, გურია-სა-  
მეგრელოში, ხევსა და დუშეთის რაიონებში. 1958 წელს ყაზბეგის-  
რაიონის სოფლებში რამდენიმე აღვილას აღვწერეთ და დავათიქ-  
სორეთ მოხეური ხის სახველი — გადაკეთებული ცხენის წევაზე.  
ასეთივე მასალა მოვიპოვეთ დუშეთის რაიონის სოფლებში. ეთ-  
ენგრაფ კ. კანიანის ცნობით, ცხენით ხვნა შეალტებოს რაიონის  
სოფლებში მამა-პაპიდან იცოდნენ. 1962 წელს სამეგრელოში  
დავამოწმეთ ცხენის წევაზე მომუშავე ხის სახველი. იმერეთის,



### სურ. 14. ფორმის.



სურ. 15. სასიმინდე.

განსაკუთრებით ქვემო იმერეთის, სოფლებში სახველში გამოყენდა  
ძალად ცხენის გამოყენებას, როგორც ჩანს, თავისი ზანგრძლვი  
ისტორია აქვს. სახველის ფორმა ისე კარგად არის, უფრო უშავებული-  
ლი. რომ მას ახალი წარმოქმნის კვალი არ ეტუობდებოდა ისე

იმერეთის ისტორიული საბუთების შესწავლის საფუძველზე  
ლ. მესახელიშვილი. მივიღა იმ დასკვნამდე, რომ XVI საუკუნეში  
დასაცლეთ საქართველოში მიწის დასამუშავებლად ცხენი ყოფი-  
ლა გამოყენებული. ამ მოსაზრებას იგი ამყარებს ფერსათის ნუს-  
ხაზე და საქუთათლოს დავთარში მოსახურებული ბეგარის ერთ-  
ერთ სახეობაზე, რომელსაც „მსახურებაი ცხენითა“, ანუ ცხენით  
სამსახური, ეწოდებოდა<sup>47</sup>. ფერსათის ნუსხის მიხედვით ცხენით სამ-  
სახური ევალებოდათ თეთი ფერსათელებს, პატინისხეველებსა და  
ბახეელებს. ბახეელთაგან 61 კომლიდან თითქმის ყველა გლეხს  
გადასახადად ადევს „სამსახური ოჩისაი“. ამინდარ და ზავლა ანდ-  
ლულაძეებისა და გიორგი დოლიძისათვის ბეგრად დაუდევით  
„ცხენით სამსახური ოჩისაი“<sup>48</sup>. ოჩი—ოჩე, ქართული განმარტება-  
თი ლექსიკონის მიხედვით, ახალნატეხი, ე. ი. ახო, ყოფილა. დო-  
კუმენტში ჩამოთვლილია, ახლად მოახოებულ მიწაზე ვინ უნდა  
იმუშაოს და რით. ამ კონკრეტულ შემთხვევაში ანდლული და  
დოლიდე ახოში სამუშაოდ ცხენით უნდა გამოსულიყვნენ<sup>49</sup>.

ჩვენი აზრით, „ცხენით სამსახური ოჩისაი“ სხვა არაფერს უნ-  
და ნიშნავდეს, თუ არა ცხენის წევით მოქმედი სახენელით მუშაო-  
ბას ახალნატეხ მიწაზე. ბოლო წლების გამოკვლევები (გ. გრიმო-  
ვი და ი. ნოვიკოვი) ცხენის წევით მოქმედი სახენელის მუშაობები  
თავისებურებას საახოო მიწათმოქმედებას უკავშირებენ.

ცხენის სახენელი შემდგომ საუკუნეებში საკმაოდ ცნობილი  
მოქმედი სამეურნეო იარაღი უნდა ყოფილიყო. იგი მოიხსენიება  
XIX ს. I ნახევრის ქართველი რომანტიკოსი პოეტის ალექსანდრე  
შავენავაძის ლექსში „გუთნისდედა“:

„შევიდობით, ხოდაბუნო, მშენიერო და კარგო,  
ამას იქით ეეღარ გნახავ, ასე უნდა დაგარგო,

<sup>47</sup> ლ. მ უ ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი, დასაცლეთ საქართველოს გლეხობის სოცია-  
ლურ-ეკონომიკური კატეგორიები, ენიმქის მომბე, VI, თბ., 1940, გვ. 292; ი. დ თ-  
ლი დ ე, ქართული სამართლის ძეგლები, III, 1970, გვ. 320—325.

<sup>48</sup> ი. დ თ ლ ი დ ე, დასახ. შრომა, გვ. 320—340.

<sup>49</sup> ი. დ თ ლ ი დ ე, დასახ. შრომა, გვ. 339.



ცხენი დამზანტებია, ღრმ მრავალ გმოვლილი,  
გლია თავსამოვდებოთ ჩუთის შევით მოლლილი".<sup>50</sup>

ბოლო წლებში სახვნელის წარმოშობა-განვითარებაში მოყვარული იქნის კელიუმში ფართოდ ჩაებნენ აგრონომები, სპეცინიტეტები და სხვადასხვა დარგის სპეციალისტები. 1947 წელს „საბჭოთა ეთნოგრაფიის“ პირველ ნომერში დაიბეჭდა გ. გრიმოვისა და ა. ნიკითივის წერილი სათაურით: „Некоторые вопросы агроэтнографических исследований“. ავტორები აღნიშნავენ, რომ სახვნელში ცხენის გამწევ ძალად გამოყენება ცელის ხენის პირბას. ცხენი შეიძლება ადგილიდან ადვილად მოწყვიტო და სწრაფად გააჩერო. ეს უკანასკნელი გარემოება ცხენსა და აღამიანს შორის შრომით ურთიერთობას იმარტივებს და ადვილებს. ექედან გამოდინარე, დასახელებული ავტორები ვარაუდობენ, რომ ცხენი, როგორც გამწევი ძალა, გამოიყენეს იქ, სადაც მინდვრები იყო ძლიერ დასარევლიანებული, გაბალახებული, საესე ხის ფეხებით, ქვით, სადაც სახნავი ფართობი ძალზე მცირე იყო და მხენელს უხდებოდა ხშირი გაჩერება ან მიბრუნ-მოხრუნება<sup>51</sup> (სურ. 11).

ამ მოსახრებას თუ დაუუჯერებთ, ცხენის გამწევ ძალად გამოყენების მაგალითები ყველა ქვეყნის მემინდერეობაში უნდა ვეძიოთ და სახვნელის პირველ გამწევ ძალად ცხენი ვალიაროთ. ისტორიული მოწინაურები კი ამასთან დაკავშირებით სხვა სურათს გვაძლევს. ცნობილია, რომ დიდი ცივილიზაციის ქრებში (წინა აზია, ეგვიპტე, ინდოეთი, ხმელთაშუა ზღვის აუზი, ჩინეთი) ცხენი სახვნელის გამწევ ძალად არ ჩანს. მისი მოშინაურება II ათასეულის დასაწყისიდან ივერაუდება, ხოლო შუა პერიოდში იგი საბრძოლო ეტლებშიც გამოუყენებიათ. ამავე ხანებში, მკვლევართა აზრით, მცირე აზიასა და ირანში ცხენი უნდა შეებათ აგრეთვე სახენელშიც<sup>52</sup>. მაგრამ აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ კერ კიდევ III ათასეულის დასაწყისში სახვნელის გამწევ ძალად ხარი და სახედარი გამოიყენდოდა როგორც წინა აზიაში, ისე ნილოსის აუზშა. ასე რომ, სახოო სისტემასთან ცხენის დაკავშირება, როგორც ამას

<sup>50</sup> ალ. პავლი ვაძე, თხზულებანი, ი. გრიმაშვილის რედაქციით, თბ., 1940, გვ. 130.

<sup>51</sup> Г. Громов, Ю. Новиков. Некоторые вопросы агроэтнографических исследований, СЭ, 1947, № 1, стр. 91.

<sup>52</sup> Всемирная история, т. I, М., 1956, стр. 262.

გ. გრომოვი და ი. ნოვიკოვი გვთავაზობენ, საჩრდილო არ გამოა-  
ჟურება.

სავსებით მართებულია ი. დიაკონოვისა და გ. ილინის მოსახ-  
რება: „Ссобое важное значение лошадь имела для скотоводчес-  
ких племен, придав им подвижность, некоторые из них смогли  
перейти на кочевое хозяйство, другие на полукочевое“<sup>53</sup>.

ე. ი. ცხენის, როგორც გამწევი ძალის გამოყენება საშუალე-  
ბას ძლიერდა, მესაქონლე ტომებს ადვილად გადაენაცელათ ად-  
გილიდან ადგილზე და იმავე საშუალებით დაპატრონებოდნენ როგორც მდიდარ საძოვრებს, ისე სამიწათმოქმედო რაიონებს. ეს  
გარემოება, ე. ი. ცხენის გამწევ ძალად გამოყენების ფაქტი, წინა  
აზიის ხალხებში საკმაოდ დიდი მნიშვნელობის მოვლენას წარმო-  
ადგენდა — ხელს უწყობდა მათს სამხედრო ძლიერებას და ერთი  
ორად ზრდიდა შრომის ნაყოფიერებას. ყოველივე ეს ეკონომიკუ-  
რი დაწინაურების შესაძლებლობას უქმნიდა მიწათმოქმედ თუ  
ძლიერ მეჯოვე ტომებს, მათ ხელში თავს იყრიდა სიმდიდრე  
და სამხედრო ძალა.

თუ დავუშვებთ იმ გარემოებას, რომ ცხენის სახვენელი  
საქართველოში გაერცელებული სამეურნეო იარაღი იყო, რაյ-  
დოდესათვის ეჭვს აღარ იწვევს, იბადება კითხვა — ამ სახვენელს  
ჰქონდა თუ არა განსაკუთრებული სახელი? საქართველოში მსუ-  
ბუქი სახვენელი იარაღების გამოსახატავად მრავალი ტერმინია გა-  
მოყენებული: აჭილდა, აჩაჩა, ოში, ჩუთი, ღანწუში, ოგაფა, სახვ-  
ენელი, არონა. აქედან პოეტი ალექსანდრე ჭავჭავაძე ცხენის სახე-  
ნელს ჩუთის სახელით მოიხსენიებს.

ცხენის სახვენელის გამოსახატავად შესაძლებელია გამოიყენე-  
ბოდა ავრეთვე აჭილდა და აჩაჩა. პირველი იმიტომ, რომ თვით  
ტერმინი აჭილდა ცხენს გამოხატავდა და, შესაძლებელია, აქედან-  
ვე მიღო სახელი ამ იარაღმაც. მეორე შემთხვევაშიც სახვენელის  
ეს სახელი — აჩაჩა — აჩეჩა — ნიადაგის ხვნას კი არა, არამედ მიწის  
მონაცემის აჩეჩით დამუშავებას გამოხატავდა, რაც უოუოდ,  
კარგად უპასუხებს იმ მიხანს, რომელიც ახონაკვეთ მიწებში ცხე-  
ნის სახვენელის ფუნქციას შეადგენდა, ე. ი. მოკლე მონაკვეთებში  
საკირო იყო მიწაზე ხშირი მოკიდება სახვენელისა და ისევ აგლეჭა,  
ხის ფესვებს სახვენელი რომ არ დაელეწა. აქვე საგულისხმოა ცხე-

<sup>53</sup> იქ ვა, გვ. 262.

ნისათვის მიძახილი „აჩუ“ და მისიერ ენინობითი სახელი „აჩუა“ ხომ არა გვაქვს სახვნელ აჩაჩის სახელწოდებაში შემონახული ცხენის სახელი, ისე როგორც სვანურში ხარისა და სახვნელის ხელი ერთი სახელწოდებით „კან“-ით გამოიხატებოდა.

თანამედროვე საყოლმეურნეო სამუშაოებში ცხენის წევაზე მომუშავე სახვნელებს იყენებენ ჩიის მწერივთაშორის მიწის ასაფხვევირებლად, სასიმინდე ყანების დასახნავად, სადაც ტრაქტორი ვერ უდგება, და სიმინდის ნათესების კულტივაციისათვის.

ხის სახვნელს დაგილობრივი დად უპირატესობას აძლევინ იმის გამო, რომ იგი მსუბუქი და ადგილი მოსაარშეიგებულია. იმერული, გურული, მეგრული, ხევსურული, სვანური, მოხეური და აფხაზური სახვნელები ძირითადად ერთიანდება სახვნელის კოლხურ ტიპში. კოლხურს ჩვენ პირობითად ეუწოდებთ იმდენად, რამდენადაც იგი ხსიათდება  $90^{\circ}$  მოხრილი მხრით, რომელიც ჩადგმულია ქსალში და არ გააჩნია საკუთხევლი. ძირითადად გურულებულია კოლხეთში. ოღნიშნულ გარემოებას 1937 წელს ყურადღება მიაქცია გ. ჩიტაიამ. მან კოლხური სახვნელი მიიჩნია ეტრუსკულის ანალოგიურადნ<sup>55</sup> და გააკეთა დასკვნა, რომ ქართველთა წინაპარ ტომებსა და ლიდიელებს მაღალი სამიწათმოქმედო კულტურა ჰქონიათ. აქვე დააყენა საკოთხი ამ ტომებს შორის კულტურულისტორიული ურთიერთობის შექახებაც<sup>56</sup>.

იმერული, ანუ კოლხური, სახვნელის ძირითადი ტიპი, რომელიც ონაგობით შავი ზღვისპირეთის აღმოსავლეთ რაიონებს მოიცავს და ხმელთაშუა ზღვის აუზში პოვებს გაურტყელებას. ამ მხრივაც არის საყურადღებო, რომ იგი ძირითადად მაინც ენდემებთან არის დაკავშირებული (სურ.12). ენდემები კი აღგილსშეგუებული ხორბლეულია, რომელთა მოელა-მოყვანას აღგილობრივ ძალიან დიდი ხნის ისტორია აქვს.

ძველი წ. II ათასეულის მიწურულისათვის დასავლეთ საქართველოში განვითარებული სახვნელია მოქმედებაში. იმას შერძნელი თქმულებაც თაქსტურებს, რომლის ანალიზის საფუძველზე იყ. გვანიშვილი აღნიშნავდა: ეს თქმულება ხაზს უსვამს ძველი საქართველოს მიწათმოქმედების მაღალ დონეს<sup>57</sup>.

<sup>55</sup> გ. ბართველიძე, ქართული (სვანური) საჭესო გრაფიკული ხელოვნების ნიმუშები, 1953, თბ., გვ. 158.


<sup>56</sup> გ. ჩიტაია, რაჭულისახვნელი, ენიმეის მოამბე, ტ. I, თბ., 1937, გვ. 284.

<sup>57</sup> იმ ვ. გვ. 287.

<sup>58</sup> ივ. გვანიშვილი, საქ. ეკონომიკის ისტორია, წ. I, თბ., 1930, გვ. 253.



Տպհ. 16. Հռլիքը կառուցած սանմանց ծեղլեցն.



Տպհ. 17. Եզոհո.

კოლხური სახვნელი იარაღის აღრეულ ერთ-ერთ ფორმად, ჩვენი აზრით, მაინც მოხეური სახვნელის ტიპი უნდა მივიჩნიოთ, რომელსაც თავისი ანალოგები ეძებნება სუმერეთისა და ჰაბრონის ტ. IV ათასეულის სამიწათმოქმედო კულტურაში<sup>58</sup>. კულტური სახვნელი ამ ტიპის სახვნელთა განვითარების შემდგომი ეტაპია, დამუშავებული და შეგვებული იმ მიკროლოკალურ გეოგრაფიულ-ეთნოგრაფიულ ერთეულებს, სადაც კოლხთა წინაპრებს და მათ ჩამომავლებს უხდებოდათ სამიწათმოქმედო საქმიანობა.

როგორც ზემოთ აღინიშნა, ნიადაგის მოხვნა, ძერელი სტილით, შეუა მარტივად იწყებოდა. პირველი გასვლა სახნავად კვირის სამ დღეს უნდა დამთხვეოდა: ორშაბათს, სამშაბათსა და სუთშაბათს. დანარჩენ დღეებში სახნავად გასვლა არ შეიძლებოდა (მთხრობელი იყო ნაცვლიშვილი, 84 წლის, არგვეთი, 1971). თუ ხორბლეული უნდა დაეთესათ, ჯერ მიწას მოხნავდნენ, შემდეგ თესავდნენ და დათესილზე ფარცხს გადაატარებდნენ. თუ სიმინდს თესავდნენ, სიმინდისა და ლობიოს თესლს მოუხნავ მიწაზე მოაბნევდნენ და შემდეგ მოხნავდნენ. იყო შემთხვევები, როცა სიმინდის მოსავალი არ იყო აღებული და იმავე ნაკვეთში თოხით თესავდნენ საშემოდგომო ხორბლეულს. ამას „შახნას“ უწოდებდნენ.

ზეგანის სოფლებში იცოდნენ მიწის მოხვნა და დატოვება საგაზაფხულოდ. გაზაფხულზე დახნული ნაკვეთი საპირისპირო უნდა გადაეხნათ. იცოდნენ ბელტების დაფუძნა თოხით, რასაც იმერეთში „დახართოხებას“ უწოდებდნენ<sup>59</sup>.

დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ ნიადაგის ხვნისათვის საჭირო ბუნებრივ პირობებს. ზეგანის სოფლები ძირითადად უტეულია და შედარებით ბარის რაიონებთან ნაკლები ნალექის გამო მიწის ღრმად ხვნას მოითხოვს. ღრმად ხვნას აქ საგანგებო ტერმინს — „იწვერით ხენას“ უწოდებენ. ბარის ნესტიან რაიონებში ხვნა ზედაპირულად მიმდინარეობს, ამას „იჩოჩით ხვნა“ ჰქვია.

მოხნული მიწის ბელტების დასაშლელად და დასაფუნქციალად გამოიყენებოდა ფორჩხი. იმერეთში მისი რამდენიმე სახეობა დაუზოშმებია პოეტ რაფ. ერისთავს<sup>60</sup>. ფორჩხის ზოგიერთ სახეობას

<sup>58</sup> გ. ჯილი ბაბაძე, მიწათმოქმედება თერგის ხეობაში, მუზეუმის მოამბე, ტ. XXII — ბ, 1961, გვ. 233.

<sup>59</sup> ქ. ძოშენიძე, ზემომიქრული კლოკავი, 1973, გვ. 472.

<sup>60</sup> Р. Эристов, Земледелие в Имеретии, Тб., 1876, стр. 15, табл. 7 и 38.

იმერეთში ძველთაგანვე იყენებენ სიმინდის ნათესების კულტივაციისათვის. 1971—1973 წლებში ჩვენს მიერ დაფიქსირდა ორ სახის ფორჩხხი, ერთი მათგანი ხის ფიცარია, რომელიც ერთზე ჭიში დაბილულია, გაყრილი აქვს ხელნები და ებმება ტრი-ხარისხი. მეტად ტიპის ფორჩხხის ხის დედანში ჩასმული კბილები აქვს, დედანს ზე-მოდან მაგრდება ჩარჩოსებური მოწყობილობა, რაზედაც აღამიანი დგება. დედანში გაყრილია ხელნები ხარების შესაბმელად (სურ. 13, 14).

ზემოთ ჩვენ აღნიშნეთ ცალულელა სახვნელის გამოყენების შესახებ. უნდა შევნიშნოთ, რომ ასეთ ცალულელა და ზოგჯერ ორ-ხარბმულ სახვნელებს აქტიურად იყენებენ სიმინდის ნათესების საკულტივაციოდ. სახელდობრ, იცლისის ბოლოს სიმინდს აძლევენ დამატებით სასუქს აზოტის სახით და იგი შეაქვთ ხის სახვნელით სიმინდის მწყრივთაშორის გავლებულ კვლებში. ამ მუშაობის დროს ხარმა რომ სიმინდის ყანა არ ჰამოს, პირზე წამოცმული აქვს მრგვლად მოწნული კალათი.

ხორბალი ერთ კვირაში ამოილოვება, ფესვს მოიმაგრებს და შემდეგ დაჯეჭილდება, მაისიდან იწყებს თაველში შესვლას. პურის თაველი შედგება მარცვლების, ჭიორისა და ჭიცორისაგან. ჭიორი მარცვლის ბუდეს ეწოდება, ხოლო ჭიცორა — ფხას.

როვორც ხორბალი, ისე სიმინდი იქრებოდა ნამელით. ხორბალეულის მკის დროს იყენებდნენ ხის ორ სათოთეს მარცხენა ხელის თითებზე წამოსაცმელად. გარდა ამისა, მარჯვენა ხელზე წამოცვამდნენ ხოლმე საგანგებოდ შეკერილ ტყავის სამკლავეს ან მოქსოვილ პაჭიშს.

მოსავლის აღების დღეს ოჯახიდან საციქველის გატანა არ შეიძლებოდა — მორწმუნეთა აზრით, ოჯახს ბარაქი დაეკარგებოდა. ანალოგოურად იქცეოდნენ ავრეთვე თესვის დღესაც.

პურეულის მკის პერიოდში ადგილი პქონდა მუშის შეყრა. მკას იწყებდა გამოცდილი და ძლიერი მმკელი. იგი ითვლებოდა ამავე დროს მესვეურადაც, მას ზემო იმერეთში მესვრელეც<sup>61</sup> რქმდება. შრომა მკის დროს ასე ნაწილდება: შეკლი, მჭევლავი (ქ. ძოწენისის მასალებით, მენაფენე) და მკონავი. შევლი ეწოდება მკის დროს მუჭში დაგროვილ პურის ნამკალს, ერთ კონაში 14 კევლამდე გროვდებოდა. ჭევლს ანუ ნაფენს მჭევლავი — მენაფენე, წნელის საკონავზე დაწყობდა.

<sup>61</sup> ქ. ძოწენიდე, დასახ. ნაშრ., გვ. 474.

შეკონავი ჩამოუელიდა და შეკონავდა. კონებს აწყობდნენ ხუთიდ  
ან ურმეულად, ურემზე 40—45 ნამზა (ძნა) ედებოდა (იმერეთში  
ტერმინი ძნა არ გვხვდება). ურმით გადატანილ ნამზას ფვამდნენ  
კალოს პირას ჩერგილებად. ჩერგილა 150 ძნას მოიცედა.

კალოს დიამეტრი 15 მ მაინც უნდა ყოფილიყო. ერთ ჩამლა-  
ზე თუ ორი კევრი, ე. ი. ორი ულელი ხარი, იყო შებმული, 100  
ძნა უნდა ჩერგალათ, ერთი ძნიდან 4 კვ ხორბალი უნდა გამოიშვ-  
ნილიყო. კეცრებს ადგილზე ამზადებდნენ თელის ან წიფლისაგან.

ხორბალი, როგორც წესი, ინახებოდა ხის ბელლებში, ან დიდი  
ზომის კოდებში. სკოდნიათ ამ დანიშნულებით თიხის დორების  
ფვამოყენებაც. ხის ბელლები განსაკუთრებით ცავრცელებული ყო-  
ფილა საჩხერის, ჭიათურის და ხარაგოულის რაიონებში.

მოწეული მოსაცლის გარევეული ნაწილი სათესლე დანიშნუ-  
ლებით გადაინახებოდა ხოლმე, ხოლო დანარჩენი იხარჯებოდა საო-  
ჯახო მოთხოვნილების შესაბამისად (სურ. 15, 16).

მარცვლეულის საწყაო ერთეულებად იმერეთში გვევლინება  
საპალნე, გოდორი, ბათმანი, ოყა, კოდიანი, ფუთიანი, ჩაფი.

იმერეთის ისტორიული საბუთებიდან ჩანს, რომ გოდორს  
XVI—XVII სს. იყენებდნენ ღომისა და სიმინდის საწყაო ერთეუ-  
ლად<sup>62</sup>. ამ დანიშნულებით გოდორი იმერეთის ეთნოგრაფიულ ყო-  
ფაში კვლავ გამოიყენება და 2 ფუთს, ზოგიერთ სოფელში 4  
ფუთსაც, უდრის (სურ. 17).

საპალნე სხვადასხვა ხეობაში სხვადასხვა წონას გულისხმობდა.  
ზესტაციონის რაიონის ილემის ხეობაში და სვიტში საპალნე 12  
ჩაფიანია; კვალითში, გორღმი, კინჩხაში საპალნე 22 ბათმანს, ანუ  
11 ჩაფს (11 ფუთს) უდრის.

საპალნე საქმაოდ მერყევი წონის ერთეულია, მის ქვეშ ვა-  
რაულობენ ხარის, ცხენის, სახედრისა და აქლემის ტვირთს. იმე-  
რეთში საპალნე, როგორც გ. ჯაფარიძე იყვლევს, XIX ს. 8—10  
ფუთს შორის მერყეობდა<sup>63</sup>. როგორც ჩანს, XX ს. საპალნე უფრო  
გაზრდილა და იგი 12 ფუთამდე ასეულა.

იმერეთში ჩაფი, როგორც საპალნე, სხვადასხვა დროს განსხ-  
ვავებულ წონას გულისხმობდა. ს. ზოგრეთში გაღმოგვცეს, რომ  
ძველი ჩაფი 18 ლიტრს შეადგენდა, ახალი კი 16 ლიტრიანი გამხდა-

<sup>62</sup> გ. ჯიფირიძე, ნარევევები ქართული მეტროლოგიის ისტორიიდან, 1973, გვ. 81.

<sup>63</sup> იქვე, გვ. 112.

რა. გ. ჯაფარიძის გამოკვლევით, ჩაფი მერყეობდა 7,5-დან 9 ლიტ-  
რის ტევადობამდე<sup>64</sup>. როგორც ჩანს, ჩაფს გარდა ლეინისა, ხორბ-  
ლეულის საწყაოდაც იყენებდნენ.

იმერეთის ცალკეული კუთხეების მიხედვით მდარანიშვილი ფი-  
რეთვე, ბათმანის როგორც მარცვლეულის საწყო ერთეულად გა-  
მოყენების ფაქტები. ბათმანის წონა საკმაოდ მერყევია: ს. კორდ-  
ში იგი 10 გირვანქას უდრიდა, ს. ზორეთში 12 კგ, ჩხარში ბათ-  
მანი 10 ოყიანია, ოყაში კი 3 გირვანქაა. ე. ი. ჩხარული ბათმანი  
30 გირვანქიანი ყოფილა. სოფ. კინჩხაში ბათმანში 9 ლიტრს ანგა-  
რიშობდნენ.

ბათმანი დასავლეთ საქართველოში თურქეთის გზით შემოსუ-  
ლა და XVIII ს. იგი 7,37 კგ იწონიდა<sup>65</sup>.

რაც შეეხება ოყას, იგი XIX ს. დასავლეთ საქართველოსა და  
ახალციხის მაზრის სოფლებში ფართოდ გავრცელებული საწყო  
ერთეული ყოფილა — იგი იტევდა 1,36 კგ<sup>66</sup>. ეთნოგრაფიული მა-  
სალის მიხედვით, ოყას იყენებდნენ როგორც მარცვლეულის, ისე  
ყველის საწყაო ერთეულად და ზოვრეთში 3 გირვანქას უდრიდა,  
სოფ. ნოღაში 2,5 გირვანქას, ხოლო ჩხარში 3 გირვანქას.

იმერეთში კოდის დადგენილი, ზუსტი, წონა არ დასტურდება:  
კოდი ეწოდებოდა ფქვილის ან მარცვლის შესანახ ხის კასრს, რო-  
მელიც ნებისმიერი ტევადობისა იყო. ზემო იმერეთში, სახელ-  
დობრ არგვეთში, კოდში 4 ბათმანის, 2 ფუთის ოდენობა დავვისა-  
ხელეს, რაც აღმოსავლეთ საქართველოს მთის რაიონების კოდის  
წონას ეფარდება.

ზემოთ წარმოდგენილი მასალების საფუძველზე შეიძლება  
აღვნიშნოთ, რომ მემინდვრეობის კულტურა იმერეთში მეურნეო-  
ბის უძველესი დარგია. მთის ნათელ სურათს იძლევა როგორც სა-  
მეურნეო კულტურათა სიუხვე, ისე ამ კულტურებთან დაკავშირე-  
ბული სამეურნეო იარაღების ნაირსახეობა და მათი ტრადიციული  
ფორმები. იმერეთის ეთნოგრაფიულ ყოფაში შემონახული სამი-  
წამოქმედო იარაღებიდან განსაკუთრებული შნიშვნელობისაა ხე-  
ლით სამუშაო იარაღები, რომელთა წინაპარი ფორმები დასტურ-  
დება ბრინჯაოს ხანიდან.

ძ. წ. II ათასეულში დასავლეთ საქართველოში განეითარე-

<sup>64</sup> გ. ჭაფარიძე, ნარკვევები ქართული მეტროლოგიის ისტორიიდან, 1973,  
23. 125.

<sup>65</sup> ი. ქ. 33, 83. 69.

<sup>66</sup> ი. ქ. 33, 83. 74.

ბული სახველი იარაღია მოქმედებაში. ამ პერიოდშივე ფართო გასაქანი ეძლევა საახოო მიწათმოქმედებას, მიმდინარეობს ტომობრივი ერთეულების შერწყმა-გადაადგილება. ძვ. წ. I ათასეულში სამეურნეო იარაღების ფორმებში ერთგვარი ცკლილუბები შეიმჩნევა — რკინის მაღნის სიუხვე და ბრინჯაოსთან შედარებით მისი ადვილად ჭედაღობა ხელს უწყობდა ნაირი სახის იარაღების შექმნას. ამ პერიოდში ჩნდება ყურიანი თოხები და ბართოხები, ქარჩის ტიპის იარაღები და წერაქვები. აღნიშნული იარაღები საახოო სისტემასთან არის უშუალოდ დაკავშირებული. ამ დროისათვის მემინდვრეობასთან ერთად მებაღეობა-მებოსტნეობა და ვენახის მოვლა სამეურნეო წარმოების ახალ დონეზე ადის.

ახალი წ. I ათასეულის დასაწყისში კლასობრივი ბრძოლა ახალ ფაზაში შევიდა — ფეოდალური სახოგადოების გამარჯვებამ შეცვალა რა წარმოების აღრეული წესი, ახალი სამეურნეო განვითარების დონეს ვეღარ აქმაყოფილებდა ის იარაღები და საშუალებანი, რაც თემური სახოგადოებისათვის საკმარისს წარმოადგენდა. ახალნატეხი საუკეთესო მიწის სავარგულები გაბატონებული კლასის ხელში ექცევა. ჩნდება ე. წ. ბატონის ყანები (შროშა), ხოდაბუნები (საჩხერე) და სხვა. ხელით სამუშაო მრავალნაირ იარაღთან ერთად მოქმედებდა სახენელიც.

ფეოდალური ხანის იმერეთში სხვადასხვა სახის სახველი იარაღი იყო მოქმედებაში: კოლხური კავი, ორხელის ტიპის სახველი, ცხენით სახველი დიდი გუთანი. სახველთა მრავალსახეობა უფრო ზემო იმერეთისათვის იყო დამახასიათებელი.

XIX ს. მეორე ნახევარში დასაცლეთ საქართველოს ზოგიერთ მსხვილ ფერმერულ მეურნეობაში (საქარის, ვარციხის, ბანოჭის, დიმის და სხვ.) დაინერგა რყინის მსუბუქი გუთანი, რაც შემოღიოდა ძირითადად დასავლეთ ევროპიდან, ნაწილობრივ რუსეთიდან. რკინის გუთანი იმერეთის ფართო მოსახლეობაში ადვილად ვერ დაინერგა, სიძვირის გამო მისი შეძენა მოსახლეობას უჭირდა.

იმერეთის კლიმატურ-გეოგრაფიული გარემო მემინდვრეობის ინტენსიფიკაციის საუკეთესო პირობებს ქმნიდა, თუმცა მიწის სიმცირე გარკვეულად ზღუდავდა ფართო მასშტაბებით მის განვითარებას, ეს უკანასკნელი ფაქტორი უარყოფითად მოქმედებდა მოსახლეობის ნამატის აღვილზე დამაგრებაზე. კარბი მოსახლეობა ზემო იმერეთიდან ქართლ-კახეთისაკენ, ქვემო იმერეთიდან კი გურია-სამეგრელოსაკენ მიღობდა.



## ПОЛЕВОДСТВО В ИМЕРЕТИИ

## Резюме

В работе рассмотрены вопросы, относящиеся к полеводческой культуре Имерети — зерновые культуры, орудия предназначенные для ручной обработки почвы и типы пахотных орудий.

В работе даются подробные сведения о распространенных на данной территории типах мотыг, начиная с бронзовой эпохи до наших дней. Автор дает классификацию мотыг и ареал их распространения.

В работе представлено несколько картограмм. На I картограмме даны основные типы, распространенных в Имерети бронзовых мотыг (датируются II—I тысячелетиями до н. э.). На II картограмме даны железные орудия (II половина I тысячелетия). На III картограмме даны распространенные в XIX и XX вв. ручные орудия труда.

На основании изучения археологич. и этнографических материалов автор приходит к заключению, что на территории Имерети, начиная со II тысячелетия до н. э., основные типы мотыг не меняются.

В работедается много интересных материалов, относящихся к пахотным орудиям. Автором установлено, что в феодальный период в Имерети употребляли четыре основных типа пахотных орудий:

1. Имеретинское и колхское пахотное орудие (сога).
2. Орхела.

В данных типах пахотного орудия тягловой силой являлась пара волов.

3. Пахотное орудие, в котором тягловой силой являлась лошадь.

4. Большой плуг, который применялся только лишь в некоторых районах Имерети.

Во II половине XIX в. в некоторых крупных фермерских хозяйствах появляются фабричные плуги, поступившие из России и стран Западной Европы.

თ. გვარდი

## შრომის ორგანიზაციის ფორმები იმართვის

იმერეთში ზოგიერთი შრომატევადი სამუშაოს შესრულებისას აღვილი პქონდა შრომის დროებით გაერთიანებას. ჩეენ შევეხებით მემინდევრეობასთან დაკავშირებულ შრომის ორგანიზაციის ფორმებს, აადგან მემინდევრეობა იმერეთის მეტენეობის ერთ-ერთი მთავრი დარგი იყო და ოჯახის ძირითად საქმიანობას მასთან დაკავშირებული სამუშაოები წარმოადგენდა.

იმ დროისათვის, რომელსაც ეხება ჩეენს მიერ მოპოვებული მასალა, იმერეთში გავრცელებული ოჯახის ძირითადი ტიპი იყო პატარა ოჯახი, თუმცა გაღმონაშობის სახით განავრძობდა არსებობას დიდი ოჯახებიც — ცნობილი „გალაბი ოჯახის“<sup>1</sup>, „ერიანი ოჯახისა“ და „გავარიანი ოჯახის“ სახელწოდებით. დიდი ოჯახი ერთად ფლობდა გარკვეული რაოდენობის მიწას, სამეურნეო იარაღს, გარშევ ძალას და ერთადვე ეწეოდა მეტენეობას. იგი დამოუკიდებლად სარულებდა ყველა სახის სამუშაოს. პატარა ოჯახები კი ხშირ შემთხვევაში მიმართავდნენ შრომით გაერთიანებას.

საერთოდ შრომის ორგანიზაციის ხასიათს, მის სირთულესა და გავრცელებას განაპირობებდა შესასრულებელი სამუშაოს სირთულე, რომელზედაც, თავის მხრივ, გარკვეულ გავლენას ახდენდა აღვილობრივი პირობები. ამ მხრივ იმერეთში ბუნებრივი გარემო (რბილი ჰაერი, ნიადაგის თავისებურება) ხელსაყრელ პაზას ქმნიდა მიწათმოქმედებისათვის; ბევრ შემთხვევაში პატარა ოჯახსაც დამოუკიდებლად შეეძლო სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის წარმართვა. ვახუშტი ბაგრატიონი წერდა: „რამეთუ ერთი მხოლოდ მუშავედ მოქმედი კაცი, მხოლოდ წალდ-თოხისა მქონდელი, დასახლდების, მოიყვანს საზრდოსა გალაბთასა და გარდაის-

<sup>1</sup> Р. Харадзе, Грузинская семейная община, I, Тб., 1960, стр. 67.

დის ბეგარასაც<sup>2</sup>. მიუხედავად ამისა, მემინდვრეობასთან დაკავშირებით შრომით გაერთიანებას ზოგჯერ მაინც პქონდა აღვრღი. მას მიმართავდნენ შედარებით შრომატევადი სამუშაოების შესრულებისას. ერთ-ერთ ასეთ სამუშაოს, რომლის შესრულებაზემციულების შემთხვევაში პატარა ოჯახის ძალებს აღემატებოდა, ახორ აღება იყო.

ახოს აღება ფართოდ ყოფილა გაცრცელებული როგორც ზემო, ისე ქვემო იმერეთში. ზემო იმერეთში ამის ახოს აღებას, ხოლო ქვემო იმერეთში ახალპირის გახოსრას, მოკაფეას, ტყის გათიბვას, ახოს აღებას, ჩხოპოს, კაპეტის, უყის აღებას უწოდებდნენ. ახოს აღება ხდებოდა ზაფხულში, თუმცა იგი წლის სხვა დროსაც შეიძლებოდა. სახელდობრ, გაზაფხულზე-მარტში (სანამ სასოფლო-სამეცნიერო სამუშაოები დაიწყებოდა) და შემოდგომაზე. ყველაზე კარგ დროდ სააშისოდ აგვისტო ითვლებოდა (როცა მოთავებული იყო თოხნა და მკა). სამუშაო იარაღს წარმოადგენდა ნაჯახი, წალდი, წერაქვი, თოხი, ცული. ხეებს მოჭრიდნენ, შეშას გამოიტანდნენ, დარჩენილ წერილ ტოტებს ცეცხლს წაუკიდებდნენ. იმ შემთხვევაში, თუ ახოს აღება გაზაფხულზე ხდებოდა, მაშინვე წაუკიდებდნენ ცეცხლს, ხოლო თუ ახოს ზაფხულში იღებდნენ, შეიძლებოდა გაზაფხულამდე ისე დაეტოვებინათ და მარტში, სავაზაფხულო ხვნა-თესვის დაწყებამდე დაეწვათ. ზოგჯერ შემოდგომაზე წვავდნენ. ნაცარს მოაბნევდნენ ნაკვეთს. ეს იყო მოწის განოყიდვების ერთ-ერთი საშუალება. ამის შემდეგ თოხით ფეხებს ამოყრიდნენ.

ტყე, რომელშიც ოჯახი ახოს იღებდა, ან საბატონო იყო, ან სათემო. საბატონო ტყეში ახოს აღებისას გლეხი გადაუხდიდა ტყის პატრონს გარკვეულ თანხას — „ადგილის გადასახადს“, და მერე ყოველწლიურად მოსაელიდან გარკვეულ ნაწილს ამლევდა. საბატონო ტყის გატეხვის შემთხვევაში საგლეხო კომლი დამოუკიდებლად, საკუთარი ძალებით, ან ნადიოთ ამუშავებდა სახორც მიწას და ეს ნაკვეთი გარკვეული დროის მანძილზე მის სარგებლობაში იყო. განსაკუთრებული მდგომარეობა იყო, როცა ახოს აღება ხდებოდა სათემო ტყეში. იმ შემთხვევაში ხშირად „ბაბუიშვილები“ (დიდი ოჯახის რღვევის შედეგად წარმოშობილი ნათესაური

<sup>2</sup> ვახუშტი ბაგრატიონი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თბ., 1942, გვ. 145.

გაერთიანებები)<sup>3</sup> ერთდებოდნენ და ისე ტეხდნენ ტყეს. ასეთი გზით მოპოვებულ ნაცენტს ნატეხობა ერქვა. ეს იყო გადმონაშ-თის სახით შემორჩენილი წესი ტყის გაკაფვისა და დამუშავების გზით მიწის კერძო საკუთრებაში გადასცლისა. ამ გზით - ნაცენტის მოპოვების შემდეგ „ბაბუიშვილები“ ამ მიწას ან გაიყოფდნენ ერთმანეთს შორის, ან ერთად ფლობდნენ, კოლექტიურად ამუშავებდნენ და მოსავალს იყოფდნენ. უმეტეს შემთხვევაში შრომითი მონაწილეობა განსაზღვრავდა როგორც „ნატეხობის“ რაოდენობას (როცა ერთად მოპოვებული მიწა ოჯახებს შორის ნაწილდებოდა), ასევე მოსავალს (იმ შემთხვევაში, თუ კოლექტიურად მიწის მოპოვების შემდეგ ბაბუიშვილები ერთად ფლობდნენ მას).

გარდა ამისა, იმერეთში ამ დროისათვის იყო ერთეული შემთხვევები რამდენიმე ოჯახს (ბაბუიშვილებს) შორის გაუყოფელი მიწების არსებობისა, რომელთა დამუშავებაც კოლექტიურად ხდებოდა ამ ბაბუიშვილობაში შემავალი პატარა ოჯახების მიერ. მოგვადს სოფლებში — კვალითსა და კლდეებში, ჩაწერილი მასალა: „მახათაძეებს გვერნდა გაუყოფელი მიწები, ცალ-ცალკე გვერნდა მიწები, მაგრამ ერთი მიწა იყო საზიარო, რომელიც მამა-პაპათაგან ასე გადმოგვდიოდა. ერთად ვამუშავებდით და ყველაფერს კვიფდით. ანგარიშს არ კუშევდით იმას, რამდენი წავიდოდა თითეული ოჯახიდან სამუშაოდ. მოსავალს კი ერთნაირად კიყოფდით. ასევე საზიარო გვერნდა ამ ოჯახებს ჭა, წისქვილი“ (კონსტანტინე მიქელას ძე მახათაძე, 80 წლისა, სოფ. კვალითა, 1973 წ.).

„ზოგიერთ ოჯახებს მიწები არ ჰქონდათ გაყოფილი. ქავთარაძეები იყვნენ, კომლები გაყოფილები იყვნენ, მაგრამ ყანები არ ჰქონდათ გაყოფილი. ბალდავაძეებსაც არ ჰქონდათ გაყოფილი. ეს ოჯახები ზოგს (ამ გაუყოფელი მიწებიდან) აზიარებდნენ, ზოგში კი თეოთონ მუშაობდნენ და მერე მოსავალს იყოფდნენ. ერთმანეთს არ უგზირავდნენ — ვინ რამდენს იმუშავებდა, ამას არ აქცევდნენ უურადღებს, მოსავალს კი ყოფდნენ. ერთი განაყოფება იყვნენ და არ ეინტერესებოდათ მიწის გაყოფა. ვენახები გაყოფილი ჰქონდათ, ყანა გაუყოფელი“ (მიხეილ პლატონის ძე მაჭავარიანი, 82 წლისა, სოფ. კლდეეთი, 1973 წ.).

მაშასადამე, ამ შემთხვევაში ერთ ბაბუიშვილობაში შემავალი პატარა ოჯახები მოსავალს თანაბრად ინაწილებდნენ იმისგან და-

<sup>3</sup> Р. Харадзе. Грузинская семейная община, I, Тб., 1960, стр. 67.

4. მასალები იმერეთის ეთნოგრაფიული შესწავლისათვის

მოუკიდებლად, თუ ვინ რა შრომითს მონაწილეობას იღებდა მა-  
წის დამუშავებაში, ახოს კოლექტიურად დამუშავების დროს კი  
უროდუქტი, ჩვენს მიერ მოყვანილი მაგალითების მიხედვების წა-  
რილდებოდა გაშეული შრომის ოდენობის შესაბამისად; ცნჯე ფუ-  
ფიქროთ, რომ პირველ შემთხვევაში (როდესაც ზიარ მიწებს გა-  
ბუშვილები კოლექტიურად ამუშავებდნენ, მიუხედავად შრომით  
მონაწილეობის ოდენობისა) აღგილი ჰქონდა კოლექტიური ურო-  
მის შედარებით ადრინდელ ფორმას, რომელიც ტრადიცით გა-  
ნაგრძობდა არსებობას. კოლექტიური შრომის აღნიშნულ ფორმას  
ვარსაზღვრავდა ბაბუშვილების მიერ ამ „ზიარი“ მიწების კოლექ-  
ტიური მფლობელობა, რომელიც გადმონაშობის სახით არსებობდა  
და არ იყო ტიპიური ამ პერიოდის იმერქოთისათვის.

ჩვენი საველე მასალის მიხედვით, იმერქოთში ბაბუშვილებს  
უმრავლეს შემთხვევაში უკვე ყველაფერი გაყოფილი ჰქონდათ,  
გაყოფილი იყო იჯახებს შორის არა მარტო სახნავი მიწა, არამედ  
ხშირ შემთხვევაში ტყე, სათიბები და საძოვრებიც უკვე კერძო  
პირთა საკუთრებას წარმოადგენდა. ყანები ერთმანეთისაგან გამო-  
ყოფილი იყო ოცი სანტიმეტრის სიგანის დაუმუშავებელი მიწით,  
რომელსაც „გორას“ უწოდებდნენ. ტყე იყო დაყოფილი „თარ-  
ჯით“ (დალით ნაპირის ხეებზე), სათავადო ტყეები „კორლებით“  
(ნაპშირით ამოვსებული ორმოებით), სათიბები „გორით“ (მიწაში  
შივადაშივ ჩასობილი ქვებით). ბარში საძოვრებიც დანაწილებული  
იყო და არხებით იყო „ჩამოკავებული“, რომლის გასწვრივ „სა-  
ქანს“ (უმეტესად ოეთრი აკაციისას) ჩამოაყოლებდნენ ხოლმე.  
ბაბუშვილები ინარჩუნებდნენ ტერიტორიულ ერთობას, მაგრამ  
იშევათად ჰქონდათ რამე სახიარო. ამ იშვიათ შემთხვევაში სა-  
ზიარო ჰქონდათ ის, რასთან დაკავშირებული შრომაც პატარა ოჯა-  
ხების ძალებს აღემატებოდა. ცნობილია, რომ პატარა ოჯახებს  
შორის, რომლებიც წარმოიშვა დიდი ოჯახის დაწლის შედევად,  
ვარსაზღვრული ხნის მანძილზე არსებობდა გარკვეული ეკონომიკუ-  
რი ერთობა, რაც თავს იჩენდა ზოგიერთი სამეურნეო ნაგებობის  
საერთო მფლობელობაში. ამ მხრივ იმერქოთში იყო შემთხვევები  
ზიარი ჭის, კალოს, ფუტკრის, წისქვილის არსებობისა. ჩვენს მიერ  
მოყვანილი მაგალითიც ბაბუშვილებს მიერ სახნავი მიწების  
კოლექტიური მფლობელობისა გადმონაშობის წარმოადგენს და  
მიუთითებს ბაბუშვილების ძველ ეკონომიკურ ერთობაზე. დფე-  
ლოგიური ერთობა ბაბუშვილებისა გამოიხატებოდა რელიგიური  
წესების ერთად შესრულებაშიც.

ურთიერთდახმარებას მიმართავდნენ ხენის დროსაც. იმერეთში ძირითადად გავრცელებული იყო სახველის ერთი ტიპი — იმერული კავი. კვემო იმერეთის ზოგიერთ სოფელში ეს სახველი არიან? ცონბილი ყოფილა ხასახალის სახელში დადგებით. იმერული კავი მარტივი სახველი იარაღია რკინის სახნისით. ინფორმატორთა გადმოცემით, ზოგჯერ კავს უსახნოსოდაც ხმარობდნენ. ასეთ შემთხვევაში ქუსლს უმთავრესად ძელქვისაგან უკეთებდნენ. კვემო იმერეთის ზოგიერთ სოფელში დავიდასტურეთ ორი ტიპის კავი — საბალახო და საქვიო კავები. განსხვავება მდგომარეობდა სახნისისა და ქუსლის სხვადასხვა ფორმაში. კავს გლეხი უმეტესად თეთონი თლიდა, სახნის კი მშეღელი ჰედავდა. ხის კავში გამწევ ძალას წარმოადგენდა ერთი უღელი მეშა საქონელი, უმთავრესად ხარი, იშვიათად კამჩი, მუშახელს — ერთი ან ორი კაცი. ერთი „ეკიდა კავს“, მეორე (წინძლოლი) უღელს უძლოდა იმ შემთხვევაში, თუ საქონელი გაუხედნავი იყო. სამტრედიისა და წულუკიის რაიონებში ჩაწერილი მასალების მიხედვით, იქ იშვიათად, მაგრამ მათიც, ხმარებაში ყოფილა ცხენის კავი.

დღიდი გუთანი იმერეთში გავრცელებული არ ყოფილა. ის იშვიათად თუ გამოიყენებოდა ზემო იმერეთის ვაკე ადგილებში, დღიდ მეურნეობებში. ინფორმატორთა გადმოცემით, დღიდ გუთანს იყენებდნენ საირხეში, ფრიდონ წერეთლის მეურნეობის ხოდაბუნებში. ქართლთან მოაზღვრე სოფლებში ყოფილი შემთხვევები ორხელას გამოიყენებისაც. დღიდი გუთნისა და ორხელას ხმარება, როგორც ხანს, გვიანდელი მოლენა იყო. რევოლუციამდე ძალიან იშვიათად, აქა-იქ, დაბლობ ადგილებში, ჩნდება რკინის გუთანი.

მოუხედავად დიღი გუთნის, ორხელას, რკინის გუთნისა და ცხენის კავის აქა-იქ გავრცელებისა, შეიძლება ითქვას, რომ იმერეთში ძირითად და ყველაზე ტიპიურ სახველ იარაღს წარმოადგენდა ხის კავი, ერთი უღელი გამწევი ძალით. იყო ადგილები, რომლებსაც კავი ვერ მიუდგებოდა და მიწის თოხითა და წერაქვით მცუშვებდნენ. გარდა ამისა, სიმინდში პურის და ვენახში სიმინდის დათესვაც თოხით ხდებოდა.

ასეთ პირობებში, ბუნებრივია, ხვნა-თესვას იმერეთში ოჯახების უმრავლესობა დამოუკიდებლად ახერხებდა.

იმ შემთხვევებში, როდესაც გლეხს საქონელი საერთოდ არ ჰყავდა ან ცალი ხარის პატრონი იყო და არ შეეძლო დამოუკიდებლად მიწის მოხვნა, მიმართავდა შრომის ორგანიზაციის გარკვე-

ულ ფორმებს. ხის კავთან დაკავშირებით დაეამოწმეთ შრომის ორგანიზაციის რამდენიმე სახე.

ორი ოჯახი, რომელსაც თითო ხარი ჰყავდა, „შეამხანებებოდა. ამ ხახის შრომითს გაერთიანებას იმერეოში „შემთხვევაში“ უწოდებდნენ. იხმარებოდა, აგრეთვე, ტერმინი „მომბავი“ (სოფ. დაბლაგომი) და „შებმული ხარები“ (სოფ. მათხოვი, ნახახულევი). სოფ. დაბლაგომის მცხოვრებ კოწია ჩიჩუას (84 წლისა) განმარტებით, „ვისაც ცალი ხარი ჰყავდა, ისინი შეამხანაგდებოდნენ. ჯერ ერთისას მოხნავდნენ, მერე მეორისას. ამას ეძახდნენ მომბავს. ჩემი მომბავია ესათ — იტყოდნენ“. კავი და ულელი თითქმის კველა ოჯახს ჰქონდა. ამიტომ კავსა და ულელს მიწის დამუშავების დროს ოჯახები თავთავისას ხმარობდნენ. იმ შემთხვევაში, თუ ერთ-ერთ მონაწილეს არ ჰქონდა კავი, სხვისაგან ითხოვდა, ან „ამხანაგის“ კავს გამოიყენებდა საზღაურის გარეშე (კავი, როგორც წესი, არ ჸირავდებოდა). ამხანაგობის წევრები თავთავისი მიწების დამუშავების დროს თვითონ „მოპეიდებოდნენ“ კავს. თუ ორი კაცი იყო საჭირო, ორივე ჯერ ერთთან მუშაობდა, მერე მეორესთან. მაშასალამე, შეზიარების (მომბავის) მთავარი პირობა იყო მხოლოდ გამწევი ძალის ტოლი რაოდენობით მონაწილეობა. სახვნელი იარაღი და მუშახელი საუთარი მიწების ხვნის დროს თავთავისი უნდა გამოყენებინათ. თუმცა ამ პირობის დარღვევა შეიძლებოდა. კერძოდ, იარაღი ერთისა იქნებოდა, თუ ამხანაგობის მეორე წევრს ივი არ ჰქონდა. ასევე ხვნის მთელი პერიოდის მანძილზე შეიძლებოდა ერთი წევრი „მოპეიდებოდა“ კავს, მაგრამ ამ შემთხვევაში ზოგჯერ ხდებოდა სამაგიეროს გადახდა სხვა სახის შრომით. ამხანაგობის თვითეული წევრი ხნავდა იმდენს, რამდენიც სკირდებოდა. თუ სახნავი ამხანაგობის ერთ-ერთ წევრს მეტი ჰქონდა, მეორეს ნაკლები, ეს სხვაობა უნდა რამენაირად გაეთანაბრებინათ, ე. ი. ვისაც ნაკლები ჰქონდა დასახნავი ფართობი, იმას შეეძლო ხარები სხვა სამუშაოში გამოეყენებინა, ან „ამხანაგი“ (მომბავი) ხელის სამუშაოში მოეხმარებინა. ჩვენი მასალის მიხედვით, ამ „გათანაბრების“ მტკიცედ დადგენილი ნორმები არ ყოფილა.

სოფ. მათხოვსა და ნახახულევში დამოწმებული „შებმული ხარები“ შედარებით უფრო მყარი შრომითი გაერთიანება ყოფილა, რომელიც დგებოდა რამდენიმე წლით. საყურადღებოა, რომ ამ შემთხვევაში უმთავრესად ბაბუიშვილები ერთდებოდნენ, ე. ი. აქ ნათესაობის პრინციპი მოქმედებდა. ამდენად, შრომის ორგანიზაციის ეს ფორმა შეზიარებასთან შედარებით აღრეული ხანის

ურთიერთობათა ამსახველია. ამ შემთხვევაშიც გერთიანების აუცილებელი პირობა იყო მუშა საქონლის თანაბაზი რაოდენობით (თითო ხარით) მონაწილეობა, ხოლო სახვენელი იარაღითა და მუშახელით თანაბრად მონაწილეობა არ იყო აუცილებელი. უძრავი დღეს ერთი ოჯახი ხნავდა, მეორე დღეს მეორე, ან ჯერ ერთი ხნავდა მთელ ფართობს, მეტე მეორე. ხვინა არ იყო ნორმირებული. თითოეული ოჯახი ხნავდა იმდენს, რამდენიც სჭირდებოდა. იმ შემთხვევაში, თუ ამხანაგობაში შემავალ წევრებს არათანაბაზი ფართობი ჰქონდათ მოსახვნელი, ვათანაბრება არ იყო აუცილებელი.

მაშასადამე, როგორც „შეზიარების“ (მომბავის), ისე „შებმული ხარების“ აუცილებელი პირობა იყო მუშა საქონლის ტალი რაოდენობით მონაწილეობა. ხვინა, როგორც პირველ, ისე მეორე შემთხვევაში არ იყო ნორმირებული, ე. ი. ამხანაგობაში შემავალი წევრები ხნავდნენ იმდენს, რამდენიც სჭირდებოდათ. მაგრამ „შეზიარების“ დროს, როგორც წესი, ხდებოდა გათანაბრება სხვა სახის სამუშაოში მონაწილეობით ხარებითა თუ პირადი შრომით, თუმცა ეს ოუგლამენტირებული არ იყო. რაც შეეხება „შებმულ ხარებს“, აქ ვათანაბრების მხოლოდ მორალური აუცილებლობა იყო. გარდა ამისა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, „შებმულ ხარებში“ ნათესაობის პრინციპი მოქმედებდა; ამდენად შრომის ორგანიზაციის ეს ფორმა „შეზიარებასთან“ შედარებით უფრო ძველი უნდა იყოს.

იმ შემთხვევაში, თუ ოჯახს არ ჰყავდა მუშა საქონელი, ის, ჩვეულებრივ, თხოულობდა ხარებს და სამაგიეროს იძღვიდა შრომით, სურსათით ან ფულით. ინფორმატორთა განმარტებით, ხარების გამოყენებაში ფულის ან სურსათის გადახდა იყო „ქირით ხარების წამოყვანა“. ხოლო შრომით სამაგიეროს გადახდა — ხარების „თხოვება“. მეტ-ნაკლებად სამივე წესი დასტურდება უკელა სოფელში, სადაც კი ჩავიწერეთ მასალა. ნორმები მტკიცედ იყო დადგენილი: ერთი დღით უღელი ხარი კავით — ხელით მუშაობაში დახმარება ორი დღე, იმ შემთხვევაში, თუ ხარების პატრონი „მოეკიდებოდა“ კავს, მაშინ—სამი დღე. სურსათით სამაგიეროს გადახდის შემთხვევაში ერთი დღით უღელი ხარის გამოყენებაში უხდიდნენ ას კონა ჩალას, ან ერთ ბათმან (10 კგ) სიმინდს. ან საქონლის პატრონი უხარო ოჯახს მოუხნავდა მიწის გარკვეულ ფართობს, დაფარულსავდა, ოღონდ ამ ნაკვეთიდან დღებულ ჩალას თვითონ აიღებდა. 1900-იანი წლებისათვის ერთი დღით ერთი უღელი ხარის გამოყენება ღირდა ორი მანეთი.

ხვნის დროს მიღებული იყო უხარო ოჯახის დახმარება კუ-  
ფელგვარი ანაზღაურების გარეშე. ეს იყო უმარტივესი ფორმა  
შრომის ორგანიზაციისა. ერთი ან რამდენიმე მოსახლე ანაზღაუ-  
რების გარეშე, ხშირად თავისი საგზლით, მიღიოდა და ეს მიმდინარებულ  
და გაჭირვებულ ოჯახებს. შრომის ორგანიზაციის ეს ფორმა ცნო-  
ბილი იყო არა მარტო ხვნის დროს, არამედ სხვა სახის სამუშაოებ-  
შიც: თოხნა, მოსავლის აღება, გაღმოზიდვა და სხვ. XX ს. დასწ-  
ყისში ასეთი სახის შრომის ორგანიზაცია უკვე იშვიათი მოვლენაა.  
მა დართისათვის მუშა საქონლის გამოყენებას უფრო ხშირად ანაზ-  
ღაურებენ შრომით, სურსათით ან ფულით, მაგრამ დახმარების  
ეს მარტივი ფორმა აქა-იქ მაინც შემორჩია. მოგვყავს მასალა: „ვი-  
საც არ ჰყავდა საყოლებელი, იმას ვეხმარებოდით ჩეენ, გლეხობა,  
თვითონ გვეტყოდა, მომეხმარე ხვალეო, თუ გაქვს დრო. ერთი  
კაცი ერთი კავით გავიდოდა და დაეხმარებოდა. ისე მეზობლურად  
ვეხმარებოდით, მაგრამ იმას შეეძლო სამაგიერო გადაეხადა,  
თუ დაგვიტირდებოდა, თუ არა და ნაპატივარი იყო“ (ვიორგი ზე-  
რაბის ძე კურტანიძე, 91 წლისა, სოფ. სკინდორი, 1971 წ.). ანდა:  
„რამდენიმე დღეს ტყვილათ მოვეხმარებოდი, რამდენიმე დღესაც  
გამისწორდებოდა; მე რომ ერთ დღეს დაევეხმარებოდი ხარებითა,  
ის თუ დღეს წამოყვებოდა სათოხარში“ (დიმიტრი პეტრეს ძე  
ეზიაშვილი, 101 წლისა, სოფ. ქორეთი, 1971 წ.).

უხარო ოჯახის დახმარებაში ადრე ნათესაური პრინციპი მოქ-  
მედებდა. მა დართისათვის, რომელსაც ეხება ჩეენი მასალა, ეს  
პრინციპი უმეტესად დარღვეულია. გარდა ამისა, შრომის ორგა-  
ნიზაციის ამ ფორმის, როგორც ჩინს, თავისი პირვანდელი სახეც  
დაკარგული აქვს. თუ ადრე საკუთარი ინიციატივით მიღიოდნენ  
უხარო ოჯახის დასახმარებლად, ახლა თვითონ, უხარო მოსახლე,  
სახოსე მეზობელს დახმარებას, რასაც ზოგჯერ ნაწილობრივ ანაზ-  
ღაურებს კიდევაც პირადი შრომით.

ზემო იმერეთში დავადასტურეთ ხვნასთან დაკავშირებული  
შრომის ორგანიზაცია, როდესაც რამდენიმე ოჯახი ერთიანდებოდა  
საკუთარი სახენელი იარაღებითა და ხარებით და ერთად რიგორი-  
ვობით ამუშავებდა ერთმანეთის მიწებს. ეს იყო სანაცელო შრო-  
მის ანაზღაურებაზე აგებული ორგანიზაციის ფორმა, რომელიც  
ფართოდ გამოიყენებოდა თოხნის, მოსავლის აღების, ლეწვის, მო-  
საცლის გაღმოზიდვისა და სხვა სამუშაოების დროსაც. ხვნაში სა-  
ნაცელო მუშაობას იმერეთში „მაგიერობას“ უწოდებდნენ.

საკაზაფხულო ხენის დროს ქართლიდან გადმოდიოდნენ და გერთი გუთით ზემო იმერეთის ვაკე აღგილებში და ქირით ხნავდნენ. ერთი დღიურის მოხენაში ხუთ მანეთის იღებდნენ. ერთი გუთი

XX ს. დასაწყისში იმერეთის სოფლებში იშეიძირა მთების განც, აქა-იქ ჩნდება რკინის გუთნები. იყო შემთხვევები, როცა ჭრომის იარაღის (ამ შემთხვევაში რკინის გუთნის) საშუალებით შეძლებული გლეხი ექსპლუატაციის უწევდა ლარიბ გლეხობას — ათხვებდა რკინის გუთანს, რასაც სამაგიერო შრომით ინაზღაურებდა: „ვაკეს“ გუთნის ერთი დღით გამოყენებაში ლარიბი გლეხი სამ დღეს უნდა დახმარებოდა პირადი შრომით, „ვეურდას“ გუთნის გამოყენებაში — ერთ დღეს. ეს გვიანდელი მოქლენა უნდა იყოს, შედეგი სოფლად კაპიტალისტურ ურთიერთობათა განვითარებისა.

იმერეთში ფართოდ იყო გავრცელებული შრომითი ურთიერთდახმარების ერთ-ერთი ფორმა, რომელიც ცნობილი იყო ნადისა და მუშის (ჭიათურისა და საჩხერის რაიონები) სახელწიდებით. იგი გულისხმობდა გარეულებულ კოლექტივს. მთხრობელის თქმით, „ერთი კაცი. ჩომ მეორეს დახმარებოდა, ამას გადახმარებას ეძახდნენ. ნადი ის იყო, როცა რამდენიმე კაცი ერთს ეხმარებოდა“ (ვანო იაკობის ძე ჯულუხაძე, 78 წლისა, სოფ. სიმონეთი, 1972 წ.). რა იყო ამ დახმარების პირობა? იმერეთში ნადის ქვეშ ივულისხმებოდა როგორც შრომითი დახმარება ანაზღაურების გარეშე, ასევე სანაცვლოდ ერთად მუშაობა. სამუშაოს პატრონი იწვევდა ხალხს დასახმარებლად და შემდეგ გულუხვად უმასპინძლდებოდა. ასეთი სახის შრომითი დახმარება ხდებოდა ანაზღაურების გარეშე. იყო მხოლოდ მორალური დალდებულება სამაგიეროდ სხვისი დახმარებისაც იმ შემთხვევაში, თუ ამ უკანასკნელს ეწნებოდა ამისი საჭიროება.

ურთიერთდახმარების ამ ფორმას განსაკუთრებით ხშირად მომართავდნენ თოხნის დროს, რადგან ეს უკანასკნელი იმერეთში მეტად შრომატევად სამუშაოდ ითვლებოდა. ხშირად იმართებოდა ნაგი მოსავლის აღების, გადაზიდვის, ასევე სიმინდის რჩევის, ხორბლებულისა თუ ჭადის ცეხვის ან სხვა სამუშაოების დროს.

ცეხვის, ასევე სიმინდის რჩევის დროს, ქალების ნაღი შეიწევდნენ ხოლმე. სიმინდის რჩევა, ჩვეულებრივ, დამე ხდებოდა. 20—25 ქალი მოიყრიდა თავს და ანაზღაურების გარეშე ეხმარებოდა ლჯახს. ცეხვის დროს ნაღში ახალგაზრდა, უმთავრესად გაუთხვარი ქალები იყრიდნენ თავს.

ჩვენი საველე მასალის მიხედვით, იმერეთში ნადი ფართო იყო გაერცელებული, მაგრამ მისი ანალიზი გვიჩვენებს, რომ ვა ინსტიტუტის ფუნქციები ყოველთვის ერთნაირი არ იყო მაგრა შემთხვევაში ის წარმოადგენდა ურთიერთდაბმარებას, სადაც ძრებრივ მდგომარეობას ჭერჯერობით გაულენა არ მოუწიდება შორის თრაგიანიზაციაზე, სხვა შემთხვევაში კი მას ფაქტიურად ჩამოშორდა ურთიერთდაბმარების აუცილებელი პირობა და გადაიქცა სოფლის მოსახლეობის შეძლებული ნაწილისათვის მუქთი მეშახელის შოვნის საშუალებად. ამ შემთხვევაში გარკვეულ როლს თამაშობდა სამუშაოს სახეობა, რომელიც საშულებოდა გაერთიანებული ძალით. ურთიერთდაბმარების ამ მარტივმა ფორმამ უფრო მეტად შემოინახა თავი შედარებით იოლი სამუშაოების შესრულებისას, რომლებშიც ხშირად ქალებისა და ახალგაზრდების შრომა გამოიყენებოდა (სიმინდის რჩევა, ცეცხა). განსაკუთრებით შრომატევადი და საშური სამუშაოების შესრულებისას კი, როდესაც დიდი მოთხოვნილება იყო მუშახელზე, ასეთ დახმარებას უმეტესად უშევდნენ შეძლებულებს, რომელზედაც ღარიბი გლეხობა ერთგვარად დამოკიდებულიც იყო.

ჩვენი მასალის მიხედვით, რომელიც XIX ს. ბოლოსა და XX ს. დასაწყისის სურათს ასახეს, ნადი აზნაური ან შეძლებული გლეხი აწყობდა. მოგვყავს სოფ. ლვანქიოში ჩაწერილი მასალა: „გაბეხაძეები იყვნენ გლეხები, თავადზე მეტი ჰქონდათ, დაუძახებდნენ გლეხებს და სამაგიეროს გარეშე ამუშავებდნენ. მაგრამ ისინიც ეხმარებოდნენ სხვადასხვა შემწეობით. ასევე ბაგრატიონებიც იხმარდნენ ხალხს. სამაგიეროდ ამათ ადგილები ჰქონდათ გაშვებული და ამაში გლეხები ზოგჯერ საქონელს აძოვებდნენ. ნადი შეძლებულები მართავდნენ, გინდა გლეხი, გინდა თავად-აზნაური“ (კონსტანტინე როსტომის ძე ხილინბეგიშვილი, 103 წლის, სოფ. ლვანქიო, 1973 წ.). მაშინადამე, შეძლებული, იქნებოდა ეს აზნაური თუ გლეხი, მხოლოდ ერთი გამასპინძლების ფასად შოულობდა მუქთ მუშახელს. კოლექტიური შრომის ამ სახეს ლენინი შრომამოგების ერთ-ერთ ფორმად თელიდა, სადაც გლეხები მუშაობდნენ „სინიდისის გამო“, ე. ი. მუქთად, მხოლოდ ჭამასმისათვის, რომ არ დაეკარგათ სხვა „საშოცარი“ მიწათმოფლობელთან“<sup>4</sup>.

მეორე შემთხვევაში ნადის პრინციპს წარმოადგენდა სანაცვლო მუშაობა — შრომითი დახმარების აუცილებელი ანაზღაურე-

<sup>4</sup> ვ. ი. ლენინი, თხ., ტ. III, თბ., 1948, გვ. 215—216.

ბა იმავე რაოდენობის შრომით. გარკვეული ჭგუფი (8—10 წელი) რიგრიგობით ეხმარებოდა ერთმანეთს. სანაცელო მუშაობაზე აგებული შრომითი გაერთიანება დამყარებული იყო ურთიერთშემცირებული შრომითი გაერთიანება და არ ატარებდა. რამაც დაკანონებულ ვალდებულებათა ხსნიას. იგი ბუნებრივი და აუცილებელი ჩანს წვრილი გლეხური მეურნეობისათვის. თოხნის დროს სანაცელო მუშაობის აღსანიშნავად ქევმო იმერეთის სოფლებში (ნაბაკევი, მათხოვი, ნახახულევი) იხმარებოდა „ნადური თოხნა“. მოხრობელის თქმით, „ნადი სხვაა და ნადური თოხნა სხვაა. ნადი შეძლებული მართავდა. ნადური თოხნა ისაა, რომ რამდენიმე კაცი რიგრიგობით ეხმარებოდა ერთმანეთს, ნადი კი ის იყო, როცა სამაგიეროს გარეშე ყველა ერთს ეხმარებოდა“ (ილარიონ ერასტის ძე სანოძე, 83 წ., სოფ. ნახახულევი, 1974 წ.).

თოხნის დროს ფართოდ იყო გავრცელებული „გადახმარიენა“, რაც გულისხმობდა ერთი კაცის მიერ მეორის დახმარებას: სამაგიეროს გადახდა შეიძლებოდა სხვა დროს და სხვა სახის შრომითაც.

როგორც სანაცელო შრომითი ურთიერთდახმარება, ასევე შრომითი დახმარება გასამრჩევლოს გარეშე პატრონის მოწვევით ცნობილი იყო სხვა სამუშაოების დროსაც (მოსავლის აღება, გადაზიდვა და სხვა).

პურეული მოსავალი კალოზე ილექტებოდა კევრებით, რომელშიც უღელი ხარი ან ერთი ცხენი იბმებოდა. იმ შემთხვევაში, თუ ოჯახს საქონელი არ ჰყავდა, მიმართავდნენ ე. წ. „სამზევედ-გალეწვას“ (ზემო იმერეთი). საქონლის პატრონი გაულეწილდა უხარი მოსახლეს პურს და ამაში აიღებდა ბზეს. გარდა იმისა, გავრცელებული იყო საქონლისა და კევრის „თხოვება“, რაშიც სამაგიეროს გადახდა ხდებოდა სურსათით ან შრომით. პირეულ შემთხვევაში ერთი დღით უღელ ხარისა და კევრში უნდა გადახედათ ერთი ბათმანი (10 კგ) ხორბალი, მეორე შემთხვევაში ორ დღეს სამუშაოდ წასელა იყო დაწესებული. გარდა იმისა, მიღებული იყო სანაცელოდ მუშაობა ლეწვის დროს, თითო ხარის პატრონები ჭერ ერთთან გალეწავდნენ კალოს, მერე მეორესთან. კევრი კისი იყო, ამას არ ჰქონდა მნიშვნელობა.

XX ს. დასაწყისისათვის იმერეთში საქმიოდ გავრცელებული ჩანს ქირით მუშაობა. დამქირავებელი, ჩვეულებრივ, იყო შეძლებული, ქირავდებოდა გაჭირვებული. ადგილობრივი შრომის სა-

ფასტურად ფულსაც იღებდნენ და სურსათსაც — დღეში ორ ბაზ-  
მან სიმინდს ან 50—60 კაპიკს. გარდა იმისა, რომ სოფლის შიგნით  
ხდებოდა მუშახელის დაქირავება, იმერეთის მთის სირფლებისა,  
რაჭიდან, ლეჩხუმიდან და სამეგრელოდანაც მოჰქონდნენ<sup>5</sup> კიბეჭყა-  
იმერეთის ბარის სოფლებში. სამკალად და პურის საცელად მოსუ-  
ლებს „ნამგლის კაცებს“ და „მაცელავ კაცებს“ ეძახდნენ.

განსაკუთრებით დამახასიათებელი იყო იმერეთიდან გასვლა  
ქირით სეზონერ სამუშაოზე საქართველოს სხვადასხვა კუთხეში.  
საშოვარზე წასვლა მცირებიშიანი გლეხისათვის საირსებო სახსრე-  
ბის მოპოვების ერთ-ერთ საშუალებას წარმოადგენდა. ფეოდალუ-  
რი ხანის საქართველოში საშოვარზე სიარულის შესახებ ბევრი  
საბუთი არსებობს<sup>6</sup>.

ჩვენს მეორ შეგროვილი საცელე მასალის მიხედვით, ქვემო  
იმერეთის სოფლებიდან ქირით მიღიოდნენ სათოხნად გურია-სა-  
მეგრელოში. ჩვეულებრივ, ჯგუფებად — რამდენიმე კაცი ერთად,  
მიღიოდა ერთი კვირით ან ათი დღით. მუშაობდნენ დღიურად, გა-  
სარმატელოდ იღებდნენ ფულს ან სიმინდს. ზემო იმერეთიდან მი-  
ღიოდნენ ქართლ-კახეთში: კახეთში სამკალად და საცელად, ქართ-  
ლში სამკალად, საცელად და სათოხნად; მუშაობდნენ დღიურადაც  
და ნარდადაც. ფასი სხვადასხვა დროს სხვადასხვა იყო. ინფორმა-  
ტორთა მოწმობით, 1903 წელს მკაში დღეში მანეთს, ან ექვს აბასს  
იღებდნენ. იმ რაიონებში, სადაც მეცხვარეობაც იყო განვითარე-  
ბული, მატყლსაც იღებდნენ გასამრჩელოდ — დღეში შეიძ გირ-  
ვანქას. შედარებით დიდი ჯგუფი (10—12 კაცისაგან შემდგარი)  
ერთი თვით ან ორი კვირით ნარდად იღებდა სამუშაოს.

მემინდვრეობასთან დაკავშირებულ საქმიანობაში შრომა გა-  
ნაწილებული იყო სქესის მიხედვით. ხენა-თესვა კაცის საქმედ  
ითვლებოდა. ზოგჯერ, მუშახელის გაჭირვების შემთხვევაში, ქალს  
შეიძლებოდა დაეთხა. კაცი კავს „მოეკიდებოდა“, ქალი თესავდა;  
თოხნა კაცის საქმედ ითვლებოდა. პურეულის მოსავლის აღების  
დროს ქალი იღებდა მხოლოდ გარკვეულ ჯიშებს (მახას, კენტექე-  
ლს, ზანდურს). მკაში ქალი იმერეთის ბარის სოფლებში არ მო-  
ნაწილეობდა, გაჭირვების შემთხვევაში იგი შეიძლებოდა ყოფი-

<sup>5</sup> ვ. ინგოროვა, სვანეთის საისტორიო ძეგლები, II, 1941; დოკუმენ-  
ტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, II, 6. ბერძნიშვილის  
რედაქციით, თბ., 1953; თ. სოსელია, ნარკვევები ფეოდალური საქართველოს  
გლეხობის ისტორიიდან, თბ., 1967, გვ. 175.

ლიკო მეხელეურე. მთის სოფლებში კი ქალი პურეულის მიხატლის აღების დროს კაცთან თანაბრად მონაწილეობდა, კოდვი მკიდა. კალოს კაცი ამზადებდა, ხოლო ლეჭვის დროს ერთნაირად მონაწილეობდნენ ქალი და კაცი. ღომის, ფეტვისა და პურეულის (ცენტრებელი, მახა, ზანდორი) კრეფა ქალის საქმეს შეადგენდა. სიმინდს კაცები და ქალები ერთად ტეხდნენ, ჩალას კაცები ჭრიდნენ, ხოლო სიმინდის რჩევა ქალის საქმედ ითვლებოდა.

პატარა ოჯახში შრომის ამგვარი დანაწილება ზოგჯერ ვერ ხერხდებოდა მუშახელის სიმცირის გამო, მაგრამ კოლექტიური შრომის სხვადასხვა ფორმებში შრომის სქესობრივი დანაწილება ყოველთვის ძალაში რჩებოდა. მაგალითად, მეს დროს ნადი ან მუშა გულისხმობდა მხოლოდ კაცების გგუფს. ოჯახის მიერ დამოუკიდებლად ყანის აღების დროს კი მცელავი ქალიც შეიძლებოდა ყოფილიყო. ასევე გარკვეული საქმიანობის შესრულებისას (სიმინდის რჩევა, პურის ცენტრი) ეწყობოდა „ქალების ნადი“.

ზემოთქმულიდან შეიძლება გვაყეთოთ შემდეგი დასკვნა:

იმერეთში მოქმედებდა კოლექტიური შრომის სხვადასხვა ფორმა, რომელიც შრომის ორგანიზაციის განვითარების ისტორიის სხვადასხვა სტადიის გამომხატველი არიან. იმერეთში დარასტურებული შემინდევრებასთან დაკავშირებული შრომის ორგანიზაციის ფორმები სირთულის მიხედვით შემდეგი თანმიმდევრობით შეიძლება დალაგდეს.

1. მარტივი ფორმა შრომის ორგანიზაციისა — გაჭირვებული ოჯახისათვის დახმარება ანაზღაურების გარეშე.

2. „ქალების ნადი“, სადაც ქონებრივი მდგომარეობა გვთვალისწინება არ ახდენდა შრომის ორგანიზაციაზე და სადაც შრომა არ იყო ნორმირებული.

3. კოლექტიური შრომა, რომელიც დგებოდა ერთ ბაბუიშვილობაში შემავალი პატარა ოჯახების მიერ გაუყოფელი მიწების დამუშავების დროს. ამ შემთხვევაში ერთ ბაბუიშვილობაში შემავალი პატარა ოჯახები მოსავალს თანაბრად ინაწილებდნენ იმისგან დამოუკიდებლად, თუ ვინ რით, ან რა სახის შრომით მონაწილეობდა.

4. „შებმული ხარები“, რომელიც გულისხმობდა გარკვეულ რეგლამენტაციის. ამ შემთხვევაში შრომითი გაერთიანების თუცლებელი პირობა იყო მუშა საქონლის თანაბრაზე რაოდენობით მონაწილეობა. კავითა და მუშახელით თანაბაზი მონაწილეობა არ

იყო აუცილებელი. ხვნა არ იყო რეგლამენტირებული, თავთვეული ოჯახი ხნავდა იმდენს, რამდენიც სჭირდებოდა. შრომის ძრავნიზაციის აღნიშნულ ფორმაში ჭერ კიდევ მოქმედებდა ნათესავის პრინციპი.

5. „შეზიარებაში“ („მომბავი“) მონაწილეობა უფრო მეტად იყო რეგლამენტირებული. ამ შემთხვევაში აუცილებელი იყო არა მარტო მეშა საქონლით, არამედ მუშახელითაც თანაბარი მონაწილეობა. ხენა აქაც არ იყო ნორმირებული, მაგრამ ამ შემთხვევაში ხდებოდა გათანაბრება სხვა სახის სამუშაოებში შრომის შეზიარებითა, თუ პირადი შრომით, თუმცა ეს ნორმები მტკიცედ დადგენილი არ იყო. გარდა ამისა, აქ ნათესაობის პრინციპი არ მოქმედებდა. ამდენად, შრომის ორგანიზაციის ეს ფორმა შედარებით უფრო გვიანდელი ხანის ურთიერთობათა ამსახველი უნდა იყოს.

6. სანაცვლო მუშაობის პრინციპშე ავებული შრომითი გაერთიანება (მაგიერობა, ნადი, ნადური თოხნა, მუშა) დამყარებული იყო ურთიერთშეთანხმებასა და თანასწორუფლებიანობაშე და არ ატარებდა რაიმე დაკანონებულ ფალდებულებათა ხსიათს.

7. კოლექტიური შრომა (ნადი, მუშა), რომელიც ეწყობოდა შეძლებულთან, მისი მოწვევით, ანაზღაურების გარეშე. მიწის პატრონი, თავის მხრივ, მთხოვბელის სიტუაციით რომ ეთქვათ, „ეხმარებოდა სხვადასხვა შემწეობით“ და ამით ერთგვარად ავალდებულებდა ხალხს და შოულობდა მუქთ მუშახელს. კოლექტიური შრომის ამ სახეს ლენინი „შრომამიგების“ ერთ-ერთ ფორმად თვლიდა<sup>6</sup>.

Т. Ш. ГЕЛАДЗЕ

## ФОРМЫ ОРГАНИЗАЦИИ ТРУДА В ИМЕРЕТИИ

Резюме

В конце XIX и в начале XX веков в Имеретии в связи с полеводческими работами возникали временные трудовые объединения, которые по своему характеру отражали разные стадии истории развития организации труда.

По этнографическим материалам установлены опреде-

<sup>6</sup> ვ. ი. ლენინი თხ., ტ. III, თბ., 1948, გვ. 215—216.

ленные формы коллективного труда, более или менее сложные по своему характеру:

1. Самой простой формой организации труда являлась безвозмездная трудовая помощь бедняку.

2. Коллективный труд при лущении кукурузы, при котором собирались женщины. В данной форме организации труда имущественное положение семьи, которой помогали, не играло роли и труд не был регламентирован.

3. Коллективная форма труда, которая применялась для обработки неразделенных земель, которыми сообща владели родственные объединения «бабуишвилоба» (патронимия), образованные посредством сегментации семейных общин. В данном случае маленькие семьи, входящие в одно «бабуишвилоба», поровну делили урожай, независимо от степени участия в работе.

4. Сравнительно сложную форму организации труда представляла трудовая взаимопомощь «Шебмули хареби», в которой объединялись родственники и которая содержала определенную регламентацию.

5. В форме трудовой взаимопомощи «Шезнареба», эта регламентация являлась более детальной и в ней фактор родственности не играл роли. Поэтому должно быть, указанная форма организации труда по сравнению с предыдущей отражает отношения более позднего периода.

6. Форма организации труда, которая была основана на принципе обязательного возмещения затраченного труда («нади», «надури тохна», «муша», «магнероба»).

7. Трудовая помощь без возмещения («нади», «муша»), крестьяне собирались по приглашению владельца земли. Эта форма коллективного труда генетически восходит к тому периоду, когда она являлась видом отработки барщины. Указанная форма коллективного труда к тому периоду, к которому относится собранный нами этнографический материал, утратила свое первоначальное содержание, но продолжала существовать, опять являясь средством эксплоатации.

## ა. გადალათია

### გეცხოველიობა ზემო იმპრეობი!

ზემო იმპრეობის მეურნეობის ძირითად დარგებს წარმოადგენდა მიწათმოქმედება და მესაქონლეობა. მეურნეობის ეს ორი დარგი ურთიერთშერწყმული იყო და რამდენადმე შეზღუდულ ხსნას ატარებდა.

ექ აშენებდნენ ძროხას, ცხვარს, თხას, ცხენს და კამეჩს (მდინარე ყვირილას ზედა წელის ზოგიერთი სოფლის გარდა თითქმის ყველგან ჰყავდათ კამეჩები).

ტერმინით ოთხფეხი აღინიშნება ძროხა, ცხვარი, ლორი, თხა, ცხენი, კამეჩი. სხვილფეხი ძროხას და კამეჩს ეწოდება, წვრილფეხი კი გულისხმობს ქათამს, ბატს, იხვს, ინდაურს და ციცარს. შინაური ცხოველი და ფრინველი ზოგადად მოიხსენიება ტერმინით — საყოლიებელი. მსხვილფეხის ჯოგს ნახირსაც უწოდებდნენ. მაწველი აღნიშნავს მეწველ საქონელს. ჩვეულებრივი მნიშვნელობის მქონეა ტერმინები — ბერწი, ურწანი (გაურწნებული), ჭანი (ცუდად დაყოდილი ხარი).

ძროხის მაკინტოლობა აღინიშნება ტერმინებით — აჭურებული ||ატეხილი|| ავარდნილი, თხისა — აბოტებული. მაკე პირუტყენე ამბობენ თავი დაიცვა ||მოვლილია. დამაკებილან რვა თვის შემდეგ ფური ძემს დაიწყებს, თვეში ჩამდგარი ძემს დაუშვებს. ხბოს მოვების შემდეგ მამყოლი ||ბუდე ანუ სახბოე მოდის. ახლად მოგებულ ძროხა სამ დღემდე ხსენს იწველის. მოვებულ ხბოს ნამატი ჰქვია; ძროხის ცურს ჭიქანი, თითებს ლეროები ეწოდება; ცური შეიძლება იყოს ჭიშკვიანი (ძნელად მოსაწველი); ხბოს მიერ ძემს

<sup>1</sup> გამოკვლევა ეყრდნობა საჩხერისა და ჭიათურის რაიონებში (სოფლები — ბერეები, ჭალა, დარყა, კორბოული, არგვეთი, ქორეთი, ჭალოვანი, ზოდი, ზედუბანი, თვალუეთი, ტყემლოვანი, დიდი და პატარა ჩხიროული) 1971 წლის „იმპრეობის ეთნოგრაფიული ექსპედიციის“ მუშაობის დროს შეგროვილ მასალას.

გამოწოვის გამოლოცნა<sup>2</sup> ეწოდება. ძროხის წველიან საში თითო, თხას მუჭით. თუ ძროხა ჩეს არ იძლევა მმალავი პქვია. ძროხა შეიძლება იყოს დანაღრიბალებული (მოუკლელობით დაგლისტერული), ჯანდარევი, ხიოვი (გამხდარი), ამლავი (აზიზად მჭამელი)<sup>3</sup>.

ხარი შეიძლება იყოს ოჩანი, რბილი, ფიცხი, ცქვიტი, ფოხობია, რჩოლია. „მოზევერს ეტყვიან ფიცხი გამოდი, მბილო არ გამოხვიდეო“<sup>4</sup>.

მცირე ასაკის მსხვილფეხს წლამდე ხბო||ბოჩოლა ეწოდება, მას მოფერებით კოტინასაც ეტყვიან (კოტინია — სამეგრი). ორიდან სამ წლამდე ასაკის დედალი პირუტყვა დეკეული ანუ უშობელია, მამალი—მოზევერი, შემდეგ შესაბამისად ძროხა და ხარი. მცირე ასაკის კამეჩი ზაქად იწოდება, მოგების შემდეგ დედალი ფურქამეჩია, დაკოდილი მამალი — ხარეამეჩი. მცირე ასაკის თხას თკანი პქვია. დედალი თხა მოგებამდე დარგაა (ტერმინი დარგა იგივე მნიშვნელობის მქონეა სამეგრელოსა და სვანეთში), მამალი — დაკოდვამდე ბოტი, შემდეგ — უცი. მცირე ასაკის ცხვარს კრავს უწოდებენ, დედალს მოგებანდე ნეზვი კრავი, მამალს დაკოდვამდე ვერძი კრავი, მოგების შემდეგ დედა ცხვარი, დაკოდვის შემდეგ ვერძი პქვია. ცხვარი გორგობის თვეში დაიკავს თავს და მარტში კრავს დააჭენს||დაირავიანდება. იმერული ცხვარი წლის განმავლობაში ზრდის სამ ბუდეს და შობს ერთ ან ორ ბატყანს, სამს იშვიათიდ. ცხვარს არ წველიან. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საერთოდ იმერეთში ცხვარი ფარად არ ერთიანდება. ამ გარემოებას ჯერ კიდევ ვახუშტიმ მიაქცია ყურადღება: „გარნა ცხოვარი უდუმონი და კუდიანნი, მარალის მშობელნი ტყუბთა, და ოდესმე სამთა-ოთხთა, ორცა ჰყავთ არვედ“<sup>5</sup>. ძეელად მთელ საქართველოში ფართოდ გავრცელებული, კუდიანი, უდუმო აღგილობრივი ჯიშის ცხვარი მხოლოდ იმერეთს შემორჩი, რაც იმით უნდა აისნას, რომ მეურნეობის აღნიშნული დარგის წარმოების ფორმა და როლი არ შეცვლილა. თხა თიკანს იანვარში იგებს, თიკნიბა||დოლიანობა თებერვალშიც გრძელდება. ნაგვიანევი კი მარტს გაპყვება.

მსხვილფეხი პირუტყვი შეწველისა და გამწევი ძალის სახით

<sup>2</sup> ქ. ძო შე ნი ძე, ზემოიმერული კილოვავი, თბ., 1973, გვ. 465.

<sup>3</sup> ი ქ ვ ვ, გვ. 467.

<sup>4</sup> ბ. შერეთელი, ზემოიმერული ლექსიკონი, ქართველურ ენათა ლექსიკა, I, თბ., 1938.

<sup>5</sup> ვ ა ხ უ შ რ ი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თბ., 1941, გვ. 1.

ჟველას ჰყავდა. ინფორმატორთა ცნობით, ჟველაზე მეტი საქანქული იმერეთის მთიან ნაწილში იყო. მათივე თქმით, „უწინ უფრო ხუკუკი დიებლით უცხოვრობდით“.

მსხვილფეხთან ერთად აშენებდნენ ღორსა და ცუცუასტა, საცუცუასტა რომ მაღლა მდებარეობდა სოფელი, მით უფრო კლებულობდა ცხერის რაოდენობა და მატულობდა თხის რიცხვი. პერევეში ოჯახი ათ სულ ცხვარზე მეტს ვერ იყოლიებდა, რადგან თოვლიანი ჩამორის გამო გაძნელებული იყო ცხვრის ბაგური კვებით შენახვა.

საყოლიებელი ზამთარ-ზაფხულ სოფელში ჰყავდათ. გამონაკლისს შეადგენდა მაღლამდებარე სოფლები, სადაც პირუტყვი ზაფხულობით თაში (მთა), ხოლო ზამთრობით, რამდენიმე თვით, სოფლის გარეთ მდებარე პარალელურ სამეურნე ბაზებში მიჰყავდათ. სამეურნეო ბაზის, გარდა გოგრაფიული სახელისა, სპეციალური აღმნიშვნელი სახელწოდება არ გააჩნია. სოფლის გარეთ მდებარე საზაფხულო თუ საზამთრო სამეურნეო ბაზის გამოყენებას ზემო იმერეთში (საჩხერისა და ჭიათურის რაიონები) ორგანობა ||ოგნაობა ეწოდება. ამ სახის მეურნეობას მისდევდა ის ოჯახი, ვისაც ბერი ხინანი ჰყავდა. მცირერიცხვან ოჯახებს მისი წარმოების საშუალება არ ჰქონდათ.

სოფელი დარყა საზაფხულო საძოვრებად შემდეგ მოებს იყენებდა — დიდპერანგა. რიბისა, ხინათა, ჭაბუკთა, ძირულა (მღძირულის სათავე). საქონელი მთაში მაისის ბოლოს მიჰყავდათ. დიდპერანგაზე წაყვანილი პირუტყვი სექტემბერში მთის ძირში, ლექნარში, ჩამოყავდათ და ოჯახების ნაწილი იქ დეკემბრის ბოლომდე ანუ ზამთრის პირამდე რჩებოდა. ლექნარში ჰქონდათ ბოსლები და სახნავ-სათესი ნაკვეთები, სადაც ითესებოდა ქერი, შერი და კარტოფილი. ბოსლები ჰქონდათ აგრეთვე ჭაბუკთასა და ჭიათულაზე. ბოსლებში თივა მთიდან ჩამოჰქონდათ ლაშვინით.

სოფ. ჭალოვანის ეკუთვნოდა მთა კორტოხი. იქ საქონელი მიჰყავდათ კიქოლეების, კოცხეების და ოთაშვილების უბნებს. მთათან ჟველაზე ახლოს იყო დათუნაშვილების კუთხეზე, მაგრამ მთა პირუტყვი გაშვებული იყო ბეკილაურის, რიკონაულისა და სამო-

\* სოფ. ჭალოვანის კუთხეებია (უბნებია) — დათუნაშვილები, ჭაჭეები, კაცები, ლომისაძეები, კიქოლეები, ნაშირიშვილები, ოთაშვილები, კოცხეები. ოთაშვილების, ლომისაძეებისა და ნაშირიშვილების გარდა ჟველა გასახელებულია მათი გვარებია შუბითიძე, ხარაიშვილი, ლაცაბიძე, ცარციძე.

ლას მთების ქვემოთ მდებარე საძოვრებზე (ოტიასეული, ლაშვითხევი, ნეშტარი, ნაკოდი, ქიშმოლარი, ქვარნალი).

სოფ. ჩხიროულიძან კეასალიების სერი მდ. ხელვობმურის ხეობაში ეკუთვნოდა აღგილი „ბარდნალი“. აქ ჰქონდათ უნაცხები და ყანები. ზამთარში ბარდნალში მშრალ საქონელს ტოვებდა ხუთი ოჯახი, აქვე ჰქონდათ სახლები და ბოსლები (სახ-ბოსელი). „ბარდნალში თოვლი აღრე გაზაფხულზე რილობდება (ცრელდება) და ზალახი-იშოება“. ასევე ორგანობდა სოფ. კორბოული.

იქ, სადაც ახლოს არ ჰქონდათ საზაფხულო საძოვრები, მეწევი მუდმივად სოფელში ჰყავდათ, ხარები კი, ალოს რომ ჩაათავებდნენ, მაისიდან მიყავდათ მთის სოფლებში — თაში აბარებდნენ. სოფლებს ზედუბანს, ზოდს ხარები რაჭაში მიყავდათ (სოფ. კეცები, ხორევი, თლუხი), სოფ. არგევთ ჯალაბეთში და ა. შ. ულელ ხაზე ათ მანეთს იხლიდნენ. იკოდნენ აგრეთვე საქონლის აბარება: მთაში წასული ოჯახი მიიბარებდა მეზობლების საქონელს და გარევეულ საზღაურს იღებდა.

სოფელი საქონლის მწყემსსაც იყვანდა მაისიდან ენკენისთვის დამსუმარდე და ერთ სულზე ერთ კოდ სიმინდს აძლევდა (კოდი ანუ ბათმანი — 40 კგ).

თხებს ყელგან აშენებდნენ, მაგრამ ყველაზე მეტი რაოდენობით ჰყავდათ მთის სოფლებში (ჭალა, პერევი, დარყა), სადაც მეჭოდეობასაც მისდევდნენ, რაც, როგორც დადგინდა, მეგრელ მეჭოგეთა აქ მოსულის შემდეგ განვითარებულა. მეგრელ მეჭოგეთაგან საჩხერის რაიონში ცნობილი იყენენ დარსალიები და პაპავები, რომლებიც საძოვრებად იყენებდნენ ჭალის, პერევისა და დარყას მთებს: დიდი სხეპარი, პატარა სხეპარი, პერანგა, ლოხონი, რიბისა, ხიხათა, პეპელიეთი. ერთ-ერთი პირველი იმერელი მეჭოგე იყო დოტია (როსტომ) აბაშიძე (სოფ. ჭალა), როგორც თვით დოტიამ გადმოგვცა, მას მეჭოგე დარსალიებისაგან<sup>7</sup> თხები სანახევროდ აუყვანია და

<sup>7</sup> გადმოცემით, ხუთი ძმა კაპანიძე გამოქაულა გურიიდან და ჩხიროულში დასახლებულა, რომელიც რამდენიმე სერის ანუ უბნისაგან შედგება: ორლელი, ეკასალიების სერი, ფირანა ბიქების სერი, ბეეიკი ბიქების სერი, ივანიკი ბიქების სერი, ნიქანაძეების სერი, მალხაზის სერი. ეს ორი უკანასკნელი ბეეიკი ბიქების ფუძეები ანუ განაყრები იყენენ... კაპანაძეების ცალკეულ ოჯახებს შემდეგი სახელებით მოიხსენიებდნენ — ქექიბი, პოტიტები, ერეკლეები, ილიკები და ა. შ.

<sup>8</sup> დარსალიები შეიძი ძმა იყო და მათ ჯოგში თხებთან ერთად ჰყავდათ „დაუხედნეი“ მოზეგრები, შევი ცხვარი (თის ცხვარი) და მეწეველი საქონელი, რომელსაც არ შევიდნენ. რე მთლიანად სახარე ხბოებს ეძლეოდა, რათა ტანადნი და თამამ-5. მასალები იმერეთის ეთნოგრაფიული შესწავლისათვის

მოუმრავლებია. მათ ჭოვი მაისში მიჰყავდათ რიპრაზე ცეკვა წყლის აბანო, პეპელიეთი). თუ ჭოვს მაისამდე გარეკავდნენ, მოს ძირში დაბინავდებოდნენ უა შემდეგ გადაინაცლებიდნენ ჰერთზე ზამთარში დოტისა და დაწსალიებს ჭოვი ჩიხითაში ჩამოყალიბდნენ. იქ სახლი დაეწეოთ და ნასახიზრებში გაღმოვიდნენ. ნასახიზრებს მიწა ახალპირი იყო და ნაკელიც ბევრი ჰქონდათ, ამიტომ კარგ მოსავალს რეცდნენ. იმდენი ლობით და კვახი ჰქონდათ, რომ 5—6 ურემი საჩხერის ბაზარში ჩაქონდათ გასაყიდად. ჩიხითასა და ნასახიზრებში თხები ტყეში ჰყავდათ გაშვებული და შეერითა და კურით კვებავდნენ.

სოფ. პერევში იასონ შუკაეიძე მისდევდა მეჯოგეობას. იმის გამო, რომ დოტია აბაშიძის თხები მეგრული ჯიშის იყო და აუგოლობრივთან შედარებით გამალეობით გამოიიჩიოდა, შუკაეიძემა (იასონმა და მისმა ბიძაშვილებმა) სანახევროდ აიყვანეს დოტის თხები. მათ 700 თხა ჰყავდათ, აქედან 400 მეტველი იყო და ერთ იჯჩაზე (ერთ ჯერზე) სამ ფუთამდე ყველი ამოყავდათ. შუკაეიძეები ზაფხულს რიბისასა და ხიხათაზე ატარებდნენ, გიორგობის თვეში ლოხონის ტყეში მიღიოდნენ. ლოხონი საწერეთლო იყო და პატრიოტიკით სარგებლობისათვის მათ ბაეს ახდევინებდა — „თას გასცემდა და საბაჟოთ“. შუკაეიძები აქ თებერვლამდე რჩებოდნენ, ბინავდებოდნენ მთაწმინდის გვერდზე, სადაც ჰქონდათ თაველა (ძელური შენობა, ყავრით დახურული და ლატებით გატიხული). თიქნობაზოლიანობის დროს ჭოვი ლვანაში მიჰყავდათ. მეჯოგეობას მხოლოდ მამაკაცები მისდევდნენ: წევლიდნენ თხებს და ამზადებლნენ ყველს. მათ საკვებს შეადგენდა მჭადი, თიქნის ხორცი, რძე, მაწონი და ჭიკა ფაფა<sup>9</sup>. ატარებდნენ ღაზლის სამოსს; ქსოვილი მზადდებოდა ნაცრისისური ძაფისაგან, რომელსაც თეთრი და შავი ფერის მატყლის შერევით იღებდნენ. ფეხზე ქალამნებს იცვამდნენ და სათბოსათვის შიგ თომს იფენდნენ. ყინვაში ხმარობდნენ ბანდულს, რომელიც ტერცს მთლიანად ფარავდა.

მდინარე ყვირილს ზემო წელზე, სადაც სჭარბობდა წაპლნარი და მუხნარი ტყეები, ფართოდ მისდევდნენ მელორეობას. სოფ. დაჩყაში ცალკეულ ოჯახს 50—60 ლორი ჰყავდა. ჭოვს სექტემბერში

ნი გაზრდილიყნენ და ზამთარში თავი თვითონ გაეტანათ. შევი ფერის ცხელი თხას სავით გამდევ იყო.

<sup>9</sup> ჭიკა ფაფა — დილით ამოყვანილ ყველს ჩაფუნდნენ ურატში, მაუკადებდნენ ფქვილს და წამოღულებდნენ.

ტყეში გაუშვებდნენ მწყემსის გარეშე და „სანამ თოვლი არ მოუ-კავებდა ფეხს“, შინ არ მოყავდათ. ჭოვს მიუვებოდა დედაშვილები ტახი. ჩვეულებრივ დედალორი კლდის ძირში ირჩევდნენ — ზოგი სოფლის ლორები უბნა-უბნა ბუნაგობდნენ — დიდ დელეში, ცულიყუაში, ლექნარში, პერანგას ძირში, ჭაბუკაში, კონიორში. მგელი არ იყო საშიში, რადგან მას დედალორიც კი მოერეოდა — მგლის უბილები ქონის სქელ ფენაში მცლემდე ვერ აღწევდა, ლორი კი თავის ეშვებით მგლის ტყავს ფლეოდა.

იანვარში სოფელში მოყვანილი ლორები ახლომდებარე ტყეში გადიოდნენ და გვიმრის მირებით იყვებდებოდნენ.

ორგანობის ტიპის მეურნეობა ქვემო იმერეთის (ზალდადისა და ვანის რაიონები) მთიანი ნაწილისთვისაც ყოფილა დამახასიათებელი, თუმცა ტერმინი „ორგანობა“ იქ არ დასტურდება<sup>10</sup>. ორგანობა გულისხმობს ძირითადი სამეურნეო ბაზის პარალელური საზაფხულო და საზამთრო დამხმარე ბაზების არსებობას. იმერეთში დამხმარე სამეურნეო ბაზა მიწათმოქმედებისა და მესაქონლეობის ინტერესებს ერთნაირად ემსახურებოდა. სწორედ იქ წარმოებული სამიწათმოქმედო სამუშაოები აძლევს მეურნეობის აღნიშნულ სისტემას ასეთ სახელშოდებს — ორგანობა. ოოგორც რ. ხარაძე და ა. რობაგიძე დამატებითი პარალელური სამეურნეო ბაზების სისტემის ანუ მთიულური ორგელაობის არსის განსაზღვრისას იდგნენ, ასეთი ბაზა თავდაპირეველად შეხლოდ მესაქონლეობის ინტერესებს ემსახურებოდა, მაგრამ შემდგომში მას გადამწყვეტ შნიშვნელობას აქ წარმოებული სამიწათმოქმედო სამუშაოები ანიჭებდა<sup>11</sup>. იმერეთის პარალელურ სამეურნეო ბაზებში მიმდინარეობდა ახალპირა მიწების გატეხვა, სადაც თესავლნენ სიმინდს, ქერს, შვრიას, ფეტვს, ხორბალს, კარტოფილს, გოგრას, ლობიოს. აქვე ჰქონდათ საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობათა კომპლექსები.

ამრიგად, ზემო თუ ქვემო იმერეთის მთიან ნაწილში თავს იჩინს კავკასიის მთიანეთის მეურნეობისათვის დამახასიათებელი კანონმიერება — პარალელური სამეურნეო ბაზების არსებობა, რაც გამოშვეული იყო მოსახლეობის ზრდითა და სანავ-სათესი მოწების ნაკლებობით.

<sup>10</sup> გ. ჩიტია, იმერეთის ექსპედიცია (ზალდადის რაიონი), ენობენ მომბე, II, ტც., 1937; Р. А. Харадзе, Грузинская семейная община, I, Тб., 1960, стр. 67, 68.

<sup>11</sup> რ. ხარაძე, ა. რობაგიძე, მთიულეთის სოფელი ძელად, თბ., 1965, გვ. 14.

საქონლის ძირითად საზამთრო საკვებს ჩალა წარმოადგინა. ითიბებოდა სათიბი ნაკვეთები, აგრეთვე გარემო (სახლთან) და კაროები (წყლიანი ადგილი ყანაში). სათიბად ქართული ტელი გაითა ყენებოდა. თივის აღებისას იხმარებოდა ფიწალი და ფიჭული. აღმულ თივის ბულულებად დგამდნენ და თავზე გვერგვს აქავდნენ. სახლში მოტანილს ზეინებად აგებდნენ, სიმინდის ჩალის ზეინებს, კი საჩალებში ინახავდნენ. საქონლის საკვებად გამოიყენებოდა აკრეთვე ნაქერალი (ქერის ბზე), ნაპურალი, ნალობიერი და ნაძძიარი (ძაბა—სოია). ბზეს საბძელში ინახავდნენ. პირ გაზაფხულზე, როცა საკვები შემოაკლდებოდათ, ტყიდან მოჰქონდათ ძერხელი, შეკრი და კუორი.

რაღაც მექოგეებს მსხვილფეხიც ჰყავდათ, ზამთრისათვის სიმინდის ჩალას იმარაგებდნენ. ამისათვის მათ საზამთრო სადგომებითან სიმინდი მოჰყავდათ, ხოლო დადოლიანებული თხებისათვის შემოგვომაზე ინახავდნენ შეერის კონებს. ხარს, ცხენსა და კაშეს ჟერსა და შერისა აძლევდნენ.

წყაროსთან სასმელი წყლის დასაგროვებლად იდგა ხის ან თხის კოდი (ტყემლოვანი, ჩხირეული). ხის გეგა გამოიყენებოდა საურლიერელის საჭმლის ჩასასხმელად. პქონდათ აგრეთვე ხის და თხის სანარცხეები. თიხის კოდები ანუ სანარცხეები უმეტესად კურამიული წარმომბის ცენტრებში გვხედება (ტყემლოვანი, დიდი და პატარა ჩხირეული, გეზრული).

ძროხეული ეწოდება რძესა და რძის პროდუქტებს. რძისაგან ამზადებდნენ ყველსა და ნადულს. მაწონი მხოლოდ მეჭოგეებს პქონდათ. ძროხასა და თხას წველიდნენ „მიწის“ ქოთნებში, ხის კოფალაში||ქოფაში. სახლში ყველი თიხის ქოთანში ამოჰყავდათ, მთაში ხის კასრებში (დარყა, პირევი). რძის საწურავი სასამოსლე შალისაგან მზადდებოდა. შემთბარ რძეში ჩაუკიდებდნენ საკიდელს, შემდგარს ხელით „გადღობავდნენ“, თოთოს აჭულეტავდნენ და შრატა მოწურავდნენ. შრატს||წაკას ჩაადულებდნენ და გაწურვის შემდეგ სანარცხეში ასხამდნენ. ახლად ამოლებული ყველის დასადებად გამოიყენებოდა ხის ან ქაშანური ჭამი (ქაშანური და ინგლისი გორელებს მოჰქონდათ) და ხელფინა.

საკიდელი (ყველის დედა) ლორის, თიკნის ან საქონლის მაჭიკისაგან მზადდებოდა. მას მარილში, ძმარში, შაბსა და არაუში „ამწნიდნენ“, შემდეგ კი ახმობდნენ. გამოიყენების დროს გამშმარ მაჭიკს ქოთანში ან სასაკიდლე კოფალაში დებდნენ (სასაკიდლე კოფალი საწველელისაგან განსხვავებით უტუჩო იყო) და შრატს ასხამ-

უნენ. აქვე ამატებდნენ ლობიოსა და პურის მარცვლებს, კვარცხის ნაჭუჭის, ლორის ყბის ძვალს (სვანეთის იფარის თემში ყველის კვაზ-ში ხბოს ფეხის ძვალს უმატებდნენ). საკიდელს წიფლის სოკოჩარ-ნაც ამზადებდნენ. ხალხური გამოცდილებით, ახალ მთვარეზე დაკ-ლული საქონლის მაჭიიკი არ ვარგოდა — „ერთ ყველს ვერ ამოყუ-ვანს. კარგია ძველ მთვარეზე დაკლული, წელგამოვლილი პირუტ-ყვის მაჭიიკი“. წიფლის სოკოს საკიდელს იმერელი მეჭოგები მხო-ლოდ იმ შემთხვევაში იყენებდნენ, როცა ყველს სახეცრელი ყვე-ლით მოვაჭრე ებრაელების დაკვეთით ამზადებდნენ, რომელნიც არ ყიდულობდნენ ლორის ან სხვა საქონლის მაჭიიკისაგან დამზადებუ-ლი საკიდელით ამოყუანილ ყველს. ხალხური გამოცდილებით — „რასაც მაჭიიკის საკიდელი ამოყუვანს, იმისი ნახევარი ერქ ათვ-ყავს სოკოს საკიდელს“. ყველით მოვაჭრე ებრაელები რამდენიმე დღით მიღიოდნენ მთაში, კარავს დგამდნენ მეჭოგის ბინასთან ახ-ლოს და თვალყურს აღევნებდნენ ყველის დამზადების პროცესს.

ყველის შესანახად გამოიყენებოდა დერგილა, დერგი და ჭუ-რი. შესანახ ყველს წათხს (მარილწყალს) ასხამდნენ. ყველიან დერგს დგამდნენ როგორც სახლში, თაროს გაგრძელებაზე. ა-ვე ბელელსა და მარანში, ყველიანი ჭური კი ჩაფლული პეტრათ სახლში (თაროსთან ახლოს) ან მარანში. ჭურიში 13-დან 14 ოყამდე ყველი ეტეოდა. ზოგჯერ მარილიან ყველს მზეზე ახმობდნენ და შემდეგ ბელელში კიდებდნენ. აქვე ინახებოდა ლორის ლორი და ბა-ტის ან იხვის აპოხტი. ლორის ან აპოხტისათვის ხორცის ჩამწიდნენ (დაამარილებდნენ) და შემდეგ ზესხვაზე (აყარი) კიდებდნენ. ზეს-ხვა ჭერისა (მუნჩი) და შუაცეცხლს შორის თავსდებოდა. საერთოდ ზამთრისათვის მხოლოდ ლორი, ბატი და იხვი იკვლებოდა; მსხვილ-ფეხს ამ დანიშნულებით არ იყენებდნენ.

ზემო იმერეთში საქონლის ძირითად საზამთრო სადგომს პო-სელი წარმოადგენდა. როგორც ცნობილია, ყველაზე ძველ ხის ნაგე-ბობად გარგვალი ანუ ძელური შენობა უნდა ჩაითვალოს<sup>12</sup>, რო-მელიც ერთსართულიანი იყო და ერთ ჭერქვეშ აერთიანებდა იდა-მიანისა და საქონლის სადგომს. მას საგალაბო სახლსაც უწოდებ-დნენ. ასეთი სახლის წინა მხარეს ადამიანის საცხოვრებელი, უკან კი საქონლის სადგომი თავსდებოდა. ამავე დროს ის გატრეჩული ან გაუტიხრავი იყო. ზემო იმერეთში გვხვდება ორსართულიანი, ძელური ტიპის შენობა, რომლის პირველ სართულს ბოსელი წარ-

<sup>12</sup> კ. კახიანი, გლეხის კარმილაშვილის იმერეთში, თბ., 1964, გვ. 140.

მოადგენს (სოჭ. ჭალოვანი). შედარებით გვიან, როდესაც ოჯა საჭ-  
ლის გავრცელებამ საყოველთაო ხასიათი მიიღო, ბოსლი სოულ-  
ად დამოუკიდებელ ნაგებობად იქცა და გლეხის კარიმფუმის,  
გარუეული იდგილი დაიკავა. ბოსლის იატაზე ჭერის ტრადიცია  
ხები) აგებდნენ, კედლების გასწორივ კი ბაგა კეთებოდა, რაზე-  
დაც საქონელი კანდრიბით იბმებოდა. კანდრიბი მზადდებოდა მე-  
ხის, იელის, წაბლისა და თხილის ტოტებისაგან. რკალის ფორმის  
ტოტი პირუტყვს უელზე ამოედებოდა და ზემოდან აპეურით შეი-  
კრებოდა. კანდრიბი დაგრეხილი წნელით მაგრდებოდა ბავაზე.  
ბოსლში საცხვრე (სამცხევრე) უალკე იყო გატიხრული.

ინტერესს იწვევს გლეხის კარმიდამო მისი შემადგენელი ნა-  
წილებითა და სამეურნეო დანიშნულების მქონე ნაგებობათა გა-  
ლიგების თეალსაზრისით.

იმერელი გლეხის კარმიდამო მონოგრაფიულად შესწავლილი  
აქვს ენოგრაფ კ. კახიანის. იგი წერს: „ეზოს იმ ნაწილს, რომელიც  
სახლის წინ მდებარეობს, ქვემო იმერეთში ეწოდება „წინა ეზო“  
(სამტრედის, ხონის, ვანის, ქუთაისის, ზესტაფონის, მაიკოვესის,  
ბალდაძის, ნაწილობრივ ორჯონივიძისისა და ხარაგაულის რაი-  
ონებში) და „სუფთა“ ანუ „წმინდა ეზო“, ხოლო ზემო იმე-  
რეთში „თეთრი ეზო“ (საჩხერის, ნაწილობრივ ტყიბული-  
სა და ზესტაფონის რაიონებში) და „ბაკი“. წინა ეზოში თაქსდება  
სასიმინდე (ზოგან ნალია ან ძარა), ბელელი და ხულა, ჭა და წყარო.  
სახლის მარჯვნივ და მარცხნივ მდებარე ეზოს ნაწილებს უწოდებენ  
გვერდით ეზოს. ზოგან გვერდით ეზოში სამზადი დგას. ზოგან ოჯა-  
ხის სამეურნეო ნაგებობები მოქცეულია ერთ-ერთ გვერდით ეზო-  
ში. სახლის უკან „უკანა ეზო“ მოქცეული, რომელსაც ესაზღვრება:  
გარემო ანუ მიდამო. აქ არის ბოსელი, სალორე, საქათმე, საბატე  
და სხვა. „შავ ეზოს“ საჩხესაც ეტყოდნენ. საჩხეში იდგა საქათ-  
მე, სალორე, ბოსელი, თავლა, ფარეხი, საბძელი, „საბატიელი“ და  
„სანაკელე“, ზოგჯერ ფეხსაღვილიც. შავი ეზოს იმ შემოზღუდულ  
ნაწილს, სადაც ზაფხულობით საქონელს ამწყვდევდნენ, ბაკე და  
ქართას ეტყვიან“<sup>13</sup>.

უნდა აღინიშნოს, რომ ზემო იმერეთის (საჩხერისა და ჭიათუ-

<sup>13</sup> ავტორი შენიშნებს, რომ ბაკი ზოგიერთ სოფელში მთელ ეზოსაც ეწოდება. მას მიაჩინა, რომ ტერმინი ბაკი უკავშირდება დასახლების, იდგილზე დამკვიდრების ცნებას. კ. კახიანი, დასახ. ნაშრომი, გვ. 85—87.

რის რაიონები) უმეტეს სოფლებში წინა ეზოს პირველ გოვშე გოიხსენიებდნენ, როგორც „ბაკეს“. ეს, მთხოვბელთა თქმით, „ეწინ-დელი სახელია, შემდეგ კი თეთრ ეზოს ეტყვიან“. ერთ-ერთ უფრო რომ სახლის წინ მდებარე ეზოს ზემომეტული სახელწილაშების მიზანი გადასახლების აღრინდელ დანიშნულებაზე უნდა მიუთითებდეს და დასახლების, ადგილზე დამკვიდრების ცნებასთან არ უნდა იყოს კავშირში. ბაკე საქონლის საზაფხულო სადგომის დანიშნულებას პარულებდა. გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში, ზაფხულობით საქონელს აყენებდნენ სახლის წინ დერეფანში (ქარიპანი) ან ბაკში. მესხეთში ბაკი დარბაზიდან საბძელში გასასვლელ დერეფანს ეწოდებოდა, ხოლო ხევსურეთში ეზოს სახელწოდებით აღინიშნება კალოიანი სახლის პირველი სართულის წინა ყრუ კედლის შიგნით მდებარე სათავსო, რომელიც გამოყოფილია ასევე ყრუ კედლით სამყოფისა და საძროხისაგან. აქ აბამდნენ ცხენს, ჯორს და ხარს. არაფერია უცხო იმაში, რომ საქონლის საზაფხულო თუ საზამთრო სადგომის აღმნიშვნელი სახელწოდების მქონე სათავსო, ბაკი (მესხეთი), ეზო (ხევსურეთი) საცხოვრებელი კომპლექსის შიგნით ექცევა, ან ესა თუ ის სამეურნეო სათავსო თავდაპირეელ მნიშვნელობას კარგავს. ამ საკითხების კვლევა წარმოაჩენს მათს თავდაპირეელ დანიშნულებას; კარმიდამოსა და საცხოვრებელი კომპლექსის განვითარების მაჩვენებელი უნდა იყოს სახელწოდებათა მაგვარი მონაცემობა. როგორც ზემოთ აღინიშნა, საჩეხი ეწოდება სახლის უკან მდებარე ეზოს იმ ნაწილს, სადაც ზაფხულობით საქონელს აყენებენ, ზოგან ამგვარ სადგომს ბაკი ჰქვია (სოფ. ჭალოვანი).

ტელად საზაფხულო საძოვრებზე, მთაში, ძროხისა და თხის სადგომისაც საჩეხი ეწოდებოდა, ცხვრისათვის ფარეხი გამოიყენებოდა. მსგავსად მესხეთის საერთო სასოფლო ხალხამისა (საქონლის საზაფხულო სადგომი), ზემო იმერეთშიც სცოდნიათ საერთო სასოფლო საჩეხი. ბინას უწოდებდნენ იმ ადგილს, სადაც კარავი, საჩეხი და ფარეხი ჰქონდათ. ზემო იმერეთისათვის უცხოა ტერმინები— „ქართა, ბერა და ავგართა. ქვის ბერა ჰქონიათ ლოხოზე „თბილის იქიდან“ მოსულ მეცხვარეებს. საჩეხი აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთშიც გვხდება, ოლონდ აქ იგი უკვე სხვა დანიშნულების სათავსოს აღნიშნავს; ხევსურეთში საჩეხი ეწოდებოდა ქვის დაბალ-ჭერიან ნაგებობას, სადაც ქალები ცხოვრობდნენ მენენესის დროს, ხოლო ფშავში საჩეხი დერეფნის გადმოხურულ ნაწილს აღნიშნავდა.

ზემო იმერეთში, მთაში, ადამიანის სადგომად ძელური ჭრა  
ან კარავი ჰქონდათ. ძელურ ქოხს დაჭრობილი მრგვალი ხევით  
აგებდნენ და გვიროვით (მცენარეა) ხურავდნენ. კარავი მოღობილ  
იყო და ტილოთი და გვიროვით ჰქონდათ გაღახურული. ქოხში ეჭ-  
გათ საწოლი ე. წ. კაბიჩა: შეაში გაპობილი მრგვალი ხევის (ყერთ-  
ები) გაწყობილი იყო ოთხ ფეხზე. ზედ აგებდნენ თივას ან ნაქერალს  
და აფენდნენ თხის ან დათვის ტყავს. კაბიჩას თავსა და ბოლოში  
ლამდა უკეთდებოდა.

ზემო მოტანილი ეთნოგრაფიული მასალის სიძველეს ისტო-  
რიული მონაცემებიც უკერს მხარს. მხედველობაში გვაქვს ვახუშტი  
ბაგრატიონის ცნობები მეურნეობის ამ დარგის შესახებ. ი. რას  
წერს იგი: „პირუტყვი, თვინიერ აქლემისა, არიან ყოველნი და არა  
ეგოდენ მრავალნი, ვითარცა სხვათა საქართველოთა შინა. გარნა  
ცხოვარნი უდუმონი და კუდიანნი, მარად მშობელნი ტყუბთა, და  
ოდესმე სამ-ოთხთა, და არცა ჰყავთ არვედ. არამედ ძროქა, კამბეჩი  
მროწლედ, ცხენი ჯოგად, რამეთუ არ უქმთ თივა, ვინაიდგან ზამ-  
თარცა მძოვრად არიან თვინიერ არგვეთსა და რაჭა ლეჩხუმისა“<sup>14</sup>.  
ვახუშტი თხის ჯოგების არსებობაზე არაფერს ამბობს, რაც  
იმაზე მეტყველებს, რომ მეჯოგეობა შედარებით გვიანდელი მოვ-  
ლენა უნდა იყოს (მეჯოგეობის განვითარების ერთ-ერთ ხელშემწყობ  
გარემოებად ის უნდა ჩაითვალოს, რომ მე-19 საუკუნეში (სასა-  
ქონლო მეურნეობა კაპიტალისტური განვითარების გზას დაადგა).  
ამასთანავე ის ხაზებსმით იღნიშნავდა, რომ იმერეთში ცხეარი „არ-  
ვედ არა ჰყავთ“-ო. ამ შემთხვევაში ვახუშტი უთუოდ აღმოავლეთ  
საქართველოში არსებული ვითარებიდან ამოდიოდა, სადაც ყველ-  
გან, მთასა თუ ბარში, ცხვარი არვედ ჰყავდათ.

მეცხოველობასთან დაკავშირებული რწმენები საერთო-ქარ-  
თული რწმენა-წარმოდგენების ფარგლებს არ სცილდება.

ახალწელს იცოდნენ „საყოლიებლის (მსხვილფეხი და წერილ-  
ფეხი) შემოლოცა“: ოჯახის უფროსი კაცი ბეღლიდან გამოიტანდა  
მარცვალს და ფრინველს დაუყრიდა, თან გამრავლებას უსურვებდა.  
შემდეგ ბოსელში შევიდოდა, კარგ ცხენს, ხარს, ხბოს, ძროხს,  
საბმელოზე რაც იბის, ხაჭაპურს გადაამტვრევდა და ეტყოდა —  
„როგორც ეხლა ხართ, ისე გამყოფოსთ კარგად ღმერთმა“. „იცოდ-  
ნენ აგრეთვე ბოსელში გოგრის შეგორება — „ასე თელათ გამყო-  
ფოსთ ღმერთმაო“. ახალ წელს, დილით, გამოაცხობდნენ „ძროხის

<sup>14</sup> ვახუშტი, ილერა სამეცნისა საქართველოსა, თბ., 1941, გვ. 145—146.

პურს” — დიდ ხმიადს, რომელსაც დანით ოთხად გასერავდნენ კულობიას მარცვლებს ჩატყობდნენ. ოთხად გასერილი ხმიადი ძარხეს ცურს გამოსახავდა.

რადგან ღორი ცალკე საღვოში იყო, მას ცალკე ჭმიულიც ვრცელდნენ, მოიტანდნენ ლობიან პურს და ერთ ჭიქა ლვინოს. ღორის პურს შემდევი სიტყვებით შეაქმევდნენ: მოშენდი, მომრავლდი, ბევრი გოჭები გაყოლოს. ახალწლის გარდა ბარბალობა დღესაც ლობიან პურს გადაამტკრევდნენ ღორს და ასევე ბევრი გოჭის ყოლას შესხოვდნენ ღმერთს.

ახალწლის რიტუალში იღსანიშნავია ცეცხლისათვის ჯოხის „შეჩიჩისნება“. „როცა ნაპერშეალი ავა და ნაუინჯელს გაყრის“, მეკვლე (მამკვლიერი) იტყვის: „ღმერთმა ჩემს მასპინძელს მისცეს ამდენი ხარი, ამდენი ძროხა, ამდენი შვილი“ (სოფ. ქორეთი, ჭალოვანი).

გარეშალი მფარეველობას უწევდა ღორის, ქათამს, ინდაურს, მსხვილფეხს კი არა. როცა ავად გახდებოდა რომელიმე მათვანი, მარეშალს შეუთქვამდნენ, კარგად გვიმყოფე და გოჭს ან ქათამს დაგიყლავთო და სხვა.

წყლის კულტი იმერეთში ნაყოფიერების ხაზით ვლინდება და სარძევე მეურნეობასთან არის დაკავშირებული. ღეკეულის პირველად ჩამოწველილ რძეს (ხსენს) მდინარეში ასხამდნენ (დამდგარ წყალში არ შეიძლებოდა ჩასხმა) და ამბობდნენ — „მაწველი იყოს წყაროს თვალივით“ (სოფ. დარყა); „ასე წყალივით ჩამოვიდეს რძე“ (ქორეთი); „ასე ლელესავით მოიწველეო“ (სოფ. ტყემლოვანი); კალვიანში რძეს ქოთანში ასხამდნენ და ქოთნიანად წყალში ავდებდნენ.

ზემო იმერეთში სცოდნიათ „ბეჭში გახედვაც“ — თუ ბეჭს „ჩერო“ ჰქონდა, იტყოდნენ — „ქარვი ბეჭი არ არის, გაერანია“.

ავი თვალისაგან დასაცავად გამოიყენებოდა მწარე ბლის ტორტები. დიდ ხუთშაბათს დილით ოჭახის წევრი „უბარი“ (ხმას არ ამოიღებდა) ადგებოდა და ტყიდან მოიტანდა გარეული ბლის ტორტებს, „დაგვერგვილს“ (დაგრეხილს და დამრგვალებულს) დაარკობდა ენახში, ბაქში, საჩემში, კრუხთან; შეაბამდა ხარს, ძროხს, ჩამოჰკიდებდა ბოსლის წინ. აქვე კიდებდნენ მწარე კვახს. ძროხას მწარე ბლის ტორტის გვირგვინთან ერთად კვირისტავსაც შეაბამდნენ ავი თვალის ასაშორებლად; „საკიდელის“ (ყველის კვეთის) ამოსარევი ჭოხიც მწარე ბლისაგან კეთდებოდა.

დიდ ხუთშაბათს იცოდნენ აგრეთვე „უბარი“ წყლის ამოტანა;

უბარი კაცი, ხეებს ნაყოფი რომ შეტენოდა, წითელ ნაქვას შეამდა, კაჯლის ხეს კი კატაბარდას შემოუჭერდა.

თხების გოგში ავი თვალისაგან დასაცავად უნიშნო შავიკონი, ჰყავედათ გაშვებული, ძროხას კი რქებზე კვირჩულზე ღიაშენები, („თვალნაცემი“ თხა რძეს მოიკლებს, ძროხა კი „ეიფხუჭება“), ხა. რქებს კი „ლინჭილისა და სათვალეს“ უკეთებდნენ (დაჭრილ ტყავს დაიკრავდნენ ლინჭილის და სათვალეს და რქებზე მიამაგრებდნენ), რაც მას იცავდა ავი თვალისა და ბუზებისაგან.

მთელ საქართველოში გავრცელებული რწმენის თანახმად — გუგული „სძლევს ადამიანს, საქონელს“. ამიტომ ამის თავიდან ასა. ცილებლად ადამიანი (განსაკუთრებით ფეხმძიმე ქალი) უწმელი ას უნდა გასულიყო სახლიდან.

## М. Н. МАКАЛАТИА

### ЖИВОТНОВОДСТВО В ВЕРХНЕЙ ИМЕРЕТИ

#### Резюме

В работе показан этнографический материал, связанный с уходом в размножением скота, с заготовкой молочных продуктов (возрастно-половое деление домашнего скота, формы организации труда, заготовка корма, хозяйствственные строения и т. д.).

В симбиозном хозяйстве несколько ограниченного характера Верхней Имерети животноводство занимало одно из ведущих мест.

Здесь разводили все виды домашних животных, известных в Грузии (корова, овца, козел, буйвол, свинья, лошадь, осел) и домашних птиц (курица, гусь, индейка, утка, цесарка).

Крупный и мелкий скот на протяжение всего года находился в деревне; исключение составляли лишь деревни, расположенные в верхнем течении рек (Квирила, Думала, Гезрула и т. д.), где в интересах скотоводства использовались летние, а в некоторых случаях зимние или осенние, параллельные, вспомогательные хозяйствственные базы. Данная система хозяйства называлась «органоба». Каштановые, буровые и дубовые леса,енного района, создавали хоро-

шие условия для развития свиноводства. Стадо свиней с сентября до января паслось в лесу без пастуха. Основной пищей вместе с плодами каштана, дуба и букавы являлись корни папоротника (папоротник орляк).

Что касается козеводства, эта отрасль хозяйства в конце XIX и в начале XX века начала широко развиваться. Как видно по этнографическим данным в Верхней Имерети таких масштабов козеводства достигло под влиянием пастухов мегрелов, т. н. «меджоге» («джоги» — стадо). Они появились в лесах Верхней Имеретии в этот период. Мегрэлы пастухи в основном разводили коз. Поголовье отдельных стад достигало от 400 до 700 голов. В стаде коз имелись также бычки и чернорунные овцы. Имеретины в результате контактов с ними начали заниматься этим делом, хотя нужно отметить, что «меджоге» имеретины были малочисленны.

Стада коз летом выгонялись на летние пастбища, а зимой сгонялись в лес, где устраивались зимние стоянки. Зимний корм коз составлял рододендрон pontийский и падуб. Пастухи около зимних стоянок на чащобах обрабатывали землю и сеяли кукурузу, фасоль и тыкву. Вместе с сыром они торговали на сачхерском базаре фасолью и тыквой. Сыр их производства пользовался большим спросом.

Несмотря на то, что в Верхней Имерети разводили овец, овцеводство здесь не носило такого интенсивного характера, как в Восточной Грузии. Распространенная когда то по всей Грузии безкурдочная овца сохранилась в настоящее время лишь в Имерети и ее условно называют «Имеретинской». Возможно, это объясняется тем, что форма и характер овцеводства в хозяйственном быту Верхней Имерети не изменились. Имеретинская овца не доится, употребляются лишь мясо и шерсть. Овечий сыр вообще неизвестен в Западной Грузии.

### გ. ჯალაშავი

## ფირმერული მიურნეობა ვარციხეში

სოფელი ვარციხე მდებარეობს სამი მდინარის — რიონის, ყვი-  
რილისა და ხანისწყლის თავშესაყართან, მდინარე რიონის მარცხე-  
ნა ნაპირზე. ორმოციოდე წლის წინ სოფ. ვარციხე განსახლებული  
იყო ძველი ციხე-სიმაგრის ქვემოთ, მდინარის პირას, ვალაში. რო-  
გორც მოსახლეობა გადმოგვცემს, აქედან აყრა გამოუწვევია წყალ-  
დიდობას, რომლის ღრმასაც მრავალი საცხოვრებელი სახლი დანგ-  
რეულა. სოფლიდან მოშორებით, ხანისწყლის მარჯვენა სანაპიროს  
მიდამოებში, გაშენებულია ვარციხის მეღვინეობა-მეევნახეობის  
საბჭოთა შეურნეობა, რომელიც შეიქმნა იმ მეურნეობის პაზაზე,  
რაც 1917 წლამდე ეკუთხნოდა ფერმერ მ. ონანოვს.

მ. ონანოვის კაპიტალისტურ მეურნეობას საინტერესო ისტო-  
რია აქვს. ის მამულები, რომელიც შემდეგ ონანოვს ეჭირა, მის  
პაპას, სტეფანეს, შეუძენია 1860 წელს გენერალ მირსკისაგან; მის-  
განვე შეუსყიდია ნაეთობის მოსაპოვებელი აღვილები ბაქოში. ყო-  
ვილივე ეს მირსკის დაგირავებული ჰქონდა სახელმწიფო ბანკში.

სტეფანე ონანოვს უცხოვრია მოსკოვში და ყოფილა რუსეთის  
საეპისკოპოსით მრჩეველი. მირსკისაგან მას შეუძენია 2000  
ქცევაზე შეტი აჯამეთის ტყე და ვარციხის ტყის ნაწილი 1500 ქცე-  
ვამდე<sup>1</sup>. ამ ვამულში მას ვადაუხდია 470 000 მანეთი. ამ მოვლენას-  
თან დაკავშირებით ონანოვის მეურნეობის მწარმოებელი ი. ხატი-  
სოვი წერდა, რომ თითქოს მან 5000 დესეტინა მიწა შეიძინა, რომ-  
ლიდანაც 4700 დესტინა ეჭირა ტყეს, ხოლო 300 დესტინა სახნავ-  
სათვის მიწებს<sup>2</sup>.

საუკუნის ბოლოს რეინიგზის გაყვანის საჭიროებისათვის სახ-  
ნავ-სათვის მიწების რაოდენობა ტყის გაჩერებამ ერთიორად გაზარ-

<sup>1</sup> „დროება“, 1882, № 152.

<sup>2</sup> И. Хатисов, Ферма А. Ананова, ЗКОСХ, 1863, 2, № 2.

და. ახალი ნატეხი მიწები მევენახეობის განვითარებისათვის ერთ პირობად იქცა. ეს თავიდანვე გაუაზრებია ალექსანდრე ონანოვს მას 1875 წელს საღვურ რიონის გასწვრივ მდინარე ტერზის მურცხენა მხარეზე 3 კილომეტრის მოშორებით სახლი აუგია და აქვე აუშენებია მრავალი სხვადასხვა დანიშნულების სამეურნეო ნაგებობა.

ა. ონანოვის საქმიანობის შეფასება ამ მეურნეობის გაჩენის მესამე წელს დაიწყო. იქტერებოდა საინფორმაციო ხსიათის წერილები, საიდანაც ვტყობილობთ, რომ ონანოვს საქმაოდ დიდი პერსპექტივები ჰქონია, რისთვისაც დაიწყო სახნავ-სათვის მიწების აქტიური ექსპლოატაცია. დათვა თურქეთიდან შემოტანილ ბრტყელფოთლიანი თამბაქო, ბამბა და სიმინდი. როგორც ჩანს, ამ მცდელობას ამაოდ არ ჩაუელია და კავკასიის სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე მისი მეურნეობიდან წარდგენილ თამბაქოსა და ბამბის ნიმუშებს გილდოებიც დაუმსახურებია. იმისათვის, რომ აქტიურად ეწარმოებინა მეურნეობა, უცხოეთიდან გამოუწერია 20 გუთანი გოგენჭეიმის სისტემისა და მრავალი სასოფლო-სამეურნეო იარაღი: მწერივად სათესი, საფარცხი, მწერივთა შორის ფასაფხერებელი, ბამბის საწმენდი, გერმანული ულლები გუთანში გამწევი ძალის შესაბმელად და სხვა. შემოყვანია გაუმჯობესებული ჭიშის პოლანდური ძროხა და ბულა მწარმოებელი, რუსული და ლაისტერის ჭიშის ღორები, ლაისტერის ჭიშის ცხვარი, კოხინხინისა და დორუინგის (ინგლისური) ჭიშის ქათმები და სხვა. დიდად ეფექტური შედეგი მიუღია იმერულ ღორთან რუსული ღორის შევეარებით. ამ მიზართებით, ე. ი. სოფლად გაუმჯობესებული ფერმერული მეურნეობის წარმოების გზით დაწყებულმა მუშაობამ, მალე იცვალა სახე მას შემდეგ, რაც დაიწყო ფოთი-თბილისის რეინიგზის შენებლობა, რომელსაც ესაჭიროებოდა დიდიალი ხის მასალა ლანდიაგისათვის. ამ მასალის მიწოდება ჯერ სტეფანეს, ხოლო შემდეგ ალექსანდრე ონანოვს უკისრია. შეძენილ ტყეში ხეებს ხერხედნენ, თავისივე მუშით გადაქონდათ სახერხს ხარაჩოზე და ძელებად (შპალებად) დახერხილს აჯამეთის ტყეში შეყვანილი რეინიგზის შტოს საშუალებით ვაგონებით აგზავნიდნენ გზის შენებლობაზე.

ტყის სამუშაოებში განსაკუთრებით დიდი რაოდენობით ჩაება რაკიდან მოსული მუშა-ხელი, რომელსაც მძიმე საბინაო პირობებში უხდებოდათ ცხოვრება. მათი თავშესაფარი იყო ყვერით გადახურული უბრალო ქოხები. ერთი სოფლიდან წამოსულები თავს

იყრიდნენ ერთ ქოხში. ოოგორტუ მთხრობლები გაფრინდებოდნენ, ხისმჭრელები ათეულებად ცხოვრიბდნენ. ათისთავი სამუშაოს ღებულობდა და ნამუშევარს აბარებდა. ამ ათეულიდან ხრებთმართო რიგეობით ხაბაზის გამოყოფა, ოომელიც ამხანაგებმ მაჟუმლის აპარატის რაგებდა და შემოსავალს თანაბრად ღებულობდა. ზოგჯერ ხაბაზად ერთ რომელიმე პირს დანიშნავდნენ და მას ტყის სამუშაოებიდან ათავისუფლებდნენ. მუშები ჩეხედნენ ტყეს, სხევადნენ და ხერხევდნენ, ხოლო მოჭრილი ხის მორების სახერხამდე მიტანასა და დახერხელი განძელების სატვირთო სადგურამდე გადაზიდვაზე მუშაობდნენ სოფელ ვარკიხისა და მისი ახლო სოფლების მცხოვრები. ტვირთის გადაზიდვისათვის გამწევ ძალად ძირითადად გამოიყენებოდა კამეჩი. უფრო აღრეული ცნობები ჩვენთვის ხელმისაწვდომია არ იყო, ხოლო 1900 წლისათვის მეურმე, კამეჩის ურმით, დღიურად 2 მანეთს ღებულობდა, ხოლო მტვირთავი მუშა — 70 კაპის. შეურმები გარდა ტყის სამუშაოებისა თნანოვის შეურნეობაში სხვა საქმესაც ასრულებდნენ. მაგ. სადგური რიონიდან გაღმოქმნდათ საშენი მასალები, ლვინისა და კონიაქისათვის საჭირო ტარა (კარხები, ყუთები, ბოთლები და სხვ.), ყურძენი და სასპირტე ლვანო, ლვინის ქარხნიდან კი გადაქონდათ ლვინო და კონიაკი.

ფოთი-თბილისის რეინიგზის სამუშაოებმა ონანოვს დიდი შემოსავალი გაუჩინა, რის წყალობითაც მას ადვილად შეეძლო ანტენიურად აეთვისებინა ტყეების გაჩეხვის შედეგად დარჩენილი უამრავი ახალნატეხი მიწა, რომელიც მეცენახეობისათვის უდავოდ პერსპექტიულ ბაზას წარმოადგენდა.

ალექსანდრე ონანოვს ორი ვაჟი ჰყავდა — მიპრანი და აბგარი, ორივესათვის საფრანგეთში მიუღებინებია განათლება. მიპრანი მევენახეობა-მეღვინეობის სპეციალისტი ყოფილა, ხოლო აბგარი შეტყვევობისა. როგორტ ჩანს, მამას კარგად გაუთვალისწინებია მათხელში ასებული ტყისა და მიწის შესაძლებლობა და მომავალი ექსპლოატატორებისათვის მეურნეობის სათანადო ცოდნაც მიუკით.

მალე, 1905 წლიდან, მიპრანმა ვარკიხის სახნაუ-სათესა მიწაზე გააშენა საფრანგეთიდან ჩამოტანილი შამპანური ვაზის ჯიშებია: შარდონე, პინო-შარდონე, სემილიონი, კაბერნე, ალიგორტე, პომბან-შენი და სხვ.

საფრანგეთიდან ევროპული შამპანური ღვინოების სპეციალისტი, რომელიც ხელმძღვანელობდა შემდეგში აღნიშნულ მეურნეობას. ონანოვს ჩამოტანილი ვაზის ჯიშები გაუშენებია 80-მდე ჰექტარზე ვარკიხის მიდამოებთან, აფხანაურში, და 20-მდე.

ჰექტარი ბალდაღში. ის სახნავ-სათესი, რომელზედაც ვენახი გააჩი-  
ნა, ადრე გლეხობაზე ჰქონდა სალალოდ გაცემული. შემთვევულ გრძელ-  
წები გლეხობას ჩამოართვა, რამაც მშრომელთა დიდი შტატიფიციურ  
ლება გამოიწვია.

1906 წელს მიპრან ონანოვმა დაამთავრა ლვინის სარდაფის  
მშენებლობა და იმავე წელს სარდაფში შეიტანა ლვინო. ციდრე სა-  
კუთარ ლვინოს დაამზადებდა, მან წინასწარ რეკლამას მიმართა —  
საფრანგეთიდან ჩამოიტანა შამპანური ლვინოები კასრებით, დაიწ-  
ყო მათი ვარციხეში ჩამოსხმა და ბაზარზე გატანა ონანოვის მეურ-  
ნების ნაწარმის სახელით.

ონანოვის მიერ ჩამოტანილი შამპანური ყურძნის ჭიმები  
როგორც ადგილობრივი გლეხობა გადმოგვცემს, მაღალმოსაელიანი  
გამოდგა. რაჯე ონანოვი დაინტერესებული იყო, რომ შამპანური  
ლვინის წარმოებისათვის მეტი მასალა ჰქონდა, გლეხობაში აერ-  
ცელებდა ვასის ფრანგულ ჭიშებს, რასაც გლეხობაც ინტერესით  
ეკიდებოდა და ამრავლებდა.

ერთი საყურადღებო მომენტია შესანიშნავი ამასთან დაკავში-  
რებით. 1908—1910 წწ. ონანოვმა პინოსა და შარდონეს ნამყენები  
დიდი რაოდენობით ჩამოიტანა საფრანგეთიდან. იმ გლეხს, რომე-  
ლიც ცნობას მოუტანდა მამასახლისისაგან, რომ მას ცენახის გაშე-  
ნება უნდოდა, ონანოვი უფასოდ აძლევდა ნამყენ ვაზე, გაგრამ იქ-  
ვე პირობას ადგინებდა, რომ ვენახი როცა დაისხამდა, ყურძენი  
მისთვის ჩაებარებინა. ყურძენი კი უწესებდა საკმაოდ მაღალ  
ფასს: თუ ადგილობრივი ყურძენი ბაზარზე ფუთი 60—70 კაპიკად  
ფასობდა, შამპანურის მასალაში იყო 1,5 მანეთს პლიტებოდა. მაღა-  
ლე ვარციხეში და მის ახლო-მახლო სოფლებში: როკითში, როხში,  
დიდველაში, დიმში, ბალდაღში, ფერსითში და სხვ. გაჩნდა შამპა-  
ნური ყურძნის ვენახები, რითაც მრეწველმა საკმაოდ კარგი მატე-  
რიალერი ბაზა შეიქმნა.

გლეხობა, რესაკვირელია, აბარებდა არა მარტო შამპანური,  
არამედ ადგილობრივი ჭიშის ყურძენსაც, რომელსაც ონანოვი იყე-  
ნებდა სასპირტე დანიშნულებით. სპირტს შემდევ მაიკოპიდან და  
ნოვოროსიისკიდან ჩამოტანილ მუხის კასრებში აძველებდა და კო-  
ნიაკს ამზადებდა.

ვარციხესა და მის ახლო სოფლებში შეკრებილი ზეპირი მასა-  
ლების მიხედვით, ჩანს, რომ ონანოვის ფერმერულ მეურნეობას  
დიდი გავლენა მოუხდენია ადგილობრივ სამეურნეო პირობებზე:  
გლეხობა გაღიტავდა, რადგან იყო, ფულის მიღებით დაინტერესე-

შული, მეურნეობაში მოდიოდა სამუშაოდ და თავის მამულს უსრადებას აღარ ძელევდა. მეურნეობაში მოდიოდნენ არა მარტო მაკაცები, არამედ ბავშვები, ქალები. ყველა მათგანი უარესე აქ არ ებნებოდა სამუშაო წლის თითქმის ყოველ დროს. საქართველოში, ონანოვის მეურნეობის თავისებურება სწორედ ის იყო, რომ თავიდანვე იგი თავისუფალ მუშახელის დაქირავებაზე იყო აგებული.

დაქირავებული მუშახელი, რომელიც ონანოვს მეურნეობაში მუშაობდა, სამუშაო პირობების მიხედვით სამ კატეგორიად წარმოვიდგება: პირველს განეკუთვნებიან დღიური მუშები, რიცხვობრივი კად კულაზე მეტნი. მათი რაოდენობა მეტყობდა სეზონური სამუშაოების მიხედვით; მაგ. ბარვაზე, ვაზის გასხვლაზე, სარის შედგმაზე, შეყელვაზე, გაფურჩენაზე, ყურძნის კრეფაზე დიდი რაოდენობით გამოიყენებოდა დღიური მუშის შრომა.

ქალები ძირითადად ამ კატეგორიას ეკუთვნოდნენ, ე. ი. დღიურ მუშებად ითვლებოდნენ. ისინი 12 საათს მუშაობდნენ დღეში, 1900-ანი წლებისათვის ონანოვი დღიურ მუშა-მამაკაცს 50—60 კაპიქს აძლევდა, დღიურ მუშა-ქალს კი 35—40 კაპიქს. მათ ე. წ. მუშაობის მწარმოებელი ტალონს უხევდა და აძლევდა, რომლის მიხედვით შემდევ კვირის ან თვეს ბოლოს ისინი ხელფასს ღებულობდნენ.

დაქირავებული მუშების მეორე კატეგორია იყო თერები მუშა, რომელიც მოგამოიტანისაგან ცოტა განსხვაუდებოდა. ის პირობით მოდიოდა მეურნეობის მფლობელთან, ერთი ან ორი-სამი თეთურივდებოდა და დღიურ მუშასთან შედარებით ნაკლებ ხელფასს ღებულობდა, სამაგისტროდ რამდენიმე თვის სამუშაოთი იყო გარანტირებული. იგი მეურნეობის ბარაჟში იძინებდა და კვებითაც მეურნეობის ხარჯზე იყო.

თვეური მუშებიდან გაჩნდა მესამე კატეგორია მუშებისა, რომლებიც მეურნეობის მუდმივი მუშების სახით იყვნენ წარმოდგენილნი. ისინი პირველ ხანებში მეურნეობის ბარაჟებში ცხოვრობდნენ, შემდეგში დაგროვილი ფულით სასახლეარე მიწის ნაკვეთ ყიდულობდნენ და იწყებდნენ ოჯახის შექმნას.

მეურნეობაში მუდმივ მუშად მოხვედრა ძნელი იყო, რადგან

<sup>3</sup> დ. გოგოლაძე, კაპიტალისტური საწარმოები სოფლის მეურნეობისა და მრავალობაში რეფორმამდელ საქართველოში (1830—1864 წწ.), თბ. 1959, გვ. 67; 3. რატიანი, საქართველოში კაპიტალიზმის განვითარების ისტორიისას, ისტორიის ინსტიტუტის შრომები, ტ. VI, ნაკვ. 1, თბ. 1951, გვ. 175.

ე. ონანოვი წინასწარ ადგებინებდა პირობას, რომ ახალგაზრდა იმუშავებდა მუდმივ მუშად, თუ იგი ცოლს არ შეიჩრდავდა. ცოლის შერთვისთანავე მას ითხოვდა და ნაცვლად სხვას ღებულობდნენ.

მუდმივ მუშათა კატეგორიაში ხვდებოდნენ უფრო შორი სოფლებიდან მოსული ახალგაზრდები. ისინი ძირითადად მუშაობრინენ ღვინისა და კონიაკის ქარხნებში: სპირტის გამოხდაზე, კასრების და მაზადებაზე, სპირტის ჩამოსახმასა და დაძველებაზე, კონიაკისა და ღვინის ჩამოსახმაზე ჩამოსახმელი მანქანების მართვასა და სხვა სამუშაოებზე. მარტო ღვინის ქარხანაში მუდმივი მუშების რიცხვი 35 კაცს უდრიდა, სეზონურ სამუშაოებზე კი ერთი ამდენი ემატებოდა.

მუდმივი მუშა სხვა, დროებით, მუშებთან შედარებით მაღალ ხელფასს ღებულობდა. მაგ. ზეინიალ გიორგი კებულაძეს თვეში 70 მანეთი ჰქონდა გასამრჩელო, კამა-სმაც ონანოვის ხარჯზე იყო. სარდაფის რიგითი მუდმივი მუშა თვეში 10—12 მან. ღებულობდა.

აფხანაურში, სადაც ძირითადად კონიაკის მასალა მზადდებოდა და მისი ჩამოსხმა წარმოებდა, აშენებული იქნა ბარაკის ტიპის საერთო საცხოვრებელი სახლები, მიწიდან 80 სმ დაშორებული. საერთო ფართობი თითოეული ბინისა 50—70 კვ. მეტრი იყო და შეიცავდა ორ-სამ რთასს.

ცხადია, ძნელ პირობებში უხდებოდათ მუშაობა მუდმივ მუშებსაც. რადგან დღეში 10 საათს და ზოგჯერ მეტსაც, ხოლო მევენახე მუშები 12 საათს მუშაობდნენ.

ვ. ონანოვს, როცა მან შამპანური ღვინოების ჩამოსხმა დაწყობდებოდა მასალით, ტარა (ბოთლი, საცობი) კვლავ საფრანგეთიდან შემოჰქონდა. შამპანურს უშეებდა როგორც მშრალს, ისე ნახევრადშრალს. მშრალი ეგმოდიოდა მარკით „მარგო“. ეს მიმრან ონანოვის ცოლის სახელი იყო. ნახევრადშრალი კი მისი ქალიშვილის „ერქა“ მარკით გადიოდა ბაზარზე. ჩვეულებრივ ღვინოს „აფხანაურის“ სახელით უშეებდა. იგი დიდ ყურადღებას აქცევდა კონიაკის ჩამოსხმის საქმეს. საკონიაკე მასალად, გარდა ადგილობრივი გმშებისა, რომელთაგანაც დიდი უპირატესობით თურმე იზაძელა სარგებლობდა (რასაც ახლო სოფლებში ყიდულობდა), გააშენა ფრანგული ყურძნის ჯიში პომბანშე, რომელიც ბევრს, მთხრობლის თქმით — ერთი ძირი ერთ ფუთამდე, ისხამდა.

გარდა ამისა, მეწარმე დიდი რაოდენობით ყიდულობდა ყურძნებს ბათუმისა და ქობულეთის რაიონებში, საიდანაც ტკბილს ვა-

6. მასალები იმერეთის ეთნოგრაფიული შესწავლისათვის

კონებით ეზიდებოდა რიონის საფეხურაშვე და აქვდან კამატებით სპილენის სახდელ ქარხანაში — აფხაზაურში, გადაქონდა. კონაკი გადიოდა ბაზარზე „ქავეყასიური კონიაკის“ სახელით, რეზენტაციას გორუ სამ, ისე ხუთვასს კელავიანს (მეტი სიცელის უკიდურესობას).

ონანოვი ღვინის ჩამოშესხველ და გამსაღებელ პუნქტებს იჩენდა და დად ქალაქებში: პეტერბურგში, მოსკოვში, ოდესაში, თბილისში და სხვ. ფართოდ იყენებდა რეკლამის. მაგ. ღვინის ან კონიაკის ყუთებში ათავსებდა ასანთის ბუდეს, საათს, ან რაიმე სუვენირს, რითაც თავის პროდუქციას პოპულარობას უზვეჭდა.

ონანოვს ჰქონდა ორი აგურის ქარხანა, რომელშიც 20-მდე მეტას ამუშავებდა. მუშები ძირითადად აღვილობრივი ყოფილან, ნაწილი კი ზემო იმერეთიდან. აგურის ქარხნებს მუშაობა დაუწყიოთ 1900-იანი წლებისათვის. აგური ძირითადად ლვინის ქარხნისადა მისი სათავსოების, აგრეთვე მეურნეობის მუშათა საცხოვრებელი ბაზარების მშენებლობისათვის განიკითავთ.

მ. ონანოვები მეურნეობაში შექმნა, აგრძელებე, წნელის სკამბის, მაგიდებისა და კალათების სახელოსნო, რომლის ხელმძღვანელად ოდესის მოუწვევია სპეციალისტი სერგეი ვაჩონა. სახელოსნოში 10 კაცი, ძირითადად ახალგაზრდები, მუშაობის როკითლები და დიდებულები). მათ თვიურად 7 მანეთს აძლევდნენ. ჭამა-სმით ონანოვები ხარჯზე იყვნენ და ბაზარებში ცხოვრობდნენ. კალათებს იყენებდნენ როგორც თვით მეურნეობაში ყურძნის საქრეფად, ისე ბაზარზე გამატანად. საკალათე მისალას ღებულობდნენ ოდესის, შემდეგში სახელოსნოს დაუწყია ადგილობრივი ტიტოფის წნელის ვამყენება, რომელსაც იძნება სოფელ სადემეტრაოში გლეხ ჩიკვაძისავან. მალე ორ ჰექტარზე წითელი ტიტოფი თავიდაც გუშენებია და ამით საწმე გაუადვილებია.

კალათების სახელოსნოში დამზადებული წნელის ავეჯით ორ თვეში ერთხელ ტეირთავდნენ რკინიგზის რამდენიმე ვაგონს და იძილისში ჩამოჰქონდათ გასასყიდად. აქ ცერის დაღმართხე, ახლანდელი ლვინის ქარხნის ასწერივ, საცხოვრებელი სახლის ქვედა სართულზე წნელის ავეჯის გამსაღებელი მაღაზია ჰქონდათ მოწყობითი.

გარდა ამისა, ონანოვს არენდით ჰქონია აღებული ეკლატისა  
და ჭოგნარის ქვის საბაზოები, რომლიდანაც საკმაოდ დიდ მოგებას  
ნახულობდა. აღნიშნულ საბაზოებზე მომუშავე მუშებსაც პაჩივე-  
ში უხდებოდათ ცხოვრება, ჭრილნენ ძირითადად საშენი დანიშნუ-  
ლების ქვის, რომელიც იგზავნებოდა როგორც ქუთაისის საქალაქო  
82

გმენებლობის, ისე თბილისა და სხვა ქალაქების მიმართულებით.

1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ ონანოვის მეურნეობა მენშევიურმა მთავრობამ ნაციონალურ შეკრძობაზე, გამოაცხადა. მას შეუფასეს ღვინის ქარხანა, შეატლიეს შინი საცავ-სური, მაგრამ ონანოვს არ უნდოდა ამ მეურნეობის ხელიდან გაშეცა და ამ საქმეში ჩაურჩევია ინგლისის წარმომადგენელი<sup>4</sup>. ინგლისელი ამაოდ არ ერეოდა ონანოვის სამეურნეო საქმეში. მასზე აღრე გერმანიის მთავრობა შუამდგომლობდა. ონანოვს იმპერიალისტურმა ომშა გერმანიაში მოუსწრო, იქ მას საქმაოდ დიდხანს დაუყვითა, როგორც ჩანს, გერმანელებს ონანოვისნაირი კაცი საქართველოში ძვირად ულიტდათ, ამიტომ მათ ჩარჩევას თავისი საფუძველი ჰქონდა.

მენშევიურმა მთავრობამ ეერ შეძლო ონანოვისეული მეურნეობის რენტაცელობის უზრუნველყოფა. ღვინის ქარხნის მუშები დაბალი ხელფასის გამო სამუშაოზე არა ჩერდებოდნენ და თავის სოფლებს უბრუნდებოდნენ. ვენახი და ხილის ბალი მოუვლელობისაგან თანდათან გამეჩხერდა და განადგურების გზას დადგა.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯების შემდეგ ვარციხის მევენახეობა-მელეინეობის მეურნეობის მუშათა ცხოვრებაში ახალი ერა დაიწყო. მურნეობის ახლებურავ გარდაქმნის საქმეში დიდი შრომა გასწიეს აქ მომუშავე ძველმა კალჩებმა. მეურნეობის მუშებისათვის აშენდა ახალი საცხოვრებელი ბინები, სკოლა, სამკიონხელო, საავადმყოფო, კლუბი და სხვა კულტურულ-საყოფაცხოვრებო დაწესებულებები.

1961 წელს ვარციხის მევენახეობა-მელეინეობის საბჭოთა მეურნეობას გამოყოფილი ღვინის ქარხანა. აფხაზაურის მუშათა დასახლების, სოფლების: როკითის, დილველისა და ვარციხის კოლმეურნეობების ბაზაზე შეიქმნა ვარციხის მევენახეობის საცდელ-საჩვენებელი საბჭოთა მეურნეობა.

მეურნეობის განვარგულებაშია ახალი სასოფლო-სამეურნეო მექანიზაცია. შრომითს საქმიანობაში ჩაბმულია 500-მეტი მუშა-მოსამსახურე. ვარციხელებს ყველა პირობა აქვს იმისათვის, რომ მათი მეურნეობა სანიმუშო იყოს.

<sup>4</sup> ვ. გუგუშვილი, საქართველოსა და მთერქვევისის ეკონომიკური განვითარება XIX—XX სა., ტ. II, 1956 თბ., გვ. 943.

## ФЕРМЕРСКОЕ ХОЗЯЙСТВО В СЕЛЕ ВАРЦИХЕ

## Резюме

Село Варцихе находится вблизи г. Кутаиси, на левом берегу реки Рioni. С 1860 года здесь образовалось капиталистическое хозяйство Онанова. Форма ведения хозяйства выражалось в производстве лесных материалов, в виноделии, подготовлении строительных материалов, (кирпич, известь, камень) и других.

Характерной чертой этого хозяйства является то, что со дня образования во всех видах работ широко был включен наемный труд.

Рабочую силу составляло крестьянство, как из близких селений, так же и приезжих из далеких уголков Западной Грузии. Например, лесопильщиками работали крестьяне из Рача.

В работе показано постепенное развитие хозяйства. Автор различает три категории рабочих, которые производили обработку виноградников, собирали виноград, работали на винном заводе и исполняли разные поручения.

В первую категорию входили рабочие, которые работали подневно. В эту категорию входили рабочие из ближайших селений, в том числе женщины и дети. Женщины и дети работали рядом с мужчинами в день 10—12 часов, но зарплату получали 10—15 коп., меньше чем взрослые мужчины.

Во вторую категорию входили временные рабочие, которые в связи с сезонными работами находились на работе постоянно 3—4 месяца. Им платили меньше, но их кормили и давали возможность ночевать в бараках (бараки были построены специально для сезонных рабочих).

К третьей категории относились постоянные рабочие, которые работали систематически на винном заводе или следили за механическим оборудованием завода.

В работе даются конкретные материалы для характеристики этого хозяйства.

## 6. რაციონალი

### მაცენტობა იმპრეოზი\*

წლების მანძილზე შეკრებილი მასალა მოწმობს, რომ იმერეთის ეთნოგრაფიულ სინამდვილეში მელითონეობას ღრმა ფესვები გააჩნია. იგი საყოველთაოდ გაერცელებული, ერთი ძირიდან მომდინარე ძველი ქართული მელითონეობის ნაკადია. მელითონეობის განვითარებას აქ წინ უძლეოდა ყველა საჭირო ობიექტური პირობა — მაღნეულის საბაზოები, წყალი და ხე-ტყე. ჩანს, ლითონთა დამუშავების კულტურამ აღრევე იჩინა თავი და ამ ნიადაგზე ფართოდ განვითარდა მშედლობა, რომელც რამდენიმე ტოტად ჩამოყალიბდა: ტეინამშედლობა, სპილენძმშედლობა, ოქრომშედლობა. ზოგი მათგანი თავის მხრივ ცალკეული დარგების შემცველი გახდა და განვითარების საკუთარ გზას დაადგა. იმერეთის მშედლობის ფაქტური მონაცემები მკაფიოდ ასახავს ამ გარემოებას.

უნდა ილინიშნოს, რომ გასაბჭოებამდე და ერთ ხანს ამის შემდეგაც მშედლობის აღნიშნული დარგები სრული სახით იყო წარმოდგენილი და მუშაობა მთელი დატეირთვით მიმდინარეობდა. ბოლო ხანებში მშედლობის „ხელადი“ შედარებით ვიწრო მოთხოვა ნილების საგანი ხდება. მხოლოდ ზოგიერთი საგანი არ კარგავს თავის რეალურ მნიშვნელობას და პრაქტიკული გამოყენების საჭიროებას. ასეთებია სასოფლო-სამეურნეო და სახელოსნო რეინის იარაღი, სახარშავი და საარყე სპილენძის ქვაბები, ოქრო-ვერცხლის სამკაულები და სხვა.

იმერეთის სინამდვილეში თუ არა გაბმულად, სპორადულად მანც არსებობს სპილენძის, ოქრო-ვერცხლის ხელოსნური წარმოება. ამ მხრივ უურადლებას იქცევს საჩერის, წულუკის, მაიაკოვსკის, ჩხარის ხელოსანთა საქმიანობა.

\* წერილი იძექდება ავტორის გარდაცვალების (1974, 19/V.) შემდეგ.

მიუხედავად იმისა, რომ იმერეთის აწინდელი ყოფილთან  
მჰედლობა უწინდებურად მნიშვნელოვან როლს ვერ თამაშობს, მა-  
სი ხედრითი წონა მაინც საგრძნობია.

როგორც ცნობილია, იმერეთისათვის მეურნეობას წაშექმნა და ასე „მიწატობა“ ანუ მემინდერეობა-მევენახეობა წარმოადგენს, რო-  
მელსაც ქმედითად ეხმარება ხელოსნობის დარგები: მჰედლობა,  
ხითხერობა და სხვ. ამ მიმართებით უურადღებას იქცევს სა-  
მეურნეო იარაღები და ადგილზე დამზადებული ჭურჭელი: იმე-  
რული კეკო თოხი, ოქრიბული ცული, სახელოსნო ნაჯახი, ახო-  
თოხი, წერაქევი, საწყლე — სპილენძის თუნგი, საარყე ქვაბი და  
სხვა, რომელთა სახეობრივი სიმრავლე თუ სრულყოფა, როგორც  
ჩანს, განაპირობა ექაურმა მელითონეობამ — რეინა-სპილენძის და-  
მუშავების მაღალმა კულტურამ. თუ რამდენად ღრმა და მდიდარი  
ტრადიციები გააჩნდა აქ ლითონთა დამუშავებას, ამას ნაოლად  
გვიჩვენებს მაღნეულის ადგილობრივი საპადოების არსებობა და  
მათი ათვისების ფაქტები: ყვირილის სათავეებთან მდებარე პერე-  
გის, სინავერის, თედელეთის ძეელი მელითონეობის წარმოების  
ნაშთები და განათხარი ნივთების იშვიათი ტიპები, მდიდარი არქეო-  
ლოგიური მასალა. ცხადია, მჰედლობის აწინდელი სურათი მხო-  
ლიდ სუსტი გამოკრთომაა მელითონეობის იმ მდიდარი და მაღა-  
ლი კულტურისა, რომელსაც ადგილი ჭქონდა მდ. ყვირილმა და  
რიონ-ენგურის აუზებში.

იმერეთის ეთნოგრაფიულ სინამდვილეში დღეს, როგორც ით-  
ქვა, მჰედლობისა და საერთოდ ხელოსნობის დარგების შესახებ  
მკრთალი ცნობებიცა ცვეტდება. თითო-ორთოლა მჰედელი თე-  
გეხვდება ძველი ხელობის საფუძვლიანი მცოდნე. მართალია, ზო-  
გორთ ადგილს დღემდე არ გაუქმებულა რეინა-სპილენძის დამუ-  
შავებ-ს სახელოსნოები, მაგრამ მათ აკლიათ ის ცხოველმყოფელი  
ძალა. რომელიც მანამდე ასაზრდოებდა ხელოსნობის ამ დარგებს.  
მაგალითად, დაბა საჩხერეში სპილენძის დამუშავებას — მექაბეო-  
ბის, ახლაც მისდევს შაქრო ილიკოს აქ გრძელიშვილი, რომელიც  
წარმატებით ავრძელებს მამაპატურ ხელობას, მაგრამ ეს ადგილო-  
რივი მოთხოვნილების თავისებურებით თუ აისწნება. სულ სხვა  
იყო, როგორც სპილენძის ჭურჭელი საოჯახო ყოფის, თუნდაც  
მშიოვების, აუცილებელ საგანს წარმოადგენდა.

შ. გრძელიშვილის ჩვენებით, სპილენძის დამუშავების საქმეში  
უდაბნო ძნელ საქმიანოს წარმოადგენდა ძეელი, ჯართი, სპილენძის  
ხელახლა გადაწურვა და მიღებული კვერის გაყვანა ფურცლად. ა-

სამუშაოს, მისი სიტყვით, სჭირდებოდა 5 კაცი, ვინაიდან სპილენძის ზოდის გაყვანა „შოლტად“ მხოლოდ ხელვერით წარმოებს და მოითხოვს დიდ ფიზიკურ ძალას. ასევე საყურადღებო მისი მოწერება სპილენძის საწრთობად კვერვის წესის გამოყენების შესახებ:

როგორც აღვნიშნეთ, მქედლობა იმერეთის ეთნოგრაფიულ სინამდვილეში წარმოდგენილია ძირითადად სამი სახით: ოქრო-მქედლობა, სპილენძის მქედლობა და რკინის მქედლობა. თავის მხრივ, თითოეული მათგანი შეიცავს ცალკე განაყოფს. მაგ. მეს-პილენძებაში იგულიხმება მექვაბეობა და ზეინკლობა, ოქრომქედლობაში — სამკაულის ჭედეა და იარაღის მორთულობა. რკინის მქედლობაში — „წმინდა მქედლობა“ და ნალბანდობა და ა. შ. ამ თვალსაზრისით თითოეული დარგი სამქედლო ხელობისა შეიძლება განვიხილოთ იმის კვალობაზე, თუ როგორია ამ დარგის შიგნით მოხელეთა შორის სამუშაო ორგანიზაცია და ტექნიკური დიფერენციაცია.

საკულეური რაიონი ამ მხრივ საქმიოდ თავისებური და ლოკალური ხასიათის მონაცემებს შეიცავს. ზემო იმერეთი, როგორც შედარებით მთავორიანი კუთხე, ვაკე იმერეთისაგან განსხვავებული გეოგრაფიული პირობებით ხასიათდება და ერთგვარად განიჩიევა როგორც მატერიალური კულტურის ზოგიერთი ელემენტით, ისე ხელოსნობის ამა თუ იმ დარგის მიხედვით. როგორც ერთი, ისე მეორე კუთხე სამუშაო იარაღების განსხვავებულ სახეს მოითხოვდა, ვინაიდან განსხვავებული იყო, როგორც ითქვა, მათი გეოგრაფიული პირობები. მაგ., ვაკე იმერეთისათვის დამახასიათებელი ჭალის თოხი ზემო იმერეთში ვერ გამოდგებოდა, სამაგიეროდ აյ გამოიყენებოდა კეკ თოხი, რომელიც გამსაჯუთრებით ღომის კულტურას შეესაბამებოდა. განსხვავებული იყო თითოეული რეგიონის სატრანსპორტო საშუალებანი და სახენცლი იარაღები.

წიაღისეულის მიხედვით ზემო იმერეთი ერთობ მდიდარი იყო. აյ იყო რკინისა და სხვა ლითონთა საბადოები, გიშჩის, სამასალე ქვისა და მთის ცვილის შემცველი ადგილები. ამ ნიადაგზე წარმოიქმნა ქვითხურობის, მელითონეობის და მეგიშრეობის ხელობები. წარმოების აღნიშნული დარგები აძლევდა ადგილობრივ მოსახლეობას საარსებო საშუალებას სახნავ-სათესი მიწის სიმცირის პირობებში. ეს ვითარება, ცხადით არ გამორიცხავდა ვაკე და ზემო იმერეთის სამეურნეო და საყოფაცხოვრებო ერთიანობას, რამდენადც აღნიშნული განსხვავება კუთხურ-ლოკალური ხასიათის მოვლენას წარმოადგენდა.

ამის ხაზგასმა იმიტომ დაგვჭირდა, რომ ზემო იმერეთის სურეტნეო ყოფაში წარმოდგენილი სამუშაო იარაღები და ხელური ჭელი დაკავშირებულია ზემოაღნიშნული ხელოსნობის დავვაპრან, განსაკუთრებით ქვითხუროობასა და მელითონეობასთან.

ქვა და რკინა ძნელად დასამუშავებელი მასალა, რომელიც მოითხოვს არა თუ ჩვეულებრივ რკინის იარაღს, არამედ ფოლადასაგან გამოკედილ ხელჭურჭელს. ამ მიმართულებით ფრიად საინტერესოა ქვისა და რკინის დასამუშავებელი ფოლადის იარაღები, რომელთაც იყენებდნენ აქაური ხელოსნები თავიანთ საქმიანობაში. ეს იარაღი, როგორც ითქვა, განსხვავებულ მიღვომას მოითხოვდა როგორც ტექნიკური დამუშავების, ისე ფორმა-მოყვანილობის მიხედვით. ამ მიმართულებით, თუ გავითვალისწინებთ სამუშაო კედური იარაღების შინაარსსა და მოყვანილობას, აშეარად დავინახვთ მათში საქმიართან მორგებულ და ხელმარჯვედ შეწყობილ ქვა-ლითონისა და ხის დასამუშავებელი იარაღის ტიპებს. მხედველობაში გვაქვს ქვის საკოდი იარაღები: სავარცხელი ანუ კბილდაჭრალი კვერი (იგი მრავალი სახისაა), საჩეკი ორწვერა, წერაქვი ტარალი, საკოდელი და სხვა; კეკო თოხი და ბართოხი მიწის სანგრევად, უკრიბული ცული, სახელოსნო ნაგახი, წალდი, სასხლავი, სავაზე, ასტამი, საკეცური, ხათრითი (ხუთქიმიანი შამფური), წელსავიდი დანა, სატევარი და სხვა. აღნიშნული რკინის ხელადი, რაც მთავარია, სახმარადაც აღვილი და მოქმედებითაც ერთობ შედეგიანი იყო. მათ არც გამდლეობა და სიჯიქე აკლდათ. ზოგიერთი მათგანს სახე ისე სრულყოფილი იყო, რომ გაცემის შემდეგაც ვარგოდა პირის წარმატებლად და ტანის აღსაღვენად. ამგვარ ხელადზე ამბობდნენ: მისი ტანი და პირი ერთნაირად ჭრისო.

განსაკუთრებით გამოიჩინდა საჭედური ქურა, რომელიც ერთანი ქვისაგან იყო გამოჭრილი. უნდა ვივარაუდოთ, რომ ამგვარი ორიგინალური ქურების შემუშავება ხანგრძლივი დაკვირვებისა და ემპირიული ცოდნა-გამოცდილების ნიადაგზე უნდა მომხდარიყო. რაი ქურისათვის უცელა ქვა არ გამოდგებოდა, ჩანს, აღრიცხავე მიაგნეს ისეთი ჭიმის ქვას, რომელიც უძლებდა მაღალ ტემპერატურას და ცეცხლში არ სკდებოდა. ამასთან აღვილად არ დაშლებოდა და აიტანდა მუდმივ რყევას. ამ მხრივ არანაკლებ საყურადღებოა ქვის საწნეხებისა და წისქვილის ქვების—დოლაბების, მოქრის საქმის კარგი ცოდნა.

<sup>1</sup> მაგ. სკიპას ლელეში (ტყიბულის რ-ნი) იჭრებოდა სიჭისქვილო ქვები, რომელიც დამუშავებული იყო მარტინ და ალექსანდრე მარტინის მიერთების შემთხვევაში.

საერთოდ იმერული მჭედლობის ნახელავი ხასიათდება კანკვლი ღირსებით, უხეში, საქმიარს მოურგებელი და უშნო ხელადი ძალზე იშვიათია.

ველზე მუშაობის შედეგად გამოვლენილი ძველი სამთამაზნო წარმოების ნაშთებისა და რკინის წარმოების ახალი უპნების შესწავლის საფუძველზე, ასევე სათანადო სპეციალური ლიტერატურული მონაცემების გათვალისწინებით იმ დასკვნამდე მიღდივართ, რომ მეურნეობის ეს დარგი ქართველი ხალხის ეკონომიკურ ცხოვრებში დიდ როლს თამაშობდა და საყოველთაოდ გავრცელებულ საქმიანობას წარმოადგენდა. როგორც ითქვა, იმერეთის ტერიტორიაზე მელითონეობისა და საერთოდ მჭედლობის განვითარებისათვის ყველა საჭირო ობიექტური პირობა არსებობდა, ამიტომ, ბუნებრივია, როგორც ფერადი, ისე შევი მეტალურგიის განვითარებას საჭურველოს, კერძოდ იმერეთის, სინამდვილეში აღრევე ჩაეყარა საფუძველი და თავის დროისათვის მაღალ განვითარებას მიაღწია. ამას გვიჩვენებს არა მარტო საწარმოო წესები და აღჭურვილობა, არამედ მასთან დაკავშირებული ტერმინოლოგია და რწმენა-წარმოდგენები.

ხანგრძლივ საწარმოო გამოცდილებაზე დამყარებული ლითონების დამუშავების ტექნოლოგია განაპირობებდა მაღალი ხარისხის სამეურნეო, საბრძოლო, საოჯახო და სპეციალური დანიშნულების იარაღების შემუშავებას. მოწინავე სამეურნეო იარაღები ხელს უწყობდა და წინ სწევდა სოფლის მეურნეობის შინამრეწველობასა და ხელოსნობის დარგების განვითარებას.

კითხვა იბადება: როგორია დღეს იმერეთის მჭედლობის სურათი და რაში გამოიხატება მისი რეალური, პრაქტიკული მნიშვნელობა სოციალისტური მეურნეობისათვის. თამაშობს თუ არა იგი უწინდებურად რამე როლს ახალი საზოგადოების ცხოვრებაში? ცხადია, საზოგადოებრივ და სამეურნეო ცხოვრებაში მჭედლობის როლი და მნიშვნელობა დღეს ის არ არის, რაც იყო. ამეამად იგი ვერც დააკმაყოფილებდა საზოგადოების გაზრდილ მოთხოვნილებას თავისი ხელოსნური ხასიათისა და განზომილების გამო. ინდუსტრიისა და ტექნიკის განვითარების მაღალი დონე უძლურს ხდის ხელოსნური წარმოების წესებსა და საშუალებებს. მას მხოლოდ ერთვეარი დამხმარე როლიდა რჩება. სწორედ ამ როლს ასრულებს იმე-

ლიც გაქმნდათ საქ. სხვადასხვა კუთხეში. ამ მხრივ ნიშანდობლივად გვეჩვენება წისძვილის ქვათა მეგრული სახელშოდება „სკიაბუ“.

რეთის ეთნოგრაფიულ სინამდვილეში მჭედლობა და აქა-ჯ მომსახურებას უწევს, განსაზღვრულ ჩარჩოებში, მოსახლეობის მომზადილებასაც.

ამის საილუსტრაციოდ შეიძლება დასახელებულ იქნება „დეკორაციული თაბის მოხელეთა მონათხრობი, რის საფუძველზე კარგად ჩასრულდება მის მიუღებელობისა და საერთოდ მელითონეობის აღრინდელი როლი და მნიშვნელობა ქართველი ხალხის სამეურნეო და საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

საერთოდ, ესა თუ ის ხელობა იქ იყიდებდა ფეხს, სადაც ამ. სათვის არსებობდა კეთილნაყოფიერი როგორც ობიექტური, ისე სუბიექტური პირობები. საკუთრივ მჭედლობის ხელობისათვის იქ მიუყვათ ხელი, სადაც საამისო პირობები რეალურად არსებობდა და გამართლებაც ჰქონდა. იმერეთი, განსაკუთრებით მისი ლავადა ადგილები ზემო იმერეთის სახით, უაღრესად ხელსაყრელ პირობებს შეიცავდა როგორც წიაღისეულის მხრივ. ისე თავისი შწირა ადგილებით მჭედლობის განვითარებისათვის. მოგვყავს ამის თაობაზე ზოგიერთი საინტერესო მითითება ძველი მჭედლებისა, რომელთა მონათხრობი ჩავიწერეთ 1938 წელს.

„ნახშირა“ (იგულისხმება რეინის მადანი — ქვანახშირი, ნ. რ.) აქ ყველგან იყო. წინათ იმას არაფერში არ ვიყენებდით. ჩოხების სალებავად იცოდნენ მისი ჩაყრა სალებავში. მეორე იყო, შეიძვა „ნიკოლისქვა“ ერქვა იმას (იგულისხმებოდა ლითონის ქვა, ნ. რ.). აქ იყო ეს ქვა ტყიბულში — „ქოლომოურის“ ადგილებში. ასლაც აქ დიდი ნათხარი ადგილებია უწინდელი. ძირს რომ ნახშირი იყო, ზეთ ეს ქვა იდვა — ნიკოლისქვა, წაბლითერი იყო. წინათ ჩვენი მამა-პაპა ამუშავებდა ამებს თურმე“.

განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს რეინის მოხელის, მჭედელ მალაქია ივანეს ძე ზოჭორიშვილის (102 წ. ტყიბული) ნათქვა-მია: — „ჩემი ბაბუა რომ ამუშავებდა რეინის, ეს კა მახსოვს. უშავ ბევრი მჭედელი იყო აქ. „სამჭედურ სახლს“ ვეძახდით, იქ გვჭონდა გამართული „სამჭედური“ — ქვის დიდი ქურა იყო. თირიქებია კეთდებოდა, იმიტომ რომ იგი ცეცხლში არ სკდებოდა. ახლა რომ სკპას ლელეში სასაცეცხლე ქვაა და საცეცხლეებს რომ ვამზღვებთ, იმისთვის ქვა იყო, ცოტა იმაზე რბილი ქვა. ქვას ერთ მხარეზე ჩაჭრილი ქონდა. იქიდან დაუგებდით თიხის შტვირს და საპერალს. გულში ამოღებული იყო ჯამივით და ერთგან ძირში გეზად ჰქონდა ნახვრეტი, ჭუჭყის გასავალი. თიხის შტვირს ჩვენ ვაკეთებ-

დით ხის კალაპოტით, იმას ერქვა მარძალი. როცა რომ იწოდა შტვირი, უცვლიდით ახალს. შტვირში უკანიდან ეწყო ლერწმის მასრები და ამ მასრებს ხან დავამოკლებდით და ხან დაქაგრმელებდით — წინ წავჭევდით, როცა რომ შტვირი იწვოდა. ლერწმის შეფურილი იყო ხის ბოძალა „პაიჭაში“. პაიჭა თავიდან ბოლომდე გახვრეტილი იყო და წამოგებული ქონდა თხის ტყავის საბერეველა. წინ და უკან უბერავდა და დიდი ძალა ქონდა. ეს ხის პაიჭა დამაგრებული იყო მაგრა და არ იშლებოდა. შტვირს გაზაშლილი („გორგლიანი“, ნ. ჩ.) თავი ქონდა, რომ მეტი გამძლე ყოფილიყო“.

„ნითოლის — ნიცოლის ქვა იყო წაბლისფერი. მაგარი, ძისი რეინაწიდა ახლაც ქვეყრია. ამ ნითოლს აღულებდნენ და აღნობდნენ რკინათ. ეს ქვა ამოქნდათ მიწიდან და დაახვავებდნენ. მერე მოქონდათ სახლში და ორჯერ აღულებდნენ ქვის ქურაში, წაბლის ნახშირით, გაურევდნენ ცოტას რკინაწიდას. ჯერ ქურაში ცეცხლს გააჩარებდნენ და იმაზე, თავზე დააყრიდნენ წვრილათ დაფშვნილ მაღანს და ქალმა რომ ყველი ამოიყვანოს ისე ამოყავდათ რკინა. ამას ჯერ ქვაზე გაბეგოებდნენ და მერე დაგვემლაზე შეკვერავდნენ, მოქნიდნენ. თუ მესამედაც გააღდულებდნენ თლა ფოლადი იყო. საღწობი ქურა, როგორც გითხარით, რბილი ქვისა იყო, რომ არ გამსედარიყო. სამშედური სახლი ერქვა, საცა რომ ეს კეთდებოდა. ცალკე იდგა ეზოში. ხის სახლი იყო. დიდ ნატეხებს რკინის ურთი ფშეიდნენ. რკინა ხორხმარწუხით გადმოქონდათ. მერე გააკალაპოტებდნენ, საპირკალი ცვდებოდა რო კვერავდნენ. რასაც ვაკეთებდით, ის იყო ხელადი, ნაკეთები. ფერთხი გვქონდა ჩალის, წყლის მოსაშეურებლათ“.

„მჭედელს ძალიან შეელოდა რკინის მიღულებაში სილა. მიწის სილა ამაში ყველაზე კარგი. მე ვარ ამის მენახსოვარე. სხვა არავინაა ახლა ჩემზე ხნიერი. მჭედელი მოხერხებულ, მარჯვე კაცად ითვლებოდა“.

მჭედელი ბოჭორიშვილი კვლავ გადმოგვცემს: „მჭედლობა მამაჩემისაგან გიშვილე. ჩემში ორი მჭედელი იყო მარტვა... ვჭედავ-დათ ცულებს, ნაჯახებს, წალდებს, დანებს, კარბას, კარების რაზებს, ნალებს და ამისთანებს... თოხებს, ნამელებს, ხოჭებს, საკეცურებს, თუ რკინა მეორე რკინას დავადევეთ და ისე მივაღულევით, ამას „დასადებლება“ ქვია. დავისადებლებთ, როცა გაცვლება რკინეული. როცა დაფოლადება გვინდა, პირს გაუპოპო რკინას და ჩაურთავთ ფოლადის ნაჭერს — დავაფოლადებთ. თუ კარგად არაა

გადუღებული მიდუღებულთან უჩნდება ბზარი — რტცვანშ ფოჩი გამოაჩნდა-ო. როცა რკინის ცენტრალურ საქმეა წრთობა. რკინი, ხან მაგარია, ხანაც რბილი; თუ მაგარია, იმაზე ვიტყვით. ფიცხველია, თუ არა და რბილიო... ეს წრთობაზეა დამოკიდებული. რჩებ გავახურებთ მაგრა: საბერველით უბერავთ ქურაზე და ნახშირს შემოვახვევთ მარწუხით და დაუწყებთ რქენის, პედის დგვემლზე ხელკვერით. დროდა დრო, იქვე გვიჯვია გობი წყლით, ან ჯიშოლი წყლით და იმაში ვაწრთობთ გასამტკიცებლად. ნახშირი თუ არ გვივარგა, კარგი არ გამოგვივა.

ჭედლობა ისეთია, რომ თუ არ იცი მოთავებულად, უნდა დაეთხო. სამი წელიწადი ვსწავლობდი მოთავებულად“.

ანალოგიური ცნობები მოგვაწოდა ალექსი როტომის ძე ჯიშიაშვილმა (107 წლისა, ს. ტყიბული): „ნიცოლი (ლითონი, ნ. რ.) ითხრებოდა აქ ტყიბულში ნადუქნარების, მიღაროს თავზე. ნიცოლი წითელი ქვასავით იყო. რომელიც რომ მძიმე იყო იმას ააჩჩევდნენ.“



სურ. 1. თოხი. ს. ჯანაშიას სახელობის სახ. მუზ. კოლექცია

მჩღარე არ ვარგოდა, როცა საშუალება ქონდათ უყრიდნენ თავს და მეორე ზამთარ ქვე ამუშავებდნენ. ავი გასწდულებელი იყო.

ბევრი ფუჭდებოდა, ხდებოდა. იმას გადაყრიდნენ. ნიცოლს ყოლ-ზაში (ქალბაქში, ნ. რ.) აღულებდნენ. ყულბა კაცის სიმაღლეზე იყო აყვანილი და ერთ მხარეზე საბერეველი ქონდა. შუაფულში საცეცელივით იყო ჩატრილი. იმაში ვანთებდლით წამლის ნახშირის ცეცხლს და თავზე დავაყრიდით ამ რეინის უანგს. დაუბერავდით კა. მაშინ ქვანახშირი რა იყო, არ ეცოდით; ისე ეყარა ყველან, სულ ღვიარობდა შავად. ნახშირს ვეტყოდით მაშინ. ვინც რომ ნიალაგად მუშაობდა, ამავებს ყველა ცნობდა. 120 წლის ბიძა მყავდა. ისე იყო დაგეშილი, რომ ამყოლ არ შეცდებოდა. ისე აარჩევდა ნიცოლს, რომორც სიმინდის ტარო აურჩევია კაცს. გლახა და უვარგისი რომელიც იყო, ითშვენებოდა თავისით, თირი ქვასავით, იმას ვანზე ვყრიდით. კარგი რომელიც იყო, იმას სიმძიმითაც ეტყობოდა. რომ ვატეხილი სულ შინშალს (ნაპერწალს, ნ. რ.) ყრიდა. ჩვენი იარაღი ეს იყო: წერაქვი, ურეში, კალათები ვადასაზიდად. მოტანილ ნიცოლს ისე უბრალოდ დაყრიდნენ მინდორში ხვავათ. როცა რომ მიყდიოდით ნიცოლის შოსაჭრელად, ზოგი თხრიდა, ზოგი მიწას ჭრიდა. მეორე მიწას ასუფთავებდა. ჭავავით აეთებდნენ. ძირდაძირ უკეთესი და უკეთესი ამოღიოდა. კოლბოხებად (დიდ ბელტებად ნატეხებად, ნ. რ.) ამოქონდათ. ძირიდან ბაწრითა და გიღლით ამოქონდათ, რასაც წიკავდა კაცი. მეტი გამოცდილება არ გვქონდა მაშინ. ბოლოს საკიდე მოვაწყვე მე. ჭაში კიბით ჩადიოდნენ, რასაც ამოილებდნენ ხომ კარგი და რასაც არა, მერე სხვა ბინაზე გადიოდნენ. აქ-იქ ჭრიდნენ მიწას. ზოგიერთ ადგილზე უფრო მაღლა იყო. ერცახე რომ მოვეთხაპა გამოჩნდებოდა. ადგილ-ადგილ უფრო ძირს იყო და მაშინ ორი არშინი მიწა რომ ვაიტებოდა მერე შეატყობით იყო თუ არა ნიცოლი, უანგა. უფრო ზაფხულ თხრიდნენ, რათა ჭაში წყალი არ ჩამდგარიყო. თუ წყალი ჩადგებოდა მიანებებდნენ და სხვაგან გადადიოდნენ. თვალით და სიმძიმით ცნობდნენ ნიცოლს. მემძღოლი ყავდათ. ისე ყველამ იცოდა ამისა დაძებნა თავისთავათ, მარა ერთი და ორ კაცს არ შეეძლო ნიცოლის მოჭრა და დამუშავება. ბევრი ხელი იყო საჭირო. ხვავათ ცინახავდით სამჭედურის ახლო, ან საღმე სხვაგან ბუჩქულში, როცა რომ ვაღულებდით მთავრებს. დიდ კოლბოხებს რეინის ურთებით ვამტვრევდით ხის დიდ სანაყებში.

ქურას ვეტყოდით, სადაც რომ ცეცხლი ენთო. შუაში ქურას ორმო ქონდა; ამოშენებული იყო თითო ქვით და მიწით შეგლესილი. სიმაღლით კაცის მისაღვომის ტოლი იყო. ორმოს სიმაღლე ერთი ჩარეჭი იქნებოდა, თიხის შტვირი ეგო. იმას თავათ ვაკეთებდით

საკრამიტე აყალო მიწისას. ჯერ ჩრდილში გავაშრობით, მეტა  
3—4 დღე მზეზე ეკიდა. რკინა გადულდებოდა და დიდი მოწერე-  
ბით ამოიღებდნენ, პურივით ამოსვამდნენ ქურიდან, დაკუთხავებული  
და ისევ ჩააბრუნებდნენ. 3-ჯერ გაიმეორებდნენ ჰავალასთავა უკა-  
ლადი დგებოდა. მერე გუბე ხე იყო (იგულისხმება როგორ წყლით,  
6. რ.) და იმაში ჩაავდებდნენ. იქ გლახა რაც ექნებოდა, სულ შე-  
მოცულებოდა. სულ კვამლი ადიოდა.

ხუთფუთიან დგვემლს (გრდემლი, 6. რ.) ვაუთებდით ამ აკა-  
ნისას. ზოდს დაავდებდნენ და როცა უნდოდათ ჩიმოჭრიდნენ იმას,  
საკვეთით, ამის გაჭრა გამომარი იკოდნენ<sup>2</sup>.

იმერეთის მშედლობას გააჩნდა ზოგი თავისებურება, ცხადია,  
ეს თავისებურება კუთხურ-ლოკალურ საზღვრებს არ სცალდება  
და აქ წარმოების ეს დარგი ძირითადად წარმოდგენილია საქართ-  
ველოს სხვა კუთხეებთან თანაზიარი სახით. უნდა ითქვას, რომ ამ  
თავისებურებას გარეგნულად ისიც იწვევდა, რომ ზოვიერთ თემა  
და უბანში წარმოდგენილი რკინის მაღნის საბაზოები, ჩვეულებ-  
რივად მთის ძირა და კლდეთა შორის მოქცეულ ფენებად კი არ  
იყო არამედ უმთავრესად ვაკე, დაბლობ ნიადაგებში იყო დაფულული.  
ეს გეოფიზიკური თავისებურება მაღნეულის განლაგებისა ქანებ-  
ში, შედარებით იოლსა ხდიდა მის მოპოვებას და ამასთანავე განს-  
ხვავებულ მიდგომასა და აღჭურვილობას მოითხოვდა, მეორე თა-  
ვისებურება იყო, რომ რკინის საწური ქურები — ე. წ. „ქულბა-  
ქები“ აგებული, აშენებული კი არ იყო, არამედ თირი“, ერთიანი  
ქვისაგან გამოკვეთილ აგრეგატს წარმოადგენდა. ასეთი ქურა სა-  
ქართველოს სხვა კუთხეებში არ დაგვიმოწმებია. რაც შეეხება სარ-  
კინე ქოხებს, ისინი ისეთივე აგებულებისა იყო, როგორც მაგ., წე-  
დისა და სვანეთშია („შხიბარში“). როგორც წედისში, ბოლნისა  
და შხიბარში, აქაც მაღნის საწურად გამართული იყო ზეზე სამუ-  
შაო ქურები. მსგავსი კონსტრუქციის ქურა 1864 წელს წედისში  
დაადასტურა პროფ. პეტროლდმა (დაწვრილებით ამ საკითხის შე-  
სახებ იხ. 6. რეხვიაშვილის მონოგრაფია „რკინის დამუშავება იმე-  
რეთში“, 1965 წ. ხელნაწერი).

რკინის წარმოება აქ ფართოდ იყო განვითარებული. იუნინ  
თემები, რომელნიც მხოლოდ რკინის დამუშავებით ცხოვრიბდნენ<sup>2</sup>.  
მისიონერი არქანგელო ლამბერტი წერს: „იმერეთის მთებში არის

<sup>2</sup> ვ. დაკაბაძე, შინამრეწველობა საქართველოში, მოკლე ისტორია, თბ., 1926, გვ. 42.

რეინის მადანი იმდენი, რომ ზოგ ადგილას ხალხი ცხვა ხელი—  
ბას არ ეტანება<sup>43</sup>.

იმერეთში მცედლობის განვითარებასა და მოწიფულობას მოწი-  
ფობს მრავალი ფაქტი: არქეოლოგიური გათხრების შედეგებით მრა-  
ვოვებული ნივთიერი მონაცემები, ტყე-ეელად უხვად გაპნეული  
ძელი წარმოების ნაშთები; ხალხის შეგნებაში დღემდე შემონახუ-  
ლი სახელგანთქმული აქაური „ხელადი“ და მისი ფართო გავრცე-  
ლების ფაქტი. ქორეთის სკოლა-მუზეუმის ფონდებში დაცულია  
სამეცნიერო და სახელოსნო რეინისა და ბრინჯაოს ძელი ნივთები,  
რომელთაგან განსაკუთრებით საინტერესოა უნიკალური რეინის  
„კვერი“. იმასვე გვიჩვენებს ეთნოგრაფიული ყოფის დამახასიათე-  
ბელი იმერული კეკო თოხი, ოკრიბული ნაჯახი, წალდცულა, ჭა-  
ლის თოხი, ბარ-თოხი (სურ. 2—3) და სხვ.


ამგვარად, ფაქტიური მონაცემების მეცნიერული ანალიზის სა-  
ფუძველზე შეიძლება ვივარიულოთ, რომ მცედლობა იმერეთის ეთ-  
ნოგრაფიულ ყოფას მამა-პაპით მოსდგამს. წინაპართა ეს მონაცოვა-  
რი შემდგომ ეტაპზე ყოველ ახალ ცითარებაში მეტნაკლებად  
სრულდებოდა და ფართოვდებოდა ან ქვეითდებოდა და დაეიშყე-  
ბას ეძლეოდა.

არქეოლოგიურმა გათხრებმა ნათელი გახადა ის ფაქტი, რომ  
იმერეთი ისტორიულად წარმოადგენს მელითონეობის ერთ-ერთ  
მნიშვნელოვან კერას, განსაკუთრებით თვალსაჩინოა ეს შუაბრინ-  
ჯოს ხანიდან, როდესაც თავს იჩენს ნაირი სახისა და დანიშნულე-  
ბის სასოფლო-სამეცნიერო, სახელოსნო და საბრძოლო იარაღების  
სრულყოფილი ფორმები, კერძოდ, კოლხური ცული, კოლხური თო-  
ხი — კეკო და სხვ. იქმნება ერთგვაროვანი კულტურის არეები.  
ერთ-ერთ ასეთ არეს წარმოადგენს კოლხური კულტურა, რომელიც  
მთელ დასავლეთ საქართველოს მოიცავს.


ბრინჯაოს მელითონეობის განვითარებამ გამოიწვია საქართვე-  
ლოს მიწა-წყალზე მოსახლე ქართველი ტომების სამეცნიერო და  
საზოგადოებრივი ცხოვრების დაწინაურება და ხელოსნობის სხეა-  
დასხვა დარგის წინსვლა-განვითარება, ეკონომიკური და კულტუ-  
რული კავშირ-ურთიერთობის გაფართოება როგორც შიგნით ტომ-  
თა შორის, ასევე მეზობელ ხალხებთან.

<sup>43</sup> ა რ ქ ა ნ ჯ ე ლ თ ლ ა მ ბ ე რ ტ ი, სამეცნიეროს აღწერა, თარგმ. ა. ჭყო-  
ნისი, II, გმ., თბ., 1938, გვ. 190.

<sup>44</sup> საქართველოს ისტორია, ნ. ბერძენიშვილის რედ., თბ., 1958, გვ. 12.



სურ. 2. მწედლური ნახელავი (ხელადი).



სურ. 3. მწედლური ნახელავი (ხელადი).

ე მიმართებით დიდად საყურადღებოა საკუთარი ადგილობრივი ნივი ნედლეულის დამუშავების ნიადაგზე რკინის მეტალურგიის მძლავრი განვითარება, რომლის წარმოება გასული სსრკუნის ჩა ხევრამდე გრძელდებოდა იმპერიუმის სინამდვილეში.

იმერული მჭედლობის ნახელავი „მუშა გამჭრელი“ და სპეციალური იარალი სანაქებო იყო და დიდი საყოველთაო მოწონებაც ჰქონდა.

სოფ. პერევის მცხოვრები იასონ ზერაბის ძე შეკავიძის ჩვენებით... „აქედან (იგულისხმება სოფ, პერევი, ნ. რ.) დაწყებული სინაგურსა და ჯალაბეთამდე რკინის ქარხნები უოფილა, რკინის ნამუშევარან ჩვენი ძველები უმაღ“ (იგულისხმება რკინის საწური ქურები).

ტრადიციამ რკინის დამორჩილების ხელობა — მჭედლობა იმერეთის სინამდვილეში ბოლო დრომდე შემოინახა. ი. ხატისოვის მიხედვით ზემო იმერეთში — საჩხერეში, უონეთში, რვანში, კვარისაში, ტყიბულში, საჩხერის სახოგადოების ყველა სოფელში მჭედლობას დიდი გასავალი აქვს. საჩხერეში ყველა გლეხი მჭედლია<sup>6</sup>. ასევე, ბ. სელივანოვი ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ „იმერეთში, კერძოდ, ტყიბულში, პამიჩქმა და ფინეთში და აღმოსავლეთ ურალის მიყრუებულ ადგილებში სიცოცხლეს ამთავრებდნენ რკინის დამუშავებისა და კედვის საკმაოდ ძველი წესები, რომელიც არა მარტო არსებობდნენ, არამედ წარმატებით ებრძოდნენ ურალისა და მოსკოვის ოლქის რკინის ნაწარმს“<sup>7</sup>.

იმერეთის მჭედლობის შესახებ შეკრებილი საექიველო მასალა საფუძველს გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ ფეოდალური საქართველოს ეთნოგრაფიულ სინამდვილეში რკინის წამოება, რომელიც წარმოადგენდა თანასწორობის პრინციპზე გაერთიანებულ ტიპიურ გლეხები მეურნეობას, ფართო ნიადაგს უქმნიდა რკინის მჭედლობას, რომელიც თავის მხრივ წინ სწევდა სოფლის მეურნეობასა და

<sup>6</sup> ვანეუშტი ბაგრატიონი, საქართველოს გეოგრაფია, თ. ლომოურის და ნ. ბერძენიშვილის რედ., თბ., 1941, გვ. 151; არქონელო ლამბერტი, სამეცნიერო აღწერა, თარგმ. ა. ქუონისი, II გამ., თბ., 1938, გვ. 190; მ-დაბაძე, შინამრეწველობა საქართველოში, მოკლე მიმოხილვა, თბ., 1926, გვ. 248.


<sup>7</sup> И. Хатисов, Очерк кустарных промыслов на Кавказе, Тб., 1894, стр. 323.

<sup>7</sup> Б. П. Селиванов, Металлургия чугуна, М., 1933, стр. 9.

<sup>7</sup> მასალები იმერეთის ეთნოგრაფიული შესწავლისათვის

ხელოსნობის დარგებს დაწინაურებული და სრულყოფილი სამკურავული შაო იარაღებით.

იმერეთის მჭედლობა, როგორც ითქვა, მიზნული მახსხეჭდების უზრუნველყოფას რეინის ნაწარმით, ასევე ვარბი ნაწარმის გაზიდვას საქართველოს სხვადასხვა კუთხეში.



სურ. 4. სპილენძის ქვაბის მოსაყვანი ხელსაშუალება (სოფ. ჩხარდან).

იმერეთის მჭედლობის რეინის ხელადი, როგორც ითქვა, ნაწილი სახისა იყო: მიწის სათხრელი, ხეთა საჭრელი, ქვის საკოდი, კლდეთა სანგრევი; სახელოსნო, სანადირო, საბრძოლო, შინა მოხმარებისა და სხვა. ასევე სპეციალური ხესიათისა და დანიშნულების ხელჭურჭელი: სახარაზო, სადალაქო, საფასტაქრო და სხვ. განსაკუთრებით დიდ ხელვნებას და გამოცდილებას მოითხოვდა ზოგიერთი ხელადის გამოჭედვა და მისი დაყენება. ასეთები იყო: სამართებლები, ქვის საკოდები, ნამკლები, რეინის მახეები და ბევრი სხვა.

მჭედელ-ზეინქალი პაკლე გიორგის ძე ნატროშვილის ჩეგნებით (ს. გონი, 80 წ.), „იმერეთის სოფლებსა და დაბა-ქალაქებში უველგან იუვნენ უწინ რეინის, სპილენძის და ოქრო-ვერცხლის მოხელე მჭედლები. მათში გარჩევა იყო. ზოგს ერთი ემარჯვებოდა,

ზოგს მეორე. მე უფრო ზეინკლობა მეხერხებოდა. ისე ბევრი რამეს  
ვაკეთებდი, რაც მაცხოვრებელი კაცისთვისაა „მოღვა“ (საჭირო) —  
საერთოდ, ზეინკლის ხელობაში შედიოდა უფრო წვრილმანი ხელა-  
ლის დამზადება, ხის სახვეწების, როფის ეჩოების, ვენახის „სასხლა-  
ვების, დანების, ჯაყვების, სამართებლების, მაკრატელების, „მეშ-  
ტერების“, სადგისების, კლიტე-ბოქლომების, გამსროლი იარაღის,  
თოფის, ფილთას, დამბაჩის, სატევრების გამართვა-ვაჭელვა. ამის  
თაობაზე ზეინკალი მჭედელი, თუ ისე მჭედელი, ერთიმეორეს სა-  
საცილოდ ვიგდებდით, ეგნატე მჭედელმა გალეჭსა ივანე:

ჩვენი ივანე მჭედელი  
გამარჯვებულა დღესა,  
სამართებელს ვერ გაძედავს,  
კირშს ვერ მოაბამს ცელსა.

ამაზე ივანემ ეგნატეს დასცინა:

ჩვენი ეგნატე ლავესა,  
უეჩერებია ქალებსა,  
ხიხაში რომ გეიხედავს,  
ჩქარა ვერ გაშლის მკლავებსა.

ჩვენი სამჭედური სულ საკსე იყო მემჭედურებით და ისე  
მოცულია კაცებით. ვხუმტობდით და ვართობდით ერთმანეთს. მე  
ბევრვან მივლია, ქუთაცის აქეთ ყველგან ცყოფილვარ, სამტრე-  
დიამიც ცყოფილვარ, მარა მჭედელი ხონისთანა არსად მინახავს<sup>8</sup>.

Н. В. РЕХВИАШВИЛИ

## КУЗНЕЧНОЕ ДЕЛО В ИМЕРЕТИ

Резюме

Имерети расположено в восточных районах Западной Грузии, где основным видом хозяйства являлось земледелие и скотоводство. В верхних районах Имерети население издревле занималось кузнечеством. Кузнецное дело, как пока-

<sup>8</sup> ხონი (ჭულუკიძე), მართლაც, განთქმული იყო მჭედლობით, დღესაც ცოცხლობს ხალხის მეხსიერებაში „კუჭავას გაჭედილი წალდი“, რომელიც ორი შაურით შეტი ლირდა ჩვეულებრივზე.

зывают этнографические материалы стояло на высоком уровне, что было обусловлено развитием металлургии.

В работе даются народные способы добычи железной руды в древней Имерети и выплавки железа.

Автор установил, что в Имерети кузнечное дело развивалось по трем отраслям: обработки железа, меди и серебра. Каждая в свою очередь разделялась на несколько направлений. В кузнецком деле замечается специализация некоторых селений.

### ც გაზარაშვილი

## გლეხი ქალის ჩაცმულობა იმპრეტაცი

XIX ს. II ნახევარში იმერეთში გავრცელებული ჩაცმულობისათვის ფაბრიკულთან ერთად იყენებდნენ საოჯახო წესით დამზადებულ ქსოვილებსაც, რომელთა დიდი ნაწილი მამაკაცის ტანსაცმელს ხმარდებოდა<sup>1</sup>. იმერეთში აღრე დადასტურებული სელისა და კანაფის კულტურების საბოჭკოებით გამოყენებას ამ პერიოდში უკვე დაკარგული აქვს თავისი მნიშვნელობა, თუმცა ამ მიზნით საქართველოს სხვადასხვა კუთხეში შეკრებილი ენთოგრაფიული მასალა კარგად გვიჩვენებს მათს სამეურნეო და საყოფაცხოვრებო ფუნქციას ძველად<sup>2</sup>.

ქართული ხალხური ფეიქრობა შინამრეწველობის ტრადიციული დარგია. ისტორიულ პერიოდში კოლხური ქსოვილი — სარდონული განსაკუთრებული სახელით სარგებლობდა, რასაც პერიდოტესა და სტრაბონის ცნობებიც<sup>3</sup> გვიდასტურებენ. ცნობილია, რომ კოლხური ტილო კონკურენციას უწევდა ეგვიპტურს ძველი ქვეყნების ბაზარზე და საქართველოს ექსპორტში ღირსეული ადგილი ეჭირა<sup>4</sup>. სელისა და კანაფის ძაფისაგან დამზადებული ქსო-

<sup>1</sup> Р. Харадзе, Грузинская семейная обшина, I, Тб., 1960, стр. 76.

<sup>2</sup> გ. ჩაჩაშვილი, ქსოვილების დამზადების ისტორიიდან საქართველოში, I, ხელი, „საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე“, XIX-B, თბ., 1956; გ. რთხმებე, კანაფის მეურნეობა სვანეთში, „მასალები საქართველოს ეთნოგრაფიათვის“, XVI—XVII, თბ., 1972, გვ. 88; ი. სამსონია, ტანსაცმლისათვის განკუთხნილი ქსოვილების დამზადების ხალხური წესები აქარაში, ეურ. „მაცნე“, № 2, 1973.

<sup>3</sup> პ რ ა დ თ ტ ე ს ც ნ თ ბ ე ბ ი ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ თ ს შ ე ს ა ხ ე ბ , თ. ყაუხხისშეიღლის რედაქციით, II, თბ., 1960, გვ. 73; ს ტ რ ა ბ თ ნ ი , გეოგრაფია, თ. ყაუხხისშეიღლის რედაქციით, თბ., 1957, გვ. 123—124.

<sup>4</sup> გ. რთხმებე, ეთნოგრაფიული ექსპედიცია სამტრედიის რაიონში, ეურ. „მაცნე“, № 3, 1973, გვ. 225.

ვილები ბევრი კარგი თვისების (სიმსუბუქე, პერს კარგი კაშარიანობა, გამძლეობა) გამო დიდხანს შემორჩა ქართველთა ყოფის, საქართველოში ძველი დროიდანც ცნობილი იყო, უკრეთვე ჭვლა ტილოს მნიშვნელობა ადამიანის ჯანმრთელობის აზერც მართვა

XIX ს. II ნახევარში იმერეთში შინნამზადი მასალის ნედლებლს შეადგენდა მატყლი, ბამბა და აბრეშუმი. მატყლის ძაფი-საგან ნაქსოვს შალი ერქვა, ბამბისას ხამი ან სამი სელი, აბრეშუმით მოქსოვილს დარაიას ეძახდნენ. ამავე პერიოდში იმერეთის მოსახლეობას ფაბრიკული ქსოვილებით ქალაქებსა და სოფლებში გახსნილი სავაჭრო დუქნები ან მოსიარულე ღამერები ამარავებდნენ. აღებმიცემობაში ადგილობრივ მცხოვრებთა გარცვეული ნაწილიც იყო ჩაბმული. მ. სალარაძის შენიშვნით, იმერელები ამ მხრივ სჯობნიდნენ ქართლელებსა და კახელებს, რომელთა შორის აღნიშნული საქმიანობით სომხები იყვნენ დაინტერესებულნი.

ეთნოგრაფიული მასალის შესწავლით დგინდება, რომ XIX ს. ბოლოსა და XX ს. დასაწყისის იმერეთში სხვადასხვა ფორმის სამოსელი იყო გავრცელებული. ადგილობრივი მოსახლეობა სარგებლობდა მზა ტანსაცმლითაც, მაგრამ ხშირად საკუთარი ნახელავით კმაყოფილდებოდა. მოდური ფორმების მკერავს („მოდისტეკა“) იშვიათად მიმართავდნენ გლეხი ქალები. თუ ძველად მაღალი წრის ქალებისათვის ქარგვა ითვლებოდა საუკეთესო ხელსაჭმელ, დაბალი წრის ქალთა შორის ტანსაცმლის დამზადების ცოდნას ექცევდა განსაკუთრებული ყურადღება.

ძველი რწმენით ტანსაცმლის დასაჭრელად დღეების შერჩევაც სცოდნიათ. კვირის დღეებიდან ზოგი მძიმე იყო: ორშაბათი, ოთხშაბათი და პარასკევი. ამ დღეებში ტანსაცმელს არ გამოქრიდნენ. ორშაბათს საგანძურს არაფერს არ გააკეთებდნენ, სწადათ, ტანსაცმელი რომ გამოვჭრათ, ავადმყოფობა იცისო; ამ დღეებში არც ბერებულს ახლებდნენ ხელს, მიცვალებულისათვის არის ცუდიო. საინტერესოა ოთხშაბათ დღესთან დაკავშირებით ერთი დაკვირვებაც: „ოთხშაბათი შუაზე იყოფა, ნახევარი წინა დღეს ემატება და მეორე ნახევარი მეორე დღეს. ამ დღეს ერთდღებოდ-

<sup>5</sup> ქანანელი, უსწორო ქარაბაღინი, თბ., 1940, გვ. 422.

<sup>6</sup> М. И. Сагарадзе, Культурно-исторический очерк Западной Грузии (Имеретии), Кутаиси, 1909, стр. 104.

ნენ, თესლს არ გაიტანდნენ სიმინდისას, არც დასჭრიოთნენ; დღეობუაზე იყოფა და არ ვარგაო, ასევე არ სჭრიოდნენ შაბათს<sup>7</sup>.

პარასკევის გამოჭრილმა ცეცხლის დაბედება იციდა. დღესასწაულების მსგაცსად, შაბათს შუადღის მეტება—კრძაბათ დილამდე საუქმო იყო და ხელს აღარ „გაარყევდნენ“. „კვირაშ თქვაო, მოსელა მაცალეო და წასვლას ნუ მაცლიო“. კვირის დარჩენილი დღეები სამშაბათი და ხუთშაბათი კარგ დღეებად მიაჩინდათ და ტანსაცმლის გამოჭრასაც ამ დღეებს უფარდებოდნენ, მაგრამ „ხუთშაბათის გამოჭრილს არაფერი შეედრებოდა“. თუ სატან-საცმლე მასალას წინასწარ კარგ დღეებში ექცებოდა თავი გადაჭრილი და დალოცვილი, მაშინ ეს აკეთა აღარ მოქმედებდა. დაჭრას ამონბინებდნენ დღის პირველ ნახევარში — „დღე მატულობს და მოზარდისათვის კარგი იქნებაო“. სჭროდათ, რომ რა დღესაც ბავშვი დაიბადებოდა, იმ სახელდების დღეს მისთვის ტანსაცმელი არ უნდა გამოეჭრათ. ზომებს ნაქრის ზონრებით იღებდნენ. იცნობდნენ ხელით კერვის რამდენიმე ნიმუშს: გაცუ დვა, ლამბვა, ნემსის წვერა, გვირიშტი, თიძურა, ფრანგული. პირველი და მეორე ტერმინით უბრალო ნაკერს აღნიშნავდნენ; წმინდა ნაკერს ნემსის წეერას უწოდებოდნენ, ნემსუცულმით კერვას გვირიშტი ერქვა; თიძური მიღმა-მოღმით კერვა იყო, ხოლო ფრანგული ნაქრის გასამრთელებლად საჭირო კერვის სახე ყოფილა.

ვახუშტი ბაგრატიონის იმერთა დახასიათებაში უწერია: ....ხოლო კაცნი და ქალნი, ვითარცა ვსოქუთ, ეგრეთცა იცწყე, ვარნა უშეენიერესადცა და უუპაეროვნესადცა, ვინაიდგან ვლეხთაცა შეიღნი მიგვანან წარჩინებულთა შეილთა. სუფთანი, სამოსელთ გამწყსონი, ეგრეთვე ცხენთა, და თარალთა, და საჭურველთა; ცქვიტნი, კისკანი, ენატყბილნი... და ა.შ.<sup>8</sup>. ძელთაგანვე შენიშნული ეს მდგომარეობა მით უფრო შესამჩნევი იქნებოდა XIX ს. ბოლოსათვის ბატონიშმობისაგან განთავისუფლებულ ქვეყანაში, როცა შედარებით შემძლე გლეხისათვის ხელმისაწვდომი ყოფილა, როგორც საუკეთესო მასალა, ასევე საქართველოში გავრცელებული სამოსლის თითქმის ყველა ყვორმა.

<sup>7</sup> იმერთის 1972 წლის ექსპედიციის მასალები, რ. № 1, გვ. 27.

<sup>8</sup> ვახუშტი ბაგრატიონი, ალექსა სამეფოსა საქართველოსა (საქართველოს გეოგრაფია), თ. ლომოურისა და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, თბ., 1941, გვ. 146.

ზოგადი ხასიათის ტერმინოლოგიდან იმერეთში დავამოჲერებ: ტანფენი, ტანი, ტანცმა. სამოსელი აქ დაკონკრეტული ცნებაა და საოჯახო წესით დამზადებული ბამბის ქსოვილის ომშენებელია.

ფართო მნიშვნელობით გავებული საცვალი შრაცვალი ელემენტის მომცველია: ქვედა და ზედა საცვალი, გულისპირის დაჭვერი საგულე, მალული წელსქვევითი და წელსზევითი, რომელთაც „კოფთა — იუბკა“-საც უწინდებდნენ და სეზონის მიხედვით განსხვავებული მასალისაგან ამზადებდნენ.

ტერმინი საცვალი X—XI სს. უკვე ცნობილია და, როგორც ჯავახიშვილი ფიქრობს, ამ რიგის ტანსაცმელის გამოცვლადნის მაუწყებელიც<sup>9</sup>. ჩვენს უურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ ძველად ეს ტერმინი იმერეთში მხოლოდ ქვედა საცვალის აუსანიშნავად იყო გამოყენებული.

ქალის საცვლების დასამზადებლად გამოუყენებიათ ჩითი, მიტკალი, ნარჩა, იარდალი, აბრეშუმი. მიტკალი და ნარჩა ღლებისათვის ყოფილა ხელმისაწვდომი.

იმერეთში გაერცელებული ქვედა საცვალი გრძელტოტებიანი, უბეშედგმული და გვერდებში ჩაქებიანი ყოფილა. უბედ შედგმულ ნაწილს აქ წიწილი ჰქვია, აღმოსავლეთ საქართველოს ბარში გაერცელებული ხიშტაკის სანაცვლოდ,<sup>10</sup> ხოლო საცვლის ტოტებს თათებს ეძახიან. შესაკვრელად გამოიყენებდნენ ოთხ ზონას. ვეერდებზე დაკვერცილ წინა სამაგრებს უკან შეირაცხენ და უკანას წინა მხარეზე. საცვლის ტოტებზე წითელ ნაკერს დააკერებდნენ და ზედ ქალაქური თუ ადგილობრივ მოქსოვილი არშიებით („ვიშიბკები“ და ბაფთები) გააწყობდნენ. მორთული ტოტების კაბაში დამალვა წესი არ იყო და XIX ს. I ნახევარში, აღმოსავლეთ საქართველოს ბარის შეგავასაღ,<sup>11</sup> ეს სირცხვილად კი არ იყო მიჩნეული, არამედ ქალის სახელად. საუკუნის ბოლოსათვის აღნიშნული ტიპის საცვლების მომხმარებლად ერთეულები ჩანან, სამაგიეროდ ფართო გავრცელებით აღირიცხე-

<sup>9</sup> ვ. გავახიშვილი, მასალები ქართველი ერის შატერიალური კულტურის ისტორიისათვის, III—IV, თბ., 1962, გვ. 83.

<sup>10</sup> 6. გვათუა, ჩატულობის ისტორიიდან, ქალის ქართული ჩატულობა XIX ს. და XX ს. დასაწყისი, თბ., 1967, გვ. 37.

<sup>11</sup> იქვე, გვ. 43.

გა მსგავსი ფორმის, მაგრამ უფრო მოკლე, ქვედა საცვალი, რომ-  
ელსაც გვერდებში ლილებით იკრავდნენ.

ძველებური ტიპის ქვედა საცვალთან ერთად გრძელ პერიოდზე  
ატარებდნენ. XIX ს. ბოლოსათვის მოხუც ქალთა წარმოშორიში შე „თავარ“ ქალებში კვლავ ინახავს თავს კოჭებამდე სიგრძის, გულ-  
დახურული და მაგით შეკრული პერანგის ტიპი. ეიჩრო მასალის  
გამოყენების დროს ასეთი პერანგის გვერდებში ფართის მისაცე-  
მად პატარა ქალთის—ბარტყის შედგმაც სცოდნიათ, რო-  
მელსაც ერთი ნაპირი სწორი და მეორე ირიბი ჰქონია. აუკი-  
ლებელი იყო, რომ ქალთასთან ბარტყი სწორი ნაპირით მიე-  
კერდებინათ, წინააღმდეგ შემთხვევაში კაბა გუბნას დაიწ-  
ყებდა. ბარტყის გამოუყენებლობის დროს პერანგის გვერდებ-  
ში ჩაქებს შეარღვევდნენ. ზოგჯერ ასეთი ტიპის ზედა საცვალს  
საბეჭურად და საგულედ წითელ ქსოვილს გადააკერებ-  
დნენ და საგულეს ნაქარგითა და ორშებით მორთავდნენ. ამავე პე-  
რიოდში გავრცელებული ჩანს მუხლებამდე სიგრძის, გულმოხ-  
სნილი და მოკლე სახელობით შედგენილი პერანგები. შემდგომში  
მათ გვერდით უსახელოებო პერანგებიც გაჩენილა. გულამოლებულ-  
პერანგს გულისპირში ჩახსნიდნენ და ერთი ან ორი ლილით შე-  
კრავდნენ. ზოგჯერ გულისპირში გადაჭრიდნენ და ნაოჭს აუსხამ-  
დნენ. მოკლე პერანგებთან ერთად ფართოდ იკიდებს ფეხს მალუ-  
ლი ქვედაბოლოც.

კაბის ქვეშ ჩასაცმელი ქვედაბოლოს აღსანიშნავიდ იმერეთში-  
მრავალი ტერმინი გვხვდება: გარკაბა, იუბკა, აბორკა.  
საშინაო ქვედაბოლო უბრალო მასალისაგან შეიკერებოდა, სა-  
გარეოდ ფარჩა-აბრეშუმს ირჩევდნენ. მასალის გარდა საშინაო-  
და საგარეო კაბა ფორმითაც განსხვავდებოდა. საშინაოს თარგი  
მარტივი იყო და იყო ორ ან სამ დაუჭრელ განს ითვალისწინებდა.  
წელთან თავისავე ნაქერს ქუბად გადაუკეცავდნენ, რომ შიგ ზონა-  
რი გაეყარათ, რომელიც ქვედაბოლოს ნაოჭით მიაწყობდა. საგარეო  
ქვედაბოლოს თარგი ჩოთული ყოფილა და წინა მოელი განისა და-  
სხეა დაჭრილი ქალთების გამოყენებას ეძრაუდობდა. შედარებით  
გვიანაა შემოსული ხუთ-ექვს და მეტნაჭრიანი<sup>12</sup>. ამ ტიპის სამო-  
სელს ნაოჭი ან ნაეკები შემოსდევდა გარშემო, რომელიც ორ-  
მაგ სათავეში მაგრდებოდა. ორსავე შემთხვევაში მათი დიდი ნა-  
წილი უკან იყო თავმიყრილი. მორთვის ძირითად სახეს ფურ-

<sup>12</sup> იხ. ქუთაისის ისტორიული მუზეუმის კოლექცია №№ 7237, 7391.

ჩალი ("რუში") შეადგენდა, რომელიც ლექსიკონში კაბა პულებულ არშიად არის განმარტებული<sup>13</sup>. ფურჩალს ამზადებდნენ როგორც სწორი, ასევე ირიბი ნაჭრისაგან. ქვედაპირული ქავე-თესო ნიმუშს ამგვარი შესამკობი სამრიგად შემოჰყევით უშენდეს. წინო გარკაბა ნაქარგითაც უნდა გაეწყოთ. გარდა აღნიშნულის, მოხუცი ქალები ზამთრობით ნაქსოვ ქვედაბოლოსაც იცვამდნენ.

ამ რიგის ქვედაბოლოზე სახმარი წელსზევითი ყელდახურული წინ ღილებით შეკრული და გრძელსახელობიანი სამოსელი ყოფილა, რომელსაც გულისპირი არშიებითა და მაქმანით ჰქონია გაწყობილი. ზედაწელს სჭირდებოდა ორი წინა და ერთი უკანა ფარი<sup>14</sup>. ამ ტიპის სადა ზედაწელს, საღამურად ხმობილს, საწოლში ჩასაცმელად გამოიყენებდნენ.

შველად გულის დაფარვის მიზნით მოხმარებული პრტყელ სამხრიანი საგულე პერანგს ზემოდან უნდა ჩაეცვათ. შემდგომშია გვერცელებული სამკლაურიანი. ორივე სახის საგულე წინ იყო ჩახსნილი და ღილებით ანდა თასმებით შესაკვრელი. ხშირად წელამდე დასული საგულის ბოლოს სარტყელს მოაკერებდნენ. ზაფხულში ჩასაცმელი ცალპირი ყოფილა, ზამთარში დასაბაზულებული. საგარეო ჩაცმულობის ნიმუშები მასალასთან ერთად შემკულობითაც გამოიიჩეოდა. აღწერილი ელემენტი აღმოსავლეთ საქართველოს ბარში აზღუდის სახელწოდებას ატარებდა<sup>15</sup>.

XIX ს. ბოლოსა და XX ს. დასაწყისში იმერეთში ქალის ჩასაცმელის ერთი ხელი წოლიანი კაბითაა წარმოდგენილი, მეორე წელსზევითისა და წელსზევითის ერთობით, რომელიც ამ პერიოდში მასურ ფორმადა ქცეული. იმერეთში არსებული სამოსელის ეს ერთობა გრძელი ქვედაბოლოსა და წელსზევითის ნაირი ნიმუშის თანამონაწილეობით არის შედგენილი.

ზედაწელის ერთი სახე „კურტკის“ სახელწოდებით იხსენიება. მისი დამახასიათებელი ნიმებია: წელზე გაწყობა, ახალობისებური საყელო, რომელსაც იმერლები მოხვეულსაც ეძახიან, სრული სახელო. ზედატანი წინ მოლიანად ჩახსნილია და ღილებით იქცება. ზურგი, რომელსაც აქ უკანა კალთაც ჰქვია, მასზე შინუალით არის მიუნდული. ბაჩუკი ორმხრივ ირიბად აქრილი პატარა

<sup>13</sup> ქართველურ ენითა ლექსიკა, I, გურული, ზემოიმერული და ლეჩეუმერი ლექსიკონები, თბ., 1938.

<sup>14</sup> იმერეთის 1972 წლის ექსპედიციის მასალები, რ. I, გვ. 93.

<sup>15</sup> ნ. გვათუა, დასახ. ნაშრომი, გვ. 45.

ნაკერი იყო, ომელსაც სისრულის მისაცემად ზოგჯერ თა-  
თო გვირდში ორსაც ჩააყენებდნენ ხოლმე. „უკან ბევრი ნიჭიე-  
ბი — ქვეყანა, წელში გამოწინებულებული და აფოლაქებულებულს  
ცოტათი სცილდებოდა“<sup>16</sup>. ზედაწელს სახელო ნიდაყვამდევ სტრულე,  
უნდა ჰქონოდა, მერე ვიწრო მაგა შემოპქერდებოდა. შემკიბის  
მიზნით მაგაზე წვრილ ღილებსაც დააკერდებოდნენ.

შესაკერ მასალად საუკეთესო ქსოვილებს არჩევდნენ. შალი,  
აბრეშუმი, ფარჩა, დარაია. თხელი მასალიდან დამზადებულთ სარ-  
ჩულიც სჭირდებოდათ და მათ გაზაფხულ-შემოდვომაზე იცვამ-  
დნენ. ზამთრისათვის სქელ მასალას ყიდულობდნენ.

წელსზევითი სამოსელის ამ ფორმების მოხმარება ქვედაბოლოს  
გარეშე შეუძლებელი იყო, ომელიც გრძელი და ნაოჭიანი ყოფი-  
ლა. სიგრძის გამო მათ ფორმალა კაბებსაც ეძახდნენ  
იმერეთში და საერთოდ ეს ტიპი ქვედაბოლოსი კუდიანი კა-  
ბის სახელწოდებით არის ცნობილი საქართველოში. „წინ გრძელი  
რომ მიწას სუნავდეს, უკან ერთი მეტრო კუდი. ქალი რომ იცვ-  
ებდა და მოტრიალდებოდა, მაშინ კუდს იცი სად მოისროდა. უკან  
ორ ნაკერს უფრო დიდრუანს უზამდნენ. უკან ნაოჭი, წინ არ უნ-  
დოდა. კოტეად შემოკეცავდნენ ქამარსავით. ჩემს დროს ეს  
იყო ხმარებაში, ვისაც კარგი ცხოვრება ჰქონდა“<sup>17</sup>. მთხრობე-  
ლის ჩანაწერი ამჟამად ჩვენთვის საინტერესო ქვედაბოლოს კარ-  
გად გვიხსიათებს. კაბის მასალა ზედაწელისას ეთანხმებოდა და  
ზომით საჭირო სიგრძის ქსოვილის სამი განი სჭირდებოდა. სხვა-  
დასხვა რაოდენობის განის გამოყენება ხუთ, ექვს, შვიდ და მეტ-  
ნაჭრიანი ქვედაბოლოს შექმნის შესაძლებლობას იძლეოდა. ქუთაი-  
სის ისტორიულ მუზეუმში დაცული ქვედაბოლოებიდან ერთი  
ცხრანაჭრიანია<sup>18</sup>. ყველაზე მეტად ხუთნაჭრიანი ყოფილა გავრცე-  
ლებული. უველა შემთხვევის დროს აუცილებელი იყო შემდეგი  
წესის დაცვა: წინა კალთა დაუჭრელი უნდა ყოფილიყო და სწორი.  
ამის გამო ამბობდნენ — წინ კალთიანი და უკან განდაჭრილი იყოო.  
წინა სწორი განის ზევითა ნაწილს ორმხრივ ააურებდნენ და დარ-  
ჩენილ კალთებს სწორი ნაპირით დააკავშირებდნენ. ზოგჯერ უკანა  
კალთისაც დაუჭრელს დატოვებდნენ. კაბის კუდს ორგვარი ხერხით  
დებულობდნენ: ხან უბეურად გამოჭრილი ნაწილის ჩადგმით, ხან

<sup>16</sup> იმერეთის 1972 წლის ექსპედიციის მასალები, რ. I, გვ. 93.

<sup>17</sup> იმერეთის 1972 წლის ექსპედიციის მასალები, № 2, გვ. 2.

<sup>18</sup> იხ. კოლ. № 7330.

ურთი ირიბი ნაპირის მიკერებით. კაბას წელთან ბრტყელ ათავეს დააყოლებდნენ. კაბის ბოლოს, მისი უჩვეულო სიგრძის ვაშო, მიწასთან შეხებით რომ არ დაზიანებულიყო, ძაფის უზრუნველყოფის დაქში დამზადებულ „ჩიოთქს“ შემოაერებდნენ. კი ამასთან ერთად კაბა-კურტკის გავრცელებას მოჰყვა კაბა-კოფთაც, რომელმაც XX ს. გაბატონებული აღვალი დაიჭირა იმერელ ქალთა ჩაცმულობაში. ტანსაცმლის ეს თავისებური სახეობა ფართოდ იყოდეს ფეხს, როგორც გათხოვილი ქალის საფლესასწაულო ჩაცმულობა. მასალად მხოლოდ საუკეთესო ქსოვილები — ფარჩა-აბრეშემეულობაა მოხმარებული. ზედაშელი ფორმით თითქმის იმეორებს მისი წინამორბედი ზედას ნიმნებს, მოხმარებით კი კაბაში ჩაიტანება. ზოგი ზედაშელი წინ ჩახსნილია, ზოგი გულდახურული, ზოვიერთ ცალს მარცხენა მხართან დაფარულად აქეს შესაბნევი გავეთებული. შემდგომში დაფრენილსაყელოიანი ზედატანი შემოსულა ხმარებაში, მერე უსაყველო. „კისერმოლლეტილი კოფთა“ მხოლოდ ქალაქელ ქალთა ფორმად დარჩენილა.

ასეთი ტიპის ზედაწელთან შეწყვილებული ქვედაწელი უკუდო და უნაოჭო იყო, სათავესთან კარსაფედატანებული. ოვა ინ ცხრანაჭრიანი თეთრი თუ ოქტოსფერი ქვედატანი პატარძლის ჩილაცმელიც გამხდარა. ასეთი შემთხვევის დროს იგი განსაკუთრებულად უნდა მოერთოთ. თუ ზედაწელს მაქმანებით გააწყობდნენ ქვედაწელს ქურჩულითა და ფურჩულითი ატკონდნენ. ორივე „რეშის“ შესატყვისია და ამათგან მეორე, პირველისაგან განსხვავებით, ნაოჭასხმული.

ზემოთ წარმოდგენილი ჩატულობის ტიპები იმერელი გლეხი ქალის სავარეო სამოსელი იყო. ოვარია ამ პერიოდში საშინო ტანსაცმელი? ფორმით აქაც ორგვარი სახე ჩას: მხრიანი კაბა და ზედაშელ-კაბის ერთობა. მხრიანი კაბა გულდახურული და საუკლოიანია (მაღალი და დაფენილი). კაბის ქვედა ნაწილი რამდენიმე განისა ან დატრილი კლოთისაგან არის დამზადებული.

საშინაო წელსზევითი და წელსქვევითი ფორმით სადა იყო და გაუწყობელი. მათ შესაკერად უბრალო მასალას ყიდულობდნენ. საგარეო ჩასაცნოს ნიზშეცვლილი ელემენტები საშინაო ხამოსელის რიგებში ინაცვლებდნენ. საშინაო ტანსაცმელის აუცილებელ ელემენტს ერთი განისაკან შეკერილი წინსაფარი შეადგენდა.

საშინაო ტანაცუმელს შორის XX ს. პოვლიარული ხდება „კაბა-რუბაშვა“, რომელიც მთელი საქართველოს მასშტაბით ფართოდ არცელდება და დღესაც მოხუც სოფლებს ქალთა შესამოსელს წარ-  
108

საქართველო  
მხატვარი



იმერელი ქალი (უცნობი მხატვარი, XIX ს.)

მოადგენს. ლარიბი ვლეხობა ამ ტიპის ჩასაცმელს საგუცურულ გამოყენებადა. ზედაწელის თათქმის ყველა სახე სწორია რა ჩი-მის დროს ქვედაწელს ზემოდან გადმოფინება. უფრო ტკელ ფრი-მად ასახელებენ იმ სახეობას, რომელსაც გვერდებში მარტივი მიმდინარეობს. სწორი ზედაწელის ორი სახეა იმერეთში დამოწმების უდიდეს ხურული და გულჩახესნილი. ამ უკანასკნელის რამდენიმე ვარიანტია ცნობილი, მათ შორის საღა და საბეჭოიანი. ბოლოს დასახელებულიც ორგვარია: ნაოჭიანი და ნაკეცებიანი<sup>19</sup>. სახელობი ზოგს გა-შეებული და ზოგს მაჯიანი ჰქონდა. ზედაწელს გიბესაც უკეთები დნენ. ამ ტიპის ზედაწელს სჭირდებოდა წინ ორი გულნაცერი, უკან წენი და მკლავები. უნაოჭო ნაჭრებიან ქვედაბოლოს-თან ერთად ახლადშემოსული ე. შ. „კოლა — კოლა“ კაბებიც სცვიათ, რომელთაც ადგილობრივი მოსახლეობა ღვარლვაში კაბებს ეძახს. „ძეველ დროს სხვა იყო, ჩემს დროს უკვე გათენდა ცოტათი და ოთხნავრიანი კაბა შევიკერეთ. კუდი აღარ ქონდა და ნაოჭი მცირე. ჩემს დროს კაცეტიანი რუბაშვები შემოვიდა ხმარება-ში. რომ გავთხოვდი, მერე შემოვიდა „კაპუტი“ კაბები, ჩემი ძა-შობის დროს არ იყო“<sup>20</sup>.

როგორც ვიცით, XIX ს. ბოლოსა და XX ს. დასაწყისში მხრი-ანი კაბის ტიპი, რომელიც სახლართავიანი ქართული კაბის სახე-ლით მოიხსენიება, იმერეთში ნაკლებადაა მოხმარებული. მის გვერდით არსებობს და ფართო გამოყენება აქცის მხრიან, ყელდახურულ კაბის. რომელიც სახელოს თავებში ნაკეცების მიწყობითა და გრელზე სანთლის ყვავილების დამატებით საქორწილო დანიშნულებასაც იძენს. მთხრობელის მიერ ნახსენები „კაპოტი“ კა-ბა სწორი და გადაუჭრელი ყოფილა და მათ მომხმარებლად ამ ჰერიოდში ახლგაზრდობა ითვლებოდა.

ხალათისებური ტიპის აღნიშნული კაბა საშინაო და განსაკუთრებით ქალის ფეხმიმობის დროს იყო კარგი მოსახმარი. XX ს. დასაწყისში ქალაქში ფართოდ ფეხმოკიდებულ და სოფლად მაღალი ფენის ქალებში გავრცელებულ ეკროპულ კაბებს<sup>21</sup> გლეხური მოსახლეობა ნაკლებად იყენებდა.

უკვე დახისიათებულ ტანსაცმელთან ერთად იმერეთში დიდი უურადლება ექცევიდა გარეთი სამოსელის ფორმებს. XX ს. და-

<sup>19</sup> ნაოჭის დროს საბეჭო კეთობოდა წინ და უკან, ნაკეცების დროს მხოლოდ შინა მხარეს.

<sup>20</sup> იმერეთის 1972 წ. ექსპედიციის მისალები, რ. № 2, გვ. 37.

<sup>21</sup> „შანტიკლერი“, „პრინცესა“, „კოლა-კოლა“, „იაპონიკი“ და ასე შემდეგ.

საწყისში არსებული ტალმა და გეიშა არ იქცა ფართო მოხმაუბაზე, მათი ჩამცელი შემძლე — „ჩავანძული“ ოჯახის ქალები არიან: „კაი გლეხი შეიერავდა, იმას ეცმია, მაჩანჩალმა უმატირებდა ამას“<sup>22</sup>; „ზარიამობას მარიამშა ტალმა წარისახოდა პყვებიან მოხუცები. ტალმა, მუხლებჩაცილებული ნაბაღისებური ვოსასხამი, ძირს ფართო და ყელთან დამაგრებული სამოსელი ყოფილა, ზურგზე გადაფენილი საყელოთი. ზოგი მთხრობელი ტალმა-გეიშას მოხმარების დროს აიგივებს, სხვებს ტალმა საზამთრო და გეიშა გაზაფხულ-შემოღომაზე ჩასაცმელად მიაჩნიათ. მთხრობელთა ნაწილი ამ ტიპის ჩასაცმელს ტოლომის უწინდებს. ეს არ უნდა იყოს შემთხვევითი, მით უმეტეს, რომ მათი მსგავსება იღმოსავლეთ საქართველოს ბარის მასალების მიხედვითაც აშკარაა<sup>23</sup>. თუ ტალმისათვის საჭირო იყო მუქი (ლურჯი, ყავისფერი, მწვანე) ძვირფასი ქსოვილი<sup>24</sup>, გეიშად მდარე და ზაცი ფერის ქსოვილი გამოიყენებოდა. გეიშა<sup>25</sup> მოქლე ჩასაცმელი იყო, წელთან მომდგარი და ქვემოთ გაშლილი, სახელობი გამოყვანილი. გულისპირი ერთმანეთთან მისული და ღილებით შესავერელი. საერთო იერით იგი მოქლე პალტოს ჩამოგავდა — „თლა მოქლე არ იყო, არც ეწია პალტოს და არც ეწია მოსაცმელს“<sup>26</sup>, თხელი ქსოვილის გეიშის დასაჩიულებაც უნდოდა.

პალტოს დამკვიდრებამდე ცალკეულ შემთხვევებში იცნობდნენ ამ სახის სამოსელის სხვა ფორმებსაც,<sup>27</sup> მაგრამ ამ ტიპის ჩასაცმელის ძირითად ფორმად იმერულ სოფელინება ე. წ. „კასტური“, რომელიც თეძოებამდე სიგრძის სწორ, ინგლისური საყელოთი შედგენილ სამოსელად წარმოგვიდგება. მას უკეთებდნენ გრძელ გამოყვანილ სახელოებს და სარჩულსაც გამოაყერებდნენ ხოლმე.

ზემოთ დახასიათებულ კომპლექსებს მათთვის შესაფერისი თვალებზეც გააჩნდათ. ქართულ სარტყელ-გულისპირიან კაბაში გამოწყობილ მანდილოსანს თვიც ქართულად უნდა დახურა, ე. ი.

<sup>22</sup> იმერეთის 1972 წ. ექსპედიციის მასალები, რ. № 2, გვ. 3.

<sup>23</sup> 6. გვათუ ა, დასახ. ნაშრომი, გვ. 67.

<sup>24</sup> ქ. ძოწე ნია დე, ზემომიერული კილოვე, თბ., 1974.

<sup>25</sup> იბ. ქართულ კილო-თქმათ სიტყვას ეონა, შემდგ. ალ. ლლონტი, თბ., 1974.

<sup>26</sup> იმერეთის 1972 წ. ექსპედიციის მასალები, რ. № 2, გვ. 38.

<sup>27</sup> „პრელეინგა“, „ტრუაგალი“, „საფი“, „ფლავი“, „პოლუშუბკა“, „შუბა“ და სხვ.

თავზე ჩიხტი-კოპი უნდა დაედგა და ზემოდან ლეჩიქ-ზაღდადა  
მოებურა. ქართულ საგვირგვინო კაბასთან გაერთიანებულ ამ საკუნ-  
ტერესო თავსახურს იმერეთში თავ-რთულ ბაზე უკრძალა კუნ-  
ტოვორტც ციცით, თავისებურ ვარცხნილობას — უკან წაჭხავები და  
წინ კავები, ემყარებოდა. იმერეთში კავებად საკუთარ თმებთან ერ-  
თად ენდროში შეღებილი სხეისი თმაც გამოუყენებიათ. კოშ იმერლები გაურჯელ ად<sup>28</sup>, ხოლო შებლსაკრავს თავსახუ-  
რად მოიხსენიებენ. იმერელ ქალებს ქართული თავხურვის ელ-  
მენტებიდან ჩიხტის, კოპისა და თავსაკრავის დამზადება თვითონ  
შესძლებათ, დანარჩენს ყიდულობდნენ. თავსაკრავიდან უპირატე-  
სობას ერთფერ (მწვანე, შვინდისფერი, შავი, ლურჯი), ხავერდს  
აძლევდნენ, რომელსაც ვასაწყობად ოქროს ბახჩის ტიპის ქინძის-  
თავს დააბნევდნენ. ასეთი ქინძისთავის სახელწოდებად ქვემო იმე-  
რეთში კურწატია ცნობილი<sup>29</sup>, მუშაობის დროს დამოწმდა სხეა  
სიტუაციკი და ბი.

ტანისაცმლის სხვა კომპლექსს თავბურვის განსხვავებული  
ელემენტები სჭირდებოდა, თუმცა ქართული ტრადიციული თავ-  
ბურვაც არაერთხელ ჩანს გამოყენებული. ხომ ცნობილია, რომ  
ქართულ თავბურვას რევოლუციის შემდგომ პერიოდშიც არ  
დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა. როგორც ვთქვით, საგვირგვინო  
თავსაბურავის საუკეთესო ნიმუშად ქართული თავხურვა ითვლე-  
ბოდა. შემდგომში შემოსული ფატა იმერეთში კურისწერის  
დეჩის სახელს ატარებს. ქორწინების დროს პატარძლის  
პირბადე მეორე დღესვე კარგავდა თავის ფუნქციას, თუმცა სა-  
ქორწილო სუფრამზე პატარძლის სახის დამალვა, ძველი წესისა-  
გან განსხვავებით, უკვე აღარ ითვლებოდა სასურველად.

XX ს. I მეოთხედში თავსაბურავად ისევ ორი თავსაფარი  
გამოყენება: ერთი შიდაა და სხვებისათვის შეუმჩნეველი. მას  
უბრალო ქსოვილისაგან სამკუთხედის ფორმით ოჯახებში ამზადებ-  
დნენ; მეორე — გარეთი, სავანგებოდ გამორჩეული და ძირითა-  
დად ქალაქური პროდუქციით დამზადებული. მათი დიდი ნაწილი  
ოთხკუთხა ყოფილა და მოხმარების დროს უბეტურად მოკეცილს  
სამკუთხედის ფორმა ეძლეოდა. ჩითის, სატინისა და დარაიის  
თავსახვევს სახლშიც იკერავდნენ. ბურსეული ს სახელწოდე-  
ბით ცნობილი თავსაფარი სამკუთხა იყო და ნაპირებგადაყეცილი.  
სატინისას არშიას უკეთებდნენ, ხოლო დარაიისას გარშემო

<sup>28</sup> ქართველურ ენათა ლექსიკა...

<sup>29</sup> იქვე.

ფოჩს — ფ ე ს ვ ი შემოაერებდნენ. ოთხეუთხა ფორმის ფეხვიან თავშალს „შრაფსაც“ უწოდებდნენ. იგი ნიკაპთან უნდა შეეტყოფა სხვებით პირის აბუდვნაც ყოფილა შესაძლებელი, ე. ჭ. თავსიაფრის ყურების ლოცვებთან დამაგრების ძველი წესი გამოუყენებით. მზა თავსაფრებში მოსწონდათ ცხრაჭვიანი და დონი დის „შრაფები“, „მანტილი“, „ფულარი“. კარგი თავშლებიდან საუკეთესოდ მიჩნეული ოთხეუთხა, დიდი ზომის და მაშინდელი ფულის კურსით შვიდ თუმნად ღირებული ცხრაჭვიანი თავსაფარი ისეთი თხელი სახიანი აბრეშუმისა ყოფილა, რომ როგორც მოხუცები იხსენებენ, ბეჭედში გაძვრებოდათ. ფულარიც ამგვარი თავსაფარია, ოღონდ უფრო იაფფასიანი და ზომითაც პატარა. ფერადი თავსაფრის ამ ნიმუშს ორი ნაპირი ფესვიანი ჰქონია და ორი ნაწიბურიანი. მანტილი გრძელი ოთხეუთხი ფორმისა და გარშემო ფესვებიანი იყო. ზამთარში აბრეშუმის თავშლებს „გაროზად“ წოდებული თავსაფარი ცვლიდა. სიცივეში ყაბალახსაც ხმარობდნენ.

ახალგაზრდა, გასათხოვარი ქალები მარტო თავშლებით დადიოდნენ, „ლაკონქა“ — აბრეშუმის ძაფისაგან ყაისნაღით სამკუთხედაზ ნაქსოვი, მათი საყვარელი თავსაბურავი ყოფილა. XX ს. ახალგაზრდობას უთავსაფროდაც დაუწყია სიარული. ამ დროს ქალაქში ფართოდ დამკეიდრებული ევროპული თავსაბურავის ნიმუშები სოფლის მცხოვრებთა ყოფაშიაც იქცრს გარკვეულ ადგილს.

ტანსაცმლის სხევადასხვა კომპლექსს შესაფერისი ფეხსამოსი და უხესაცმელი უნდოდა. კარგ ტანსაცმელთან ქალაქური ჩელქი და ტუავის ფეხსაცმელი უნდა სცმოდათ. ფეხსაცმელი ორი სახეობისა ყოფილა: ყელიანი და უყელო. ყელიანებიდან უნდა დავასახელოთ „ბაშმაკები“ — უქუსლო, წინ თასმებით შეკრული და „პოლსაპონჩები“ წერილი ქუსლითა და წვერით. უყელო ფეხსაცმლის ერთ სახეობას კონდრებს იქცნებოდნენ. იგი ქუსლიანი იყო და გვერდებზე თასმებით გადასაბმელი. სახლში ხმარობდნენ რეზინისძირიან ჩუქტებს, რომლებსაც იმერეთშიც წუღებს უწოდებდნენ. საშინაოდ ქუსლიან ან უქუსლო ქოშებს იცვამდნენ, რომელთაც ტირიფის ან თხმელის ხის ძირები ჰქონდათ და საპირედ მატერიას ან ტყავის ბრტყელი სალტე დაკერებული. ჩუქტებში — შინნაქსოვი ბამბისა ან შალის მაღალყელიანი წინდები უხმარიათ. ძველად სელის ძაფის წინდებიც სცმიათ.

გულმოდგინედ არჩევდნენ მიცვალებულის „გასაწყობად“ საჭირო შესამოსელს, რასაც ს უღარს ეძახოდნენ. „მკედრის

ტანსაცმელს სუდარს ეტყვიან, ჩაგეცას სუდარით — შეკვება  
იციან<sup>30</sup>.<sup>30</sup> სუდარად ყოფაში არსებული ჩასაცმელი გამოიყენებოდა, ამ მხრივ საუკეთესო იყო მიცვალებულის საქორწილო ტან-  
საცმელი. გრულდენშტედტი სხვაგვარ მღვმომარეობას — განაშენას; „სიკვდილის შემდეგ ჯერ წყლით და შემდეგ ლვინით განბანილი მი-  
ცვალებული იწვა საცხოვრებელ ოთახში ჭილოფზე, რაც დაგებუ-  
ლი იყო ცუდ საკეცზე. ის აკვის ბავშვებით იყო გახვეული ტა-  
ლოში. ტილო ცვილში იყო ამოვლებული, ხელები კი გარედან  
ქონდა გულზე დაკრეფილი. თავზე ეკეთა ამნაირივე ტილოს  
ჩაჩია“<sup>31</sup>.

ხანშიშესული ქალი თვითონ დაიწყებდა სუდარაზე ზრუნვას —  
თუ საქორწილო ტანსაცმელი აღარ ჰქონდა შემონახული, ახალს  
დაიმზადებდა და მას სიცოცხლეშივე რამდენჯერმე ჩატვედა,  
რადგან ძეველი რწმენა უხმარი ტანსაცმლის საიქიოში წალებას  
კრძალავდა. მიცვალებულის დაკრძალვის შემდევ მისი ერთი ხელი  
ტანსაცმელი — ნი შანი და ლოგინი ორმოცი დღის გამნავლო-  
ბაში ხელშეუხებელი იყო. მერე ტანსაცმელიდან ერთ ან ორ ელე-  
მენტს მოსაგონრად შეინახავდნენ და დანარჩენს სხვებზე გააჩუ-  
მებდნენ.

გლოვა, სხვა წესების შესრულებასთან ერთად, პირველ რიგში  
ტანსაცმელით უნდა გამოხატულიყო. ცნობილია, რომ ადამიანის  
განწყობილებას უნდა შეესაბამებოდეს ჩატმულობის ფორმები და  
ფერიც. ეს სიმბოლიკა მსოფლიოს სხვადასხვა ხალხის, მათ შო-  
რის ქართველების მრავალსაუკუნველობის დაკვირვების შედეგადაა  
მიღწეული<sup>32</sup>. გლოვის დროს დარღით დამტომებული ადამიანის გან-  
წყობილება ღამის ფერთან არის შედარებული, რომელიც, ავრეთვე,  
გვევლინება ფერად ქვესკნელისა ანუ მარადიული უკუნეობისა, რა-  
საც ხალხი შავე თსაც უწოდებს. ამას უკავშირდება იმერეთ-  
ში და საერთოდ მთელ საქართველოში სამგლოვიარო სამოსელის  
აღმნიშვნელი სიტყვა შავები. აქვე მოწმდება სხვა სახელშოდე-  
ბანი: თალხები, ჭიგარი, ძაძა. სამგლოვიარო სამოსელის  
სახელშოდებისა და დედამიწის ერთ-ერთი სკნელის მსგა-

<sup>30</sup> იმერეთის 1973 წლის ექსპედიციის მასალები, რე. № 1, გვ. 8.

<sup>31</sup> გილერენშტედტის მოგზაურობის საქართველოში ტ. 1, გამომც. გ. გალაშვილი, თბ., 1962, გვ. 150.

<sup>32</sup> თ. თერთმიწე, ფერთა სიმბოლიკა ქართულ ჭადოსნურ ზემოქმედი-  
რერ., „ცისარი“, № 1, 1972, გვ. 120.

კავება შემთხუევითი ან უნდა იყოს. ხევსურეთში მიცვალებულია  
სამი ფერის პერანგით დასაფლავების ძველი წესიც სწორედ ცავი  
სკელის გამომხატველ თეთრ, წითელ და შავ ფერთან არჩევული  
კავშირებულია.<sup>33</sup>

სამგლოვიარო სამოსელის განცვალებული იერი გლოვის  
ხარისხს ეთანხმებოდა. მისი ძირითადი ნიშანი — უბრალოება, მა-  
სალითა და ფორმის თავისებურებით გადმოიცემოდა. შესასწავლი პე-  
რიოდზე სამგლოვიარო სამოსელის ძირითადი ფორმა უჩვეულოდ  
გრძელი და ნაოჭმოყრილი წელსქვევითი და წელსზევითია. ამ სი-  
ფარველზა შწუხარე ქალის სხეული შეუმჩნეველი უნდა გახდოს:  
სახელოთა სიგრძემ ხელის თითები, ხოლო ქვედაბოლომ ფეხის გო-  
გება უნდა დამალოს. მგლოვიარეს ეკრძალებოდა ქართულად თავის  
დახურვა. თავზე უბეურად მოყეცალ თავშლებში, რომელთა დამავ-  
რება დაკეცილი და შუბლზე წაკრული სხვა თავსაფრით ხდებოდა,  
ქალებს მხოლოდ თვალები მოუჩანდათ. მიმე გლოვის დროს საკუ-  
ლებაც დათაღხავდნენ.

სამგლოვიარო სამოსელთან დაკავშირებული ტერმინოლოგია,  
რამაც შერჩევისა თუ გარეული ფორმის ტანსაცმლის ტარე-  
ბის წესები მიუთითებენ გლოვის სიმძმეზე. მძიმე გლოვა ქმარზე,  
შეილზე და ძმაზე სცოდნიათ. ამ დროს იყენებდნენ სამგლოვიარო  
სამოსელს — ძაბას, ძველად ამ ტერმინით იმერეთში მგლოვიარეს  
მიერ სამგზავროდ მოხვარებული ნაბრის ტიპის წამოსასხვიც აღი-  
ნიშნებოდა. შემოუტეხავი ძაბა ნაპირებდა აულული ან ნაპირებ-  
ჩამოშლილი სამოსელი იყო, რომლის გარეულებას იმერეთში  
მთხრობელები მევრული წესის გავლენას მიაწერენ. მის დასამზა-  
დებლად უბრალო ქსოვილები — ხამი და ნარმა იყო საჭირო, სხვა  
მასალის ამ მიზნით გამოყენება რევოლუციის შემდგომ პერიოდში  
შეინიშნება. აღრე, ახლობელის გარდა ცვალებას ხანგრძლივად —  
სამ წელს, გლოვობდნენ. აქედან ერთი წელი ძაბები ეცვათ. ძაბების  
განახლება წესი აღარ იყო, იგი ტანზე უნდა გაეცვითა და გახდის  
მერე ეზოს გარეთ დაეწვათ. ერთი წლის შემდეგ შემოტეხილ შა-  
ვებს ჩაიცმევდნენ, ბოლოს თალხებზე გადავიდოდნენ. ზოგიერთი  
ქალი შავ თავსაფარს სამუდამოდ დაიტოვებდა, ტანზე სალხინოს  
აღარ ჩაიცმევდა და სულ „მოწყენილი“ ტანსაცმლით იყლიდა. სა-  
ერთოდ, ქმარმკვდარ ქალს ტანსაცმლის ფერებიდან თეთრი უნდა

<sup>33</sup> დ. შენგავლით, მუდმივი თანამგზავრები, თბ., 1964, გვ. 191.

გამოერიცხა. ძელად არსებული გლოვის ვადები თანდათან შეწირდა, ბოლოს იგი საწლოს გადახდას დაუკავშირდა. გახდილ შევებს ღარიბ ქვრივ-ობლებს ურაგებდნენ ან საფლავზე გაიტანენ და იქ დატოვებდნენ.

სამგლოვიარო ტანსაცმელს მიცვალებულის დასაფლავებას დღეს ჩაიცმევდნენ პირველად. მის დამზადებაზე, ისევე როგორც საფლავის გაჭრაზე, მიცვალებულის გვარისას არავის დასაქმებდნენ. წლამდე ბავშვის ან ლრმა მოხუცის სიკვდილზე შავების ჩატანა არ იყო საჭირო. ასევე იქცეოდნენ ბატონებით გარდაცვლილის მიმართაც. „თუ აუდგიყოთ მოყვედა ბატონებით, ვატყვით „მირზევას“. ამისთანა შემოახვევის დროს არც ტირილი შეიძლება, არც შავების ჩატანა. ხალხით ვერ გასცემენ ბატონებით მირმეულს და ხარჯსაც მერე გადაუხდი“<sup>34</sup>. გარდა ამისა, ძელი წესის თანახმად, სამგლოვიარო სამოსელის ტარების პერიოდში ზოგიერთი აუცელაც მოქმედდებდა. მაგალითად, თუ მგლოვიარე ოჯახში ბატონები მიბრძანდებოდნენ, ოჯახის ყველა წევრს შავები საჩიხარულო ფერის ტანსაცმლით უნდა შეეცვალა. მგლოვიარეს ასევე არ შეეძლო შავი თავსაფრით საკურთხევის გაკეთება, ამიტომ სულთაობას, პეტრუპავლობას, მარიამინდას, ფერიცვალებას, ლციისმშობლობას იგი თავშე თეთრ თავსაფარწყრული აუთებდა საჭმეს.

ტანსაცმელთან დაკავშირებული ზოგიერთი ძელქართული წესი იმერეთშიც მოწმდება. ერთი ამათგანია ეკლესიებში ხატებთან ფერადი ქსოვილის ან თავსაფრის ძლენად მიტანის ჩვეულება. ხატის სახელზე მიტანილი ამ შესაწირავის სახელწოდებად აქ ხატის პერანგი ან პირბადეს მოგარმევო, ჩემის სანთლითა, ცხრა მეტანია“<sup>35</sup> — ანდაზად არის დაჩინილი ხალხში. ამ დროს საკლავისა და საჭმელ-სასმელის წალებაც იცოდნენ. საჭმელი ცხრა ან სამი თავი უნდა ყოფილიყო. ცხრა თავი სალექტესთ იყო, სამზე ნაელები არ შეიძლებოდა. პირბადედ თეთრ, წითელ ან ჭრელ ქსოვილს არჩევდნენ და მას ხან ეკლესის ეზოში ნახარებ წმინდა ხეებზე კიდებდნენ, ხან ეკლესიაში გამოფენილ ხატების ფარდად იყენებდნენ. პირბადის გარდა ზოგჯერ ღმერთს ტანსაცმლის მიტანისაც შეპირდებოდნენ. ამ შემთხვევაში ერთი ხელი უნდა წაელოთ — თავსაფარი, წელსხევით,

<sup>34</sup> იმერეთის 1971 წლის ექსპედიციის მასალები, რ. № 1, გვ. 54.

<sup>35</sup> მეცნიერება.



Արեվելու ժամանու (Սպիտակ Շեմբարձո, XIX ს.)

წელსქვევითი. ასეთი დანიშნულებით გამოყენებულ სამოსებს არ აკონტავებდნენ. ასე მიღიოდნენ ეკლესიში სალოცავად, უკან სხვა ტანისაცმლით ბრუნდებოდნენ.

ძეველად აეთ თვალისაგან თავის დასაცავად სხვაზე ასეთი მას ხმარდნენ. ერთს სათვალო ვინ ჯილა ერქვა და მეორეს შანი. პირველი მძივისა და „აყვავებული“ ძვლისაგან იყო შედგრინილი, მეორე სამკუთხედის ფორმაზე შავი ძაფით შეკერილი ნაჭერი ყოფილა, რომელშიც თვალის ასაცილებელი არმდენიმე ნიშანი<sup>36</sup> უნდა მოეთავსებინათ. განსაკუთრებული ძალა მიეწერებოდა ნალოც ნივთებს და უბირ დღეს გაკეთებულ შანებს. ასეთ დღეზ დიდი ხუთშაბათი იყო მიჩნეული. ნიშანთა შორის დიდ მნიშვნელობას აძლევდნენ დავითისა და კონსტანტინეს<sup>37</sup> პერანგის ნახევა. როგორსაც ორ წილობისთვეს (ოქტომბერი) მოწამეთაში დღეობაზე ასულნი ფულით გამოსთხოვდნენ ხოლმე მღვდელ-დიაკონებს. აეთ თვალისაგან დასაცავად აღნიშნულ თილისმებს თვალისად ახალგაზრდის ტანისაცმელს ჩარჩვენა იღლიასთან დააკრებდნენ, ან ძაფით კისერზე ჩამოყიდებდნენ. უფროთხოვდნენ ეშმაკისული ქალის მოქმედებას, რომელიც მიპარვით ცდილობდა აღამიანს ტანისაცმლიდან ნაწილის აქრას, რასაც შედეგად თიაქოს პატრიონის ფიზიკური დასუსტება და მძიმე ავადმყოფობით სიკვდილიც მოსდევდა<sup>38</sup>. ლრმად სხეროდათ, რომ თუ ახალწლის ღამეს ქალს ფეხზე ორი წყვილი წინდა ეცვა, ცალ-ცალკე უნდა წაეძრო და ვანცალკევებითაც დაელაგებინა. ასე რომ არ მოქცეულიყო, საბუდარში დასმულ კრუსს წიწილები გამოეგუდებოდა.

ტანისაცმლის მოელა-შენახვაც თავისებურ ყურადღებას მოითხოვდა. ახალ ტანისაცმელს საივრებსა და ზანდლუში ინახავდნენ. ამ ტანისაცმელს ჭია-მჩიჩი რომ არ გასჩენდა, სხვადასხვა ხერხს მიმართავდნენ: სათავსოებში აწყობდნენ მძაფრი სუნის მქონე მცნარის ფოთლებს: სუროს, კაკლის, თამბაქოსი. ასევე ეჯოქტურაზ გამოყენებით ნიორი, თუთუნი და შაბი. ჭიას დასაფრთხობ წამალს წელიწადში ორჯერ მიმართავდნენ: გაზაფხულსა და შემოდ-

<sup>36</sup> ნახშირი, ასკილი, მუჟარე ბლის ხის ქერქი, ტყემლის ხის ქერქი, მუჟარე კვახის ქანი, ტური, თოფის წამალი და ა. შ.

<sup>37</sup> ძები დაფით და კონსტანტინე არგვეთელი მხედვები ყოფილან, საქართველო, დამოუკიდებლობისათვის მტრის წინააღმდეგ მებრძოლი გმირები, რომელიც ხალხს წმინდანებად ჩაურიცხავთ.

<sup>38</sup> M. N. Сагарадзе, დასახ. ნაშრომი, გვ. 77.

გომაზე. ჭირის სახელზე ძველად თურმე უქმეც ყოფილი დაწესებული — ყველიერის ორშაბათი, რომლის დროსაც ურდებოდნენ გატყლისა და საერთოდ ბეჭედულის დამუშავებას. ამ დღეს ზატყლის ძაფის პატარა შეკვრას ოთახში სადნე შემოსდებლნენ. შჩრჩის ლუკა ეს იქნება და ტანისაცმელი გადაგვირჩებათ. ტანისაცმლის კარგი მოვლა მის ხშირად გამომზეურებასაც ვარაუდობდა. ერთ დანიშნულ დღეს — ივანობას ეწყობოდა მისი გამოფენის რეტური. ამ დღეს ოჯახის დიასახლისისათვის მზეს არ უნდა დაესწრო. უმძრავი ქალი ტანისაცმელს გამოიტანდა ვარეთ და შეტანითაც მზეს დაასწრებდა. სწამდათ, რომ ივანობას გამომზეურებულ ტანისაცმელს ჭირი აღარ მიეკარებოდა.

## Ц. И. БЕЗАРАШВИЛИ

### Резюме

Работа написана на основе этнографического материала собранных автором во время экспедиции (1972, 1973 г.г.) в разных селениях Западной Грузии (Имерети). Проанализировав полевые материалы и литературные данные в статье дается детальное описание всех основных элементов одежды бытующих в Имерети с конца XIX века, а также выяснены функция и способы их ношения.

Изученные элементы дают возможность выделить несколько комплексов. Помимо этого в работе приводится и дополнительный материал, к которому относится вопрос о применении тканей, рабочие дни недели; описываются некоторые религиозно-бытовые обычай, при выполнении которых фигурируют элементы женской одежды и т. д. Среди ритуальной одежды более подробно изучена траурная, которая в Имерети, также как и во многих уголках Западной Грузии, сохранилась почти до наших дней.

## ჯითალი თიხის ჰურალის დამზადებისა და შემოგადის ხალხური ფასაზი იმპორტი

მეთუნეობას ზემო იმერეთში თიხის საბადოებით მდიდარ რე-  
დენიმე სოფელში მისდევენ, მდინარე ძირულასა და მისი შენაკა-  
ლების — გეზრულასა და დუმალას ხეობებში. ეს სოფლებია: ბოს-  
ლები, გეზრულა, ტყემლოვანი, დიდი და პატარა ჩხირეული, მან-  
დაეთი, საწაბლე, მაქათუბანი, ჭოყოთი და შროშა. ადმინისტრა-  
ციულად აღნიშნული სოფლები შედის ზესტაფონის, ჭიათურისა  
და ხარაგაულის რაიონებში.

ჭურჭლის წარმოებას აღნიშნულ ცენტრებში გლეხები მოელი-  
წლის განმავლობაში მისდევენ მიწათმოქმედებისაგან მოუწყეტ-  
ლივ. მეჭურჭლეობა (როგორც წვრილი, ასევე მსხვილი) უმთავრე-  
სად მამაკაცის ხელობად ითვლება. იმერეთში ამზადებენ საოჯახო  
ყოფაში გამოსაყენებელ ყოველნაირი ტიპის ჭურჭელს, რომლის  
ფორმა და ფუნქცია კარგად ერწყმის ერთმანეთს და მისი უმრავ-  
ლესობა გამოყენებითს ღირებულებასთან ერთად მხატვრულ ღირ-  
სებასაც ფლობს.

იმერეთში ჭურჭელს შემდეგი წესით მომდებენ: ერთ ჭერზე  
მხადვება წვრილი საოჯახო ჭურჭელი: ქოთნები, კერძისა და ღვა-  
ნის ჭამები; სასმისი ქვევრები, კეცები და სხვა. დანარჩენი ჭურჭე-  
ლი (ერთხარეჭიანიც კი) რამდენიმე ჭერზე კეთდება. იმერეთში  
ჭურჭელს თანდათან აშენებენ, მოპყავთ სპირალურად დაწყობილი  
ფთილებისაგან ანუ სორსოლებისაგან. აქ ჩვენს მიერ მრავალი სა-  
ინტერესო ტექნინია დაფიქსირებული, რომლებიც შესანიშნავად  
გამოხატავენ ჭურჭლის შენების პროცესებს: შემოქნა, ამოყვანა,  
მოქნა, სვარსვალის მოქნა, ფთილების შემოქსოვა, რგოლების შე-  
მოშენება, სორსოლების შემოქსოვა, შემოწვნა-დაწვნა, სორსოლე-  
ბის შემოვლება და სხვა.

ჭურჭლის კეთება რამდენიმე ეტაპს შეიცავს და ყოველი მუზ-  
დია შესაბამისი ტერმინით გამოიხატება: გუნდის დაკვრა, გრძელის  
აწევა, გუნდის დაწევა, გუნდის გახვრეტა, აყვანა, პირის მოყვანა:  
მეორედ აყვანა, პირის აწევა, ფიცრის გასუფთავება, დაძირება, მუ-  
ლის გაკეთება, დაყურვა, მოჭრა. ანალოგიურად მზადდება იმე-  
რეთში ღოქი, ხელადა, ჩაფი და ა. შ.

იმის გამო, რომ ჭურჭლის დამზადება მოითხოვს მის თანდა-  
თანობით შენებას — ამოყვანას, იმერელი მეჭურჭლე ერთდროუ-  
ლად იწყებს იმდენი ჭურჭლის გვა ა მის გაკეთებას, რამდენსაც  
მოერევა მის გაშრობამდე: „ზედმეტად გამშრალ გვამს თავი არ-  
დაედგმება“.

ღოქის გვამის საკეთებლად მეჭურჭლე იღებს 1,5—2 კგ გუ-  
ჯალ მიწას, რომელსაც ორ ნაწილად ყოფს. ერთ ნაწილს გუნდა-  
ეწოდება, მას ხელოსანი მჟადის ცომიერი იგუნდავებს ორივე ხე-  
ლით. კარგად შეგუნდავებულის იმ ნაწილს, რომელიც მორგვეზე  
უნდა დაეკრას, მეჭურჭლე გამტკიცულ (გაცრილ) სილაში აელებს  
და მორგვის შუაში აკრავს; ეს არის ჭურჭლის საძროე (საძირე)  
მიწა, რომელსაც მეჭურჭლე მარჯვენა ხელის ცერით ცენტრს უკე-  
თებს. აუცილებელია საყრდენი წერტილის სწორად პოვნა, რის-  
თვისაც მარჯვენა ხელის ოდაყვეს მარჯვენა ფეხის მუხლზე მყარად  
აურდნობენ და ისე მონიშნავენ შუა წერტილს. შემდეგ ხელოსანი  
ამზადებს ფთილას, სორსოლებს. შეიძლება მათი წინასწარ დამზა-  
დებაც. ხელოსანი სახარჯავი მიწიდან იღებს საშუალო ზომის გუნ-  
დას და სორსოლებს ხელში. ხელს ხშირად ისველებს წყალში და  
ზემოდან ქვემოთ უსკამს ფთილას, რომლის სიგრძე 40—50 სმ-ია,  
იგი ხელოსანის მარჯვენა ხელის იდაყვამდე სწოდება. შემდეგ იწყება  
ფთილების მოქნა—შემოწვნა, ე. ი. ჭურჭლის კედლის ამოყვანა.  
სორსოლების დამატებით ჭურჭლის კედელი თანდათანობით მაღლა  
იწევს. ამ დროს ხელოსნის მარჯვენა ხელის ოდნავ მოხრილი საჩ-  
ვენებელი თითი ჭურჭლის შიგნით მოქმედებს, ხოლო მარცხენა ხე-  
ლისგული კედლის საყრდენის როლს მარცხლებს გარედან და თან  
მორგვს ატრიალებს ნელ-ნელა. აქვე ხდება კედლის განთავისუფ-  
ლება პატარ-პატარა კენჭებისაგან, ე. წ. გამოხილვა. ფთილების  
შემოშენებისას ჭურჭლის გვამი მილისებრ ფორმის იღებს. მეჭურ-  
ჭლებს მარჯვენა ხელში უჭირავს ხარატიანი გონგი და ასწორებს  
ჭურჭლის კედელს გარედან, უერტიყალურად ზევიდან ქვევით მოძ-  
რობით: მარცხენა ხელის ზურგი ამ დროს საზურგის როლს ას-  
რულებს ჭურჭლის შიგნით. მორგვი ტრიალებს მარცხენა ფეხის

საშუალებით. ხელოსანი ხარატიან გონგს ხშირად ასევე ლეპს წყალ.  
ში და მიწის ნაფხეეს აცლის.

ახლად ამოვეანილი ჭურჭლის კედლებს ხელოსანი აქვთ ლეპს  
შიგნიდან და გარედან სკელი ჩვრით და ცოტაოდენ წერტყმა გადა  
ხამს. ხარატიანი გონგის ნაცვლად იღებს საგვამავი გონგი მეტრჭლე  
რწყებს ჭურჭლის გამოგვა ამ და ას. საგვამავი გონგი მეტრჭლე  
მარჯვენა ხელში უჭირავს და ჭურჭლის შიგნით მოქმედებს. მიღის  
ფორმის ნაკეთობა თანდათან ზომიერად გამოიბერება და მრგვალ  
დება. მორგვი შენაცელებით ხან სწრაფად, ხან ნელა ტრიალებს;  
მარცხენა ხელის ოდნავ მოხრილი ცერი და გაშლილი ოთხი თითი  
საყრდენის როლს ასრულებს. ჭურჭლის გამოგვამვის შემდევ  
კვლავ სახარატო გონგით მუშაობს ხელოსანი და ასწორებს ჭურჭლის  
გვამს; შემდევ იყენებს საწ მინდა და ო გონგს, რითაც ხდე  
ბა ჭურჭლის კედლების შეწმენდა ზევიდან ქვევით და პირიქით. ა  
ხნის განმავლობაში მორგვეს გამოუდმებით ატრიალებენ წალმა-უ  
ლმა (მარცხენიდან მარჯვენივ და პირიქით) ხან მარცხენა, ხან მარჯ  
ვენა ხელით, იშვიათად ფეხითაც.

მეჭურჭლე იცავს შემდევ წესს: ჭურჭლის შენების დროს ორი-  
ვე ხელის იდაყვები მაგრად ეყრდნობა შესაბამისი ფეხის მუხლებს,  
რომ საყრდენი წერტილი უცელელი იყოს.

საგვამავი გონგით ხდება გვამის აჭრა მორგვიდან, რის შემ  
დევ ხელოსანი ფრთხილად ორივე ხელით იღებს ახლად დამშაფე-  
ბული ჭურჭლის გვამს და იქვე სწორ ადგილზე ან თაროზე ათა-  
სებს, რომ გვამი შედგეს (შეშრეს). ახლად გაეთებული გვამი  
კისრის დაშენებას (მოყელეას) უერ იტანს; როგორც ადგილობრივ  
იტყვან, „ჰყინტია და ვერ გაუძლებს, დაიშლება“. თბილ ამინდში  
გვამის შედგომას 3—4 საათი სჭირდება. თუ ხელოსანმა ამ ხნის  
განმავლობაში ვერ შეძლო კისრის დაშენება, გვამს ტილოს ან  
ფოთლებს აფარებს, რომ ზედმეტად არ გაშრეს. მეჭურჭლეს ამ-  
დენიმე გვამის დაწყება შეუძლია მორგვეზე და ზედვე დამთავრება,  
თუ რა თქმა უნდა, რამდენიმე მორგვი აქვს და ზაფხულის კარგი  
ამინდია.

ჭურჭლის კეთების შეორე ეტაპი გვამზე თავის დაბმა,  
კისრის დაშენება-მოყელვა. შემდგარ, შემშრალ გვამს მეჭურჭლე  
იღებს ორივე ხელით, ათავსებს მორგვის ცენტრში და საფხეე  
გონგით კარგად გლესავს. განმეორებით იწყებს გვამის დამუშავე-  
ბას: შესწორებას, გაწმენდას, შიგნიდან გამოსწორებას, კედლის

შესწორებას, გვამის ვერტიკალურად შელესვას, გამოხილვას და გამოხილული ადგილების ამოვლება-შელესვას. ხელოსანი ხელით და ფეხით მორგვს გამუდმებით ატრიალებს რჩივე მიმზადებულებით. მოყელეის წინა პროცესია გვამის ნაწილურებზე საჭირო ან ან ჩერის შემოვლება. გვამზე ბეჭების დადგმის შემდეგ ხელოსანს ვიწრო, მიღის მოყვანილობის კისერი ამოვყავს. სველი დანაჩხირით კისრის შიგნითა კედელს ლესავს, ხოლო წმინდა გონგით მინაუელი ილესება გარედან. იგივე საწმინდათ გონგით მეჭურჭლე დოქის საფარი ფლეს (პირს) ჭრის, ასწორებს და მარჯვენა ხელის საჩვენებელი და ცერა თითებით დოქის ფარფლის ნაპირი თანაბაზ სისქეზე დაყავს. ამის შემდეგ დოქის ნაპირს სველ ნაჭერს—ბანჭას წალმა-უკულმა შემოავლებენ, რასაც მობანდვა ეწოდება.

შემდევი პროცესი დოქზე ყურის მიღვმა ანუ შებმაა. მეჭურჭლე ილებს პატარა ზომის გუნდას, კარგად ასორსოლებს ხელში, აცლის ხვინ ჭკებს და იწყებს საყურეს ჩამოქნას. ყელზე ყური „ნიკარტის“ პარალელურად მაგრდება. ყურის მიღვმის დროს ხელოსანი ჭურჭელში ყოფს მარცხენა ხელის შუა თითს და მაგარ საყრდენს აკეთებს, გარედან კი ყურის გამაგრება მარჯვენა ხელის ცერითა და საჩვენებელი თითის დაწოლით ხდება. პირელად ყურის ზედა თავი მაგრდება ყელის არეში, შემდეგ კობაჩურის საშუალებით ხდება ყურის ზედა ნაწილის „ამოზურგვა“ და დაბლა მხარზე ყურის მიმაგრება. შეერთების ადგილია „ბეჭისთავი“, ან შუა ვევმი სანიკარტის გასწევრივ და პარალელურად. ჭურჭლის შიგნით ყურის მიძერწვის დროს საყრდენის როლს კობაჩური ასრულებს, გარედან კი გონგის საშუალებით ხდება ყურის შესწორება და მარჯვენა ხელის ცერითა და საჩვენებელი თითით შეერთებული ადგილის გალესვა, შელამაზება, შეერთებული ადგილის გასწორება. ყოველივე ამის შემდეგ ხელოსანი მთლიანად ისველებს მარჯვენა ხელის მტევანს და ახდენს ყურის გალამაზებას ქვევიდან ზევით.

ასე ხდება ჭურჭელზე ჩვეულებრივი, როგორც ადგილობრივი იტყვიან — მრგვალი, ბრტყელი და ა. შ., ყურის გაკეთება. შრომაში ჭურჭელს ადგილები აგრეთვე კ. წ. „საწოვარიან“ ყურს, რომლის გაკეთება გაცილებით ძნელია და ის მხოლოდ გამოცდილ მეჭურჭლეს შეუძლია. ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით, აღნიშნული ყური მხოლოდ შროშაში მოწმდება. საწოვორიან დოქს ზოგჯერ „ჩაიღნისტუჩიანსაც“ უწოდებენ. მეჭურჭლე სახარატო გონგით

ჭრის ახლად მიღებული ნედლი ყურის ზურგს და სკელი სამოვარს  
ტე ჭოხით აფართოებს მას. სანიკარტე ჭოხითვე ხვრეტას კურა-  
ლის გვამს, შიგ ორმაგად დაგრეხილი თოვის ერთ ბოლოს რებაზა  
ანგრებს გონვით. თოვის მეორე ბოლო ამოშვერილი ჩიქება ის ად-  
გილას, სადაც გაჭრილი ყური მოავრდება. ხელოსანი ისეველებს  
ორივე ხელს და ცერა და საჩეენებელი თითების დახმარებით ერ-  
თებს ჭრილობას, რის შედეგადაც თოვის ბოლო შიგნით ექცევა.  
ყურის გამოელების შემდეგ თოვის ცალი მხარე ამოშვერილია, რა-  
ზედაც ხელოსანი მიწის პატარა ნაჭერს აქრავს და საწოვარს ან ტ-  
ტუჩს უკეთებს; საწოვარი ღოქის ყურში ჩაიღნის პირივით გაე-  
თებული სითხის გადმოსასხმელი მილია. იგი უკეთდება პატარა  
ზომის საღვინე დოქებსა და საწყლე თუნგულებს. საწოვარი ჭურ-  
ჭელს ყურის ქვედა შეერთებიდან ოდნავ მაღლა უკეთდება, ამ-  
ტომ სითხე მასში გაცილებით აღრე გადმოდის, ვიდრე ღოქის პი-  
რიდან. საწოვარიანი ყურის ზედა თავი გაუმტარია, ამიტომ ჭურჭე-  
ლი, როგორც არ უნდა იყოს სავსე სითხით, გადმოსხმის დროს  
საწოვრიდან გადმოდის და არა პირიდან.

სასაწოვრე თოვის ყურში დატოვება შეიძლება, რადგან მისი  
გამოწევის დროს თოვი დაიწვება და ხვრელი დარჩება. გამოუცდე-  
ლი მეჭურჭლეები ჭურჭლის გატეხვის შიშით ერიდებიან ნედლი,  
გაუმშრალი, ჯყინტი ჭურჭლის ყურიდან სასაწოვრე თოვის ამ-  
ლებას; კარგი შეჭურჭლისათვის კი პირიქით, სასაწოვრე თოვის  
ჩატოვება სირცხვილად ითვლება.

საწოვრიანი ჭურჭლის წინაპრად შეიძლება მიუიჩნიოთ ე. წ.  
ჩაიღნისებური და ყურმილიანი თიხის ჭურჭელი.

ყურმილიანი ღოქი არქეოლოგიურ ლიტერატურაში გაცეცე-  
ლებული ტერმინია. იგი შროშაში დამზადებული და ყოფაში გა-  
მოყენებული საწოვრიანი ღოქის იდენტურია. ყურმილიანი ღოქი  
გავრცელებული ყოფილა მთელ დასავლეთ საქართველოში ძვ. წ.  
VII — III სს. ფიქენარის ძვ. წ. VI — IV სს. სამარხებში აღმოჩენი-  
ლი ანალოგიური ღოქები ექსპონირებულია საქართველოს სახელ-  
შიფო მუზეუმის არქეოლოგიურ გამოფენაზე (ციტრინა

№ XXXIX). ასეთივე დოქები ნაპოვნია ითხვისში<sup>1</sup>, ვაწში<sup>2</sup>, დაფუნარში<sup>3</sup>, საჩხერეში და სხვაგან.

როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, საწოვარიანი ჭურჭელის წინააღმდეგ უკრძალიან ჭურჭელთან ერთად შეიძლება მიკრინილობის ფორმა.



0 1 2 3

თიხის ჭურჭელი (სეფტრის)

ჩაიდნისებური<sup>4</sup> თიხის ჭურჭელიც, რომლის საწოვარი ყურან კი არ არის შეტყუმული, არამედ ყურის საპირისპირო მხარეს ცალკე კეთდება. ჩაიდნისებური თიხის ჭურჭელი დამახასიათებელი ჩანს ირანისათვის უძველესი დროიდან აქემენიდურ ხანაშე და უფრო გვიანაც<sup>5</sup>. ასეთი ჭურჭელი ცნობილია თურქ-

<sup>1</sup> ღ. ვაკოშიძე, ითხვისის სამარხი, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, XXV-B, თბ., 1968, გვ. 65; მისივე, აღრეანტიკური ხანის ძეგლები ქსნის ხეობიდან, თბ., 1964, გვ. 68.

<sup>2</sup> ვანი I, არქეოლოგიური გათხრები 1947—1969, თბ., 1972, სურ. 220, გვ. 23, 236; ოთ. ლორთქიფანიძე, რ. ფუთურიძე, ვანის არქეოლოგიური ექსპერიმენტის მიერ 1969 წ. ჩატარებული მუშაობის შედეგები, „ძეგლის მეგობარი“, თბ., № 23, გვ. 39.

<sup>3</sup> ღ. კილურაძე, სოფელ დაფნარის ქვეერსამარხი, „ძეგლის მეგობარი“, № 27—28, თბ., გვ. 60.

<sup>4</sup> Б. А. Куптиш, Колхида, т. II, стр. 47, таблица 96 и 156; ღ. ვაკოშიძე, აღრეანტიკური ხანის ძეგლები ქსნის ხეობიდან, თბ., 1964, გვ. 68.

მენეთიდან (ანუ III), ხეთის სამეფოდან, ურარტულან. დღესაც  
ამზადებენ ჩაიღნისებურ თიხის კურპელს სოფ. ბალხარსა და შეკაში.  
მას სხვადასხვა დანიშნულებისათვის იყენებენ მცირების  
მისას წყლის სასმელად ხმარობენ, მოზრდილს რიტუალური ჭრის  
ნელებისათვის.

შროშის ეთნოგრაფიულ ყოფაში დამოწმებული საწოვაზიანი,  
სალვინე თუ საწყლე, დოქი თუ თუნგულა მხოლოდ ღვინისა და  
წყლის ჩასასხმელი კურპელია. ორივე მათგანს იყენებენ სუფრაზე  
ან ყანაში ღვინისა და წყლის წასაღებად. ადვილი შესაძლებელია,  
რომ თიხის ცილი, რომელიც შეიძლებოდა ჰქონოდა ანალოგიური  
კურპლის პროტოტიპს, გაუქმებულა დროთა განმავლობაში და  
მის ფუნქციას ამჟამად კურპლის ყურში დატოვებული ხვრელი  
ასრულებს. იგი პრაქტიკულადაც მოსახერხებელია, რადგან წინ  
გადმოშვერილი მიღი თიხის ადვილად მსხვრევადობის გამო შეიძ-  
ლებოდა მოტეხილიყო, შროშული საწოვრიანი კი ველზე ადვილოდ  
წასაღები და პრაქტიკულად იოლად გამოსაყენებელი თიხის კურ-  
პელია. ანალოგიური ფორმის სპილენძის კურპელმა წურწუნაში  
გაედლო დროთა ცვალებადობას და ყოფაში მყარად ჩა-  
მოყალიბებულ ფორმად დარჩა.

კურპლის გაეთების ბოლო ეტაპია ნიკარტის (ნიკარტის) გა-  
მოყვანა, რომელსაც ხშირად თავს, პირს და ტუჩისაც უწოდებენ.  
მორგვზე ხელმეორედ შედგმული ყურშებმული დოქის ფარფლს  
ხელოსანი ნაჭრის ბანდით აკეთებს მას შემდეგ, რაც დოქის თავს  
ბასრი გონვით მოჭრის. ფარფლის შემოსწორების შემდეგ მეცურქ-  
ლე სანიკარტე ჯოხს მარჯვენა ხელით ირიბად ათავსებს დოქის აჭ-  
რილ თავში, ხოლო მარცხენა ხელის ცერსა და საჩვენებელ თითებს  
უჭირს ქვევიდან ჯერ კიდევ შეუმმრალ, რბილ თიხას, მანამ, სანა  
იგი სანიკარტე ჯოხს შეეხებოდენ. მას შემდეგ იგი ილებს აღნიშნულ  
ჯოხს დოქის პირიდან. დამზადებულ კურპელს ხელოსანი დანაჩხე-  
რით აჭრის მორგვეიდან, ილებს ორივე ხელით და ფრთხილად დგას  
სწორ აღგალზე ან სპეციალურად გამართულ თაროზე გამამრო-  
ბად. ანალოგიური წესით მზადდება დოქი, ხელადა, სურა და ა. შ.,  
ხოლო ქოთანი, ჯამები და სხვა მარტივი ფორმის მცირე ზომის  
კურპელი ერთ ჯერზე მზადდება.

\* И. Л. Станкевич, Сопоставление керамических комплексов Иранских памятников, III—II тысячелетия до н. э., „Советская археология“, 1970, № 3, стр. 69; Б. Б. Пиотровский, Археология Закавказья, Л., 1949, стр. 48—50.

ანალოგიური ხერხით ხდება იმერეთში დიდი ზომის სუვერენიტეტის მშენებლობა. საქართველოში „მეცენატეობა-მეურინეობის სახელოვან სამშობლოში მექევრეობის მრავალი უწყიში მომ. პოვება, მაგრამ კლასიურ კუთხედ მისაჩინევ იმერეთს“<sup>7</sup> მარტვილიათ ვერც ერთი მათგანი ვერ შეეღრება“, — წერდა კერამიკის ცნობილი მკელევარი ეთნოგრაფი ლ. ბოჭორიშვილი<sup>8</sup>. იმრითი კურების კუთხით ოჯახგანვე ყოფილა განთქმულა. ნიკორწინდელს XI ს. საბუთებში ნათქვამი იქვს: „ნიკორწმინდას ჩემს მარანში დავფალ შიგან ჭური ნავარძელი; ივ: /16/ ქ ები /II, 46“<sup>9</sup>. ამ ტრადიციას იმერეთი არც დღეს ღალატობს. აქ მეცურებლეობა ცალკე დარგად არის წარმოდგენილი. ღვინის შესანახ დიდი ზომის თიხის ჭურჭელს იმერეთში, ისე როგორც მთელ დასავლეთ საქართველოში, ჭური ეწოდება, ჭურის მეტებელ ხელოსანს კი მეცურე. ამ ტერმინთანაა დაკავშირებული წარმოების ამ დარგის სახელიც — მეცურეობა.

საინტერესოა იმერეთში ჭურის შენებასთან დაკავშირებული მდიობაზი ტერმინოლოგია: მოთითვა, ამოთითვა, გათითვა, გალესვა, შებეჭვა, შეყელვა, დაფარფულა და ა. შ. ეს შრომატევადი სამუშაო პროცესები ზუსტი თანმიმდევრობით მეორდება ყოველი ჭურის აშენებისას. საინტერესო ტერმინია დაუტება (დაბინავება), რითაც მთავრდება ჭურის შენება.

მორგვეზე ერთ მტკაველადე ჭურის ძირს — კუნძულოს აშენებენ და შემდეგ დგავენ სპეციალურ თიხის ან რკინის საფარიშე, ე. წ. საკუნძულებზე ან გაღმობრუნებულ ხის სკამში—პირეულად მაღალ სკამში, შემდეგ კი დაბალში. ჭურის დაახლოებით 70 სმ-ის სიმაღლეზე რომ ამოიყვანენ იწყებენ მის ე. წ. დაკუტება-დაბინავებას. დაკუტებულ ჭურის, უძრავად რომ იდგეს და არ გადაიხარის, ედგმება კრამიტები, რომელსაც ბიგები ანუ მუნჯები ეწოდება. მუნჯების შეყენების შემდეგ საფერხე კეთდება, რომელზედაც მეცურებლე ჭურის შენებისას დგება. იგი თანდათან მაღლა იწევს და ხარაჩოდ იქცევა ხოლმე.

ჭურის დამზადება რამდენიმე ეტაპისაგან შედგება, ამიტომ მეცურე ერთდროულად რამდენიმე ჭურის შენებას იწყებს. საშუა-

<sup>7</sup> ლ. ბოჭორიშვილი, იმერეთში მიელინების მოკლე ანგარიში, მისალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, VIII, თბ., 1956, გვ. 196.

<sup>8</sup> ივ. ჯავახიშვილი, მასალები საქართველოს მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, თბ., 1965, გვ. 77.

ლოდ მეტურე 10—15 კურის შენებას შეუდგება. ვისაც დიდი ბინა, და დიდი ტევადობის საწვავი ქურა აქვს, ერთდროულად 20—25 კურს ამზადებს. მორგვეიდან გადმოლებული კურის კუნძულობის ბაზიკელას ფოთლებს აფარებენ, ზედმეტად რომ აჯ გაშენებ; წებოვნება არ დაკარგოს და მოქნას ხელი არ შეუშალოს. რამდენიმე კუნძულობის დამზადებისა და შემოფოთვლის შემდეგ მეტურე იწყებს კურების მოქნა-შენებას, რასაც კარგი ამინდის დროს დღეში ერთგერ ან ორჯერ ასწრებს, ღრუბლიან ამინდში კი დღეგამოშვებით ხდება შემოშენება-შემოქსოვა, წვიმების დროს სამ დღეში ერთხელ.

კურის მოსაქნელი ფთილა (სორსოლი) გაცილებით დიდია, ვიდრე კურჭლის მოსაქნელი. მისი სიგრძე 80—100 სმ-ია. კუნძულობის მოქნის დროს მორგვე წალმა ტრიალებს, გაწმენდისას კი უკულმა, ხოლო დაკუტებული კური მორგვეს ბრუნვის გარეშე შენდება.

ერთ შემოქნაზე მეტურე ერთი-ერთნახევარი მტკაველი სიმაღლის კედელს აშენებს, რისთვისაც გამოიყენება ერთი ან რამდენიმე ფთილა კურის ტევადობის მიხედვით. თუ კურს შენების დროს ნაირები შემოაქმა, მაშინ მეტურე წყლიანი ხელით ასველებს გადასაბმელ დავილს და მოქნას ისე იწყებს.

კურის, ქვევრისა და ქოცოს დამზადების ტექნოლოგია ერთნაირია. ყველა მათგანს ასაშენებლად ერთნაირი ე. წ. საჭურე, მიწა სჭირდება.

იმერეთში დღეისათვის მხოლოდ კუნძულობიან კურებს, ქვევრებსა და ქოცოებს ამზადებენ. წინათ კი, როგორც მთხრობელთა გადმოცემით ირკვევა, ბრტყელძირიანი კურებიც უკეთებიათ. კურის კეთების დამთავრების შემდეგ კურის ფართულზე (ბაკოზე) ვაძკეთებელი ხელოსანი თავის ინიციალებს აღნიშნავს.

ზემოთ აღნიშნული წესით იმერეთში მზადდება თიხის სალეონე და საწყლე კურჭელი (ნისკარტიანი ხელადები, მრგვალტუჩიანი თუნგულები და დოქები); საწყლე დოქები და ღვინის საწყაო ჩაღები; საფქვილე კურები, ქვევრები და ქოცოები; არყის შესანახი ქვაბები და ორყის გამოსახდელი ქვაბის თავები — ზარფუშები; ქვევრისა და კურის საკუნძულები. ისარნა (ორყურა, უყურა); ქოთნები (უყურო, ცალყურა, ორყურა); ძაბრები, ორხელები, დერგები, ქილები; ცომის საზელი სხვადასხვა ზომის გობები, ჯამები, წყლისა და საკვამური მილები; საწველელი ქოთნები (უყურო და ორყურა), თორნე (ერთიანი, მრგვალორნაჭრიანი, სამნაჭ-



თანხის კურკელი

9. მარალები იმერეთის ეთნოგრაფიული შესწავლისათვეის

რიანი); ხელგობი; საღულარი — ახალი ღვინის ბაღიშვე დასაცემი;  
ე. წ. „ხელსაქმის ქოთანი“; ქვევრის პირის სახეცდავი დამლები;  
სატკბილე; სათევზაო „უინელილი“ (მაშხალა); რძისა, დაუ ჭველის;  
საწურავი, ორშიმო, „წყაროს თავი“. „საკრუშონე“ და მას მომავალი  
ქვევრი, საღვარი, პატარა ორშიმო, თავსახურავი-ხუფი და ღვინის  
ჯასალევი ექვსი ჭამი; საღვინე ჭინჭილები, ქვევრები და ა. წ.

აღნიშნული წესით დიდი ჭურჭლის აშენება მოწმდება კახეთში, ხოლო იმერეთში ყოველგვარი ჭურჭლის აშენება მოწმდება სოფლებში: ცხავატში, საირმეში, აცანაში, აკეთსა და სხვა. ნაწილნაწილ აშენება თიხის ჭურჭლის დამზადების ერთ-ერთ ხერხად ითვლება სომხეთში<sup>9</sup>. აღნიშნული წესით ჭურჭლის აშენების მაგალითებს ვხელებით აგრეთვე სხვადასხვა ქვეყნებში უძველესი დროიდან<sup>10</sup>.

დამზადებული ჭურჭლის გაშრობა დიდ დაკვირვებასა და უტრადლებას მოითხოვს. ჭურჭლის შეკლება გაშრობის შედეგად მცრავდობს 5%—10%-მდე.

კურპელს გასაშრობად 10—15 დღე სჭირდება, ჭურის გაშრობას კი 20—25 დღე. მას პირველ რიგში ყური უნდა გაუშება, რომ არ აატაცეს, შემდეგ, როცა ჭურპელი „თავისი თავის დაკავებას“ შეიძლებს, გადაბრუნებენ, შემდეგ დაწვენენ, ხოლო ბოლოს თავით დაბლა აყუდებენ. ჭურპელი შრობის პროცესში სხვადასხვა ფერს იღებს: მშრალი ნაწილი თეთრი ფერისაა, გამოშრალი ნაწილი კი მუქი შავი. როცა ჭურპელი მოლიანად გათეორდება, ჭურპლის გაშრობა დამთავრებულია და მისი მოხატვა (დაჭრელება), შემკიბა შესაძლებელია.

იმერეთში ჭურჭლის შემკობის რამდენიმე ხერხი დატურდება: მოინგლისება, მოწერნაქება, მოხარატება, მოჭიქვა, ჭურჭლის „შეზავებული“ შემკობა (მოხატვა, ძოკაწყრა) და ჭურჭელზე სხვა-

<sup>9</sup> Е. С. Саркисян, Гончарное производство Армении, Ереван, 1970, стр. 50–53.

<sup>10</sup> А. В. Арциховский, Основы археологии, М., 1954, стр. 61, 99; М. В. Воеводский, К изучению гончарной техники первобытно-коммунистического общества на территории лесной зоны Европейской части РСФСР, Советская археология, I, 1936, стр. 66; В. И. Селезнев, Производство и украшение глиняных изделий в настоящем и прошлом (керамика), СПб., 1894, стр. 52; Э. К. Кверфельдт, Керамика Ближнего Востока, М., 1947, стр. 211, 13.

დასხვა სკულპტურული ფიგურების, კოპლების, ვაზის ფოთლებისა  
და მტევნების მიძერწვა-მიწებება.

მოინგლისება ჭურქლის შემკობის მარტივი საშუალებაა. კარ-  
გად გამშრალ გათეთრებულ ჭურქელს ინგლისი ვარუზან „ესტება  
ხელით ან მჩერით. იგი ჭურქელს შიგნიდან რომ მოხვდეს, დაალ-  
ბობს და დაშლის. გაუმშრალ (უმ, კუინტ) ჭურქელზე ინგლისის წას-  
მა არ შეიძლება. ჭურქელს იგი მხოლოდ სილამაზისათვის უკეთ-  
დება, გამძლეობისათვის მას არავითარი მნიშვნელობა არ აქვს. ჭურ-  
ქლის მოინგლისება იმერეთისათვის, კერძოდ სოფელ შროში-  
სათვის, ლოკალურია. მოინგლისებული ჭურქლის დაჭრელება-მო-  
ხატვა ჭურქლის შემკობის შემდეგი ეტაპია.

ჭურქლის მოხატვა, დაჭრელება, მოჭრელება, ჭრელის გამოყ-  
ვანა იმერეთში ერთი და იგივე მნიშვნელობით იხმარება. ჭრელი  
ჭურქელზე გამოყვანილ ორნამენტს ეწოდება. იგივე ტერმინი,  
მიუხედავად იმისა მოხატულია (წერნაქით) ეს ორნამენტი, თუ  
ამოკეთილ-ამოღარული ან დაძერწილი, იმავე მნიშვნელობით იხ-  
მარება ხისა და ლითონის ნაკეთობათა შემკობის დროსაც<sup>11</sup>. ჭურ-  
ქლის შემკობის კომპოზიციას მეჭურქლე დაჭრელების დროსევე  
ქნის. იმერული ჭურქლის ჭრელის კომპოზიცია ყოველთვის კარგად  
ერწყმის მის ფორმას.

ჭრელის სახეები ჭურქელზე გამოჰყავთ წერნაქით (წარნაქით)  
ან ხარატით (გონგით). გონგით ორნამენტი სველ თიხაზე ჭურქლის  
სრულ გაშრობამდე სრულდება, წერნაქით მოხატვა კი, პირიქით,  
ჭურქლის სრული გაშრობისა და მოინგლისების შემდეგ.

ჭრელის განაწილება ჭურქლის ფორმით არის განპირობებუ-  
ლი, რომელიც თავის მხრივ პრაქტიკული დანიშნულებიდან გამომ-  
დინარეობს. ამ პირობის დაცვით ხელოსანს ნებისმიერი ორნამენ-  
ტის გამოყვანა შეუძლია.

მორგვეზე შედგმული დაინგლისებული ჭურქლის მოხატვა  
ხდება საჭრელებლისა და წერნაქის საშუალებით. ჭრელის სახეებია:  
ხაზოვანი, წერტილოვანი, ხაზოვან-წერტილოვანი, მოკლე ირიბი ლა-  
რები, სპირალური, ტალღური, მცენარეულ-ყვავილოვანი (წიწვი), ვა-  
ზის ფოთლები, ყურძნის მტევნები), ნალისებურ-ნახევარმთვარისე-  
ბური; გამოყვანილია წრეხაზები, ჯვრები, ხუთქიმიანი ვარსკელავები,  
გეგმაზომიერად განაწილებული შედგენილი წვრილი ბურთულები,

<sup>11</sup> ლ. ბერე კი დ. ხალხური ავეჯის ორნამენტის შესწავლისათვის, საქარ-  
თველის სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, XXVI-B, თბ., 1970, გვ. 198.

ზოომორფული (მტრედი, ჭიხვი, ვერძი) და ანთროპომორფული ფიგურები; დედამიწის ხელოვნური თანამგზავრის რელიეფური გამოსახულება და სხვა. ჭრელის სახეების უმრავლესობა ჰიმბოლურია. მაგალითად, საწყლე და საღვინე ჭურჭელს ყოველზოგისაც ფერები ტალისებურ ხაზებს. ყურძნის მტევნებითა და ვაზის ფოთლებით იმკობა საღვინე დოქები, ხელადები და სხვ.



თიხის სამზარეულო ჭურჭელი.

— 2 —

წერნაქით (წითელი, შავი) გეომეტრიული და მცენარეული ორნამენტი გამოჰყავთ, რომლის კომპოზიციის მრავალსახეობა რამდენიმე ელემენტისაგან შედგება: სწორი და ტალღური ხაზები, ზიგზაგები, წერტილები, ვარსკევლავები, ჯვრები და სხვა. გავლებულია ჭურჭლის შემკობა ე. წ. წიწვის ორნამენტით, რაც ჭურჭელს უკეთდება წერნაქით ან გონგით. ოდნავ ირიბად გავლებულ წერნაქის ხაზებს მარცხნივ და მარჯვნივ წერნაქისავე მოქლე ხაზები ჩაუყვება, გონგით გავლებულ ირიბ ხაზს ირიბი ნაქდევების მწრივი მიშვევება. ორნამენტის როლს ასრულებს სხვადასხვა დანიშნულების თიხის ჭურჭელზე წერნაქით გამოსახული ჯვარიც, რაც ავი თვალისაგან დასაცავი აპოთროპული ხასიათის გამოსახულებაცა.

თიხის ჭურჭლის შემკობის ერთ-ერთ საშუალებას იმერეთში ე. წ. მიძერწილი ორნამენტი წარმოადგენს: ლილები, კოპლები, ზოლები, სკულპტურული ფიგურები, ყურძნის მტევნები და ა. შ. მე-

ჭურჭლემ წინასწარ იცის, ჭურჭლის ოოშელ ნაწილს რა გამოსახულება მიაყრას — მიაძერწოს.

არანაკლებადაა გავრცელებული იმერეთში ჭურჭლის მოხარატება-დახარატება ანუ შესკობა რელიეფური და კონტრელიეფური ხაზებით. ზოგჯერ კოპლებით მოხარატებულ ჭურჭელს ჩვეულებრივ არ სჭირდება მოინგლისება. კონტრელიეფური ხაზების გამოყვანა ოდნავ შემშრალ ჭურჭელზე ხდება, მისი სიღრმე კეცის სისქეზეა დამოკიდებული. მოხარატებლად გამზადებული ჭურჭელი მორგვენე უნდა იდგეს.

ჭურჭლის შესამკობად იმერეთში ხშირად იყენებენ ე. წ. კომბინირებულ ხერხს (მოხარატება-მოხატვა, მოხატვა-მიძერწვა და სხვა).

ხელოსანი, რა თქმა უნდა, დაინტერესებულია, რომ მის მიერ დამზადებულ ჭურჭელს, გარდა ყოფითი მნიშვნელობისა, ესთეტიკური ლირსებაც გააჩნდეს. ლამაზი და სახმარად მოხერხებული ფორმის იმერულ ჭურჭელში თრივე თვისება კარგადაა შერწყმული.

Ц. А. ҚАКАВАДЗЕ

## ИЗГОТОВЛЕНИЕ И УКРАШЕНИЕ ГЛИНЯНОЙ ПОСУДЫ В ИМЕРЕТИ

Резюме

Глиняная посуда в Имерети изготавливается на ручном гончарном круге. Мелкие сосуды (горшки, миски, сковородки и т. п.) формируются в один прием из одного куска глины. Более же крупные сосуды в один прием изготовить невозможно и они, как правило, «строится» поэтапно. Вначале на кругу возводится низ сосуда примерно до половины туловища. Его оставляют сохнуть на некоторое время, прикрыв края свежими листьями. После того, как корпус сосуда («птили», «сорсола»). Этот способ изготовления сосудов известен под названием «достраивают», накладывая спиралью глиняные валики («птили», «сорсола»). Этот способ изготовления сосудов известен как «комбинированный способ постройки — возведения глиняных сосудов». Гончары одновременно начинают работать над формовкой нескольких сосудов, обычно стольких, сколько успеется за время, требуемое для подсыхания перв-

вого начатого сосуда, так как пересохший корпус бывает уже невозможно достроить.

После завершения корпуса к нему приделывается горлышко («кели», «кисери»), а потом крепится ушко («хели», «кури»), верхний конец ушка крепится к середине горлышка, нижний же конец к плечикам или к середине туловища. Ушки бывают несколько типов: круглые и плоские в сечении, витые, плетенные, ушки с налепами и т. д.

Последним этапом формирования сосудов является выделка носика («пири», «тучи», «нискарти»).

По-иному строятся сосуды для хранения вина — «чурин», «квеври» и «коцо». Низ этих сосудов («кунчулю»), до высоты в одну пядь — «мткавели» (22—25 см) возводится на гончарном кругу. После этого срезается с круга и закрепляется на специальной подставке — глиняном железном или деревянном стуле, сначала на высоком, потом же на более низком. После того, как высота изготовленного сосуда достигает 70 см, его тщательно закрепляют с помощью подпорок («биги», «мунджи») из черепиц во избежание перекоса сосуда. Вокруг него устраивают круговую ступеньку («саперха»), которая повышается по мере увеличения высоты сосуда.

Сосуды эти также «строятся» наращиванием глиняных валиков, укладываемых спиралеобразно. При этом используются валики длиною до 80—100 см и весом в 3—4 кг. В один прием гончар наращивает стенки сосуда на высоту в одну-полторы пяди, после чего дает сосуду подсохнуть, прикрывая края свежими листьями, чтобы предохранить их от излишнего высыхания.

### პ. გასიტაშვილი

## ხის დამზადების კულტურა იმპერიაში

ვახუშტი ბატონიშვილი იმერეთზე წერდა: „არს ქვეყანა ესე ფრიად ტყეში, რამეთუ იშვიათ არს ველნი თუ არა ადგილ-ადგილს მცირენი, თვინიერ სახვნელთაგან,... თვალთა ქვეშე მშენიერება ეგოდენ არა სჩენარის ტყის გამო, თვინიერ ადგილ-ადგილთა: რა-შეთუ უკეთ გადაიხედო მაღლის მთიდამ, იხილავ სრულიადს იმე-რეს ტყედ და არა შენობასა“<sup>1</sup>.

რუსი ელჩები ტოლოჩანოვი და იევლევი წერდნენ, რომ იმე-რეთში სახლები: „...стоят, что в лесу не видно“<sup>2</sup>. თვის დროზე რ. ერისთავე აღნიშნავდა: ერთი შეხედვით იმერეთი გვეჩენება ტყედ. აյად. ნ. კეცხოველი იმერეთის მცენარეული საფარის შესახებ შენიშვნას: „დასაელეთ საქართველო უფრო ტყიანია, ვიდრე აღმოსავლეთ საქართველო, მაგრამ თვით ამ მხარეებში ყველა კუთხე თანაბრად არაა დაფარული ტყით. მაგალითად, მაიცოვსეის რაიონის ტყის საფარველი მთელი ფართობის 47% შეადგენს, ნამტრედის რაიონისა 13,1%, თერჯოლის რაიონისა 17% და ა. შ.„<sup>3</sup>.

ძეველად იმერეთის თითქმის ყველა სოფელს საკუთარი ტყე ჰქონდა. სოფ. ჭალას მცხოვრებნი სარგებლობდნენ შემდეგი ტყეებით: საბუღაო, ჩორათი, ჭითაეთი, სეტარიძირი (მთხრ. გ. აბაშიძე, 82 წ., 1972 წ.), სოფ. პერევი ხეტყის მასალას ეზიდებოდა ჩიჩინარის, ვახნისის, სურნალის, გულიერთისა და ჩოჩრათის ტყეები-დან. მთხრობელთა გადმოცემით, ტყეების გაყაფების შემდეგ ხეტყის

<sup>1</sup> ვახუშტი, საქართველოს გეოგრაფია, თბ., 1904, გვ. 257.

<sup>2</sup> Международные сношения Грузии с иноzemными странами, I; Посольство столника Толочанова и дьяка Иевлева в Имерети (1650—52 гг.), изд. М. Полиектова, Тифлис, 1926, стр. 187.

<sup>3</sup> ნ. კეცხოველი, საქართველოს მცენარეული საფარი, 1960, გვ. 338.

მოტანა მათ დაშორებული პუნქტებიდან: რიში, ხახიეთი, ჭავაშეთი და ლესიევი — უხდებოდათ (მთხრ. ილ. შუკაეიძე, 89 გ., 1972 წ.); სოფ. ფარცხნალის მოსახლეობა სარგებლობდა უშორესად ტყეებით: თხემლარი, ქვაზეინები, სახელარი, სამეცნიერო მუზეუმები და ლაშერა (მთხრ. ს. ბუაჩიძე, 86 გ., 1973 წ.).

ქართველმა მეურნემ კარგად იცოდა ხის ანატომია. მაგალითად, მუხა, ხალხური გაგებით, — შავი ხეა, ნიგოზივით მაგარი, ის-ხამ ნაყოფს, მასალად კარგია. გაბობლი მურას ფიცარი წაბლის-ფერია და დაჭრელებული, ვენახის (ყურძნის) ფოთოლს ჰგავს. მუხას გაბარდნილი ფესვი აქვს და თავის გვერდით მხოლოდ კოპიტს ითვისებს (მთხრ. ილ. შუკაეიძე). მეორე მთხრობლის გადმიცემით, „მუხა მაგარი ხეა; ახალგაზრდა ხეს სუფთა, ძეველს კი დახვეტებილი კანი აქვს, გული წითელი, მისი ფესვი მიწაში ღრმად მიღის. ეს ხე ფიცარია და წყალი უყვარს, ტოტები გადაშლილი აქვს“<sup>4</sup> (მთხრ. გ. მაჭარაშვილი). „წაბლის კანი სუფთა და ლურჯია, ფოთოლები ბრტყელი, ფართე და გრძელი. მისი ფესვი მიწაში ღრმად მიღის. წაბლი იმერეთში, დაბლობ აღგილებში აღრე ვამოდის. მისი მასალა კარგია შენობისათვის, საძირკველებად, ზესაფერებად და სხვ. შეშად ნაკლები გამოიყენება, რაგან პირვენი იცის. წაბლი თავის გვერდით რცხილასა და ვერსებს ითვისებს და ძალზე გავრცელებულია იმერეთში“ (მთხრ. ილ. შუკაეიძე). მართლაც, „წაბლნარი კოლხური ტყისათვის საემთოდ დამახსასიაჟებულია. ახლო წარსულში მათი ტყეები უფრო მეტი უნდა კოუილიყო, იგი წითელთან ერთად ტიპიურ კოლხურ ტყეს ქმნიდა“<sup>5</sup>. „ნაძვი ობოლი ხეა (ლაში). მას გრილი, სილა (მჩატე მწარა) და უშალო აღვილი უყვარს“<sup>6</sup>. „ნაძვი და ფიცვი კარგად ითვისებენ ერთმანეთს“ (მთხრ. ს. ბუაჩიძე) და სხვ.

ადგილობრივ მოსახლეობას შენიშნული პქონდა ძეგლი თვისებანი, როგორიცაა ხის სიმაგრე, „გემო“, „სისუფთავე“, ძარღვიანობა და სხვ. როდესაც შესაფერისი ხე შეირჩეოდა, საჭირო იყო მისი მასაფურთება ნიშნის ან ჯვარის დადგებით. „უმაღ ვიცოდით, ხე მომეწონებოდა, ჯვარის დადგება“ (მთხრ. ილ. შუკაეიძე, ს. პერევი,

<sup>4</sup> ბოტანიკის მონაცემებით, თოთქმის სევერა ახსნილი მუხის ხის თავისებურებანი. იხ. საქართველოს ფლორა, ტ. III, თბ., 1974; ილ. მაყაშვილი, ჩეგნებები და ბუჩქები, თბ., 1940.

<sup>5</sup> 6. კეცხოველი, დასახ. ნაშრ., ვ3. 105.

<sup>6</sup> 6. კეცხოველი, დასახ. ნაშრ., ვ3. 152; აღნიშნულია, რომ ფიცვნარები და ნაძვნარები აღვილად იტანენ ხრიოქა და გვალებან აღვილებს.

1972 წ.). მოწონებულ ხეს ტანზე ნაჯახის დარტყმით უკეთდებოდა ნიშანი, რომელიც ყველა ოჯახს თავისთვის პქონდა ამორჩიული. ხის დანიშვნა-დაფვარვა საქართველოს ბევრ კუთხეში დამტკრისტებული დება<sup>7</sup>.

საეკონომიკო დაფარულებით ყურადღებას იპყრობს ვახტანგ VI სამართლის წიგნის 247-ე მუხლი, სადაც ნათქვამია: „ქ. ვინც სხეი-სი კაცისაგან მოჭრილი დამზადებული რაც რა ფერი ხე წაილს, პატრონს თუ არ დაუმალოს, როგორც ყოფილიყო, ან ფასია შეი-ჯროს ან ისევ იმისთანა მოქრას და დაუმზადოს. თუ შეუტყობ-რად წევლოს და კიდევაც დაუმალოს, საზღაურით გადაუხადოს“<sup>8</sup>.

შერჩეულ-შეგულებულ და მისაუკროებულ ხეს კრიტიკა ცუ-ლით. იმერეთში ხის მოქრა დროის გარკვეულ ჩარჩოებშია მოქ-ვეული. ადგილობრივთა დაკვირვებით, გაზაფხულზე ხე „იბადე-ბა“, მარტში „კუკური“ გამოდის, აპრილის თვეში გაიფოთლება. ამ დროს ხეში ლოპო წყაროსაფით მოდის, ზამთარში კი ხე მშრალია. სამასალედ შერჩეული ხე იქრებოდა შემოდგომა-ზამთარში, რად-გან ამ პერიოდში „ხე აღარც მატულობს და აღარც კლებულობს, ხოლო გაზაფხულიდან ხე ზრდაშია და თუ მოიქრა, კილიანი (წუ-ნიანი) იქნება“ (მთხრ. კ. მაქარაშვილი, სოფ. კორბოლი. 1972).

როგორც საქართველოს სხვა კუთხეებში, იმერეთშიც დადას-ტურია ახალ მთვარეზე ხის მოქრის აქტივულება<sup>9</sup>. ადგილობრივთა დაკვირვებით, ახალ მთვარეზე მოქრილ ხეს თეთრი ჭია—რეილი, უჩნდება. დარკილული ხისაგან დამზადებული ნივთი იშლება.

როდესაც ხეს გასხვებუნენ და დამორავდნენ, კეტებით მიათ-რევდნენ ფერდობამდე და დააცურრებდნენ ვაკემდე, ე. ი. იმ აფგა-ლომდე, საიდანაც შესაძლებელი იქნებოდა მისი გათრევა ხართ. მოქრის დასაცურრებელი ღარი იმერეთში მოიხსენიება შემდეგი ტერმინებით: შურო<sup>10</sup>, სეანი<sup>11</sup>, საშვავე (მთხრ. დ. ჩხეიძე, 68 წლის, სოფ. დიმი, 1972 წ.). მორის ან ძელის დაცურება მაღლობიდან ბუ-ნებრივი ღარის მემცემით ძველი წესი ჩას და მოიხსენიება X სა-

<sup>7</sup> მ. გვ. გვ. ში ძ. ე, მელვინეობის ხის იარაღ-ჭურჭელი დასაცლეთ საქართვე-ლობი. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მომბე, ტ. XIX-B, თბ., 1956, გვ. 25.

<sup>8</sup> გვ. გვ. გვ. VI, სამართლის წიგნი (ტექსტი), მოამზადა თ. ენუქიძემ, თბ., 1955, გვ. 114.

<sup>9</sup> გ. გასი ტაშვილი, ხის დამზადების ხალხური წესები, თბ., 1962, გვ. 32—33.

<sup>10</sup> ქ. ძო წე ნი ძ. ე, ზემომეტული კილოვე, თბ., 1973.

<sup>11</sup> გ. გასი ტაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 32.

უკუნის წერილობით ძეგლში. მორების დასაცურებულ ფასს ძეგლად უწოდებდნენ „ძელის სავალს“<sup>12</sup>.

ვაკეშე ჩამოცურებულ მოს ნაჯახით უკეთდებოდა ნაკუნები, სადაც ჯაჭვს ამოაბამიღნენ და უღელი ხარით სახლში მორჩინადნენ. ექვემდებარები ზომის მიხედვით დაიკოტრებოდა (კოტრი—6 ოშინი), სამასალე კოტრებს გაშრობის მიზნით ძელურად დაბეღლავდნენ, საშეშე ხეებს კი უცდულებად დააწყობდნენ, ე. ი. ააყულებდნენ.

ხის მთლელები: იმერეთში ალგილზე შზადებოდა სა სოფლო სამეურნეო იარაღები, საოჯახო დგამ-კურპელი, წნაედნენ კალათებს, ცოდრებს და ა. შ. ურმის ოსტატი ურმებსა და ბორბლებს თლიდა, ხარატი (ჩარხის ოსტატი) ხის ჭურპელს ხევწდა, კალათებსა და გოდრებს მწვენლ-მქსოველები ამზადებდნენ, იყენენ მეკოდე-მებათმანები, მეყავრეები და სხვ.

ჩვენი მასალებით დადგინდა, რომ იმერეთში გამოიჩინდნენ ფარცხანელი ნეურმები, პერეველი მეჭურპლები, ვანნისელი მეჭურეები, მოხეელი მეჭიდობნები, ჭალული კალათისა და გოდრების მწვენლ-მქსოველები, ბახუთელი და ცხრამუხელი გოდრის ოსტატები და ა. შ. ამ ორმოცდაათი წლის წინ გამოიჩინდნენ სოფ. ფარცხნალში სევასტი მერაბის ძე, იოველ მაქსიმეს ძე და მანეველ მაქსიმეს ძე ბუაჩიძეები—ჩოჩიალა ურმებისა და ხის ჭურპლის ოსტატები, სოფ. ჭალაში ზაქარია ჭიტაძე — კალათების მწვენლი, აკაე კურცხალია — ურმის ოსტატი, სოფ. სპეთში ილ. ჩინტუნიძე — კალათების მწვენლი, მაქსიმე ბერურაძე, გიორგი კრაველიძე, ივანე გულაიშვილი, დავით აბრამიშვილი და ნიკო სეხნიაშვილი — კევრების, სახვნელი იარაღებისა და ბორბლების ოსტატები<sup>13</sup>. სოფ. კორბოულაში აფრასიონ ტაბატაძე, ივანე (კუდა) და ბესარიონ მაქარაშვილები — კევრების, სახვნელებისა და ხის ჭურპლის მთლელები, ასპანია ხარჩილაძე — ხოჭიჭისა და აკვნის მთლელი, სოფ. დავეთში სილიონ ჭიტაძე — მეკოდე-მებათმანე და ჩალხის ოსტატი, სოფ. მახათურაში დომენტი ნიკოლოზის ძე ყიუშიძე — ბორბლების ოსტატი და სხვ.

ხის დამუშავების იარაღები: ცნობილია, რომ „იარაღის... გამოგონება ხანგრძლივად დაგროვილ გამოცდილების და გამახვილებულ გონებრივ ძალებს უფლისმობს, მაშისადამ“. 12 პ. ინ გორო ყვავა, გ. მერჩულე, თბ., 1949, გვ. 101.  
13 იმერეთში ხშირად „ურმის ოსტატი“ მხოლოდ ბორბლის მოხელეს ინშეავს, რაც მიუთითებს მაზე, თუ რაოდენ რთულია ურმის დამზადების პროცესში ბორბლის გათლა.

გულისხმობს იმასაც, რომ ადამიანები ამავე დროს სხვა შრავალ გა-  
მოვთქმებას იცნობენ”<sup>14</sup>.

იმერეთში ფართოდ იყო გავრცელებული ქართული ცული რა-  
ნაჯახი. მთხრობელები ხშირად შენიშვნავენ შემდეგს: “გვერმდა სა-  
ორსელო ცული და ნაჯახი, ორივე ნაჯახი იყო (მთხრ. ა. მაჭარა-  
შვილი, ს. კორბოული, 1972 წ.); ფიცარი ძველად ნაჯახით იყო  
გაჩლოტნებული უშალაშინოდ (მთხრ. ილ. შეუკავიძე, ს. პერევი,  
1972 წ.), ჯახა ცული ნაჯახებში გამოირჩეოდ (ა. კუპრაშვილი,  
ს. არგვეთი, 1972 წ.). იქნებ ეს ფაქტი იმაზე მიუთითებს, რომ იმე-  
რეთისათვის ნაჯახი უფრო მველი ტერმინია, ვიდრე ცული. დგინ-  
დება, რომ იმერეთში ძველად ყოფაში გამოყენებული ყოფილა  
ჯახა და კეჩუა ცულები.

არგვეთელი მოხელის ა. კუპრაშვილის ცნობით, ჯახა ცული  
„მოქნეული იყო, ჩემსკენ იწიცებოდა“, მას ხის საჭრელად და და-  
საპობლად იყენებდნენ. მათ აღვილებე აკეთებდა მეტელი ვანო  
ცერცვაძე. ჯახა ცულით ხეზე „საწერელს“ (ნაცხეობს) ამოიღე-  
დნენ. ეგვების ჯახა ცული ბორჯომული მეტრულს ან მეტრული  
ჩენგის მსგავსი ცული იყო<sup>15</sup>? კეჩუა ცულს პირი სწორი პერნდა  
და საწნახელებისა და გოხების ვათლაზე ძაბარებოდა (მთხრ. ილ.  
შეუკავიძე, ს. პერევი).

დიდი ხეები იჭრებოდა ცულით, რომლის ძირითადი ნაწილე-  
ბია: ყუა, პირი, წინა და უკანა ნიღრი და ტარი. მას უფრო გრძე-  
ლი ტარი ჰქონდა დაგებული, ვიდრე ნაჯახს. სამეცნიერო ლიტე-  
რატურითან ცნობილია, რომ ცულებს, რომლებსაც სწორი და  
ცრძელი ტარი აქვთ, მათი მარტი მოქმედების კოეფიციენტი ძალზე  
დიდია<sup>16</sup>. იმერულ ცულებს ახასიათებთ გრძელი ხელ-ტარები, რის  
მეოხებითაც მათი გამოყენების ეფექტურობა დიდია.

ნაჯახი იმერეთში ფართოდაა გავრცელებული. მისი ძირითა-  
დი ნაწილებია: ყური, პირი, ქუსლი (ფრთა), საყუე და ნაღრები.  
ნაჯახი „ცალხელა სახმარი სათლელი იარაღია და ცულთან შე-  
დარებით მოჩინია“ (მთხრ. ბ. მაჭარაშვილი). იმერეთში ნაჯახი  
უნიკურსალური იარაღი ჩანს და მისი სახელწილდება ხშირად ფა-

<sup>14</sup> ფ. ე ნ გ ე ლ ს ი, ოჯახის, კერძო საკუთრებისა და სახელმწიფოს წარმოშო-  
ბა, თბ. 1953, გვ. 28.

<sup>15</sup> გ. გ ა ს ი ტ ა შ ე ი ლ ი, ხის დამუშავების ხალხური წესები, თბ., 1962.

<sup>16</sup> Б. Колчин, Новгород древности, деревянные изделия, „Археология СССР“, вып. Е1-55, М., 1968, стр. 14.

რავს ცულს. ნაგახით ითლებოდა საჭურჭლე კოპიტები და ფუტურები. მიუხედავად იმისა, რომ შედარებით გვიან შემოსული მის იარაღებმა ხის დაფიცერა გააღდვილა და დააჩქარა, წრუბაში გათლილი ფიცარი იმერეთში გვიანობამდე დიდი ჟურზატჩერი საკეპლობდა. მთხოვნელთა გადმოცემით, „ნაგახით ნათალი ფიცარი გამოსულია და არ იძრიცება“ (მთხ. გ. იბაშიძე, ს. ჭალა). ხალხის დაკვირვება ამ მხრივ შემოხვევითი არაა. სამეცნიერო ლიტერატურაში დადასტურებულია, რომ ხერხვის დროს მერქნის ბოჭკოები გაუთავებლად, გამუდმებით იქნება, რის გამოც მერქნი მალე ჭიანდება. ნაგახით გათლის დროს შედარებით ნაკლებად ზიანდება ბოჭკოები, ფიცარი უფრო ელასტიურია და უფრო ნაკლებად იძრიცება<sup>17</sup>. მერქნის ფიზიკური თვისებები კარგად იცოდა წართველმა მეურნემ თავისი მრავალსაუკუნოვანი დაკვირვებით და შესაძლებელია ნაგახის გვიანობამდე ხმარება ხის დაუიცერის დანიშნულებით ამითაც იყო განვირობებული.

იმერეთში სათლელი იარაღი ორი სახით იყო წარმოდგენილი: სორხელო, ანუ დიდი, და საცალხელო ეჩი. ხის ამოთლა (ამოყრა) ეჩითი ხდებოდა; ეჩითივე ითლებოდა გობი, როდინი, კევრი და სხვ. სახვრეტ-საბურლავი იარაღებიდან იმერეთში გავრცელებული იყო საჭრეთელი, სატეხი, პირთხელი, ჩულუხი, თუნგი და ბურლი<sup>18</sup>.

ჩარხ-სახვერცელები. ჩვენი მასალებით დგინდება, რომ იმერეთის ყოფაში ჩარხ-სახვერცელები ერთმანეთისაგან განსხვავდება მამოძრავებელი ძილის (ხელის, ფეხისა და წყლის) გამოყენებით. ამის საფუძველზე იმერეთში ჩვენს მიერ დაფიქსირებული სახარატო ჩარხ-სახვერცელები შეიძლება სამ გვეფად დაყოს: I—ხელით, II—ფეხით და III—წყლის საბრუნავი ჩარხ-სახვერცელები<sup>19</sup>.

იმერეთში სახვერცელი სახარატო დაზგისა და ჩარხის სახელწოდებით არის ცნობილი; იტყვიან „ჭურჭელი დაზგაზეა გამოხარტებული“ ან „ჩარხშია გამოყვანილი“. დღეისათვის იმერეთის ყოფაში II და III ჯგუფის ჩარხ-სახვერცელებია შემონაცელა, მთხოვნელთა გადმოცემით, არანაკლებ იყო გავრცელებული ხე-

<sup>17</sup> Б. Колчин, დასახ. ნაშრ., გვ. 15.

<sup>18</sup> იქ 3 ვ.

<sup>19</sup> დაწერილებით შრომის იარაღებზე იხ. გ. გასიტაშვილი, ხით ხეროვანი აღმოსავლეთ საქართველოში (ხელნაბეჭდი), თბ., 1963; გ. გასიტაშვილი, ხის დამუშავების ხალხური წესები, თბ., 1962.

ლის საბრუნავი მოჩვე-ლევლიანი ჩარხი. წყლის სახარატოები კქონდათ გამართული სოფ. პეტევში, ლელის პირას, ოტია, ნიკო და ივანე შეუაკიძებს; სოფელ არგეთში ილ. ტაბატაძეს — ზემო დაზღვა, ბ. ტაბატაძეს — უეხის ჩარხი (მარანში) და სხვა მრეწველობის არგეთში, სოფ. არგეთში, ილიკო ტაბატაძესთან ჩეენს მიერ დაფიქსირებული იქნა ფეხსაბარუნავი ჩარხი, რომელიც მას გაუმართავს 1917 წელს. მისი მთავარი ნაწილია ბორბალი (რკინის), ამკვრელი (ფეხის), ლერძი და უბრავი კბილები, ლვედი, ჩარხის ტანი და ჩარხის ბალიში<sup>20</sup>. ასეთ ჩარხებზე ახარატებდნენ ჯამებს, გობებს, ჭინჭილებსა და სხვ.

ჭინჭილის დამზადება. ხარატი იოლებს წიფულის ან იფურის კოტრის, ვადაკრის შეფაზე და ნაჯახით გამოაყოპიტებს, ე. ი. მისცემს სასურველ მიახლოებითს ფორმას. შემდეგ კოპიტს ჩარხის მოძრავ და უძრავ კბილებს შორის დამამარტებს, ამჟარელს ფეხის თანაბარი დაწოლით აამოძრავებს. კბილებზე წამოცმულ კოპიტს ხოჭის მიუყენებს და დაწყებს ხოჭის. გასახოწი საგანი ტრალებს ლერძის გარშემო ისე, რომ არ იცვლის მდებარეობას და გრუნავს თანაბარი სიჩქარით<sup>21</sup>, რასაც დიდი ჩნიშვნელობა ენიჭება, რადგან თუ კაჭირო, ოპტიმალურ სიჩქარეს არ მიაღწია ჩარხი. მაშინ კოპიტი დაიყვლიფება და ანასწორად მოიხოწება. ყველა მა პირობის დაცვა II და I:I ჯგუფის სახვეწლებში უფრო ხერხდება. მოხელე ხოჭის დახმარებით კოპიტს ახარატებს და ჭინჭილის ფორმას უახლოებს. როდესაც გამოიყვანს ჭინჭილის გვამს და ყელს, შემდეგ იწყებს მის სწრაფ ბრუნვას და პიროხელით ჭინჭილის გვამზე არშიების—ბრწყალების, გაეთებას. ჩარხიდან ამოლებულ ჭინჭილას ძირზე წვეტიანი დანით ამოულებენ გულს და აქედან მოკაცებული სახვეწლით იწყებენ გვამის შიგნით გამოხარატებას. როდესაც მთავრდება გვამის ამოსუფთავება, ძირზე ნახერეტს ისევ დაუკობენ ხის ნაჯერს, მოასწორებენ და მოხვეწენ ისე, რომ არ ეტყობოდეს ამონავერი.

ნახვეწი ჭურჭლის დამზადებაში ერთ-ერთი საყურადღებო მომენტია შესაფერისი ხის ჭიშის შერჩევა. ხის სისუფთავე, გემო, წყალგაუმტიანობა, დეკორის თვისებურება გამსაზღვრავდა გასა-

<sup>20</sup> დაწვრილებით მსგავს ჩარხებზე იხ. გ. გასიტაშვილი, ხის დამუშავების ხალხური წესები თუშეთში, კრებული „თუშეთის ეთნოგრაფიული შესწავლისთვის“, თბ., 1964.

<sup>21</sup> Б. Колчин, დახახ. ნიზ., გვ. 72—73.

ხოწად ისეთი ხის ჯიშებს შერჩევას, როგორიც იყო იუანი, ნეკენ  
ჩხალი და წიფელი.

იმერეთში გავრცელებული იყო აჩაბა ანუ უალხოვალო  
ურემი. მსგავსი ურემი დასავლეთ საქართველოში მთავრობის უფლებულებებით: ჩოჩიალა, აჩა-  
ბა, ფიცრული და სხვ. აქედან, როგორც მ. გეგეშიძე შენიშვნას,  
ყველაზე მეტად ხშირია სახელშოდება — ჩოჩიალა ურემი<sup>22</sup>. სამეც-  
ნიერო ლიტერატურაში უკვე დაღვენილია, რომ ურმის ეს სახეობა,  
გამოირჩევა თავისი ორიგინალობით — მისი კონსტრუქციული თა-  
ვისებურება თრევისა და გორვის პრინციპის შეერთებაში მდგომარე-  
ობს<sup>23</sup>. აჩაბა ურემი ბორბლებით მივორავს და ფრჩხილებით სრია-  
ლებს. ასეთი ურემი ქართველმა მეურნემ მიუსადაგა დასავლეთ სა-  
ქართველოს მთავრიან გეოგრაფიულ გარემოს, სადაც „ტალღისე-  
ბურად მონაცვლე რელიეფი ბევრად სჭარბობს ვაკე აღვალმდება-  
რეობას“<sup>24</sup>.

როგორც ჩვენს მიერ შეგროვილი ეთნოგრაფიული მასალების  
ანალიზმა ცხადყო, ჩოჩიალა ურემს ადგილზე ამზადებდნენ ადგი-  
ლობრივი პოხელეები. აღნიშნულ სამუშაოში ყველაზე უფრო  
ძნელი და რთული ბორბლების დამზადება იყო. • „საქართველოს  
ყველა კუთხის ეთნოგრაფიული მასალა განსაკუთრებით მიუთი-  
თებს იმ გარემოებაზე, რომ ურმის კეთებაში ყველაზე ძნელია  
თვლების გაკეთება, ეს მოითხოვს მეტ დროსაც და მეტ დახელო-  
ნებასაც. ამიტომ სწორედ ამ გზით უნდა განვითარებულიყო პირ-  
ველად სატრანსპორტო შინამრეწველობა“<sup>25</sup>. მართლაც, იმერეთ-  
ში ურმის ოსტატი არა მარტო ურმის დამამზადებელ მოხელეს  
ინიშნავს, არამედ ურმის კონკრეტული ნაწილის — ბორბლების  
გამკეთებელსაც. მაგ., გ. კრაველიძე და ნ. ხახიშვილი ურმის ოს-  
ტატებად იწოდებიან, თუმცა ისინი მხოლოდ ურმის ბორბლებს  
ამზადებენ (მთხრ. გ. ბერურაძე. სოფ. სპეთი, 1972 წ.), ჩოჩიალა  
ურმები იმერეთში უკეთებიათ შემდეგ სოფლებში: პერევში ოტ.  
შეკავიძეს, სპეთში გ. კრაველიძეს და სხვ. ჩვენი მასალებით დად-  
გენილი იქნა, რომ ცხრამუხელები, ბუხუთელები, მოხველები,  
რომელთაც ზემო იმერეთში „მთის ხალხს“ უწოდებენ, იკეთებდნენ

<sup>22</sup> მ. ვაკე შიძე, ქართული ხალხური სახმელეთო ტრანსპორტი, თბ., 1955.

<sup>23</sup> იქ ვვ.

<sup>24</sup> იქვე, გვ. 75.

<sup>25</sup> იქვე, გვ. 113.

ურმის თვლებს, ხოლო „ჭალის ხალხი“ — ზესადგარებს აღვამდნენ. აღსანიშნავია, რომ ძველად ურმებს ფიცრის თვლები პროცდათ. მოხველები ახლაც ხმარობენ ფიცრის გოგორებს. რათვენ უს სოფელი კლდიანია, აქ დაბალი გოგორებია საჭირო, ჭალიში კა თვლები სოლებიანი და მაღალია. მთხრობელი შენიშნავს, რომ ჩვენი ურემი (სოლიანი) მოხვში ვერ იმუშავებს, გადაბრუნდება, რადგან მაღალი თელები აქვს“ (ა. კუპრაშვილი, სოფ. არგვეთი).

ჩოჩიალა ურები შედგენილობის მიხედვით 4 ნაწილად იყოფა:

1. ლერძ-ბორბალი,
2. ზესადგარი,
3. ფრჩხილები და
4. ულელი.

მთხრობელთა გადმოცემით ძველად ფიცრის გოგორებს აკეთებდნენ მთლიან ხისას, ერთ გოგორას ცალ გვერდზე ხუნდს დაატანდნენ და ლერძში გამჭედდნენ (ი. შეკაკიძე, სოფ. პერევი). XIX საუკუნის ბოლოსათვის ფიცრის ბორბალი განდევნა სოლებიანსა ბორბალმა. ხუნდი კოპიტის ან თელის ითლებოდა. ხუნდზე ამოილებდნენ სასოლე ადგილებს, რაშიც თავსდებოდა მუხის სოლები. გოგორას 3—4 ფერსო ჰქონდა. ურემშე 8—12 სოლი მოდიოდა, თუმცა მთხრობელები შენიშნავენ, რომ „იმერეთში 8—9 სოლიანი ბორბლები მზადდება, რადგან 12 სოლიანი მიწას იდებდა და ხალხიც ერიდებოდა“ (ა. კუპრაშვილი, სოფ. არგვეთი).

ზესადგარებად შეარჩევდნენ თელის ხეს, მას ცულით და ეჩოთი ოთხკუთხედად გათლიონენ. მისი სიგრძე 12—13 მტკაველა-იყო, სისქე კი 3—4 გოგი. ზესადგარზე სატეხით ეკრტიკალურად ამოილებდნენ 3 ან 4 საჭალე ადგილს, ხოლო პორიზონტალურად გაცემულზენ ფალანგის 8 ჭრალს. ზესადგარს გამოთლის დროსვე ჭველა ნაწილში დაატანდნენ დათვას (შესქელებული ადგილი ლერძის ჩამადგმელად). დათვაში ქვემოდან ამოუყრიდნენ ცვერნებს, რომელთა შორისაც თავსდებოდა ლერძი. ცნობილია, რომ ჩოჩიალა ურემში, სხვა ურმებისაგან განსხვავებით, სიმძიმის წერტილუბი სხვადასხვავარად არის განაწილებული, რადგან ჩოჩიალა ურემს ლერძ-ბორბალი შუა ნაწილში კი არ აქვს, არამედ საქმაოდ უკან, რის მეშვეობითაც ზესადგარი დაწეულია და ეყრდნობა ცერაუჩამშულ ფრჩხილებს. ზესადგარზე თავში ამოტოხნილი (ამოჭრილი) იყო ფრჩხილის ადგილი. გათლილ-დახერეტილ ზესადგარზე ჭალებს დასხამდნენ ვერტიკალურად, ხოლო ფალანგებს პორიზონტალურად.

ფრჩხილები მზადდებოდა კაპიანი ხისაგან. მათ ჩაწყობდნენ ზეწრებში და მთელი ურმის წინა ნაწილს მასზე დაყრდნობდნენ. თუ ჩოჩიალა ურმის გოგორის დამზადებას 2—3 დღე უნდოდა,

მთლიანად ურმის გამზადებას 4 დღეს უნდებოდნენ. ამ ორივედან ათი წლის წინ ურმის წყვილი თვალი 10 თუმანი ლირდა, ურემიკა 15 თუმანი.

ულელი დამოუკიდებელი ნაწილია ურმისა. იქენეთში სხვადას სხვა დანიშნულებისა და ზომის ულელი იყო ხმარებაში. მაგ., სახუნელი ულელი გრძელი და სწორია, აჩაჩა ურმის ულელი შედარებით მოკლე და ჩაზნექილი, რომ დალმართში ხარს ტვირთი არ დააწევს და კისრის აწევის საშუალება პქონდეს.

აჩაჩა ურმით გადაპქონდათ სამეურნეო პროცესები, შეშა, ჭვა, ჟურქელი და სხვა. ურემი ერთ-ერთი ძირითადი სახმელეთი სატრანსპორტო საშუალება იყო მთელს იმერეთში.

საოჯახო ჭურჭლის დამზადება. იმერეთში ყურადღებას იქცევს ხის ჭურჭელი თავისი ნაირფეროვნებით — დამზადების ტექნიკითა და ფორმა-მოყვანილობით. ყოფაში გამოიყენებოდა საოჯახო დანიშნულების ხის ჭურჭელი, საწყლე, ამოსალებ-ამოსახავევი, სარძევე, საფქვილე და ა. შ. ჭინჭილები, კათხები, გობები, როდინები, ტაბაკები, სარიოშეები, კოდები, კვანჩხები, ფოხალები და ა. შ. მოხელე ამა თუ იმ ნახელავის შექმნის დროს ცდილობდა, იგი მოსახმარიდ ადვილი, „ხელზე მოსარგები“ ყოფილიყო. მაცველობის არანაელებ ყურადღებას აქცევდა საგნის ესთოტიკურ მხარეს<sup>26</sup>. საყურადღებოა, რომ იმერეთში ხისგან დამზადებული მოსახმარი სავნები ზოგადი სახელით, ჭურჭლით, არის ცხობილი, რომელიც იყოფოდა მსხვილ და წვრილ ჭურჭლად. მსხვილი ე. ი. დადი ჭურჭლის ჯგუფში შედის: კოდები, საწყაოები და სხვ. წვრილ ჭურჭელში კოცხები ჯამები, ხელთინები, ტაბაკები, კათხები...

იმერეთში დასტურდება საუკუნეების მანძილზე შემუშავებული ჭურჭლის დამზადების სხვადასხვა ხერხები: ამოტოხნა (ამოთხრა), ამოთლა (გათლა) და ამოწვა, რაც ხის დამუშავების ტექნიკური დონის განვითარების მანიშნებელია. დასტურდება, რომ სახეეწადუმთავრებად მაგარი ჭიშის ხეებს არჩევდნენ, ხოლო გასათლელად რბილი ჭიშის ფოთლოვანი ხეები გამოიყენებოდა, მაგ., იფანი, რომლისგანაც ჭინჭილები, სარიოშეები და სხვა სავნები მზადდებოდა, წყალგაუმტარია, კარგად პრიალებს და ახასიათებს მიაღალი თვისებები. ცაცხვის ხისაგან აკეთებდნენ კოდებს; იგი ადვილად ითლება, თანაც გული სქელი აქვს, ცილა თხელი და ა. შ.

<sup>26</sup> გ. გასირა შვილი, ხის დამუშავების ხალხური წესები, თბ., 1962 წ., გვ. 32.

იმერეთის ყოფაში გამოიყენებოდა შემდეგი სახის კოვენტი:

ა) სალუკმე პაწია კოვზი, წვინიანი კერძებისათვის სახმარი, რომელ-  
საც ლრმა პირი პქონდა, ტარი ბრტყელი. ბ) სალობიური საშუალები  
ზომის პირიანი კოვზი; გ) ქაფქირი — ქვაბის მოსარგვი დღიური შოშე  
ზი. ზემოთ ჩამოთვლილ კოვზნაირებს თლიდნენ ლევის, მსხლის და  
კოწახურის ხისაგან. საკოვზედ შეარჩევდნენ ზორტ ხეს (ზორტი  
ტყეში თავისით წაქცეული ხეა)<sup>27</sup>, მოჭრიდნენ, ნაჯახით კოვზის კო-  
პიტს გამოიყვანდნენ, რომელზედაც შემდეგ ტარის და პირის აღ-  
ვილებს აღნიშნავდნენ და დაიწყებულენ დანით თლას. კოვზის პი-  
რი ხოწით გამოყავდათ.

საბა ორბელიანი აღნიშნავს, რომ „ჯამი არის ჰურჭელი ნოტი-  
ოთა, ბაღია, ლოდა, ლოდაკი, პინაკი, ფილჯამი და მისთანანი.“ ამ  
ჯგუფში ჩვენ ვაქცევთ ხის ჰურჭლის ისეთ სახეობებს, რომლებიც  
ფორმა-მოყვანილობით ჯამისებურია: ჯამი, გობი, ხელფინა და  
სხვ<sup>28</sup>.

იმერეთის ყოფაში გამოიყენებული იყო ხის ჯამნაირი ჰურჭლის  
შემდეგი სახეობები: ა) ჯამი — დიდი და მორჩილი; ბ) ხელგობი,  
დაზგისგარეშე ხოწით გათლილი, გ) ხელფინა — ჯამზე დიდი,  
„სამი ლიტრი დავიდოდა, გობივით იყო გაჩარტეული, ფხალის, პარკი  
ლობიოსა და კირკალი ლობიოს მოსაკეპი“, დ) გობი. ჩამოთვლილი  
ჰურჭლის ნაწილი ხოწითაა გათლილი. მას გარე კედლებზე სიმეტ-  
რიული პწყალები (არშიები) შემოუყვება, რომელიც მხოლოდ  
ჩარხშე სწრაფბრუნვის პირობებში არის შესაძლებელი.

ჯამის გამოსათლელად უპირველესად შეარჩევდნენ სუფთა ხეა  
— ცაცხეს, რომლის უპირატესობა სხვა ჯიშის ხეგბთან შედარებით  
ის იყო, რომ „გემო“ არ პქონდა, კარგად იხევწებოდა. საჭირო ხის  
მასალას ნაჯახით მოჭრიდნენ, გამოაკოპიტებდნენ და ჩარხში ჩაღ-  
გამდნენ გამოსახოწიად. გახოწვის შემდეგ ჯამს ამოიღებდნენ ჩარ-  
ხის კბილებიდან, ეჩოთი მოათლიდნენ „ჭიპს“ და ჯამი მზად იყო.  
სოფ. ჭალაში გ. აბაშიძის ოჯახში ჩვენს მიერ აზომილი იქნა მოხე-  
ლე ი. ჭიტაძის მიერ დამზადებული ჯამი, რომლის პირის დიამეტ-  
რია 21 სმ, სიმაღლე 7 სმ, სიღრმე 2,5 სმ, ჯამის ძირის სიმაღ-  
ლე 3 სმ.

გობის გამოსახოწიად შეარჩევდნენ თელას, რომელიც კარგად

<sup>27</sup> ქ. ძოწე ნი ძე, ზემომერული კილოკავი, თბ., 1973.

<sup>28</sup> გ. გასირა შეი და ხის დამუშავება თუშეთში. იხ. „თუშეთის ეთნო-  
გრაფიული შესწავლისათვის“, თბ., 1967, გვ. 97.

იხოვება. მისგან დამზადებული ჭურჭელი არ სკეპტიკა და ხმაუმჯობარი „იქეცება“ (მთხრ. თ. ჩხეიძე, სოფ. ჭალა). შერჩეულ ხეს გამოაკოპიტებდნენ ნაჯახით და ერთი, შემდეგ გაამაგრებდნენ ჩიარხებული მოხოვდნენ. გობები გამოიყენებოდა პურის, მციდის და სულუ-ბიოს დასაყუენებლად. გობები იმერეთის სოფლებში დიდი რაოდენობით მზადდებოდა და ნაწარმი, ტომრებში ჩაწყობილი, ცხენებით გადაქონდათ ქართლის სოფლებშიც შემდეგი მარშრუტით: ჭალა—ჭურნალი—პერანგა—ლოსონი — საკაფური — ზნაური. გობი ერთი „წყეო“ ლირდა. სოფ. ჭალაში დათვიქსირებული გობი ხარატშია გამოვანილი და საკმაოდ დიდი ზომისაა, მისი დიამეტრია 75 სმ, სიმაღლე 15 სმ, გობის ტუჩი 15 სმ. ასეთ გობზე ორი ბათმანი მჭადის ცომი იზილებოდა.

გარდა ამისა, ადგილზე მზადდებოდა ვარცლები, ტაბაკები (დიდი თევზივით სახმარი გობისნაირი ჭურჭელი) და ა. შ. სოფ. სპერში მთხრ. შ. ბერურაძესთან ვნახეთ ოთხეუთხა ფორმის  $50 \times 25$  ტარიანი (10 სმ), ბრტყელი, მციდის ასაბერტყი თრმო, სოფ. ჭალაში მთხრ. თ. ჩხეიძის ოჯახში პურის გასარჩევი ფრიალა თევზის ფორმის უგულო (ე. ი. სილრმის გარეშე) სარკვევი და სხვ.

სოფახო დანიშნულებისათვის ფართოდ იყო გაფრცელებული სანაყი ჭურჭელი, რომელიც ზემო იმერეთში როდინის სახელით არის ცნობილი. როდინში ინაყებოდა ნიორი, მწვანილი, მარილი და სხვა. იგი 20 სმ სიმაღლის კოდისებური ჭურჭელია, რომლის ერთი ნაწილი (ყელი) ამოვაბილია (5 სმ), მეორე ნაწილი, ძირი, მთლიანი ხისაა ყელის დამეტრი 15 სმ-ია. შემდეგ როდინი ვიწროვდება და წელზე ორი სანტიმეტრის სიგანის სარტყელი შემდევ ძირში ისევ სქელდება. როდინი ჩარჩები იხვეწებოდა. უძეველესი სოფახო დანიშნულების ხის ჭურჭელია კოდი; კოდისებური ჭურჭელი იმერეთში ფართოდ გამოიყენებოდა პროდუქტის საწყაოდ და შესანახად. ბათმანი, ფოხალი, კოდი, კოფი ერთმანეთისაგან განსხვავდებიან მხოლოდ სიდიდითა და მოცულობით. მათ ერთნაირი წესით იდგილზე ამზადებდნენ. კოფი კოდისებური ჭურჭელია, სიმაღლე 20 სმ, სიგანე — 15 სმ. სიმაღლეში აქვს კუთხედი ყური, ჩაღის 2 კგ მჭადის ფქვილი. ბათმანი სიმანდისა და ხორბლის საწყაოა. შედგება გვამის, ძროს, ე. ი. ფსკერისა, და სახელურისაგან. ბათმანისათვის შეაჩჩევენ ცაცხვის ხეს, რადგან ალნიშნული ჭიშის ხეს გული სქელი აქვს, ცილა კი თხელი. ბურლით ჩანგრეტენ და შერე ჩულუხით (1 არშინის სიგრძის მოხრილი თევი) ჩათლიან, გვას ამოილებენ, შემდეგ ძროს გამოთლიან და ძირს გამოიუწყის.

გენ. ბათმანის სიმაღლეა 30 სმ, პირის დიამეტრი 25 სმ. ჩადის 10 კგ სიმინდი. ასეთი ბათმნები დიდი რაოდენობით უმზადებია და ფაუნაში თელ ს. ჭითაძეს.

ფოხალი, საბას მიხედვით, „ნახევარი კოდია“, კოდისებური სახელურიანი ხის ჭურჭელია, რომელშიც ჩადის 10 კგ სიმინდი. მისა სიმაღლეა 28 სმ, პირის დიამეტრი 27 სმ. აქვს მომრგვალებული სახელური მთლიანი ხისა. ფოხალებიც ადგილზე მზადდებოდა კაცხვის ხისაგან. საყურადღებოა, რომ იყი ძელთავანვე გამოიყენებოდა როგორც სითხის საწყაოც. XVI ს. ურთ-ერთი დოკუმენტი ასე იღწეუება: „აწ ყოველს წელიწადს მოიტანდეს სააღაპოდ ორმასა კბილსა ყველასა, ექვსსა ფოხალოსა ღვინოსა“<sup>29</sup>.

კოდი დიდი ზომის ჭურჭელია, სიმაღლით 90 სმ, სიგანე 123 სმ, ჩადის 8 ბათმანი სიმინდი. კაცხვის ხისაგან მზადდებოდა. უფრო „მორჩილ“ კოდებს სახელურები ჰქონდა და რთველში ჭურძნის ჩასაყრელად იხმარებოდა. ზამთრობით კოდში ხორბლეულს, სიმინდს, კავალს და სხვა პროდუქტებს ინახავდნენ.

იმერეთში დიდი რაოდენობით მზადდებოდა ხის სასმისები: კულა, კათხა, სარიოში, კვანჩხა და სხვა.

კულა მსხვილმუცლიანი და წვრილყელიანი ჭურჭელია, რომ-ლიდანაც სასმელი რაკრაკით ჩამოედინება. კულა მზადდებოდა ხისა და ხაბისაგან.

კვანჩხა ხის პატარა სასმისია, ერთ ჭიქამდე ჩადის.

სარიოში ღვინის სასმისია ხისა, ფეხიანი, დიდი ჭურჭელი, თითქმის ერთი ლიტრი სითხე ჩადის.

ხაპი ჩამჩისებური ჭურჭელია. შედგება შემდეგი ნაწილებისაგან: გვამი, ტარი და ყური. მას კავლის ხისაგან ამზადებენ და გამოიყენება სიმინდის ფქვილის, ჭავისა და სხვათა ამოსალებად.

ჩავა წყლის დასალევი სახელურიანი ჭურჭელია, მზადდება ნეკერჩხლის ხისაგან. ფარცხანელი მოხელის სევასტი ბუაჩიძის გადმოცემით, ნეკერჩხლის ხეს უკეთდება დიდი ბუშტი — ჩავა. მოჭრიან მას, გამოაკოტებენ და ამოხოწავენ. მისი სიმაღლე 15 სმ, პირის დიამეტრის 10 სმ. ჩავას აქვს ხეშივე გამოყვანილი ყური. რომლის ნახვრეტში თითო ეყრება.

იმერეთის ყოფაში ფართოდ იყო გამოყენებული ხოჭიჭი (ხოჭიჭი) და აკვანი.

29 ისტორიული ღოუშენტები იმერეთის სამეფოსა და გურია-ოდიშის სამთავროებისა, ნაწ. I, თბ., 1959, გვ. 151, გამოსცა შ. ბურჯანაძე გ. მ.

ხოჭეჭი საბას მიხედვით, „მცირე აკვანი“. იგი წარმოადგენდათ, მი მტკაველი სიგრძისა და ერთი მტკაველი სიგანის შუაში გრელამ-ლებულ გათლილ ფიცარს, რომელიც დაბალ ფეხზე დგას. ხოჭეჭის ჭაველგან აკეთებდნენ და იყენებდნენ ახალდაბადუბული შეკ-შვის დასაწვენად (დასაკრავად). ჩვილი ხოჭეჭზე ორი-სამი კვი-რა უნდა წოლილიყო, რათა გამართულიყო. იმის გამო, რომ ხოჭეჭს საგოგაეები არ ჰქონდა, მისი რწევა არ შეიძლებოდა. სამი კვირის შემდეგ ბავშვი გადაყავდათ აკვანში. საბას მიხედვით, აკვანი „სარწებელია“. აკვნის ნაწილები ძირითა-დად ჩარხში იყო გამოყვანილი ჯერ რკალს აკეთებდნენ. მას გა-მოთლიდნენ (გაათხელებდნენ) წაბლის, თხილის ან ლეკის ხისაგან და თარგზე დააკრავდნენ, ბოლოებს წნელით შეუკრავდნენ. რათა მორეალულიყო. შემდეგ დაიწყებოდა აკვნის კამარის დამზადება თხილის ან ლეკის ხისაგან. ოთხი მტკაველი სიგრძის ხეს გამოყო-პიტებდნენ და გათლიდნენ, კამარის თავსა, ბოლოსა და შეა წელს ჩარხში გამოახარატებდნენ. კამარის ბოლოში შეკრილი იყო, რკა-ლის თავებში შემჯდარი და ამ უკანასკნელთან ხის კოკრებით მი-მაგრებული. შემდეგ დაიწყებოდა აკვნის სვეტების ჩარხში გამოყ-ვანა. სვეტებს თავსა და ბოლოში ჩატრიდნენ, რათა რკალი და სა-გოგავები ჩაესვათ. ორი გამზადებული რკალ-საგოგაფი ერთმანეთ-თან კამარებით იყო შეერთებული. კამარები ოთხეუთხედად იყო დათლილი. წყვილი კამარა ურთიერთთან დაკავშირებული იყო საში რიყით. რიყებიც დახარატებული იყო. საერთოდ აკვანი შედგება: კამარის, რკალის, 2 საგოგავის, 4 სვეტის, 10 რიყის, 8 გრძელი და მოკლე გამარისა და ხიდისაგან. აკვნებს ამზადებდნენ სოფლის ხელოსნები ჩარხებზე. ზემო იმერეთში განთქმული იყო ნიგვზარე-ლი საპანია ხარჩილაძის, პეტეველი ი. შუკავიძისა და სხვათა გაჩალ-ხელი აკვნები. აკვანი მოიხსენება X საუკუნის ძეგლებში: „ვითარ ვინ აღილის ჩვილი აკვანთა ქვეყნად“<sup>30</sup>. არჩილიც მიუთითებს (XVII ს.): „მოიყვანა ცხრა ყმაშვილი, აკვნებითა შიგ ჩაკრული“<sup>31</sup>.

ყავრის გამოხდა. იმერეთში სხვა ხელობებთან ერთად კარგად არის წარმოდგენილი ყავრის გამოხდა. ყავარი გამოიყენე-ბოდა ძირითადად სამეურნეო და საცხოვრებელი ნაგებობათა დასა-ხერავად. მთხოვნელთა გადმოცემით, „უმაღლ (ე. ი. ძველიად) სახ-ლები გადახურული ყოფილა ჩალით, კრამიტით და ყავრით“. იმე-

<sup>30</sup> ს. ყავრი შვილი, ხრონიკრატია ვრიგოლ მონაზენისა, ობ., 1920,

<sup>31</sup> არჩილი იანი, II ტ., 1888, გვ. 42.

რეზი ყავარს უმთავრესად ის სოფლები ხდიდნენ, რომელსაც  
ახლოს ფიჭვის, წაბლისა და წიფლის ტყეები ჰქონდათ, ყავარი უადგი-  
რე შემოდგომით, უფრო მარიამობისთვეში იხდებოდა, როდესაც  
ხე მშრალი და „მწიფე“ იყო. თუ ხე გაიყინებოდა, ის ყავრად აღას  
დაიფურცლებოდა.

ყავრის გამოხდისას ერთ-ერთი საყურადღებო მომენტი იყო სა-  
ყავრე ხის შერჩევა. მთხრობელთა შენიშვნით, წიფლის ხისაგან გა-  
მოხდილი ყავარი ფოთქვია, ნაძვის ხისაგან რბილი, ფიჭვისაგან კი  
გამძლე. მას კვარიანი (ფისიანი) ხაზები აქვს და ორჯერ მეტნანს  
ძლებს, ვიღრე სხვა ხისაგან გამოხდილი. დგინდება, აგრეთვე, რომ  
ყავარი იმერეთის ბარში 12—15 წელიწადს სძლებს, მთაში 20—25  
წელიწადს. ამას მოსახლეობა იმით ხსნის, რომ ბარში ყავარი მზი-  
საგან უფრო მაღლ ხურდება, წვიმით „იქლენტება“ და იფიტება.  
ნაძვისა და წიფლისაგან გამოხდილი ყავარი არ იგრიხება.

საყავრედ შერჩეული ხე სწორტანიანი და თანაბარი სიმსხო-  
სი უნდა ყოფილიყო, რადგან ალლოჭი (ბრუნდე) ხიდან ყავარი „ნეე-  
ული და ბრუნდე“ გამოდიოდა. წინასწარ წიფლის ხეს ნაჯახით ჩა-  
შოაპობდნენ, თუ ხე გალესილად გაიპობოდა, ყავარი სწორი გამო-  
ედოდა<sup>32</sup>, თუ ბეწვები — „ძანძგლები“, შეჟყვებოდა, მაშინ ასეთ  
ხე საყავრედ არ ვარგოდა (მთხრ. ი. შუკაიძე, სოფ. პერევი, 1972).  
მეორე მთხრობლის შ. ბეწურაძის (სოფ. სპეთი) გადმოცემით, „იმ  
ხეს მოვჭრიდით, რომელიც ყავარს გაუყვებოდა“<sup>33</sup>.

შეგულებულ ხეს მოჭრიდნენ და დამორავდნენ, მორს შუაზე  
გახეთქდნენ — „ხეს გააშუალებდნენ“, შემდეგ „დაანაოთხალებ-  
დნენ“. ნაოთხალიდან „კოტრს“ იღებდნენ, კოტრები კობლებად<sup>34</sup>  
დაიჩენებოდა, თითო კობლიდან 8—12 ყავარი ამოდიოდა. ამის  
შემდეგ საჭირო იყო ყავრის დაზგის (კირას) გამართვა. დაზგა ოთხი  
ხის ნაჭრისაგან კეთდებოდა. ორ ძირის ხეს ზემოდან დაკრავ-  
დნენ დაზგის თავსა და დასაყავებელ ხეებს. დაზგის თავსა და საყა-  
ვებელს შორის თავსდებოდა დასაფურცლი კობალი, რომელსაც

<sup>32</sup> იხ. გ. გასიტაშვილი, ხის დამუშავების ხალხური წესები, თბ., 1962, გვ. 76—78.

<sup>33</sup> ქსნის ხეობაში საყავრედ შერჩეულ ხეს ნაჯახით სასინჯს ჩამოათლიდნენ. იხი-  
ლე ჩენი „ხის დამუშავების ხალხური წესები ქსნის ხეობაში“, თბ., 1970, გვ. 47  
(ხელნაწერი).

<sup>34</sup> ბორჯომის ხეობაში კობალს „ბელეშსაც“ ეძახიან. იხ. გ. გასიტაშვილი,  
ხის დამუშავების ხალხური წესები, თბ., 1962, გვ. 76.

ფეხზე დაყუნებდნენ, აზომავდნენ ყავრის სისქეს და ნაჯახოთ პირზე „გაუხსნიდნენ“ — დაპკრავდნენ კვეეოს და პირს გაულებდნენ”.

შოხერობელთა გაღმოცემით, სანამ ყავრის დანა (წითელის დანა) შემოვიდოდა, გამოიყენებოდა გ ე ლ ა. აილებდნენ სამი ყავრის სამარტინო ქე ირ ფიცარს და წენელებით მიაკრავდნენ ერთმანეთს, ისე რომ მათი პირები თრი თითის დადებაზე ყოფილიყო დაშორებული. როდესაც გირაში ფეხზე დაყუნებულ კოტრს ნაჯახით პირს გაულებდნენ, გელას ერთი ბოლო გირას გახსნილ ტუჩში თავს დებოდა, მეორე კოტრს გარეთ რჩებოდა. გელათი ყავრის ფურცელს გადაწეულნენ, საყავრე ნიჩაფით ჩავიდოდნენ ძირამდე და ყავარიც ავარდებოდა. კოტრიდან 8—10 ფრთა ყავარი ამოდის. თითოეულის სიგრძე 1.5 არშინი იყო, სიგანე 1 ჩარექი.

დაფურცლული ყავარი გარდიგარდმო საფეხურებად ეწყობოდა ერთმანეთზე. ამ წესით დადგმას ყავრის დაბელელას, ანუ ყავრის დაციხვას<sup>35</sup> უწოდებენ. 100 ფრთა ყავარი უკვე კონა იყო, რომელიც სამი ბათმანი სიმინდი ლირდა. სახლის გადახურვას 8—10 კონა ყავარი სჭირდებოდა.

ზემო იმერეთში უპირატესობა ეძლეოდა წითელის ყავარს, სოფ. ლადარში (საჩხერის რაიონი) ამზადებდნენ წითელისა და ნაძევის ყავარს, ხარაგოულის რაიონში ე. წ. მოხარშულ ყავარს...

ხის დამუშავებასთან დაკავშირებით საყურადღებო ცნობებია დაცული XIX საუკუნის პეტრიოდისაში, სადაც მოტანილია ვასალები ქუთაისის სოფლების მოსახლეობის შრომა-საქმიანობის, კერძოდ შინამრეწველობის ზოგიერთი დარგისა და დარგის მიმდევართა ფულადი შემოსავლის შესახებ. მაგ. „ვანის საზოგადოება მდიდარია ხე ტყის მასალით. 30 კომლზე ერთი დურგალი მოდის. აქ მზადდება ხის ჭამები, რომლებიც იყიდება 2—5 კაპიკად, ხოლო დიდი კონკრეტული 50—90 კაპიკად. ურმების ფასი 10-დან 25 მანეთია. ეანის საზოგადოებაში 60 ხარატია (მჩარხავი) ალრიცხული“<sup>36</sup>. ბალდადის საზოგადოებაში ხის ხელობას მისდევს 25 კაცი, ივანდილში 16 დურგალი და 20 ბორბლის მკეთებელი ყოფილა<sup>37</sup>.

საჩხერისა და ჩიხის საზოგადოებებში გამოიჩინდნენ სოფ-

<sup>35</sup> ბორჯომის ხეობაში ყავრის დახურვას, ატენის ხეობაში ყავრის დაბელელს უწიდებენ. გ. გ ა ს ი ტ ა შ ვ ი ლ ი, ხის დამუშავების ხალხური წესები, თბ., 1962 გვ. 77.

<sup>36</sup> МОМПК, вып. XI, стр. 222.

<sup>37</sup> ი ქ ვ ე, გვ. 226.

ლები: მოხვი და თედელეთი. მოხვის მოსახლეობის უმეტესი ნაწილი ხის სკორპიონის (ზანდუკების) დამზადებით ყოფილი ცნობილი მათი ნაწარმი ქუთაისის გუბერნიის ამარავებდა. იმ როინისათვის (XIX ს. 60-იანი წლები, გ. გ.) მოხვი წელიწადში 2400 ჰკილუმეტრზე ზადებდა, რომელსაც გლეხის ავეჯში ერთ-ერთი საპატიო ადგილი ეკავა<sup>38</sup>. სოფ. თედელეთის მოსახლეობა გამოირჩეოდა ხის კურპლის, გობების, ჯამების, როდინების, ფოხალებისა და კოდების დაზადებით<sup>39</sup>. ხარაგოულის საზოგადოებაში 120 დურგალი ყოფილა და ა. შ.

ჩევნი მასალებით დგინდება, რომ სოფელი არ იყო იმერეთში, რომელსაც 4—6—8 (ზოგჯერ მეტიც) ხელოსანი, მოხველე არ ჰყოლოდათ. ამას უნდა დაემატოს ისიც, რომ იმერეთის სოფლებში სოფელთან და სამეურნეო იმპროექტს (არა როტლს) თვითონ გლეხი, მეურნე კაცი ამზადებდა. ჩანს, საკვლევ ობიექტში ძველთაგანვე ჩათხურობა საქმაოდ მაღალ დონეზე იდგა და მასი ტრადიცია გვიანობაშიც შემოვენახა ჲოფამ.

სოფ. პერევში მცხოვრები ი. შუკავიძე გადმოგვცემს, რომ ხის ხელობა მას პაპისაგან უსწავლია. შუკავიძე გლეხი კაცი იყო და ყველაფერი ემარჯვებოდა: თლიდა კერებს, გობებს, ჯამებს და სხვა.

სოფ. კოჩბოულში მცხოვრებ ბერსარიონ სიკოს ქ. მაჭარა-შვილის ცნობით, მას ხის ხელობა ბიძაშვილისაგან—ემოთე მაჭარაშვილისაგან, უსწავლია. სოფ. არგვეთში მცხ. ანტონ ვლადიმერის ქ. კუპრაშვილის ხელობა შეუსწავლია დედულეთში—სოფ. ბაჭითში (საჩხერის რაიონი) და ა. შ. დგინდება, რომ იმერეთში ხითხურობაში დაოსტატება ძირითადად ოჯახის, უბნისა და სოფლის ფარგლებში ხდებოდა.

მნერად ცალკე გვინდა გამოვყოთ სოფელში შეგირდის დასტატების საკითხი.

სოფ. არგვეთში (საჩხერის რაიონი) მცხ. 69 წლის ანტონ ვლადიმირის ქ. კუპრაშვილის ცნობით, იგი ობოლი დარჩენილა და ბიძას სამსონის 14 წლის ანტონი დედულეთში (სოფ. ბაჭითი) დურგალ ივანე მუმლაძესთან მიუბარებიათ. ანტონი ივანე დურგალთან სამწელს სწავლობდა ხელობას. ივანეს ანტონს გარდა ეხმარებოდა მეორე შეგირდიც. ასე დადიოდნენ ჭალაში, პერევში, სპეთში, დავეთ-

<sup>38</sup> იქვე, გვ. 253.

<sup>39</sup> იქვე.

ში, და სხვა სოფლებში. ა. კუპრაშვილის ცნობით, იგი პირველიდ  
ფიცრებს თლიდა. შემდეგ დურგალს უფრო რთული სამუშაოების  
შესრულება დაუვალებია (კარ-ფანჯრების, შუშაბანდის გაწყობა და  
სხვ.). ივანე დურგალი შეგირდებს ასმევდა და აქმეცდა, წელიწადების  
ორგერ სამუშაო ტანსაცმელს აძლეცდა, ოლონდ ნამუშევარში გა-  
სამრჩელო ფულს თვითონ იღებდა, შეგირდებს არ უნაშილებდა ვ  
წელი ანტონი ივანე დურგალის შეგირდი იყო, შემდეგ „სალოუე-  
ლი“ გადაუხდია. სალოუელი შეგირდობის ვადის გასვლის შემდევ  
იმართებოდა და ფაქტიურად ისტატიდ კურთხევას უდრიდა. სა-  
დილს ესწრებოდნენ ივანე დურგალი თავისი შეგირდით და ახლობ-  
ლებით. თამადა ანტონის ბიძა სიმონი ყოფილა და მას ასე დაულო-  
ცავს თავისი დისმეტი: „აბა შენ იცი, ობოლი კაცის შვილი ხარ,  
რასაც თევზებ შენი სახელი იქნება, ზოქმოტი (დაუკვირვებელი)  
არა და სახელოვანი კაცი იყავი, მარჯვენა არ შეიტცვინო“. ისტატია  
ივანე დურგალმა ანტონს თავში ხელი წამოარტყა—„აბა შენ იცი“  
და ერთი ხელნაკიდი ნაჯახი მას აჩუქა<sup>40</sup>, მეორე მეორე შეგირდს—  
გოგიტაშვილს. ასე დაუწყია ანტონს კუპრაშვილს ხის მოხელეობა<sup>41</sup>.

საგანგებოდ გვინდა შევჩერდეთ მჩარხავთა ამხანაგობაზე პერე-  
ველი ი. შეუკაიძე საინტერესო ცნობებს გვაწვდის აღნიშნულ საკო-  
ნებე. მას გობებისა და ჭამების გათლა ოცი წლით მასზე უფროსი ბიძა-  
შვილის ოტია შეუკაიძისაგან უსწავლია. „შეაფხანაკებულ იტის, მის  
ძმას ნიკოს და ილიას ტყეში სოხნაურის ღელესთან პქონდათ წყლის  
სახარატო გამართული, რომელიც სოფლიდან 2,5 კმ-ზე მდებარეობ-  
და“. გობებისა და ჭამების გამოჩარხეა ზამთრის პერიოდში წარმოებ-  
და. „აფხანაკები“ იქვე აგებულ ქოხში ცხოვრობდნენ და სეზონზე  
100 დიდ და 200-მდე მორჩილ გობებს ჩარხავდნენ. შრომის პროცესში  
ამხანაგობის წევრები ურთმანეთს ენაცვლებოდნენ, რადგან „ძალიან  
ჯაფობდნენ“. 4 წელი ასებობდა შეუკაიძების ამხანაგობა, კალო-  
ბისას მათ თავიათი ნაწარმი გასაყიდად გაძქონდათ ან ადგილზე  
ყიდვდნენ, ან ცხენებით მიპქონდათ 20 დიდი და 30 პატარა ნათალი  
ვობი ქართლში შემდეგი მარშრუტით: კოჩბოული — ჩინთო — ლო-  
პანი — ჭვარზე — ჭალეთი — ვარიანი — ატოცი. სოფ. ვარიანში ვა-  
ნო წერეთელთან ჩერდებოდნენ. მეორე დღეს ხმა გავარდებოდა —  
იმერლები ჩამოვიდნენ და ჭურჭელი ჩამოიტანესო. პროდუქცია  
ფულზე უფრო იყიდებოდა. აღებულ ფულსა და ჭირნახულს ამხანა-

<sup>40</sup> დაწერილებით „ისტატიდ კურთხევის“ შესახებ იხ. ი. გრიშაშვილი,  
ძველი თბილისის ლიტერატურული ბოჭმა, თბ., 1927, გვ. 27.

გობის შეცრებით თანაბრად ინაწილებდნენ, ყოფილა შემთხვევა, რომ  
ისინი თანაბრად გაინაწილებდნენ ნაწარმს და ცალ-ცოდნები უზურებელი  
დნენ მის რეალიზაციას.

იმერეთში ყავრის გამოხდაზეც იცოდნენ შეამხანავება თანასოფ-  
ლელებმა, ან ერთი გვარის ორმა-სამა წარმომადგენელმა. მაგალი-  
თად ლიჩის ტერიტორიაზე სოფ. ლადორის მცხოვრები ტეფნაძეები-  
სა ტაბატაძეები ყავარს ერთად ამხადებდნენ. ამ ოთხ ამხანაგს შო-  
რის შრომა შემდეგნაირად იყო განაწილებული „ძმები ტეფნაძეები  
საყავრე ხეს კრიდნენ, მორავდნენ, ანაოთხალებდნენ, ტაბატაძეები  
კი კობალიდან ყავარს ფურცლავდნენ“ (მთხრ. ა. მაჭარაშვილი, 72 წ.,  
1972 წ.). სეზონზე ეს ამხანავობა 15—20 კონა-  
ყავარს ხდიდა, რასაც ყიდღნენ საჩხერის რაიონის სოფლებში.

სანამ სოფლად კაპიტალისტური ურთიერთობანი განვითარდე-  
ბოდა, ნატურალური მეურნეობის პერიოდში ხის ნაწარმი უმთავრე-  
სედ შინამომსახურების საგანს წარმოადგენდა. გლეხი ძველი დრო-  
იდანვე ყველაფრის ხელოსანი უნდა ყოფილიყო<sup>41</sup>, ამიტომ გლეხის-  
მიერ დამხადებული საგნები (კოეზი, სამთითი, ფოცხი და სხვ.) ოჯა-  
ხური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებით შემოიფარგლებოდა. ეს-  
არის მრეწველობის უმარტივესი ფორმა — ოჯახური მრეწველობა<sup>42</sup>.  
კ. მარქსი შენიშვნავდა: სოფლად პატრიარქალური მრეწველობა გლე-  
ხის ოჯახისა „...თავისი საკუთარი საჭიროებისათვის აწარმოებს ხორ-  
ბალს, პირუტყვს, ნართს, ტილოს, ტანსაცმელს და სხვ., ეს სხვადა-  
სხვა ნივთი ოჯახისათვის წარმოადგენს მისი საოჯახო შრომის სხვა-  
დასხვა პროდუქტს, მაგრამ ეს პროდუქტები თავიდან არ უპირდა-  
პირდებიან ერთმანეთს საქონელთა სახით. სხვადასხვა შრომა, რომე-  
ლიც პროდუქტებს ქმნის, მაგალითად ხენა-თესვა, პირუტყვის მოშე-  
ნება, რთვა, ქსოვა, თერმობა და სხვა, თავისი ნატურალური ფორ-  
მით საზოგადოებრივ ფუნქციებს წარმოადგენს, ეინაიდან ესაა ფუნქ-  
ციები ოჯახისა“<sup>43</sup>. მას შემდეგ, როდესაც ირლევვა კარჩაკეტილი ნა-  
ტურალური მეურნეობა და ვითარდება კაპიტალისტური ურთიერ-  
თობანი სოფლად, ოჯახურ მრეწველობას, რომელმაც თავი შემოინა-  
ხა საქართველოში XIX ს. II ნახევრამდე<sup>44</sup>, ძირი ეცლება და გლეხს

<sup>41</sup> 3. გ უ გ უ შ ვ ი ლ ი, საქართველოსა და მიერქავებისის ეკონომიკური გან-  
ვითარება XIX—XX სს., თბ., 1953, გვ. 23.

<sup>42</sup> ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თბშ., ტ. III, თბ., 1954, გვ. 104.

<sup>43</sup> კ. მ ა რ ქ ს ი, კაპიტალი, ტ. I, თბ., 1954, გვ. 104.

<sup>44</sup> 3. გ უ გ უ შ ვ ი ლ ი, საქართველოსა და ა. კავკასიის ეკონომიკური განვი-  
თარება XIX—XX სს., თბ., 1963, გვ. 351.

თავისი ნაწარმი ბაზარზე გაძევს გასაყიდად, რაյი „საქონელი თვითინ ვერ წავა ბაზარში და თვითონ ვერ გაიცელება სხვა საქონელზე“<sup>45</sup> — ამბობდა მარქსი. „საქონელმფლობელი ცდილობს საფუძვის საქონელი გასახვისოს ისეთ საქონელზე გაცელით, რომლის სახმარი ღია ბულებაც მას აქმაყოფილებს“<sup>46</sup>. ამ პერიოდიდან გლეხი იქცევა შინამრეწველიდ, რომელიც „ბაზარზე რეალიზაციის მიზნით ეწევა ამათუ იმ ნედლი მასალის გადამუშავებას, შემდეგში იგი უფრო და უფრო ხელოვნდება და გარკვეულ წარმატებას აღწევს ნაკეთობის კულტურაში და ასეთ პირობებში მიწათმოქმედების დამატების სახით წარმოიქმნება სოფლური დამხმარე მრეწველობა“<sup>47</sup>. იმერეთში ასეთი შინამრეწველური დარგები იყო: მხვეწელობა, მეყავრეობა, მეკიდობნეობა, მეჭურჭლეობა და სხვ.

კონკრეტულ შემთხვევაში მეჭურჭლე შუკაკიძების ამხანაგობასა და მეყავრე ტეფნაძეებისა და ტაბატაძეების ამხანაგობაში აღვილი ჰქონდა კოოპერატურულ შრომას, რომლის წევრები თანაბრავ იყვნენ დატვირთულნი საქმიანობით და მოგებულ ფულს თანაბრავ ინაწილებდნენ. ეს ამხანაგობები ბაზარზე რეალიზაციის მიზნით ამხადებდნენ გარკვეულ ნაწარმს (ყავარი, გამები, გობები). ცნობილია, რომ „ხელოსნობა გადამუშავებითი მრეწველობის განვითარების უფრო მაღალი საფეხურია. იგი ქალაქური ყოფიერების აუცილებელი ნაწილია, რომელიც ფართოდ ვრცელდება სოფელშიც. სოფლის მოსახლეობის გარკვეული ნაწილი სპეციალისტდება: მჭედლებად, ფეიქრებად. ზოგი საერთოდ ამ ხელობით ცხოვრობს, ზოგი კი მას შიწარე სანუშაოთაგან თავისუფალ დროს უთმობს“<sup>48</sup>.

შინამრეწველობა და ხელოსნობა სოფლად მნიშვნელოვან როლს თამაშობდა XIX საუკუნის იმერეთის მოსახლეობის საოჯახო ეკონომიკაში.

ზემონათქვამის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ იმერეთში ხის დამუშავება მაღალ დონეზე იდგა და ძირითადად აქმაურილებდა აღვილობრივი მოსახლეობის მოთხოვნებს ხის ნაწარმზე.

<sup>45</sup> ქ. მარქსი, კაპიტალი, ტ. I, თბ., გვ. 111.

<sup>46</sup> იქვე, გვ. 112.

<sup>47</sup> 3. გუგუშვილი, შინამრეწველობა საქართველოსა და ა. კავკასიონი, ეკონომიკის ინსტიტუტის შრომები, ტ. IV, 1950, გვ. 53.

<sup>48</sup> 3. გუგუშვილი, საქართველოსა და ამერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX—XX სს., თბ., 1953, გვ. 23.



## КУЛЬТУРА ОБРАБОТКИ ДЕРЕВА В ИМЕРЕТИ

## Резюме

В работе на основании этнографических материалов дается сравнительно полная картина культуры обработки дерева в Имерети.

Имерети (Западная Грузия) отличается богатством растительного покрова, что оказало значительное влияние на местное население, которое издревле применяло лесоматериал для удовлетворения своих потребностей.

В данной работе особое внимание уделяется народным эмпирическим знаниям, касающихся подбора пород дерева, а также различным стадиям первичной обработки.

В Имерети так же, как и в других уголках Грузии зафиксирована пометка («джвари»//«нишани») дерева. У каждой семьи была своя собственная пометка, по которой происходило присвоение дерева. Заслуживают внимания разнообразные инструменты труда, связанные с древоделием, которые со своей стороны были связаны с процессом обработки дерева и древесного производства и их техническим уровнем. Из орудий труда заслуживают внимания разновидности топоров («цули»), «джаха» и «кечуа», которые в дальнейшем должны быть научно изучены.

Зафиксированные в быту исследуемого региона два вида токарных станков, по существу однотипны и отличаются друг от друга использованием движущей силы (вода и нога). В результате разновидности токарных станков, а также опыта, технического уровня и фантазии в Имерети, в большом количестве изготавливались различные виды точильной посуды: чинчила, сариоши, кула и др. Устанавливается товарищество токарей, при котором имеет место кооперирование труда, которое с целью реализации на рынке изготавливает определенную продукцию; вырученные деньги и продукты (пшеница, кукуруза, ячмень и др.) поровну делились между членами товарищества. В таких условиях дополнительно к земледелию возникла сельская промышленность.

В Имерети на высоком уровне стояли такие отрасли деревообработки, как изготовление пахотных, молотильных орудий и транспортных средств перевозки, которые были тесно связаны с ведущими отраслями сельского хозяйства указанного региона.

На основе вышесказанного можно сделать заключение, что в Имерети деревообработка стояла на высоком уровне и в основном удовлетворяла потребности местного населения на деревянные изделия.

ლ. გელაშვილი

## ხის ავაჯი იმართვი

იმერეთის ხშირი და მდიდარი ტყის საფარის ხით ხურობის მრავალფეროვანი დარგების განვითარების კარგ საფუძველს ქმნიდა. ხოლო ცალკეული დარგების მიხედვით „ხის მუშავთა“ დიფერენცირება, ხით ხუროს გვერდით ოსტატისა (მეავეჭე) და ხელონის (დურგალი) არსებობა უთუოდ ხის დამუშავების მაღალი დონისა და ამ დარგის ტრადიციულობის მაჩვენებელია.

ხალხური ავეჯიდან დღეისათვის მხოლოდ ხის სუფრები, სამუშავები სკამები და ნაწილობრივ სკივრებია შემორჩენილი. ნივთიერი მასალის ფრაგმენტულობა ავეჯის სახეობების აღდგენას აძნელებს, რადგან ამა თუ იმ საგნის კონსტრუქციის, ფორმისა და ფუნქციის აღდგენა ფაქტის კონსტატაციის საფუძველზე ვერ ხერხდება, ამიტომ იმერეთში გაერცელებული ხის ავეჯის აღნაგობისა და ფორმადანიშნულების მაჩვენებელ ერთადერთ წყაროდ მთხრობელთა ცნობები გვრჩება. იმერეთში, როგორც საქართველოს სხვა კუთხეებში, საავეჯე ხის შერჩევა და პირველადი დამუშავება სავანგებო წესების დაცვით სრულდებოდა. ხეების ფერით, გემოთი, ხმით, სიმაგრე-სირბილით და სხვ. გამოცნობა არც იმერელ ოსტატათვის ყოფილა უცხო. ორიგინალურად შეიძლება ჩაითვალოს ტყის სამ ზოლად დაყოფის ხალხური დაკვირვება, რომელიც ზონალობის მიხედვით ხის ჯიშების გაერცელების კარგ სურათს იძლევა. მაგალითად, მაღალი ტყე, რომელსაც მიჯრილი ტყეც ეწოდება, ხალხის დაკვირვებით მთის მაღალ ზოლზე ხარობს. მაღალ ტყეში წიწვიანი ხეები იზრდება. მას საშუალო ანუ ფოთლოვანი ტყე მოჰ-

<sup>1</sup> ზოგიერთი ხის ჯიშის არსებობა იმერეთში პალეოლითის დროიდან დასტურდება. მხედველობაში გვაქვს გ. ნიორაძის მიერ საკავიას გამოქვაბულში მუხის, რცხილის, ძელქვისა და მსხლის ხეების ნაშთების აღმოჩენა. გ. ნიორაძე, ქვის ხანის აღმიანი საკავიას გამოქვაბულში, თბ., 1953, გვ. 27.

ყვება. მთის ყველაზე დაბალ ზოლს, მთხრობელთა ცნობით, რამა-  
ლი ტყე შეესატყვისება, რომელიც თანდათან ვაკდება და გრძენ-  
რით მთავრდება. საინტერესოა იმერელ ოსტატთათურს, ფრთხოების  
თებელი ტყის გაახლების წესი: გამხმარი ტოტების ჩამოტკლის ტყეზე  
საგან ხეების გაწმენდა. ამ მიზნით ხის ოსტატი ფრაშებში — მცირე  
ტყეში შედიოდა და ჩირგვებს ბურჯავდა — გამხმარი ტოტებს აცლიდა.  
სკოდნიათ ტყის გამოფერჩევა — გამეჩხერება: ხის ძირზე ამსაული  
სუსტი და მოღუნული შტოების გადაჭრა. ხის გამაგრების მიზნით  
ხეებისათვის კვლების გასწორება ტყის კაცის (ტყის მცველი)  
კომპეტენციაში შედიოდა. ყურადღებას იქცევს სამასალედ მოსაკ-  
რელი ხის ტანიდან წვენის ნაწილობრივ გამოშვების იმერული  
ვარიანტიც: ხეს სამასალედ შერჩევის შემდეგ ტანზე გადაჭრიდ-  
ნენ და გამოაზამთრებდნენ. ხალხის დაკვირვებით, ხის ნახევრად გა-  
დაჭრილი ტანი გამოზამთრების შემდეგ მაგარ, გამძლე მასალის  
იძლეოდა. ზოგიერთ სოფელში ფიქსირებული მასალით, ხის ფეს-  
ვების გადაჭრა სკოდნიათ, რასაც ხის ამონირებას უწოდებდნენ.  
ამ უკანასკნელს კაკლისა და ბულის სამასალედ გამოყენების შემ-  
თხვევაში მიმართავდნენ. სამასალე ხის ხელოვნურად გამოშრო-  
ბის ეს წესი ხის ანატომიის კარგი ცოდნითა და ხის დამუშავების  
მაღალი ღონით იყო გაპირობებული. საყურადღებოა, რომ ხის გა-  
მოშრობის ეს ტრადიცია მსგავსებას პოულობს იმ წესთან, რომე-  
ლიც ანტიკური პერიოდის უცოტრის, მცენარეთა სამყაროს ცნობ-  
ლი მკვლევარის, თეოფრასტეს მიერაა რეკომენდებული<sup>2</sup>.

ამგაირად, ხის ცალკეული ჯიშის ანატომიის კარგი ცოდნა ოს-  
ტატს საშუალებას აძლევდა ხის გამოშრობის სხვადასხვა ხერხი ებ-  
ბარია, რომელიც საკვლევი კუთხისათვის ნიშანდობლივი და ტრადი-  
ციული ჩანს. იმერელ ოსტატებს კარგად ესმოდათ მერქნის შრო-  
ბის მნიშვნელობა. ქერქითა და უქერქოდ შრობა ხის ჯიშებით გა-  
ნისაზღვრებოდა. მერქნის შრობის ეს წესი თითქმის ყველა სოფელ-  
ში მოწმდება. ქერქით შრობა მოჰარბებული ტენის შემცველ ჯიშე-  
ბისათვის ყოფილა უცილებელი, ასეთებად თელასა და იფანს ასა-  
ხელებენ. სხვა კუთხეების მსგავსად, აქაც მოწმდება გასაშრობი-  
მასალის ძროხის ნაკელით გაგოზვის ჩვეულება, რაც შრობის პრო-  
ცესის დაჩქარების მიზნით უწარმოებიათ. მერქნის ტორსული (კა-  
ნივი) და გრძივი ზედაპირის ანუ გულთან ახლოს მერქნის სიმაგრე-

<sup>2</sup> Ф е о ф р а с т, Исследование о растениях, перевод с древнегреческо-  
го и примечание М. Сергеенко, Л., 1951.

სა და ქურქთან ახლოს მის სირბილეზე მეტყველი ეთნოგრაფული გასალის ლაკონიური და საინტერესო ასახვა ჭერ კიდევ დამიეცა გარბაროს კომენტარებშია მოცემული<sup>3</sup>. რადგან სექტორულებულები გავრცელებული ხის ჭიშთა ძირითადი ნაწილის ფერს გვხვდებისა უკავშირდება. მოთვლაზე, მათ დახასიათებასა და აგრეთვე თითოეული ნაწილის გამოყენებაზე მეტყველი მასალა საქართველოს სხვა კუთხეებში დამოწმებულის მსგავსია, ამიტომ მათზე აღარ შევჩერდებით და მხოლოდ ზოგიერთზე გავამახვილებთ ყურადღებას.

ავეჯის დასამზადებლად იმერეთში იყენებდნენ: ცაცხეს, რცხილას, წიფელს, წაბლს, მუხას, თელას, „კუნორს“ (კუორს — მუხა-ჭოთოლას დასაჭრელებელ ნაწილებად) და სხვა ჭიშებს.

წაბლი ფართოდ გამოიყენებოდა როგორც სამშენებლო და სა-ივერ მასალა. მისი ბუნებრივი გავრცელების არეალი მთელ და-სავლეთ საქართველოს მოიცავდა. როგორც მასალიდან ჩანს, ამ გიზნით გარეული წაბლის ინტროდუცირება უწარმოებიათ. გარეუ-ლი წაბლის გავრცელება კი ოლინიშნება შევი ზღვისპირა ოლქებში, აგრეთვე დასავლეთ ა/კ. კერძოდ ტუაფსეს რაიონებში და ჩრდი-ლო-დასავლეთ კავკასიში<sup>4</sup>. აღსანიშნავია, რომ თეოფრასტე წაბლს ჩრდილოეთის ხედ თვლის<sup>5</sup>. მისი მერქნის სადურგლო საქმეში გა-მოყენება პარალელს პოულობს საქართველოს გარეთაც. ჭერ კიდევ ანტიკურ პერიოდში ხელთაშუა ზღვის აუზის ქვეყნებში წაბლის ხის კულტივაცია ფართოდ ყოფილა გავრცელებული<sup>6</sup>.

წაბლი იმერეთში წმინდა ხედ ითვლებოდა და მისი მასალით აშენებული სიხლი ოჯახის ბეჭნიერების საწინდრად იყო მიჩნეუ-ლი. ხალხის ჩრმენთ, ასევე ბეჭნიერება მოჰქმნდა წაბლის ხისაგან გაკეთებულ სამზითვო სკივრს; საფქვილე კიდობანიც, თუ მას წაბ-ლის ხის რამდენიმე ფიცარი ერია, ხვავსა და ბარაქის არ დაულევდა ოჯახს. წმინდა ხედ წაბლის მიჩნევის ხალხურ რწმენასაც ეძებნება პარალელი. რელიგიურ რიტუალში მის გარკვეულ როლზე რამდე-ნადმე მისი ბერძნული სახელწოდებაც ზევსის რეო, უნდა მიუთა-ობდეს.

<sup>3</sup> Даниеле Барбаро, Комментарии к десяти книгам об архитектуре Витрувия, М., 1938, стр. 83.

<sup>4</sup> Деревья и кустарники СССР т. II, М., стр. 232—234.

<sup>5</sup> Феофраст, დასახ. ნაშრომი.

<sup>6</sup> Н. И. Сокольский, Деревообрабатывающее ремесло в античных государствах Северного Причерноморья, М., 1971, стр. 30.

იმერეთში კარგ სახარატო და დასპრელებულ მასალად ჰყონის ასახელებენ. ამ მიზნით ჰყორი დიდი ხანია აღიარ გვირცება, ამიტომაც თქმულის რეალური საფუძველი მხოლოდ არ ქეოლოგიური მონაცემებით იქმნება. კერძოდ, ჰყორის, მეტწილად სახარატო თვისებებზე მეტყველებს ძე. წ. IV—III სს. სარკოფაგის დაკრელებული ნაწილები ბოსფორიდან<sup>7</sup>. ხელყუთების დასამზადებლად ბზის გამოყენება ასევე დამახსიათებელი ჩანს იმერეთისათვის. მისი მერქანი, როგორც ძველი ოსტატები გადმოვცემენ, კარგად მუშავდებოდა, არ ლპებოდა და სპილოს ძვლისფრად პრიალდებოდა. სამასალედ ყველა ბზა როდი ვარგოდა. როგორც თეოფრისტე აღნიშნავს, ბზა, როგორიც საბერძნეთში ოლიმპისთან იზრდებოდა, ნაკეთობებისათვის არ იხმარებოდა. კავკასიური ბზა კი წვრილი ნივთების დასამზადებლად საკმაოდ ფართოდ გამოიყენებოდა. ამ მხრივ განსაკუთრებით ფასდებული ჩრდილო კავკასიური ჯიში ყოფილა, რომლის ექსპორტირებაც ჩრდილო კავკასიიდან X—XIV საუკუნეების ნოეგოროდში ტმუტარაკინის გავლით ივარაუდება. ასევე საინტერესოა ჩრდილო კავკასიური ბზის კონსტანტინეპოლიში გატანის ფაქტიც, როგორიც ძირითადად განვითარების მიერ ჩრდილო კავკასიაში მარილის შეტანითა და ბზაზე გაცვლის გზით ხორციელდებოდა<sup>8</sup>.

საინტერესოა ზემო იმერეთში ფიქსირებული ბზის მერქნის ფანერირების წესი, როგორიც ხალხის მეხსიერებას ფრაგმენტებად შემონახავს. ავეჯის დამზადებისა და მისი განვითარების თვალსაზრისით ამ წესის დანერგვას უაღრესად დიდი მნიშვნელობა პქონდა. იგი მოითხოვდა ხის სხვადასხვა ჯიშის მერქნის ზედმიშევნით შესწავლას. ამასთან სათანადო ყურადღება ექცეოდა ფანერირებისათვის ვარგისი ხეების მოვლა-პატრონობისა და გამრავლების საკითხს. დღევანდელი მასალის პირობებში მაინც ხერხდება იმერეთის სახით ავეჯის დამზადების ასეთი თავისებური ელფერის მქონე მიერთორაიონის გამოყოფა. ავეჯის ფანერირების ეს წესი ჩვენი მასალის მიხედვით კორბოულში დასტურდება (მთხრ. გალაქტიონ ნიკოლოზის ძე მოდებაძე, 91 წლის, სოფ. კორბოული, 1971 წ.), მაგრამ ეს სრულიადაც არ ნიშნავს უფრო აღრე ამ წესის ვრცელ ტე-

<sup>7</sup> Н. И. Сокольский, დასახ. ნაშრ., გვ. 30.

<sup>8</sup> ი ვ ვ .

<sup>9</sup> В. А. Вихров. Б. А. Колчин. Из истории торговли древнего Новгорода, СА, XXIV, М., 1955, стр. 96—97.

რიტორიაზე არასკებობას. როგორც ეთნოგრაფიული მასალითან  
ირკვევა, ფანერირებისათვის, გარდა ბზისა, ნეკერჩხალა და მუხრაც  
გამოიყენებოდა (სოფ. სკინდორი. 1971 წ.). მოფანერებულებრივობა,  
ოსტატთა დაკვირვებით, უფრო მტკიცეა. არჩევდნენ ცალმხრივსა  
და ორმხრივ მოფანერებას. ეს უკანასკნელი საუკეთესოდ ითვლე-  
ბოდა. რბილი ჭიშების მერქნისაგან (ფიჭვი, ნაძვი, ვერხვი, თხმელა)  
დაზიანებულ ნიერს ნაგარი და იშვითი ჭიშების მერქნის ანათალით  
ფარავდნენ. მოსაპირეთებელი ანათალის დამზადება ძვირფასი ჭი-  
შის ხის ეკონომიკის მიზნითაც წარმოებდა. მოფანერების დროს  
აუცილებელი იყო საგნის მასალის ბოჭკოების განლაგების ცოდნა.  
ეს უკანასკნელი ფანერის ბოჭკოების პერპენდიკულარულად თავს-  
დებოდა, რაც საგანს დაბრუცისა და გაბზარვისაგან იცავდა. საფანე-  
რე მასალას ხერხით ჩამოხერხავდნენ, შემდეგ მას შალაშინით ასულ-  
თავებდნენ. იგივე საგნისათვის ერთნაირ ფანერას არჩევდნენ, რის-  
თვისაც წლიურ შრებთან განლაგებული მრული ხაზების მიმართუ-  
ლებას ითვალისწინებდნენ და გაშალაშინების შემდეგ ერთნაირი  
ფერის ფანერას იღებდნენ. საგანზე ფანერა მაგრდებოდა წებოს სა-  
შეალებით. წებო საქონლის ტყავისაგან მზადდებოდა. ფანერას საგ-  
ნის წებოწამულ ზედაპირს აღებდნენ და ხის ხვედათი შუიდან ქვე-  
მოთ ან ზემოთ მოძრაობით გაასწორებდნენ, რათა ზედმეტი წებო  
და პარტი გამოეჯვანათ. სცოდნიათ ფანერის წყლით დასველებაც.  
რაც, ხალხის გადმოცემით, ხელს უშლიდა წებოს გაციებას; მის შეს-  
ძლებასაც. ამგვარი ხერხით შეწებება ფანერას ელასტიურს ხდიდა.

მოფანერებულ ნიერს მძიმე საგნის ქვეშ ათავსებდნენ და გაშ-  
რობის შემდეგ აპრიალებდნენ. გასაპრიალებლად კაპარისის ზეთს  
ხმარობდნენ, რომელიც ზღვისპირებიდან შემოჰქონდათ. ამგვარად  
დაშავდებული ნიერი დიდასას ძლებდა.

ფანერირება საერთოდ ძეველი ხერხია. იგი კარგად ყოფილა  
ცნობილი ჭერ კიდევ თეოტრასტესათვის, რომელიც, მართალია, არ  
აღწერს მისი დამზადების პროცესს, მაგრამ იხსენიებს ფანერით მო-  
პირებულ სკამებს. ბზით მოპირებული ფიცარი, რომელიც  
ნაპოვნია ქერჩის მახლობლად, V საუკუნით თარიღდება<sup>10</sup>. პლინი-  
უსის მიხედვით, ფანერისათვის ნეკერჩხალი, წიფელი, მუხა, ვერხვი,  
მურყანი და სხვა გამოიყენებოდა. ფანერირების ტექნოლოგიაზე იგი  
საგანგებოდ არ ჩერდება, მაგრამ ზოგადად მაინც ავლენს მოფანერე-

<sup>10</sup> Эллинистическая техника, сб. статей под редакцией акад. И. И. Толстого, М., 1948, стр. 199.

ბული ავეჯის კეთების მაშინდელ წესს. კერძოდ, ირკვევა, რომ მცხადროის ძვირფასი ავეჯის ძარითადი ნაწილი რბილი ხის კიშისაგან კეთდებოდა, რომელსაც ძვირფასი ხის ფანერი ჰქონდა გადაკეული. ავეჯის ძირითადი ნაწილი, მისი გაღმოცემით, ცაცხისა ზეორ, რაღაც გან მას წებო კარგად ეჭიდებოდა და ნებისმიერი ჭიშის მერქნის ფანერის დასაკრავად კარგ საფუძველს წარმოადგენდა<sup>11</sup>. მოფანერების ტექნოლოგია, რომელსაც ძველ ქვეყნებში ეძებნება პარალელი, ლიტერატურაში ცნობილი არ არის. რადგან ჩვენ ყოფას მოფანერებული ნივთები არ შემოუნახავს და ჩვენს მიერ ფიქსირებული ზეპირი გაღმოცემები ავეჯის წარმოების ამ საინტერესო პროცესის მხოლოდ სქემატურ აღწერილობას იძლევა, ამდენად ამ პროცესზე სრულიდა იმომწურავი წარმოდგენა არ გვექმნება. მხოლოდ ის შეიძლება იქვება, რომ იმერეთში აღწერილი ფანერირების წესი ძველად უკვე ცნობილი ტექნოლოგიით ხასიათდება.

იმერეთში ავეჯის წარმოების ერთ-ერთი თავისებურება სპეციალიზაცია იყო. ამა თუ იმ კონკრეტული ნივთის დამზადებაში სოფელი სპეციალდებოდა. მაგალითად, სოფ. მოხვი (საჩხერის საზოგადოება) სკივრების (ზანდუკების) დამზადებით ყოფილა ცნობილი<sup>12</sup>. მოხვერი სკივრებით ქუთაისის გუბერნია მარაგდებოდა. როგორც ლიტერატურიდანაა ცნობილი, აქ წელიწადში რეალიზაციის მიზნით 2500-მდე სკივრი კეთდებოდა<sup>13</sup>. სკივრების დიდი რაოდენობით წარმოება ისიც გამსაზღვრავდა, რომ იგი აქაც, საქართველოს სხვა კუთხეების მსგავსად, ერთადერთი სამზითო ავეჯი იყო. სოფ. თელელეთი (ჩიხის საზოგადოება) ხის ჭურჭლის მკეთებლობით ყოფილა განთქმული<sup>14</sup>.

როგორც ცნობილია, ამა თუ იმ კონკრეტული ნივთის გაკეთებაში დახხელოენება და მისი რეალიზაციის მიზნით ბაზარზე გატანა გლეხს შინამრეწველად აქცევდა<sup>15</sup>. ამრიგად, სკივრის მკეთებლობაში მთელი სოფლის დახელოვნება და რეალიზაციის მიზნით მისი

<sup>11</sup> М. Е. Сергеенко, Ремесленники древнего Рима, Л., 1968, стр. 32.

<sup>12</sup> ეს მეტად საინტერესო ფაქტი ეთნოგრაფიული მასალით ვერ დავადასტურეთ, მიუტომ მოხვერ სკივრებზე მსჯელობა მხოლოდ წერილობითი წყაროს საფუძველზეა წარმოდგენილი.

<sup>13</sup> МОМПК, вып. XI, 1891, стр. 253.

<sup>14</sup> ი ქ ვ ვ, ვ. 257.

<sup>15</sup> პ. გ უ გ უ შ ვ ი ლ ი, შინამრეწველობა საქართველოსა და იმიერკავკასიაში, ეკონომიკის ინსტიტუტის შრომები, ტ. IV, თბ., 1950, ვგ. 13.

წარმოება სკივრის მრეწველობას შინამრეწველობის დარგად წარმოვიდგენს. როგორც გამოკვლეულია, ასეთ დარგებს იმერეთში მიეკუთვნება ავრეთვე მხევრელობა, მეყავრეობა, მეჭურჭლეობა და სხვა<sup>16</sup>.

ავჭის გავრცელებულ სახეობას იმერეთში ბუჭერი წარმოადგენდა, რომელიც ზოგან (ბაზოთი, დარყა, კორპოლული) თაროს სახელით იხსენიება. ბუჭერი ორგანულფილებიანი ხის კარაღა იყო შემული კარით. მასში ცალ მხარეს ჯამ-ჭურჭელი ინახებოდა, მეორე მხარეს კი გამომცხვარი ჰური. იმერეთის ზოგიერთ სოფელში ბუჭერის სახელით იხსენიებენ ჩვეულებრივ ღია თაროსაც, რომელშიც ჯამებსა და ცომის საზელ გობს ინახადნენ. თაროსთან ერთად ოჯახში ჰურის ცალკე სათავსოც არსებოდდა, რომელსაც ჩეჩი ეწოდებოდა. იგი ცაცხვის ხის ფიცრებისაგან შეკრულ, მოწნულეარიან კარაღას წარმოადგენდა და, როგორც წესი, ლორწამზე — აყარზე ეკიდა (სოფ. ზოლი. სარდიონ პავლეს ძე მერმანიშვილი, 86 წლის).

მრავალი, როგორც მასალიდან ირკვევა, ბუჭერი გამომცხვარი ჰურისა და ჯამ-ჭურჭლის კომბინირებული სათავსოს სახელია<sup>17</sup>, რომელსაც ზოგან თაროც ეწოდებოდა, ე. ი. ბუჭერი და თარო თავდაპირველად ერთი კონსტრუქციისა და ფუნქციის დგამი იყო, რომელსაც შემდეგ კარაღა — „შეაფი“ შეერქეა, ხოლო თარო კედელზე რამდენიმე წყებად განლაგებული ფიცრების სახელწოდებად დარჩა. სკანური მასალით, ბუჭერი ამავე ფუნქციის დგამის სახელწოდებაცაა. სახელწოდებათა ასეთი იდენტურობა და თეოთ დგამი კონსტრუქციული მსგავსება მათს საერთო წარმომავლობასა და სიძველეზე უნდა მიუთითობდეს. საინტერესოა, რომ იმერეთის ზოგიერთ სოფელში ბუჭერის ფენქციით კიდობანი იხმარებოდა იგი რამდენიმე განკორელებიანი იყო და ერთდროულად ტანსაცმლისა და საკედი პროდუქტების საცავს წარმოადგენდა.

ინტერესს იწვევს სკამ-ლოგინი, რომელიც იმერეთში კაბიჩის სახელითაა დამცემითირებული. იგი აღნაგობითა და დამზადების წესებით ას განსხვავდება აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში გავრცელებული სკამლოგინებისაგან. ამიტომ მათზე აღარ შეეჩერდებით. ამ ავჭის მისი კომბინირებული ფუნქციის გამო უართო

<sup>16</sup> გ. გასირი შვილი, ხის დამუშავება იმერეთში (ხელნაწერი), 1973

<sup>17</sup> ბუჭერის თოთოეულ ფალს ფიტვინები = თაროები პქონდა, რომელი დაც ლაგდებოდა ჭურჭელი. ქ. ძოწენი ძე, ზემოიმერული კილკავი, თბ., 1971.

მოთხოვნილება ყოფილა იგი იმერეთის თითქმის ყველა, ოჯახის  
ძირითადი ავეჯი იყო. მის აუცილებელ ატჩიბუტს, როგორც წერი,  
ხის სასთუმალი — სართუმალი შეაღენდა, რომელიც ამავე დროს  
ლოგინის — ხის საწოლის ძირითადი ნაწილიც იყო. საჯალაპი სანალ-  
ში კედლის გასწვრივ გამართული ლოგინს გამწილოთ ლოგინი  
ეწოდებოდა<sup>18</sup>.

უქვილის შესანახი, როგორც სხვაგან, იმერეთის ზოგიერთ  
სოფელში (კორბოული, არგვეთი) მანჩას სახელითა დამკვიდრებუ-  
ლი. როგორც ირკვევა, იგი კიდობანზე ნაელებ ფქვილს (40 კვ)  
იტევდა, რას გამოც მას შედარებით ხელმოკლე ოჯახი ხმარობდა.

იმერეთში, როგორც სხვაგან, სასხდომად სკამ-ლოგინი იყო  
ხმარებაში. საუფრისო სკამის ცალუ არსებობა აქ არ დასტურდე-  
ბა. აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში დამოწმებული კერის  
სკამების ანალოგიური ბაჩაჩა და ბოკოლა (ბოკომები) მცირე ზომის  
სამცეხა სკამები ყოფილა, რომლებიც ტრაპეზის დროს სუფრა-  
თან იღმებოდა. სუფრას სწორებუთხა მოყვანილობის თავი ჰქონდა  
და ოთხ დაბალ ფეხს ემყარებოდა.

იმერეთში მოპოვებული ეთნოგრაფიული მასალა იმის საფუძ-  
ელს ქმნის, რომ მეტნაულებად სრული წარმოდგენა ვიქონიოთ  
ვეჯის ამა თუ იმ სახეობასთან დაკავშირებულ რელიგიურ ცერე-  
მონიალსა თუ რწმენა-წარმოდგენებზე. ამ რიგის საოჯახო დღესა-  
წულს მიეკუთვნება მარეშლობა, რომელიც თაროს (ბუჯერის) ან-  
გელოზის საპატივცემოდ სრულდებოდა<sup>19</sup>. წერილფეხის გამრავლე-  
ბის მიზნით თაროს ანგელოზისათვის ფრინველი უნდა დაეკლა (ჭათამი), რომელსაც დაყვლის წინ თაროსთან საკენკს უყრიდნენ.  
ზოგიერთი ცნობით (სოფ. კორბოული), ქათმით თაროსთანვე იყვ-  
ლებოდა, ზოგიერთ სოფელში დადასტურებული მასალით კი  
(სოფლები: ბახიოთი, სკიდორი) კერასთან. დაყვლის ცერემონიალს  
ოჯახის უფროსი დიასახლისი ასრულებდა, მასვე მარეშლისათვის  
თაროზე სანთელი უნდა აენთო და ფრინველის გამრავლება ეთხო-  
და. ლოცვის დროს ხელში უნდა სქერიოდა ქათმის მარჯვენა ფეხი  
და მხარი. ქათმის სისხლის, ბუმბულისა და ძელების ცეცხლში დაწ-  
ვა აუცილებელი ყოფილა. დაწვის პროცესს ფცხო არ უნდა დასწ-

<sup>18</sup> შედრ. ქ. ძო წე ნი ძე, ზემომერული კილოვავი, თბ., 1973.

<sup>19</sup> „მარეშლობა“ („ბუჯერის“ // თაროს ლოცვა). იყად. ნ. მარის სახელობის  
ერის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის მოამბე, № 23, 1937  
(იმერეთის ექსპედიცია — ბალგათის რ-ნი).

რეზოდა. ქათმის მარჯვენა ნაწილებს მღლოცველი თაროშე აწერობდა და მეორე დღისათვის ინახავდა, დანარჩენი კი იმ დღესევე უმდა შეეჭამათ. ბახიოთში ფიქსირებული მასალით, თაროზე ინახავდნენ ქათმის გულ-ლვიძლს, ხაჭაპურსაც, რასაც ტლოცველი შეოსეა თაროშე სამე დღეს კამდა. სხვისათვის წილის მიცემა არ შეიძლებოდა. ამ დღეს თავ-თავის წილი ლუკმის ქორ-მიმინოსათვის გადაგდებაც სცოლნიათ. ლუკმის გადაგდების დროს თოთოველს უნდა წარმოეთქვა: „ამით დაქმაყოფილდი, ჩევნს ქათმებს არაფერი იღნო“.

მარეშლობას აკრძალული იყო ქალის საქმიანობა, განსაკუთრებით ქარგვა, ქსოვა. იქრძალებოდა აკრეთე ოჯახილან ცეცხლის გაცემაც. ამრიგად, სენინგულ დღეობასთან დაკავშირებული ცერემონიალი ლოვიური თანამიმდევრობით სრულდებოდა. რა თქმა უნდა, დღეობის მიმდინარეობის ყველა დეტალი, რომელიც სხვადასხვა ვარიანტითა წარმოდგენილი, სრულად არ შემოგვრჩა, მაგრამ ჩევნამდე მოღწეულის მიხედვითაც კარგად ცლინდება დღეობის ძირითადი არსი და მისი წარმომბის წარმართული ხასიათი.

იმერელი საცხოვრებელი, როგორც საერთო ქართული, შუალედცხლით—კერით იყო წარმოდგენილი. მასთან დაკავშირებული მეურნეობის საქმიანობა შეუძლებელია არ ასახულიყო ავეჯის განლაგებაშიც, რასაც ძირითადი ოჯახის წევრთა საქმიანობა განსაზღვრავდა. სახლის მარჯვენა ანუ წალმა მხარეზე, თარო (ბუჯერი), ზოვიერთი მსალით, კიდობანი (მანჩა), უნდა მდგარიყო, რომლის აღვილიდან დაძრა ხალხის რწმენით იქრძალებოდა. თუ თარო (ბუჯერი) დაინგრეოდა, მისი ფიცარი ისევ თაროს შეკეთებაზე უნდა მოეხმარათ. თაროს გარდა იქრძალებოდა კოდისა და გობის ოჯახიან ვატანა, რომლებსაც ჩევულებრივ თაროს შემდეგ დგამდნენ. სუფრები ხმარების შემდეგ ბუჯერზე ან კოდზე უნდა დაეწყოთ. სახლის მარჯვენა მხარე ეჭირა აგრეთვე სკამ-ლოგისს (კაბიჩას), ხოლო საწოლები: ხის ლოვინები, ნარები (სქელი ფიცრებისაგან შეკრული ტახტისმაგვარი საწოლები) და აკვები სახლის მარცხენა მხარეზე თავსდებოდა.

ამრიგად, იმერეთში ფიქსირებული მასალის განხილვა ცხადყოფს, რომ ავეჯის გამოყენებასთან დაკავშირებული წესები, ზოგიერთი ავეჯის აღვილიდან დაძრის აკრძალვა და სხვა, ზოგადი ბასისათვისაა და საერთო ქართულ-კავკასიურ ტრადიციათა რიგს განეკუთვნება.

იმერეთში ახალმა ყოფამ სრულიად კანონმიერიად გამოიწ-

ვია ძელი საყოფაცხოვრებო ნიუთების შეცვლა, განხილერთ კვერცხ  
ახალი სახეობები, რასაც მოჰყვა ტრადიციული ძველის თანახმა.  
ნობითი შეზღუდვა სოფლად.

საქართველო  
მთავრობის

Л. А. БЕДУКИДЗЕ

## ДЕРЕВЯННАЯ МЕБЕЛЬ В ИМЕРЕТИ

### Резюме

Деревянные изделия в Имерети, как и в других районах Грузии, вследствие сравнительно быстрой разрушаемости материала, сохранилось мало. Поэтому главным источником в изучении вопросов, связанных с применением древесины в производстве мебели, остаются письменные источники и устный этнографический материал.

Чисто практическое знакомство имеретинских «мастеров» (мебельщиков) со свойствами древесины было довольно значительно. Различали древесину отдельных пород по степени ее твердости, по способности выносить горизонтальную и вертикальную нагрузку, по сопротивляемости сырости и т. д. В зависимости от того, какими из этих свойств обладали отдельные породы, они находили себе то или иное промышленное применение.

Этнографический материал, собранный в Имерети, иллюстрирует прекрасное знание различных сортов древесины имеретинскими мастерами и глубокую традицию в их применении. В Имерети нам удалось узнать характер фанеровки мебели, детали этого древнего производственного процесса. Как правило, шпон нарезали пилой и наклеивали на сердечник из другой породы. Техника склеивания была хорошо разработана. В изготовлении этих фанер применялись пилы и инструмент типа рубанка.

## 6. ლოლოგიონი

### ხალხური აღზრდის ფესტივალი და საგავშვილო გართობა-თამაშობანი იმპრენატური

ქართველი მოწინავე ინტელიგენციის წარმომადგენლები ჯერ კიდევ XIX საუკუნეში დაინტერესებულია იმერეთში არსებული ოძნების წესებით და იმდროინდელ ჟურნალ-გაზეთების ფურცლებშე ღლურერიათ ამ კუთხეში გაფრცელებული ზოგი საბავშვო თამაშები<sup>1</sup>. წერილთა აფტორებს კრიკად ესმოდათ, რომ თამაში და სათამაშოები საუკეთესო საშუალება იყო ხალხის ყოფის შესასწავლად. ჯერ კიდევ გასულ საუკუნეში ა. გვილესიანი წერდა: „ძეველი დროს ნაშთებს ეკუთვნიან აგრეთვე ზოგიერთი ჩვენი სათამაშოები, ზოგიერთი ჩვენი ზნენი და ჩვეულებანი. საკვირველი ის არის, რომ ყველა ჩვენს ზნე-ჩვეულებათა გამოულიათ მრავალი საუკუნე და დღეს ზოგიერთი მათგანი ხალხს სრულიად დაუვიწყია. ზოგა ან ისევ ძეველის სახით არსებობს ან გადასხვაფერებულად... ძველ დროს ეკუთვნიან აგრეთვე ჩვენი თამაშობანი, მაგ. „ძერა-დიდა“, „ყმობა“ და სხვ<sup>2</sup>. ზოგიერთი პუბლიცისტი მოითხოვდა ხალხურ თამაშთა დანერვებს და ამას სამედიცინო თეალსაჩრისით იმართლებდა. მაგალითად, სამსონ ყიფიანი ჩამოთვლიდა დასავლეო საქართველოს სკოლებში დაწერებილ ხალხურ თამაშებს: ბურთობას (სხვადასხვა გარიანტით), თაგობანის, ოდრიკიალობის, მარულის ერთად გაქცევით, წრის გარშემო რბენას გასწრებით, ქალაქობის, მალულობის, ხრიჭინისა და დასქენდა, რომ ამ თამაშთა წყალობით „ნაციებ და ტყიცმორეულს ყმაწვილებს ფერი მოუვი-

<sup>1</sup> „ივერია“, 1886, № 227, 1887, № 9; „დროება“ 1881, № 44; „გეგილი“ 1892, № 6; 1893, № 1; „განათლება“ 1915, № 7, და სხვ.

<sup>2</sup> ა ნ დ რ ი ა, ძეველი ზნე-ჩვეულებანი, გაზ. „ივერია“, 1889, № 51.

დათ, ენაც აიდგეს, ასე, რომ სამი თვის შემდეგ... შესძლეს რეგულარული ლაპტაკი”<sup>3</sup>.

ამ საკითხთან დაკავშირებით მაინც ყველაზე უფრო სფრინჯები სო ცნობები დაგვიტოვა აკაკი წერეთელმა იგი ჰარისულობის მიღებისას ანიჭებდა ხალხურ თამაშებს და თოლიდა, რომ მანი საუკეთესო საშუალებას წარმოადგენდნენ მოზარდის ჰქონა-გონებისა და ფიზიკური წრითობისა თუ შრომისადრი სიყვარულის გალვივების საქმეში. აკაკი მმბობს: „ქართველების ოდენი სხვადა-სხვაგვარი სათამაშო თითქმის არცერთ ხალხს არა აქვს და ყოველ-გვარი სათამაშოც უთუოდ ისეთია, რომელიც ჰქონა-გონებისა და სხეულს სწორთნის, ავარგიშებს“. საამისოდ აკაკი ასახელებს თამაშ ბურთობას, რომელიც, მთხრობელების გადმოცემითაც, ძალზე გავრცელებული იყო იმერეთში. თამაშთა ღირსების აღნიშვნისას, შეისანი არ ივიწყებს მათი საშუალებით საქართველოს ისტორიული ეპიზოდების აღდგენის შესაძლებლობასაც. მაგალითისათვის იგი ასახელებს თამაშ ქორობის. ამავე დროს, პოეტი ხაზს უსცამს ბავშვის ბუნების წიაღში ყოფნის უპირატესობას. მისი აზრით, ბავშვი უნდა იჩიდებოდეს „მინდვრად, ცასა და მიწას შუა. სწორედ აქ სწავლობს იგი სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგებს, და აღვნებს რა თვალყურს უფროსების საქმიანობას, ძალუნებურად თვით ხდება ამ საქმიანობის მონაწილე“<sup>4</sup>.

ეინადან იმერეთშიაც შეიმჩნევა რიგ თამაშთა უკვალოდ გაქრობა (გვითხვით აკაკისა და თ. ხუსკივაძის მიერ დასახელებული ზოგი თამაში), ამიტომ განსაკუთრებით ვეშურებოდით ძველად გავრცელებულ თამაშთა ფიქსაციას.

საკომისი თვალსაჩრისით, იმერელი ბიჭები თამაშს იწყებდნენ 5—6 წლიდან და თამაშობდნენ 12 წლამდე. 7—8 წლიდან ისნი, როგორც წესი, საქონელს ეღღნენ. გოგონები კი თამაშს იწყებდნენ 4—5 წლიდან. ერთად იშვიათად თამაშობდნენ, ამიტომ საერთო თამაშები მთხრობელებმა ძალიან ცოტა დაგვისახელეს.

შეგვასაღ საქართველოს სწავლი კულტოსებისა, იმერეთშიაც განსაკუთრებით უხარიდათ ფაქის გაჩენა. ახლად დაბადებულ ბავშვებისა ჭიშის მოსპრიდა. როცა ჭიში მოშუშდებოდა და მოძვრებოდა, ხარების ბავშვი გადააგდებდნენ — „ხარები ეყვარებაო“.

ბავშვს აკანში ჩაწერამდე სამ დღეს ხოჭოჭზე, ან, როგორც

<sup>3</sup> გაზ. „დროება“, 1885, № 138.

<sup>4</sup> აკაკი წერეთელი, თხზ., სრ. კრებული, ტ. VII, თბ., 1958, გვ. 11.

ზოგან ამბობდნენ, ქაბზაზე აწვენდნენ, მესამე დღეს კი, თუ ფრემ-  
თხვეოდა სამშაბათი, ხუთშაბათი ან კვირა, მხის ამოსვლა არა  
გადაიყვანდნენ აკვანში. დანარჩენ, ე. წ. ნაკლულ, დღეგძმულებულები  
ჩეილის გადაყვანას ერიდებოდნენ. აკვანს აეთებდნენ — ბჟოლებულ  
ცაცხესა და თელის ხისას. ბავშვს ლეიბის ქვეშ ამოსვლა ამოსვლა  
ხოლმე თევზის საქერი ბადის ნაქერს („ეშმაკეულობას იქერს ე  
ბადეიო“, ნახშირს, სავარცხელს, დანას („ეშმაკი არ მიეკარება,  
დანაზე წამოეგბა კულიანებომ“), რომელიც ლეიბივეშ თრმოც  
დღემდე იღო, შელოცვილ ნახშირს უმაწვილს წაუსვამდნენ ხოლმე  
ლოკაზე, შუბლზე, ქოჩორზე, ფეხის გულებზე („არ მიეკარება კუ-  
ლიანი და ეშმაკიც ცელარაფერს დააკლებსო“). აკვნის კამარაზე—  
კარბაზე ჩამოკიდებდნენ ხოლმე „ანგაროზს“, მძივებს, რომლებშიც  
ერია „თვალის შძივი“, ლვილების, მწარე ბლის ქერქის ან კვახის კა-  
ნის ჯვარს. ბავშვის გასართობად ჩამოკიდებდნენ „ტანტილეის“,  
რომელშიც თითქოს ალის კბილი იყო შერეული. გულზეც ჩამოკი-  
დებდნენ ჯვარს, გახვრეტილ ქვას — ნათვალეეს, ან შარჩას (სამ-  
კუთხი ფორმის შავ ნაქერში ან ტყავში გახვეული შელოცვილი ნახ-  
შირი). აკვისაც ბავშვობაში აფი თვალისაგან დასაცავად სხვადა-  
სხვა ამულეტები ჩამოკიდეს კისერზე.

თუ ბავშვს მარტოდ ტოვებდნენ, აფი თვალისაგან დასაცავად  
აკვაზე საკეცს ან თხილის ჯოხს მიაყუდებდნენ. ბავშვს აკვანში  
ორ წლამდე აჩერებდნენ. მისი აფად განდომის შემთხვევაში, მწარე  
ბალს უბრად მოიტანდნენ, დაწვავდნენ, ნახშირს შეულოცავდნენ,  
აკვანზედაც წაუსვამდნენ, ბავშვს ყურის უკან და შუბლზე ამავე  
ნახშირით ჯვარივით მოუხაზვდნენ, თეით ნახშირს გამოახვევდნენ  
ჭინჭმი და ლეიბის ქვეშ დამალავდნენ. წითელა-ბატონებს, მთხრო-  
ბელების თქმით, „ორი ცხრა დღე უნდა, თუ არ გააჯარი; ხონჩა  
ვიცოდით კარგი, ბატონების ხონჩა არისო, პურს ცხენისებურს გა-  
მოვაცხობდით, ზედ კაცს დავაჯენდით და თხა იყო თავის პატარა  
თიქნებით, პურისნაირს, ყველაფერს ენდროში შევლებავდით, პუ-  
რისაგან კვატისებურსაც გამოვაცხობდით. ეს ხონჩა ბავშვს თვა-  
თან ედგა. თიკანსაც წითლად შევლებავდით წითელ ნაჭრებით და  
საღებავებით, შემოვალებით იმ ბოვშვს. დედა ან მამა თუ იყო  
დამნაშავე, დამნაშავეს „ღვლებს — კვინცხას“ (დაგრეხილი ტოტია)  
დავაღლეჭავდით, კისერში შევაბამდით და ავადმყოფი ბავშვის  
ირგვლივ შემოვაფორთხიალებინებდით, როცა გაივლიდა ორი ცხრა

დღე, იმ ხონჩას გადმოვიდებდით, დედა ბავშვს წინ გაუძლებულია, ჩონგური ეჭირა ხელში და ან დედა უკრავდა ჩონგურს, ან ზეპობელი. უკრავდნენ „იავნანას“. ხონჩას გაიტანდნენ გზის პირზე თა და დებდნენ ჩირგვზე, რათა არაფერი მიეტანოს ცოტა ხასიათი.

საინტერესოა, რომ იმ ურემზე, რომლითაც მშობლები შემ-ყავდათ, იდგა ქვაბი, რომელშიც ლვიოდა მუხის ნალვერდალი. ქა-ლიც ახლოს იჯდა მასთან, რათა „მონახთომი ან მოხვედროდა“. ასევე, ერთდებოდა ახლად მოლოგინებული ქალი წვემიან დღეში გამოსვლას, თუ მაინც გამოვიდოდა. თვითი თანის ბოლოებს პირში იდებდა, რათა შინ „არაფერი ავი ან შეჰქოლოდა“.

პატარა ბავშვებს, ბუნებრივია, მშობლები უკეთებლნენ ხოლო გამართობ სათამაშოს, მერე კი ყმაწყილები თვითონ იმზადებდნენ მას.

იმერული გართობა-თამაშობანი დავალაგეთ შემდეგნაირად: შეგიბრზე ავებული, სამონადირეო, საყოფაცხოვრებო, გონების სავარჯიშო.

როვორც ყველგან, აქაც ბავშვები ეჭიბრებოდნენ ხოლმე ერთ-მანეთს სიჩბილში, სიმაღლე-სიგრძეზე ხტომაში, ზურგზე გადახ-ტომაში. სამავალითოდ მოვიტანოთ თამაში ვირ ყ ლ ა ტ უ ნ თ-ი ა. ბავშვები არჩევანი-არადანით გაიყოფოდნენ ორ ჯგუფად. შე-მოხაზულენ წრეს; თუ კის მოუწევდა წრის შიგნით ჩადგომა, ამის გადასწუვერად კენტს ყრიდნენ. წრეში მდგომნი თავებით ერთმა-ნეთს მოყენებით და ხელებს ერთიმეორეს გადახვევდნენ. ამათში ერთ-ერთი ყარაული იყო, რომელიც იცავდა დანარჩენებს, რათა წრის გარეთ მყოფი მოთამაშეებს ზურგზე ან შეხტომოდა. ერ-ნაიდან მას უფლება ჰქონდა ცალი ფეხი წრის გარეთ ჰქონდოდა, მას შეეძლო გარე მოთამაშისათვის ფეხი გამოეკრა, ე. ი. მუხლებით დაუჭრა, თუ ეს მოხდებოდა, ჯგუფები ადგილებს შეიცვლილნენ ხოლმე. თუ რომელიმე გარეთ მყოფი მოასწრებდა დაუჭრელად ზურგზე შეხტომოდა წრის შიგნით მყოფს, მაშინ მას უფლება ჰქონდა წრიდან გამოსულიყო, მერე ისევ შესულიყო წრეში და ახ-ლა სხვას ზურგზე შეხტომოდა და ა. შ. თუ გაუჭირდებოდა ამხანა-გის ზურგზე ჯდომა და ჩანოვარდებოდა, მაშინ ფეხები უნდა აეწია და გორგით გამოსულიყო წრიდან. რათა ყარაულს ან მოესწრო შისი დაჭრა. ეს მოქმედება საკმაოდ ძნელი შესასრულებელია და მოთამაშისაგან მოითხოვდა სიმარტესა და მოქნილობას.

ბავშვები ეჭიბრებოდნენ ერთიმეორეს ფერდობებზე არა-ჩირბენაშიც. ძალიან უყვარდათ ცხენობის თამაში. მას უფრო

მისდევდნენ მაის-ივნისში, როცა „აბრეშუმობია“ იყო, ამ ჭრის წნაულების თუთის შხვერთს, გადავდებოდნენ ჯოხ-ცხენებზე და ზე სად „მიაქროლებდნენ“, ხან სად. მთხრობელის თქმით შემშემტევებულე იყვნენ გავარჯიშებულნი, რომ მერე თავისუფლად სხდებოდნენ ნამდვილ ცხენებზე და სასახელო მხედრებად იყვნენ ხოლმე ცნობილნი.

ისტატურად გადახტომა იყო საჭირო სერობიერ ან როგორც ზოგან უძახიან ცალფეხობიას დროს. დახაზვედნენ ექვე ან რვა უჯრას და პირველი უჯრიდან დაწყებული ბრტყელი ქვის ვორებით გადადოდნენ დანარჩენ უჯრებში.

სიმარტეა საჭირო ლასტისა (რომელიც არც თუ ისე გავრცელებული ჩანს იმერეთში, ხოლო სადაც თამაშობდნენ, იცავდნენ ყველგან ცნობილ წესებს) და ქუღობიას თამაშის დროს — აქ ლრი მოწინააღმდეგ ჯუფი ცდილობს ერთიმეორისათვის ქუდის წარმეტევას.

კუკუმალულობასაც თამაშობდნენ ყველგან დამკვიდრებული წესებით.

თამაში კერძობია და დანასობია კი, რომელიც ემსახურება ხელის სიმარჯვის განვითარებას, იმერეთში საკმაოდ ყოფილი გავრცელებული. ეს ჩანს აკაცის სიტყვებიდანაც: „ჯერ დანასობსა კოსამშეთ, მერე კენჭობია, მაგრამ მაინც ერ გავერთეთ, რადგანაც ამგვარი სათამაშოები მოწყენილი და მობეზრებული გვქონდათ“.

კენჭობით და დანასობით უფრო მშეცემსობაში ერთობოდნენ. კენჭობის მსგავსად თამაშობდნენ ჩეირობიერ — ოლონდ ხუთი მოულე ჯოხით.

კერძობის დროს შუაზე გაპობილ ჯოხებს მიწაზე აგდებდნენ და იძის და მიხედვით გულდაღმა გავარდებოდა ჯოხი, თუ გულაღმა, გამარჯვებული „მეფე“ უბრძანებდა „ვეზირს“ „ქურდის“ დაქას, რაც გამოიხატებოდა ამ უკანასკნელისათვის წნელის დარტყმაში.

ყმაწევილები ღონეს ცდილენ სხვადასხვანაირად, ჭიდობით უფრო მოზრდილი ბიჭები ერთობოდნენ. მწყემსი ბიჭები ჭიდაობდნენ გვიმრის ტოტებით და ამ გართობას გვიმრაობა ერქვა. ეს თამაში შემდეგნაირად მიმდინარეობდა: მინდორში მოტეხავდნენ გვიმრის ტოტებს და ზემოდან დაასალოებით სამი სანტი-

შეტრი სიგრძის ამონაყარებს მოაშორებდნენ, შემოაცლიაზნენ ვოლ-ლებს; ორი მოთამაშე ერთომეორეს შეეჭიდებოდა ამ შემოცვენი-ლი კავისებური გვიმრის ტოტებით. ერთერთის ულული ა. ა. გორგუ ზოგი მთხოვნელი ეძღვის, მხრეული გამოეჭიდა ვეტრის მხრეულს და ისე მაგრა მოეჭიდებოდა, რომ სხვა ბავშვი უნდა და-მარებოდა ამხანავს წელზე ხელის მოეცდებით, რათა მოწინააღმდე-ბებს არ გაეთარით მოჭიდავე. ზოგჯერ დასხდებოდნენ ხოლმე მწყემსები მიწაზე, ერთმანეთს ფეხებს მიაბჯენდნენ და ისე ჭიდა-ობდნენ აღნიშნული მხრეულებით. აქაც უისა გვიმრაც გატყდებო-და, ე. ი. ჩამოსკლებოდა „ნამხრევი“, ის იქნებოდა დამარტებული, გამარჯვებული კა ინახვდა თავის გვიმრის ულელს შემდეგი ჭიდა-ობისთვის. ყმაშვილები ეჭიბრებოდნენ აგრეთვე ერთმანეთს მძიმე ქვის აწევაში და, რაც შეიძლებოდა, შორს გადავდებაში.

ბალლები მართავდნენ აგრეთვე ჭილითობას ან ჭკნე-ლობიას. თხილის წუნელს ბოლოში ისარივით წამოაცმეულნენ მოვაზილ მიწას და ეჭიბრებოდნენ ერთმანეთს მის გატყობინაში.

ვიზანში სროლა ედო საფუძვლად ისეთ თამაშებს, როგორი-ცა: ჭვანი ჭნობიერ-კოპჭორობი (ამ დროს ბავშვების ორი ჭვანი ერთმანეთს ეჭიბრებოდა ბრტყელი ქვის სროლაში, რაც სხვა ქვების მწყრივისთვის უნდა მოეხვედრებინათ), სალაობა (აქაც მჩგვალ ქვის — ჭიურის ან საყენ ესრულენ სალას და ცალლობდნენ გაღავორებას), ჭვასალაობა (სალა უნდა ჩა-ეგდოთ ორმოში), ორ მაობა (ქვასალაობის მსგავსი, მხოლოდ აქ ქვის მავის ისტორიები კავალს). აღნიშნულ თანამებში გამარჯვე-ბული შეაჭდებოდა ხოლმე ზურგზე დამარტებულს და გარევალ-მანილზე დატარებდა.

ვმცილდ-ისარი, ან. როგორც ზოგი ეძახის, ჭილამჭვალ-დ ი, იმერეთში ნაკლებ არის გატრცულებული. აღრე, რა თქმა უნ-და, ამ საბრძოლო და სამონადირეო იარაღებს მნიშვნელოვანი აღ-ზარი ვავა, რაც კარგად ჩანს ხალხური სიტყვიერების ნიმუშები-დან. სათამაშო მშვილდისარს აკეთებდნენ ტყემლის, ლელვის, ბრტყელის, ანწლის ხისას, ისროდნენ მიზანში, ხან მალლა. მაგ., სოფ. ჩხარის მცხოვრები იონა ლომთაძის თქმით: „ჩვენთან იყო მექანიზატორი და ბავშვები ვეჭიბრებოდით ერთმანეთს მშვილდურდალით ისრის მაღლა სროლაში, თუ ვინ აიცდენდა მუ-ხის წვერს“.

<sup>7</sup> ქ. ძოწენა დ. ზემომერული კილოკავი, თბ., 1973, გვ. 327, 328.

ეშვილდისრით ჩიტებზეც ნადირობდნენ. სათამაშო საგნად ზოგი ასახელებდა შურდულს, ზოგი „ლაკარტკას“.

ზოგჯერ ქვების სროლითაც ერთობოდნენ: ამოჭრიდნენ სიმინდის ლეროს გულს, ჩადებდნენ შიგ ქვას, მოიქნევდნენ თა. რაც შეიძლება შორს ტყორცნაში ეჭიბრებოდნენ ერთმანეთს. იმექეთის სოფლებში აქა-იქ გავრცელებული იყო ხმალაობა თვითნაკეთი ხის ხმლებით.

კოჭაობა-კუნაც პირუტყვის ნამდვილი კოჭებით შედარებით ნაკლებ იყო გავრცელებული, სამაგიეროდ, სამართლი ხშირად კოჭობიდნენ ხოლმე კაკლებით და ზემოიმერეობში მას კაკლაობას ეძახდნენ, ქვემოში კი კაჭრობიერებით ერთობორც მოსალოდნელი იყო, ამ თამაშით განსაკუთრებით ერთობიდნენ შემოდგომით; კაკლებით ასეც თამაშობდნენ: მათ დაწყობდნენ პირამიდასავით, რასაც რიგ-რიგობით ესროდნენ ჯილძს (გამორჩეულ კაკალს), ვინც კაკლებს დააგორებდა ყველაზე შორ მანძილზე, მას უფლება ეძლეოდა თამაშის დაწყებისა ე. ი. კაკლების გროვისათვის ჯილა კაკლის მორტყმისა. მოგებული იღებდა იმდენ კაკალს, რამდენიც ზოშორდებოდა პირამიდას. შემდეგ განაგრძობდა თავაშს ის, რომელიც თამაშის შედეგით ყველაზე ახლოს იყო წინა მსროლელთან და ა. შ. სიმძიმისათვის ზოგჯერ კაკალში სილას ყრიდნენ ან სანთელს ჩაასხამდნენ ხოლმე, ბოლო ღროს შემოვიდა მსგავსი თამაში ატმებით და მას დაჭინობია შეარქევს.

გართობა-თამაშთაგან ყველაზე უფრო მეტად იმერეთში გავრცელებული ჩანს ბურთაობა, რიკაობა, კვაჭინობა. ბეჭრებან ბურთაობას პირველი ადგილი ეჭირა. ბურთს უმთავრესად აეთებდნენ საქონლის ბალნისას. ბურდღას (ბალანს) მოზელავდნენ რაბში, შუაში კენჭს ჩადებდნენ, „დააკორკალიტებდნენ“, თან გაიძხოდნენ: „ქვაი რბილი, ბურთ მაგარი“, აეთებდნენ აგრეთვე ბურთს საქონლის ტყავისას; შიგ ჩატენიდნენ ხოლმე თხის ბალანს ან ხავს.

ბურთით თამაშობდნენ გარადენას; ორ პარტიად დაყოფილი მოთამაშები ხელით აწვდიდნენ ერთმანეთს ბურთს და ცდილობდნენ მოწინააღმდეგე პარტიისათვის ბურთის წარმევას. ბურთაობა იყო შემდეგნაირიც: ორი ჯგუფი ერთმანეთის პირისპირ დგებოდა, მოშორებით მიაყუდებდნენ ქვას და რიგრიგობით ესროდნენ ბურთს, გამარჯვებულად ითვლებოდა ის პარტია, რომელიც უფრო მეტ ბურთს მოარტყამდა ქვას. იყო თამაში მალე ა-

ბურთიც. ლელო ბურთით კი, რაც ძალზე გავრცელებული  
იყო ამ კუთხეში, ერთობოდნენ მოსრდილები.

რიკ-ტაფელას (ტაფა-რიქა) განსაკუთრებული რამაში  
დნენ მწყემსი ბიჭები, ხშირად კი მოზრდილები და ცილინდრული  
ზაფ კი. რიკა უფრო ხშირად თხილისა იყო, ტაფელა კი კოშისა. მსგავსად საქართველოს სხვა კუთხეებისა, აქც აჩსებობდა რიკო-  
ბის სხვადასხვა ფრიანტი.

კვაჭინობა იმერეთში ისე იყო გავრცელებული. რომ  
შოთარობელების თქმით, ცოლშეილიანიც კი, საღამოს სამუშაოდან  
როგორც ბრუნვებოდა, „ერთს მოინც წეიკვაჭინებდა და ისე შედიოდა  
სახლში“. ორი პარტიის მოთამაშეებისა მოკაცებული ჯოხებით —  
კაჭინებით შეიარაღებული. ურტყამდნენ ხის ბურთს და ცილი-  
ლობულნენ ერთმანეთის სახლვრის იქით გატანას, მჯობი იყო ის პარ-  
ტია, რომელიც მეტ ბურთს გაიტანდა. აქვე უნდა იღინიშნოს, რომ  
ამ სათამაშო ჯოხს ზოგვრ ნაცრის გამოსალებადაც ხმარობულნენ  
ხოლმე. კვაჭინობა, იგივე ღორიბია, ძალზე ჰგავს კახურ ვო-  
თაობას.

იმ თამაშებიდან, რომელთაც საფუძველად ნადირობა უდევთ,  
შეიძლება დავსახულოთ მ გ ე ლ თ ბ ი ა (სადაც ინსცენირებულია  
ბრძოლა შეელსა და მწყემსი შორის), კურდლლ თ ბ ი ა (თამაშის  
არს შეადგენს კურდლლებზე ნადირობა), ქორობია (რომელიც  
უფრო სამონადირეო სიმბოლური ხსიათის თამაშად ჩაითვლება).  
აუკი წერეთელი ამ თამაშს საგანგებოდ გამოყოფს და დაწვრილე-  
ბით იღწერს. მისი განსაკუთრებული გავრცელებულობა ჩანს მგოს-  
ნის სიტყვებიდან: „.... ყოველდღე სხვადასხვა თამაშობას ამითი ვა-  
ბოლავებდით ხოლმე“<sup>8</sup>. ზოგი ამ თამაშს „ქ ე რ თ მ წ ი წ ი ლ ი  
წ ი ლ ი“ ეძახდა.

თამაში ქორობულა ასე სრულდებოდა: დაალაგებდნენ  
მარგვალ ქვებს, რომელიც ქორის ბუდეს წარმოადგენდა: ქორი იგ-  
და ბუდესთან, კაუნი კი თავის წიწილუბთან ერთად გარშემო უკ-  
ლიდა და გაიძახოდა: „ქორი ბუდეს დაგინგრევ“, გამწარებული  
ქორი კი უპასუხებდა: „მე წიწილას წაგართმევ“, და ცილილობდა  
ახლოს არ მოეშვა თავის ბუდესთან მოსეული „მტრები“. ამრიგად,  
ბრძოლა იყო ქორისა და კრუხს შორის რომელიმეს გამარჯვებამდე-

\* არ. მირ ტიროსოფი, და გრ. იმნია შვილი, ქართული ენის  
კახური დალექტი, თბ., 1956, გვ. 65.

\* აკაკი წერეთელი, თხ. სრ. კრებული, ტ. VII, 1958, გვ. 16, 17.

თამაშები, როგორიცაა: ხაზის გასწორებია, სიონობია და სხვ. ბავშვების გონიერების სავარჯიშო გასართობის წარმოადგენდა. ამავე მიზანს ემსახურებოდა შეგიძრი<sup>10</sup> გამოცატებით, ანთა ზეპით, ზღაპრებით. გაროცნობაზე ფაქტული ხაზის გასწორების დროს დახაზავდნენ კვადრატს ან წრეს, დაყოფდნენ სეგმენტებად. თამაშობდნენ ორი ლობის ან სიმინდის მარცვლებით. თამაშის არსი გამოიჩატებოდა ინაში, რომ მოთამაშე უნდა ცდილიყო, რათა ერთ ხაზზე მოეთავსებინა თავისი სამი მარცვალი, ერთადან ეს თამაში გონიერის საქმაოდ დაძაბუას მოითხოვდა, მისით ერთობოდნენ უფრო მოსწრელი ბიჭები.

აღდგომას იცოდნენ თამაში კვერცხიმალულიობა — დაალაგებდნენ მიწაზე რამდენიმე ქუდის, ერთ-ერთი ქუდის ქვეშ დამალავდნენ კვერცხს და კინც გამოიცნობდა, კვერცხი მას დარჩებოდა.

თვალკუტიობას (თვალხუჭა, თვალდახუჭია) დროს ერთ-ერთ ყმაწვილს, უბეში თავისი ზურგულს, უნდა გამოეცნო, თუ ენ ჩატრუა ხელი ზურგში, ამ თამაშის მსგავსია ტკეჩიობა, როდესაც აზრუამენ ჭოხს და უნდა გამოიცნონ ჭოხის დამრტყელის ვინაობა.

სილობიას (მალილობა სილაში) თამაშის დროს გააკეთებდნენ სილის ოთხ გუნდას და ერთ-ერთ გუნდაში დამალავდნენ ჩხირს. თვალდახუჭულ მოთამაშეს უნდა გამოეცნო, თუ რომელ გუნდაში იყო ჩხირი დამალული.

როგორც ცნობილია, იმერეთი მდიდარია მდინარეებით, ამიტომ ბავშვები პატიარაობიდანვე ერთობოდნენ ხოლმე თევზაობით, რაც ს. პერევის მცხოვრების ნაამბობის მიხედვით აღწერილი აქვს ქ. ძორენიძეს<sup>11</sup>.

ზამთრობით აქაც ერთობოდნენ თხილამურებზე სრიალით და ცვაობით.

იმერეთში გაურცელებული სათამაშოების შესახებ აქაც აღნიშნავს: „გლეხის ოჯახი დილიდან სალამომდე სულ მოძრაობაშია, საქმე არ გამოელევათ და ამიტომაც ბავშვების გრძნობა-გონიერა სუკველოვის გართულია. ბავშვი რომ თვალყურს იდევნებს იმათ (კაცის და ქალის) მუშაობას, თვითონაც ძალაუნებურად მონაწილე ჩდება და სწავლობს.

<sup>10</sup> ქ. ძორენიძე დ. გ., ზემოიმერული კილოკავი, თბ., 1973, გვ. 542.

<sup>11</sup> ი. გ. ვ. ვ., გვ. 424.

...სათამაშოებსაც ბავშვები თავის ხელით აკეთებენ, მაგალით ტად ტაფა-რიქს თვითონ გამოსცრიან ხოლმე, შვილდეკოდალს იკეთებენ, ბურთს თავის ხელით იმზადებენ, და ეს შრომის კინდევს უფრო რო აყვარებს პატარა პატრონს თავის საკუთრებას, მეტ ასეთ სახელში და ბელელ-სასიმინდე-წისქვილებს ავაშენებდი ხოლმე, ჩემს სიამოვნებას საზღვარი აღარ ჰქონდა<sup>12</sup>. ბავშვები პატარა რაობიდანეთ ეჩვეოდნენ ხელგარჯილობას და მათ თავდაპირებულად თუ უფროსები უკეთებდნენ სათამაშოებს, წამოზრდილები თვითონ ამზადებდნენ გასართობ საგნებს; მასალად გამსაკუთრებით უხვად იყენებდნენ სიმინდის ტაროსა და ლეროს, რითაც ისე მდიდარი იყო მთელი იმერეთი. სიმინდის ცარიელი ტაროებით თამაშობდნენ კიდეც. ნაქუჩიალს ერთმანეთზე კოშკიცით დაალაგებდნენ, მას ერთ ნაქუჩიალს ესროდნენ და ანგრევდნენ. ტაროებისაგან აშენებდნენ სასიმინდეებს, ბელლებს, წისქვილებს, საღაც ბორბლები სიმინდის ლეროსი იყო, აკეთებდნენ აგრეთვე საწნახელს, ჩოჩიალ ურქმს, სხვადასხვა სამეურნეო იარაღს და სხვ.

ბავშვების ნახელავი სათამაშოებიდან გავრცელებული იყო ხელთოვა, რომელსაც აკეთებდნენ ხელთოფია ლერწმის ან კაპრის ხის ლეროსაგან, რომელსაც ამოულებდნენ რბილ გულს და შეკრიფებდნენ თხემლის კუკურს (თესლს), „ხვრიკილას“, ტყემალს, ან ჯავველას, მერე დაამატებდნენ რაიმე მეორე მარცვალს და თხილს ან ტყემლის ჭობით მიაწვებოდნენ, პირველი გავარდებოდა და გამოსკემდა სროლის ხმას, ან ხელთოფაში ჩასვამდნენ „პატრონს“, ე. ი. დატენიდნენ მას თოფის წამლითა და ქაღალდით. ბოლოში ნასკრეტიდან ცეცხლს მოუკიდებდნენ და ხელთოფა გავარდებოდა; და კუკი პიას (საჭყაპელას-საშხაპუნოს) აკეთებდნენ დასახსრული ლერწმის ლეროსაგან ან მცენარე გურულოდან. საკეტის აღვილა გაუკეთებდნენ ნასკრეტს, მეორე, ცარიელ ბოლოში, კი ჩადებდნენ ჭობს, რომელზედაც დახვეული იყო ლეროს სისქე ნაქერი, ლეროს დგუშივით ამოწევებდნენ და მეორე ლეროში პატარა ნახერეტიდან შეისრუტავდნენ წყალს; როცა ლრუ გაივსებოდა, დგუშით ჭიაწვებოდნენ და წყალი შადრევანიერ გაიტყორცნებოდა, მიესხებოდა მოწინააღმდეგეს.

მთხოვნელის გადმოცემით, ზოგჯერ ასეთი „საჭყაპელათი, მთავარი (უფროსები) ხალხი წამლავდა ცენას“.

<sup>12</sup> ა კ ა კ ი წ ე რ ე თ ვ ლ ი, თხ ს., სრ. კ რ ე ბ უ ლ ი, ტ რ მ ი VII, თ ბ ., 1958, 88. 14, 15.

საპზრიალოსთვის ის ციაბ ძიალ ის თადის) კუში  
ჩრგვლად გამოყრილ ყავარს ან გოგრის ქერქს გახვრეტდნენ; ზუაში  
პატარა ჭოხა ჩაარწობდნენ და დაატრიალებდნენ, ასევე მშენებლების  
ნენ კოჭეს საბზრიალოს — მას თავს მოყრილნენ, გაუტრიბუნენ ვას  
ტარა ჭოხს და ათამაშებდნენ.

საპზუალოს აკეთებდნენ წაბლისას. ძაფს გაუყრილნენ წაბლში, ორივე ხელით გავიმავდნენ, ძაფი გადი-გამოდიოდა და  
გამოსცემდა ბზუილის ხმას. ან გახვრეტავდნენ ორ ნიგოზს, შეუყ-  
რილნენ ჭოხს, შუაში გამოაბამდნენ ძაფს და გამოქაჩავდნენ. ორი-  
ვე ნიგოზი ტრიალებდა და ხმას გამოსცემდა.

„სამჭიდრო ბეჭედი“ — საჭიდრო ხელსაწყოა და მით თხილ-  
ვიღაობას თამაშობდნენ. თხილის ჭოხს შუაში აროჭრილნენ იმ საღრ-  
მეზე, რომ ორი თხილი ჩატეულიყო. ერთ თხილს ერთი მოთვაშე  
ჩაჟებდა, მეორეს — მეორე, მერე მიაწვებოდნენ და რომლის თხი-  
ლიც გატყდებოდა, ის წავებულად ითვლებოდა. მას სხვა თხილი  
უნდა ჩაედო ღარში, რასაც მოგებული ამოილებდა. ამ თამაშითაც  
გამსაუთრებით მშეყენებობაში ერთობოდნენ.

აკეთებდნენ ჩიტის დასაჭერ სხვადასხვა მახეებს, რომელსაც  
ზოგან სარეჭველს უძახდნენ, ზოგან ირენჩეას ან აში-  
ლარს, ხან პატარა რიქზე წამოაცმევდნენ სიმინდის ტაროს, როცა  
ჩიტი დაუწყებდა ნისკარტით კაკუნს, სასხლეტი გამოიძრებოდა და  
ჩიტი შიგ გაებმებოდა. ან ჭოხზე მიამაგრებდნენ აშილარს (დაწნუ-  
ლი ცხენის ძე), მახეს მიაყუდებდნენ სუროზე, შაშვი იმ სუროს  
„მოკრეფავდა“ და გაებმებოდა ძუაში, ასეთი მახეებით იჭერდნენ  
ბეღურის, სკეინჩის, ღობემძერალს..

საჭორიანეთი (საჭანელა-წიანა) როგორც საქართ-  
ველოს სხვა კუთხეებში, აქაც განსაკუთრებით ყველიერში ერთო-  
ბოდნენ ხოლმე. ხალხური გადმოცემით, ეინც ყველიერში საქანელ-  
ზე იქანვებდა, იმ წელიწადს წელი არ ეტეინებოდა. აიწონ-  
დაიწონას ფიცირს ქვემო იმერეთში ოჩი-კოჩის უწოდებენ,  
ოჩი-ფეხ ხებით, ან როგორც აქაურები უწოდებენ ჩიჩა-ფეხე-  
ბით, დადოოდნენ საკმაოდ შორ მანძილზე. ერთობოდნენ აგრეთვე  
გოჭიორათიც. ჩარჭობდნენ ჭოხს და მის ირგვლივ ტრია-  
ლებდნენ დაღლამდე.

დედოფალას აკეთებდნენ მიწით, ჭოხებით, ნაჭრებით, შე-  
მოდგომაზე ძალიან ხშირად დედოფალის აკეთებდნენ ჩარლეჭალა-  
დან (სიმინდის ღერო), სიმინდის ულვაშს იყენებდნენ დედოფალის  
თმად ნაჭრის დედოფალის გატენილნენ ბამბით ან ქატოთი და  
12. მასალები იმერეთის ეთნოგრაფიული შესწავლისათვის

თვალების ძაფით დაუქარგავდნენ, დედოფალის აკანაც წალ-  
ლ ერთსა გა ა ნ უკეთებდნენ; აკვნის კამარაზე ჩამოკიდებდნენ ხოლ-  
მე ავი თვალის საწინააღმდევო „სათოლე მძივს“. ხოლო გასართობაზ  
„ტანტილების“, ლეიბის ქვეშ ამოუდებდენ ხოლმე „დანას“: ბაჟუების  
დიდი საყვარელით თამაშობდნენ დედოფულობანას, სტუმრობანას,  
თავის „შეილებს“ უხდიდნენ „დღეობებს“, „ქორწილებს“ და სხვა.  
უშენებდნენ გვიმრის ფოთლებით კარებს, უნდობდნენ შეა-  
ცეცხლს, უცხობდნენ პურებს „ბუშტალია ბალახისას“, უქერდნენ  
„დედლებს“. აქვე გვინდა იღვწეროთ აკავის მიერ დასახელებული  
თამაში „ტირილობია“.

აკავის ცნობით, იმერეთში სცოდნიათ გასართობი „ტირილო-  
ბა“, რომელიც ფაქტობრივად უთევირთ თოვინების თეატრის  
წარმოდგენისათვის სახელდახახლოდ გაეთებულ თოვინასთან არს  
დაკავშირებული, „გადააფარებდნენ, თურმე, ჩოხას შეშის კონას,  
დააშურავდნენ ქუდს, ერთი მიუჩიქებდა, ორი აქეთი-იქით ხელს  
მოპეიჯებდა და სხვები ზარს ააყოლებდნენ მოთქმით ტირილს, კო-  
ორმცა მკვდარიაო, ხან ერთმანეთს სტიროდნენ, ხან თურმე მოუ-  
რავს, ხან ხელოსნებს, მზარეულებს, ხან ცის და ხან ცის<sup>13</sup>.

ს. ცავარეიშვილი დასტენს: „აღნიშნული თამაშობა უდავოდ  
მიცვალებულის კულტისაგან გაღმოლებული ისეთი უთევირთ თო-  
ვინების თეატრია, რომელიც ყოველგვარ უკანონობას სატირულ-  
გროტესკული ფორმებით ებრძების. აღნიშნულ თამაშობას დ. ჯანე-  
ლიძე სამართლიანად მიიჩნევს უსამართლობის წინააღმდეგ მი-  
მართელ ბერივაობად<sup>14</sup>. საყარაულოა, რომ იმერეთშიაც არსებობ-  
და მოძრავი დედოფალები, მაგრამ, ვინაიდან არც ერთ მოხრობელს  
ეს არ დაუმოწმებია, თავს ციკავებთ ამ მოსაზრების მტკიცები-  
საგან.

სპეციალური საბაშვილი დღეობები იმერეთში არ ყოფილა, სა-  
მაცევეროდ, ამა თუ იმ სიფლის დღეობაში ბავშვები ხშირად იღებ-  
დნენ ხოლმე აქტიურ მონაწილეობას.

ბავშვებიდანევ ბურთობით განსაკუთრებით გატაცებული  
თევდორობის კვირის (დიდ მარხვის პირველი კვირაა) ერთობოდნენ  
ბურთის თამაშით. „ბურთს სირმას შემოავლებდნენ. ბურთით თა-  
მაში მარტო გართობისათვის კი არ ხდება, არამედ მას აქვს ცრუ-

<sup>13</sup> ა. წერეთელი, რჩ. ნაწერები, ტ. I, თბ., 1930, გვ. 80.

<sup>14</sup> ს. ცავარეიშვილი, ქართული თოვინების თეატრის ისტორიისათვის, 1972, თბ., გვ. 71, 72.

პორტმუნეობის სარჩული დაფებული მეორე დღეს ხალხი ითავისუფლა. გაისმის ბუკის ხმა და მღვდელს გამოიქვს ვერცხლის სინიე დაფებული ბურთი. პატივსაცემი პიროვნება აგდებს ბურთს და ხალხი ცდილობს ერთმანეთისათვის წარომევას და დაწერებულ ფლებების მიტანას. ბარაქალა მას, ვისაც ბურთი შეხვდება, მაშინ მთელ წელიწადს კარგი მოსავალი ექნება. ამიტომ თითოეული ყოველ ღონეს ხმარობს ბურთის ხელში ჩასაგდებად, ხშირად ბურთს რამდენიმე ნაწილად გაგლეჭავენ და უბრუნებენ დიასახლისს. ბურთის ნაწილის მიმღები დარწმუნებულია, რომ მის ოჯახს შეხვდება სიკეთე. ხალხის გადმოცემით ეს თამაში იმერელმა შეფეხმა მოიგონეს სამხედრო ვარჯიშებისათვის<sup>15</sup>. მართალია, ამ წეს-ჩეეცლების შესრულებისას ბაჟშეები არ მონაწილეობენ, მაგრამ ისინი მაინც აქტიური მაყურებლის როლში გამოდიან და, როგორც ზემოთ აღნიშნეთ, ბაჟშეობაში კარგად ნაწილობრივ ბურთობაში, მერე უკვე აღვილად აღწევენ გამარჯვებას.

ქვემო იმერეთში გვალვის დროს ხატს გამოაბრძანებდნენ ხოლმე ეკლესიიდან და გაბანდნენ. დარწმუნებული იყვნენ, რომ ეს ცერემონიალი ავდარს მოიყვანდა. „რავაც მეიხელაუთილებდა იდამიანი. ისე დაკლავდა მდინარეზე ძროხას ან ცხვარს და იქვე იქვებდა ზოგჯერ ცხრილში ასხამდნენ წყალს და თან გაიძახოდნენ: „ამისთანა წვიმა მოეიდესო“.

ზემო იმერეთში გვალვის დროს წყალს ხნავდნენ, გზას დახვერდებულენ, ანდა „გონგაზე“ წავიდოდნენ. განგებ გამურულ ქალს „ვონჯას“ მიჰყებოდნენ ფეხშიშველი ქალები და ბაჟშეები და სიმღერას ამბობდნენ:

„ვონჯა მოდგა კარებსაო,  
აბრიალებს თვალებსაო,  
აღარ გვინდა ვორახოო,  
ღმერთო, მოგვეც ტალახოო.  
ვონჯას წყალი შემოასხით,  
დაყენებს ტალახსაო,  
ააყვავებს ყანებსაო“.

რომელიმე ოჯახის დიასახლისი გამოვიდოდა და ცხრილით შეასხამდა წყალს მომღერალთ (მთხრობელი კალისტინა დარბაიძე-ეზიაშვილისა, 80 წ., ს. ქორეთი). საღამოს ყველა შეიკრიბებოდა

<sup>15</sup> «Кавказ», 1885, № 4.

და იქეთვებდა. ზოგი მთხრობელი ლაზარობას ასახელებს და ოღნიშნავს, რომ კაცს გამოაწყობდნენ ქალის ტანისამოსში, ნახ-შირს წაუსვამდნენ — „გასურსლავდნენ“, დაატარებდნენ წრთვა-ლი ბაირალით, უკან მას ქალები და ბავშვები მისხვეჭნენ. და შესასული თანაც მივიღობდნენ, იმ კაცს წყალს შეასხამდნენო.

სამტრედის რაიონის სოფ. დაბლაგომის მცხოვრების 80 წლის დომინა არსენის ასულ ცხვარიძის ცნობით, „გვალვის დროს ცხრა სხვადასხვა გვაჩის ქალები წაიღებდნენ ქვების ჩამოსაუიდებელ ჯაჭვს და თავის აღვილას დადებდნენ. ამის შემდეგ, ზოგჯერ გარეობრივობა“. აქც ბავშვები (უფრო ვოგონები) უიფილ-ხივილით მიჰყვებოდნენ უფროსებს და განვებ წყლით იწურებოდნენ.

ისკელდობა — საქონლის დასალოცი დღეობა (ს. ზოვრეთი, კინჩხა, გორდი) პრილის თვეში ეწყობოდა დიასახლისი გამოაცხობდა ხაჭაპურის, სანთლით, დოქი ლვინით კაცები ავიდოდნენ ისკელდებიზე (პატარა სახლოვით იყო), შეი შევიდოდნენ და ილოცებოდნენ: „ისკელდების ძალო და მაღლო, შენ დეიცევი ჩვენი საქონელი უწო უხარისხისაგან, შენი სახელის და შენი დიდების ჭირიმე, მომირობევია დოქის ლვინო, ხმიადი, ჩემი საქონლის სამშვიდობოთ, შენ სადიდებლად“. ამ დალოცვას ესწრებოდნენ პატარა ზოკები, რომელთაც უმასპინძლდებოდნენ.

შემოღომაზე, რთვლობის დროს, ბავშვები საწნახელზე ურტყამდნენ ხელს და თან გაიძახოდნენ: „მამულიშვილს უხარის“ (ვითომ ბევრი მოსავალი მოვიდესო) ვისაც საწნახელი არ ჰქონდა (ეს კი იშვიათი იყო), ის კედელზე ურტყამდა ხელს და გაიძახოდა საანაურ სიტყვებს.

ბავშვებს მაინც უველა დღეობიდან განსაკუთრებით უხარიდათ „კინკობა“, რომელიც, ხალხის რწმენით, ლვინობისთვეში ეწყობა ხოლმე და ამიტომ ამ თვეს ჩვენში „კინკობის თვეს“ ეძახიან. „15 ლვინობისთვის ღამეს მოვა ჭინკა ქვეყნად და იქნება აქ 7 ვიორგობისთვემდის (ნოემბრიდე). ჭინკა არის პატარა, 3—4 წლის ბავშვის ოდენა. ჭინკის მოსვლის დროს წვიმა მოვა ხოლმე და მაშინ იტყვიან: „ჭინკა წვიმით ჩამოვიდაო“; თუ მოსვლისას არ მოვიდა წვიმა, წასვლისას მაინც იწვიმებს. ჭინკის მოსვლის ღამეს უველაფერი უნდა „მოჭინკო“. აიღებენ პატარა ქვას, ანუ თიხს ნატეხს, გაფხავნენ ზედ ჯვარედინად, მერე ამ ქვას ანუ თიხს ერთს ჭურის თავებზე გადააგდებენ, ან ბოსელში შეაგდებენ, ზოგს ტანისამოსზე დაადებენ: „წმინდა გიორგის ბეჭედია“. 15 ლვინობის-

თვიდან 7 გიორგობის თვემდე თუ დაიბადა ვინმე, გოლოვი ან მა-  
რიამი უნდა დაარქვან. ამ სახელებისა ჭინჯის ეშინია; ჭინჯის ძალი-  
ან უყვარს ცხენთან თამაში. 7 გიორგობის დღეს მთავარი პნევლო-  
ზობის ჭინალმეს, მოვა მიქელ გაბრიელი მთავარ ანგელოზის კამა-  
კრავს, „შეპბოვავს“ ყველა ჭინჯებს ერთად და გადაყრის წყალში.  
ამას ხალხი ეძინის. „მოფირჩხაო“, ე. ი. ფარჩხი მოუსვა და გადა-  
ყრა წყალშით“<sup>16</sup>.

გაზეთი „კავკაზის“ კორესპონდენტი იტყობინება, რომ ხალხის  
რწმენით, „ჭინჯები ცხოვრობენ გამოქვაბულებში და ხევებში..  
ისინი იქრენ ადამიანებს, განსაკუთრებით ბავშვებს“<sup>17</sup>. ადგილი-  
წარმოსადგენია, როგორი შიშით და თან ცნობისმოყვარეობით  
ხელებოდნენ ბავშვები ამ დღეობას.

ჭიათურა იცოდნენ აღდგომის ოთხშაბათს. დიდ ხეთ-  
შაბათს დილაზე უბრად გავიდოდნენ და მწარე ბალს დაასობდნენ  
კურის თავზე, ვენახში, სახლში და სხვ. უფროსების დახმარებით  
ბავშვები საღამოს აათებდნენ ცეცხლს ეზოში, ვენახებში (უმეტე-  
სად ვენახის ჯალჯით) და ზედა ხტებოდნენ. მიწას დაასველებდნენ,  
„დააკერკევარიტებდნენ კვერცხივით“, ცეცხლში ჩადებდნენ, სვე-  
ლი მწის გუნდა წაკვერჩხლებს აიტავდა, მას ბავშვები ისროდნენ  
და თან გაიძახოდნენ: „ჰაუ, ჰაუ, ქვარიანო, შენი სკი და შენი ჭამე,  
ჩეენსას ჯვარი დაგვიწერე, ჩეენს ვენახში ძარა, ძარა (ან გოლრა,  
გოლრა), თქვენს ვენახში კიმპლა, კიმპლა (ან ბურდა, ბურდა)“, იმე-  
ორებდნენ რა ამ სიტყვებს, თან ცეცხლზე ხტებოდნენ, ხალხი გაპ-  
კიოდა — აევერული კუდიანებსა, ჯვარი აქაურობასო. ისინი დარ-  
წმუნებული იყვნენ, რომ „მავნე თუ უჯდა ტანში, ამ ხტომისას  
ცეცხლში ჩავარდებოდა და დაიწვებოდა“.

ტურია ბა 15 მარიობის თვეშია. ზოგიერთი დედა აკვანთან  
იქდა და ბავშვს ღამეს უთევდა, რადგან ეშინოდა მაუნე არსებებმა,  
რომლებიც ამ დროს ტურის სახეს იღებენ, ბავშვს არაფერი აენონ,  
ან არ მოიტაცონ. „ღამე, ბალინას ყურის ძირში მიაწებებდნენ სან-  
თელს, აյ იყო ბალინა რამდენიმე დღეს, ტურა არ მიეკარებაო“.  
სახლის უკან ანთებულ ცეცხლზე ბავშვები ხტებოდნენ, ერთმანეთს-  
უკაუნებდნენ ქვებს და თან გაიძახოდნენ: „ჯვარი აქა, ჯვარი იქა.  
შენი სკი და შენი ჭამე, ჩემსას ჯვარი დამიწერეო“. უფროსები კი-  
ორ ქვას დაიკავებდნენ ხელში, გაკეთებდნენ მწარე ბლის ქერქის

<sup>16</sup> გაზ. „ივერია“, 1886, № 227, ქ. მალრაძე, ჭინჯიანი იმერეთში.

<sup>17</sup> გაზ. «Кавказ», 1857, № 59, და 63.

კვარს, ქაცაცხს, ჩაარჭობლნენ ჭიშკარში, ირგვლივ შემოუცოლდნენ სახლს და ზემონახსენები სიტვებით აფრთხილებდნენ ტურქებს. ასე ებრძოდა ცეცხლის საშუალებით ავ სულებს ხალხს, რაზეცალჩა დღეს „ფერხხაობის“ სახელით ცნობილი შეძლებების შესახებ მისამართი გადასცა: „მწარე კვახს მოხაპავდნენ თავს, ჩაყრიდნენ შიგ ღომის ჩხოს (გაუცეხველ ღომს). დაამხობდნენ გოდორს ან საბუდარს, რაზედაც დადგებოდა ერთი ბავშვი, დაიწყებდა ტირილს და კურუსუნს: ბავშვს ხელში ეჭირა ქათმის კვერცხი; გოდორის წინ ეგდო ღომის ჩხოანი კვახი; გოდორის გარშემო უვლიდნენ ბავშვები, რომლებიც ჭუჭულებიერთ წიაქობდნენ (წიწილებიერთ წიოლნენ), ბავშვი სამარტინ მოტრიალდებოდა გოდორზე, მერე გაიმართებოდა წელში და იტყოდა: „ღმერთო, ასე გაამრავლე ჩვენსას ჭუჭულები და ქათმებიო“. ამის თქმა და გოდორიდან გადმოხტომა ერთი იყო; დაპერადა ფეხს კვახს და ღომის ჩხო აქეთ-იქით გაიფანტებოდა. მაგრამ თუ ბავშვი კვახს ფეხს დააცილებდა, ძლიერ გაუჭავრდებოდნენ“<sup>18</sup>.

„ამ მოქმედების მიზანდასახულობა საქართველოში აშენაა, უდარღ, მოსახლეობას სწამდა, რომ გაფანტული ღომის მარცვალთა რაოდენობისაგან დამოკიდებულია ოჯახში ჭუჭულებისა და ქათმების სიმრავლე“<sup>19</sup>.

კოხის დროს გამოიტანდნენ ხოლმე ტაშტეშს და უფროსებთან ერთად ბავშვებიც უბრახუნებდნენ: „კოხი წაეციდეს, კოხს ნუ მოიყვან, მოსავალში ვაგვიმარჯვეო“.

კოხინ კობას სოფლის უბნები ცალ-ცალკე ქეიფობდნენ და ღმერთს შესთხოვდნენ: „კოხს ნუ მოიყვან, მოსავალში ვაგვიმარჯვეო“. იმერეთშიაც მიწის მაცნებელთა წინააღმდეგ სრულდებოდა ვარკვიული წესჩვეულება. ეს გამოიხატებოდა შემდეგში: „უცლე მიწაში რო დეიარება, მისავით კვერცხს გამოაცხობდნენ და თავის ეზოს ვადალმა, სხეის ეზოში ვადაიტანდნენ ბალდები და თან თვალდახუჭულები ილოცებოდნენ:

„აა, ფრედ და ფულეს კვერი,  
აა, მიწა და უკლევრი“.

მერე ამ კვერს შექამდნენ“. ზოგი მთხრობელის თქმით, ამას ბალდები აკეთებდნენ, თორემ ისე მამაკაცებს ეფალებოდათ ამ ცერემონიალის ჩატარებათ.

<sup>18</sup> დ. ა ვ ა ლ ი ი ნ ი, სოფ. კვიტირი, აფაკის თვიური კრებული.

<sup>19</sup> ა. ს თ ხ ა ძ ე, ქართველთა სამეურნეო ყოფის ისტორიიდან (რაჭული ბოსლობა), 1955 წ., საღისერტაციო ნაშროში, გვ. 278.

„ბერიკაობა“ ტარდებოდა იმერეთშიაც, იქაც ბერიკაში  
შონაწილეობას იღებდნენ მათთვის სახალისო წეს-ჩვეულებაში.  
ბერიკების ნიღაბს ხშირად აყეთებდნენ კვახისაგან. კრისტენის  
ბერიკების ნიღაბს უწოდებდნენ, „მეტად საყურადღებო ერთ-ერთ კრისტენის  
იმერეთში კვახი როცა იზრდებოდა, მას ხის კალაპოტში დებდნენ,  
რომელზედაც აფამიანის სახე და „კიჭები“ იყო გამოყვანილი. შეძ-  
ლვე ასეთ კალაპოტში გაზრდილ კვახისაგან ნიღბებს აყეთებდნენ  
და ნიღაბაფარებულნი „კიჭობიას“ თამაშობდნენ“<sup>20</sup>.

მთხრობელების გაღმოცემით, საალდგომოდ ლეინის ამოსალებ  
კვახს თვალებს გამოუქრიდნენ, პირზე მიიღებამდინენ და გაიძახოვნენ;  
„ერ, კიჭები, კიჭები, კვერცხისთვის დევიტიკები“, ამის გაგონებაზე  
დისახლისი ბავშვებს გამოუტანდა ხოლმე ხან კვერცხს, ხან სხვა  
რამეც.

იმერეთში კიდევ ბევრი სხვა დღეობაც იყო, მაგრამ მათში ბავ-  
შვები არამც თუ მონაწილეობდნენ, არამედ მაყურებელის როლშიც  
კი არ გამოდიოდნენ. ამიტომ ჩევნ მათ არ შევეხებით.

თანამედროვე თამაშებში ზოგი ძევლიდან შემორჩა, ასეთებია:  
რიკაბა, კუკუმალობია, დანისობია, კენჭაობა, ნიგვზობია, ლობიო-  
ბანა, კოჭაობა, ზოგი კი დაუმატა: რახნახობია (ომობანქა ახალი  
გარიანტი — რთულ სიუჟეტზე ავებული), გაშტერებიე, დროშის  
გარანბია, სტობობია, ჯოჯიმალა ჯოჯი, შეიდქვაობა, ფეხბურთი  
და სხვა.

ამრიგად, როგორც საერთოდ საქართველოში, იმერეთშიაც  
გვიჩვეული ყოფილა ისეთი თამაშები, რომლებშიც აირკვლება  
ამ კუთხისათვის დამასმიათებელი ყოფა, სულიერი კულტურა, რე-  
ლიგიური რწმენა-წარმოდგენები. იმერელი კაცის ძირითად საქმია-  
ნობას წარმოადგენს მემინდვრეობა, მევენახეობა, მესაქონლეობა  
და, როგორც მოსალოდნელი იყო, ეს მოვლენა აისახა არა მარტო  
გართობა-თამაშებში, არამედ სათამაშოებშიაც. აქაც ნაწილი თამა-  
შებისა ავებული იყო სხვადასხვავარ შეჯიბრზე: სირბილი (დოლი),  
სივრცესა და სიმალლეზე სტომა, ზურგზე გადახტომა, ფერდობებზე  
აჩბენ-ჩაბენა, მძიმე ქვის აწევა და ნიშანში სროლა, ჭიდაობა  
(გვიმრებით), ბურთობა, რიკაბა, ქუდობიე, კვაჭინობა და სხვა.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ იმერეთში ყველაზე უფრო მეტად

<sup>20</sup> ღ. ჭანელიძე, ქართული თეატრის ხალხური საწყისები, თბ., 1948.  
88. 420.

გავრცელებული იყო თამაშები: ბურააობა, ქორობია, რიგაობა, კვაჭინობა.

სანადირო შინაარსის თამაშებიდან პირეელ რიგში უწინა დავა-სახელოთ: ქორობია, მეტობია, კურდლლობია და სხვა: უონჯების სა-ვარგიშოდ განკუთვნილი იყო გართობა გამოცანებით, ანდაზებით, ზღაპრებით. თამაშებიდან კი უნდა დავასახელოთ: ჩაზის გასწო-რებია.

ბავშვები აქაც თვითონ იკეთებდნენ სათამაშოებს: ბურთს, ხელ-თოფას, ლაჟუების, საბზუალოს, ჩიტის დასაჭერ სხვადასხვა მახეებს (სარეჭველს, ირენჩეს). ერთობოდნენ საქორიანეთი (საქანელი), გოჭიორათი.

გოგონების უსაყვარლესი სათამაშო აქაც დედოფალაა, რომელ-საც ხშირად აკეთებდნენ სიმინდის ტაროსაგან.

ბავშვები მონაწილეობას იღებდნენ გვალვასთან დაკავშირებულ წეს-ჩვეულებაში, დღეობა „ისკელდობაში“. განსაკუთრებით აქ-ტოური იყო ბავშვების მონაწილეობა ჭინჯაობის, ჭიაკოუნობის, ტერაობის დროს. დროთა ფითარებაში ძეელად გავრცელებულ თა-მაშებს დაემატა ახალი თამაშები, რამაც გამოიწურია ადგილობრივ გავრცელებულ თამაშთა ციკლის გაზრდა.



П. С. ГОГОБЕРИДЗЕ

## НАРОДНЫЕ СПОСОБЫ ВОСПИТАНИЯ В ИМЕРЕТИ (детские игры и игрушки)

### Резюме

Данная работа в основном опирается на материал, собранный в этнографических экспедициях. Для того, чтобы обрисовать по возможности картину народных игр и развлечений, распространенных и пережиточно сохранных в Имерети, также используются зафиксированные другими авторами интересующие нас факты.

Отдельно рассматриваются народные игрушки, встречающиеся в Имерети.

Рассматривается также вопрос участия имеретинских детей в религиозных праздниках.

Выделена и описана группа современных игр, проникших в Имеретию в годы Советской власти.

## ს ა რ ჩ ი ზ ი

<b>შ ე ს ი ვ ა ლ ი</b>	<b>3</b>
გ. ჯ ი ლ ი ბ ი ძ ე, მემინდვრეობა იმერეთში	7
Г. В. Джалаабадзе, Полеводство в Имерети	46
თ. გ ვ ლ ი ძ ე, ურთმის თრგანიზაციის ფორმები იმერეთში	47
Т. Ш. Геладзе, Формы организации труда в Имерети	60
გ. გ ვ ლ ი ვ ი ბ ი, მეცნიერებელი შემთ იმერეთში	62
М. Н. Макалатиа, Животноводство в Верхней Имерети	74
გ. გ ვ ლ ი ბ ი ძ ე, ფერმერული მეურნეობა ვარცხეში	76
Г. В. Джалаабадзе, Фермерское хозяйство в селе Варцихе	84
ნ. ტ ე ხ ვ ი ბ ი ძ ე, მშეღლობა იმერეთში	85
Н. В. Рехвиашвили, Кузничное дело в Имерети	99
ი. ბ ე ზ ა რ ი ბ ი ძ ე, გლეხი ქალის ჩამულობა იმერეთში	101
Ц. И. Беззарашвили, Крестьянская женская одежда в Имерети	119
ი. დ ა ვ ე ბ ი ძ ე, წითელი თიხის ჭურჭლის დამზადებისა და შემკბის ხალხური წესები იმერეთში	120
Ц. А. Какабадзе, Изготовление и украшение глиняной посуды в Имерети	133
გ. ვ ა ს ი ტ ი ბ ი ძ ე, ხის დამუშავების კულტურა იმერეთში	135
Г. С. Гаситашвили, Культура обработки дерева в Имерети	155
ც. ბ ა რ ი ბ ი ძ ე, ხის ავეჯი იმერეთში	157
Л. А. Бедукидзе, Деревянная мебель в Имерети	165
ნ. ც ი რ ი ბ ი ძ ე, ხილხური ილზრუის წესები და საბავშვო გართობა-სიმართვანი იმერეთში	167
Н. С. Гогоберидзе, Народные способы воспитания в Имерети (детские игры и игрушки)	184



დაიბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის  
სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს დადგენილებით

\*

რედაქტორი გ. ჯ ღ ა ბ ა ძ ე  
გამოშეცილობის რედაქტორი ჩ. ფ ე ი ქ რ ი შ ვ ი ლ ი  
რექტორაქტორი ც. ქ ა მ უ შ ა ძ ე  
კორექტორი ნ. მ ა მ უ ლ ა შ ე ი ლ ი

გადაუცა წარმოებას 27.4.1978; ხელმოწერილია დასაბეჭდად 6.12.1978;  
ჭაღალდის ზომა 60×90!/16; ქაღალდი № 2; ნაბეჭდი თაბახი 11,75;  
საალბონეო-საგამომცემლო თაბახი 9,68

ცი 01224; ტირაჟი 1000; შეკვეთა № 1424  
ფასი 1 მან. 10 ქაზ.

---

გამოშეცილობა „მეცნიერება“, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19  
Издательство «Мецнериба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

---

საქ. სსრ მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19  
Типография АН Груз. ССР, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19



МАТЕРИАЛЫ ПО ИЗУЧЕНИЮ ЭТНОГРАФИИ  
ИМЕРЕТИ

ფეხი 1 მან. 10 კვ.

K268.406  
3  
ოსმალური  
ისლამური